

# სამართალი

SSN 0868-4537

2000

178/3  
2000

№3



## მეცნიერება

## კულტურისტიკა

## პრაქტიკა

სამართალი, თბილისი



**ჟურნალ «სამართლის» საპროფილო ბარათი**  
**“SAMARTALI”\* journal visit-card**

**გამოსვლის თარიღი** – 1926 წელი.

**სტატუსი** – იურიდიული პროფილის ერთადერთი რეცენზირებადი გამოცემა საქართველოში.

**პერიოდულობა** – წელიწადში გამოდის 12 ნომერი

**ტირაჟი** – 1000 ეგზემპლარი

**დამფუძნებელი** – საქართველოს იურისტთა კავშირი (1999)

**იურიდიული მისამართი** – 380046, საქართველო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 30.

**Date of issuance** – year 1926

**Status** – the only reviewed legal-profile edition in Georgia

**Periodicity** – 12 editions annually

**Circulation** – 1000 units

**Founder** – Georgian Lawyers Union (1999)

**Legal address** – 380046, Rustaveli 30, Tbilisi, Georgia

**Objectives of the journal are:**

- To promote effectuation of the judicial reform which is under way in Georgia;
- To assist practician lawyers (judges, prosecutors, advocates, notaries and others) in better cognition of new legislation;
- To get Georgian legal society acquainted with the judicial process in foreign countries by means of Georgian and foreign specialists.
- To promote raising legal culture and legal consciousness of the population;
- To promote reforms of legal science and legal education and to foster students' study process.

**ჟურნალის მიზნებია:**

- ხელი შეუწყოს საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის განხორციელებას და მის წარმოჩენას;
- დაეხმაროს პრაქტიკოს-იურისტებს (მოსამართლეებს, პროკურორებს, ადვოკატებს, ნოტარიუსებს და სხვა) ახალი კანონმდებლობის უკეთ შექმნებაში;
- ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მეშვეობით გააცნოს საქართველოს იურიდიულ საზოგადოებას საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარე სამართლებრივი პროცესები;
- ხელი შეუწყოს მოსახლეობის სამართლებრივი კულტურისა და ცნობიერების დონის ამაღლებას;
- იურიდიული მეცნიერების, იურიდიული განათლების რეფორმირებისა და სტრუქტურული სასწავლო პროცესისათვის ხელშეწყობა.

**Forms of effectuation**

- Publication of materials resembling activity and creative production of Georgian and foreign scientist and practician lawyers;
- Publication of normative materials and propaganda of new legislation;
- Publication of decisions rendered by the European Court of Human Rights and by Georgian courts;
- Judicial practice review;
- Publication of legal consultations foreseen for juridical and natural persons;
- Publication of studying and academic materials.

**განხორციელების ფორმები:**

- ქართველ და უცხოელ იურისტ მეცნიერთა და პრაქტიკოს-იურისტთა შემოქმედებითი პროდუქციისა და მათი საქმიანობის ამსახველი მასალების გამოქვეყნება;
- ნორმატიული მასალის გამოქვეყნება და ახალი კანონმდებლობის პროპაგანდა;
- ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების გამოქვეყნება;
- სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა;
- ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გათვალისწინებული იურიდიული კონსულტაციების გამოქვეყნება;
- სასწავლო და აკადემიური მასალის გამოქვეყნება.

\* Term “SAMARTALI” in English means “Law”



საქართველოს იურისტთა კავშირი

GEORGIAN LAWYERS' UNION

«ს ა მ ა რ თ ა ლ ი»

“S A M A R T A L I”

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Scientific-practical juridical journal

№3, 2000 წლის მარტი

ISSN 0868-4537

© ჟურნალი „სამართალი“, 2000 წ.

მთავარი რედაქტორი

პაატა ტსნობილაძე

EDITOR IN-CHIEF

PAATA TSNOBILADZE

მთავარი რედაქტორის მოადგილე

გელა ბერძენიშვილი

VICE-EDITOR IN-CHIEF

GELA BERDZENISHVILI

სარედაქციო საბჭო:

EDITORIAL COUNCIL:

რომან შენგელია – (თავმჯდომარე)

ლევან ალექსიძე

ჯამლეთ ბაბილაშვილი

ავთანდილ დემეტრაშვილი

ბესარიონ ზოიძე

კახა თარგამაძე

გივი ინჭკირველი

გია მეფარიშვილი

თევდორე ნინიძე

ნუგზარ საჯაია

მინდია უგრეხელიძე

ლადო ჭანტურია

ჯონი ხეტურიანი

ROMAN SHENGELIA - (chairman)

LEVAN ALEKSIDZE

JAMLET BABILASHVILI

AVTANDIL DEMETRASHVILI

BESARION ZOIDZE

KAKHA TARGAMADZE

GIVI INTSKIRVELI

GIA MEPARISHVILI

TEVDORE NINIDZE

NUGZAR SADJAIA

MINDIA UGREKHELIDZE

LADO CHANTURIA

JOHN KHETSURIANI

სარედაქციო კოლეგია:

EDITORIAL BOARD:

გელა ბერძენიშვილი

ნინო გვენეტაძე

მზია ლეკვეიშვილი

ვალერიან მეტრეველი

გიორგი ტყეშელიაძე

შალვა ჩიკვაშვილი

პაატა ტსნობილაძე

გია ხუბუა

GELA BERDZENISHVILI

NINO GVENETADZE

MZIA LEKVEISHVILI

VALERIAN METREVELI

GEORGE TKESHELIADZE

SHALVA CHIKVASHVILI

PAATA TSNOBILADZE

GIA KHUBUA

რედაქციის მისამართი: 380046 თბილისი, რუსთაველის გამზ. №30.

ტელ: 99 02 45, 98 41 50, 99 51 01

ფაქსი: (995 32) 99 02 45

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“  
თბილისი, რუსთაველის გამზ. 30.

# ს ა კ ი მ ბ ე ლ ი

## სადღეისო თემა

ელდარ ჰასანოვი – საჭიროა დსთ-ს  
ნარკოტიკებთან ბრძოლის ცენტრი ..... 5

ზურაბ დგებუაძე – კორუფციის პრობლემები ..... 14

## საკონსტიტუციო სამართალი

ქართლოს ფრიდონაშვილი – ომბუდსმენის  
როლი და მნიშვნელობა საქართველოს  
პოლიტიკურ რეჟიმში ..... 22

## სამოქალაქო სამართალი

ზურაბ ძლიერიშვილი – დაკარგულ  
საწარმდგენლო ფასიან ქალაქსა და  
საორდერო ფასიან ქალაქზე უფლების  
აღდგენა (გამოწვევითი წარმოება) ..... 27

ზვიად გაბისონია – ფიზიკური პირების,  
როგორც უცხოური ინვესტირების  
სუბიექტების, სამართლებრივი სტატუსი ..... 32

ლელა კოპალეიშვილი – მომხმარებლის  
უფლებები ..... 38

გიორგი ჭილაძე – უფლებათა შეზღუდვა  
საქართველოს საპატენტო კანონით ..... 42

## სისხლის სამართალი

### კრიმინოლოგია

ნონა თოდუა – სისხლის სამართლის  
კანონმდებლობის სრულყოფისათვის ..... 47

მალხაზ ბაძაღვა – ვგუფური დანაშაულობის  
ეკოლუციის ძირითადი ფაზები ..... 50

რამდენიმე მოსაზრება საზოგადოებაში  
მიმდინარე დისკუსიაზე პროკურატურის  
რეფორმასთან დაკავშირებით ..... 57

ალექსანდრე კაცმანი – კომპიუტერულ  
დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი და  
კრიმინალისტიკური დახასიათება ..... 58

### სისხლის სამართლის პროცესი

#### კრიმინალისტიკა

ზაზა ინჭკირველი – ბრალდებულის ცრუ  
აღიარების მიზეზები და მათი გამოვლენის  
მექანიზმი ფსიქოლოგიური და პროცესუალური  
ხერხებით და საშუალებებით ..... 63

# Search guide

## Today's theme

Eldar Hasanov – It's necessary to create  
Center of CIS of Struggle Against  
Drug Habit ..... 5

Zurab Dgebuadze – Problems of  
corruption ..... 14

## Constitutional Law

Kartlos Pridonashvili – Role and importance  
of Ombudsman in political regime  
of Georgia ..... 22

## Civil Law

Zurab Dzierishvili – Restoration of right on  
lost bearing securities and order securities  
(recalling execution) ..... 27

Zviad Gabisonia – Legal status of  
individuals, as subjects of  
foreign investment ..... 32

Lela Kopaleishvili – Rights of consumer .... 38

George Chiladze – Limitation of rights  
by Patent Law of Georgia ..... 42

## Criminal Law, Criminology

Nona Todua – For improvement of  
criminal legislation ..... 47

Malkhaz Badzagua – Fundamental phases  
of evolution of group criminality ..... 50

Several considerations on discussion,  
spread in society, concerning reform  
of Prosecutors Office ..... 57

Alexander Katsman – Criminal  
characterization of computer crimes ..... 58

## Criminal Procedure,

### Criminalistics

Zaza Intskirveli – Reasons of false  
confession of accused and mechanism of  
their manifestation by psychological and  
procedural ways and remedies ..... 63

**იური გაბისონია** – დაკავება, მოყვანა, ძებნა:  
ზოგიერთი თეორიულ-პრაქტიკული და  
საკანონმდებლო ასპექტი ..... 69

**თამარ იასეშვილი** – ჩხრეკა, როგორც  
გადაუდებელი საგამომიებო მოქმედება ..... 76

**სახელმწიფოსა და**

**სამართლის ისტორია**

**ვალერიან მეტრეველი** – რომის სამართალი  
და იმპერატორ იუსტინიანეს კოდიფიკაცია ..... 79

**გიორგი ნადარეიშვილი** – ერთი იურიდიული  
ტერმინის წარმოშობა-განვითარება ..... 85

**ნინო ცნობილაძე** – ფშავ-ხევსურეთში  
გავრცელებული რუსული სამართლის  
კრიტიკა ვაჟა-ფშაველას ნააზრევში ..... 87

**საერთაშორისო სამართალი.**

**ურთიერთობები**

**ირაკლი შაფაქიძე** – უცხოეთის ქვეყნების  
სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღიარება და  
შესრულება ..... 91

**გელა ბეჟუაშვილი** – „ევროპულ უმცირესობათა  
დაცვის შესახებ“ 1995 წლის ევროპული  
ჩარჩო-კონვენცია, მისი სამართლებრივი  
სტატუსი და ქვეყნების პრაქტიკა ..... 95

**ადამიანის უფლებების ევროპის**

**სასამართლოში**

**ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს  
გადაწყვეტილება საქმეზე: ვალსამისი საბერძნეთის  
წინააღმდეგ ..... 100**

**საქართველოს გენერალურ**

**პროკურატურაში**

**საქართველოს პროკურატურის გენერალური  
ინსპექციის დებულება ..... 105**

**ეთიკის ნორმები საქართველოს პროკურატურის  
მუშაკებისათვის ..... 107**

**რეზიუმე ..... 115**

**Juri Gabisonia** – Detention, leading along,  
search: some theoretical-practical and  
legislative aspects ..... 69

**Tamar Iaseshvili** – Search, as an urgent  
investigative action ..... 76

**History of State and**

**Law**

**Valerian Metreveli** – Roman law and  
codification of emperor Justinian ..... 79

**George Nadareishvili** – Extraction and  
development of one legal term ..... 85

**Nino Tsnobiladze** – Criticism of Russian law,  
spread in Pshav-Khevsureti, by Vazha-  
Pshavela’s consideration ..... 87

**International Law,**

**International Relations**

**Irakli Shapavidze** – Acknowledgement  
and execution of court decisions of  
foreign countries ..... 91

**Gela Bezhuashvili** – “European Framework  
Convention for the Protection of National  
Minorities” of 1995, it’s legal status  
and practice of countries ..... 95

**In the European Court of**

**Human Rights**

**Decision of ECHR on case: Valsamis vs  
Greece ..... 100**

**In the General Prosecutors**

**Office of Georgia**

**Statute of General Inspection of  
Prosecutors Office of Georgia ..... 105**

**Norms of ethics for workers of  
Prosecutors Office of Georgia ..... 107**

**REZUME ..... 115**



# ს ა ღ ლ ე ი ს ო თ ე მ ა



ელდარ ჰასანოვი

საჭირ(ო) ღსო-ს  
ნარკოტიკმითან ბრძოლის  
ცენტრი

24386

ელდარ ჰასანოვი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, II კლასის იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ცნობილია არა მხოლოდ როგორც გამოცდილი და პრინციპული ხელმძღვანელი, პრაქტიკული მუშაკი, არამედ როგორც ნიჭიერი მეცნიერი. 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია აზერბაიჯანულ, თურქულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე და რომელთაც კრიტიკის მაღალი შეფასება ხვდა წილად. ბ-ნი ე. ჰასანოვი წარმატებით მუშაობს კრიმინოლოგიასა და სისხლის სამართალში, მაგრამ მან განსაკუთრებით თავი გამოიხსნა როგორც ნარკოტიკმითან მეცნიერულმა მკვლევარმა. ნარკოტიკმითან წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს ეძღვნება მისი მონოგრაფიები „ანტინარკოტიკი“, 1994 წ. (აზერბაიჯანულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), „ნარკოტიკი: ტენდენციები და დაძლევის გზები“, 1996 წ. (რუსულ და ინგლისურ ენებზე) და სხვა.

ბ-ნი ე. ჰასანოვი არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს წევრი, იურისტთა საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (მოსკოვი), იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი (დიდი ბრიტანეთი), ნარკომანიასთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის საერთაშორისო ასოციაციის ხალორდინაციო საბჭოს წევრი (მოსკოვი), ადვოკატიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი (შვეიცარია), პროკურორების საერთაშორისო ასოციაციის წევრი (ნიდერლანდები) და სხვა.

წინამდებარე წერილში მის მიერ წამოჭრილია საერთაშორისო ნარკობიზნესისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კარდინალური პრობლემები, რომლებსაც დიდი საერთაშორისო ელვადობა აქვთ. ამავდროულად, აღნიშნული პრობლემები უშუალოდ კავკასიასა და კერძოდ, საქართველოსაც შეეხება, ამიტომ საინტერესო უნდა იყოს საკითხი დაინტერესებული ქართველი მკითხველისათვის.


ბ-ნი ე. ჰასანოვი არის საქართველოსა და ქართველი ხალხის დიდი მეგობარი. იგი აქტიურად თანამშრომლობს ქართველ კოლეგებთან ნარკოტიკმითან პრობლემის მეცნიერული კვლევის დარგში.

XX საუკუნეში მოვლი მსოფლიოს მასშტაბით არნახული ტემპით მზარდმა ნარკოტიკმითან უკანასკნელ ათწლეულში დსო-ს ქვეყნებში მოიცვა და ისინი ამ სოციალური ბოროტების ნამდვილ კერად აქცია.

დღეს ნარკოტიკმითან დსო-ს ქვეყნებში ისეთი საშიში სახე მოიღო, რომ უკვე მრავალი ადამიან-

ის, ხალხებისა თუ სახელმწიფოებისათვისაც კი ძნელად დასაძლევ უბედურებად მოგვეჩიონა.

პოსტსაბჭოური რესპუბლიკების მიერ ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში გარდაამავალ ეტაპზე სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოშობილი სერიოზული სიძნელეები საშუალებას არ იძლევა გამოყოფილი ფინანსური





რესურსები და ძალები ნარკოტიკებისა და ნარკობიზნესის დასაძლევად, რასაც გაგებით უნდა შევხედოთ. ახლა დსთ-ს უმეტესი ქვეყნების ხელისუფალნი, ძირითადად, იმისათვის იღწვიან, რომ როგორმე გადაწყვიტონ ყოველდღიური, გადაუდებელი პრობლემები, დააპურონ დამშეული ხალხი, უზრუნველყონ ისინი საარსებო მინიმუმით, ხელი შეუწყონ საბაზრო ეკონომიკის განვითარებას და შესაბამის რეფორმებს, სტიმული მისცენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობას, შეაყვონ ბიუჯეტი და გადაწყვიტონ მრავალი სხვა გადაუდებელი პრობლემა.

ამიტომ დსთ-ს უმეტესი ქვეყნების მმართველ წრეებში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნარკოტიკების პრობლემის სოციალური მნიშვნელობის შეუფასებლობა, რაც, ძირითადად, იმაში გამოიხატება, რომ მრავალი დაბალი თუ მაღალი რანგის თანამდებობის პირი, ვისაც ხელთ უყვრია მმართველობის სადაყუბო, ნარკოტიკების პრობლემას აყენებს არა პირველ, არამედ მეორე პლანზე, თუმცა სიტუაცია უკვე გასტრეზმალურია და საგანგებო ზომების მიღებას მოითხოვს.

ცნობილია, რომ ნარკობიზნესი საერთაშორისო და რეგიონალური მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე სარეიანი დანაშაულებრივი საქმიანობაა. იგი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულებასთან, როგორცაა ტერიორიზმი, იარაღით ვაჭრობა, კონტრაბანდა, პორნოინდუსტრია, არალეგალური კაპიტალის „გარეკვა“, ძალადობა, ანგარებითი დანაშაული, უადრესად ნეგატიურად აისახება მოსახლეობის ფიზიკურ და ზნეობრივ ჯანმრთელობაზე, დიდ საფრთხეს უქმნის მძიმე თაობებსა და საბილიო ანგარიშით, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს. საგულისხმოა ისიც, რომ იგი ნიუიერი ნიადაგია დანაშაულების, კორუფციისა და სხვა ნეგატიური გამოვლინებისათვის, დიდ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკას, სოციალურ ცხოვრებას, საზოგადოებრივ ზნეობას, ადამიანთა ჯანმრთელობას, უბიძგებს ახალგაზრდობას ძალადობისაკენ, ქურდობისაკენ.

ნარკომავთა დღენიდავ ზრდის თავის გავლენას ჩვენს ქალაქებსა და სოფლებზე, სულ უფრო ღრმად იჭრება სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა აღმზრდელობით დაწესებულებებში, მახეში აბამს სულ უფრო და

უფრო მეტ ადამიანს. სწრაფად იზრდება ნარკომანიით დაავადებულთა რიცხვი, ხოლო მათი მკურნალობისა და რეაბილიტაციისათვის არ მოიძებნება საჭირო სახსრები, არ არსებობს იმის საშუალება, რომ მკურნალობის შედეგ წავახათ ისინი შრომით საქმიანობაში, შეეუქმნათ ცხოვრების ნორმალური პირობები და სხვა.

ამასთან ერთად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სულ კოტა ხნის წინ აქტიურად ავრცელებდნენ ნარკოტიკების ლეგალიზაციის დამლუკველ იდეას და მას ნარკომანიის დაძლევის საქმეში პანაკეად ნათლავდნენ. უარყოფითად შეიცვალა აგრეთვე ნარკოტიკების მოხმარების სტრუქტურა. თუ 5-6 წლის წინ თანამდებობის ქვეყნებში, ძირითადად, გამოიყენებოდა კანაფიდან და ოპიუმის ყაყაოდან მიღებული მკენარეული ნარკოტიკული საშუალებები, ისინი დღეს ჰეროინმა და კოკაინმა შეკვალა. დსთ-ს ქვეყნების „შავ ბაზარზე“ უკვე საკმაოდ დიდი რაოდენობით გამოიწვია გალუციონოგენები, ამფეტამინის რიგის და სხვა რთული სინთეტიკური ნარკოპრეპარატები, რომელთა დასამზადებლად საჭიროა მაღალი კვალიფიკაცია, სპეციალური კოდნა ქიმიამში, მედიცინაში, ლაბორატორული და საწარმოო ბაზა, პრეპერსორები, მოკლედ, მიელი ინდუსტრია, რომელიც მთავრს სამეცნიერო-კვლევით და საწარმოო საქმიანობას, მომარაგების, წარმოებისა და რეალიზაციის მიუღ სისტემას.

კრიზინოგენური სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორგანიზებული კრიმინალური ვაერთიანებები, ნარკოსინდიკატები, იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანს ვარკვეულ სიძნელეებს აწყდებიან ტრადიციულ „ბაკანურ მარშრუტზე“, (კდილობენ შექმნიან ახალი მძღავური ნარკომარშრუტები თანამდებობის ქვეყნების ტერიტორიების გავლით და მოიპოუნ ნარკოტიკების საერთაშორისო ტრანსპორტირების საქმეში ახალი წარმატებები, დაიპყრონ ნარკოტიკების გასაღების ახალი ბაზრები, ჩამოაყალიბონ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპასა, კავკასიასა და შუა აზიაში ნარკოტიკების განაწილებისა და გადაანაწილების გლობალური სისტემა. არის იმის დამადასტურებელი საბუთებიც, რომ უკანასკნელ ხანს ადგილი აქვს პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებში ახლად სინთეზირებული ნარკოტიკული საშუალებების მასობრივად გამოყდის პოლიგონად

გამოყენების, აგრეთვე მათზე მოთხოვნების ხელშეწყობად გაზრდის მკვლევარა.

ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანებების ჩანაფიქრით რეგიონის სოციური ქვეყანა, მაგალითად, ავღანეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ძირითადად, ნარკოტიკების მომწოდებლად გვევლინებიან, სხვები, მაგალითად, რუსეთის ფედერაცია - მომხმარებლად, ხოლო ჩვენ - აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო უნდა ვიქცეოთ სხვადასხვა რეგიონს შორის მათი ტრანსპორტირების სტაბილურ, საიმედო მარშრუტად. ამასთან ერთად, დსთ-ს რიგ ქვეყნებში, სადაც არსებობს ამისათვის ხელსაყრელი კლიმატური პირობები, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ნარკოტიკების შემცველი მკვარების უკანონო დათესვისა და მოყვანის, აგრეთვე ნედლეულისაგან ნარკოტიკული საშუალებების დამზადების, გასაღებისა და მოხმარების გასაფართოებლად. მაგალითად, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებობს ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი კულტურების მოყვანისათვის კარგი კლიმატური პირობები (1998 წელს 10 თვეში ჩვენს რესპუბლიკაში გამოფლენილი და განადგურებულია 486 ტონა ნარკოტიკების შემცველი მკვარები).

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას: ნარკობარონებისათვის რამდენი მიმზიდველი ფაქტორი „იტყუებს“ მათ დსთ-ში: მასში შემავალი ბევრი ქვეყნის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა, კლიმატური პირობები, ბუნებრივი რესურსები, ნედლეული, საერთაშორისო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სხვადასხვა ქიმიური და ფარმაცევტული საწარმო, ლაბორატორია, რომელიც დღეს განერგებულია, შრომის ანაზღაურების დაბალი დონე და მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, რომელიც ხელისუფლების მაღალი კორუმპირებულობის მანიფესტებელია და საშუალებას იძლევა ჩათრეულ იქნას ნარკოტიკების წარმოებასა, გასაღებასა და მოხმარებაში სულ უფრო მეტი ადამიანი. ამასთან ერთად, უდიდესი მოგების მიღება შეიძლება ბინძური ნარკოკაპიტალის გამოყენებით პრივატიზაციის პროცესში მიწის, ქარხნების, ფაბრიკების, ბანკების, შენობა-ნაგებობების, კულტურულ-ისტორიული სიმდიდრის, ყოველივე იმის დასაუფლებლად, რაც ჩვენმა ხალხებმა თავიანთი შრომით შექმნა საუკუნეების მანძილზე.

აღსანიშნავია, რომ თანამეგობრობის ბევრ სხვა ქვეყანასთან შედარებით ამ მხრივ განსაკუთრებით არასახარბიელო ვითარებაა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. აზერბაიჯანი ებრძვის ნარკოტიკს იმ პირობებში, როდესაც იმყოფება მეტად მძიმე მდგომარეობაში ყარაბახის კონფლიქტისა და სამხედრო აგრესიის გამო, რის შედეგადაც ოკუპირებულია მისი ტერიტორიის 20%, დანგრეულია ათასობით დასახლებული პუნქტი, 1 მილიონ 200 ათასმა ადამიანმა მიატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი და ლტოლვილი გახდა. იძულებითმა მიგრაციამ გააძწავა სოციალური პრობლემები, უმუშევრობა, საშუალება არ მისცა ხელისუფლებას გამოეყო ნარკოტიკის მიმდევრებისათვის საჭირო მატერიალური სახსრები. სწორედ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ის ტერიტორია, რომელიც დღეს ოკუპირებულია, გამოყენებულია ნარკოსინდიკატების მიერ ნარკოტიკული საშუალებებისა და იარაღის უკანონო გადახიდვისათვის დსთ-ს ქვეყნებსა და ევროპაში, მათ შორის შავი ზღვით.

ნარკოსაქმისნებს ჩვენს რეგიონში იზიდავს მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ის, რომ იგი ევროპისა და აზიის მოჯინაზეა, მასზე გადის ევროპის ახალი მძლავრი სატრანსპორტო არტერიები, რაც დაკავშირებულია ისტორიული „ბრემლის გზის“ აღდგენასთან, კასპის ზღვის ნავთობისა და გაზის უდიდესი რესურსების ათვისებასთან. ყოველივე ეს, აგრეთვე ეკონომიკური აღორძინების დასაწყისი, ეროვნული ვალუტის განმტკიცება, პრივატიზაციის ფართოდ გაშლა, უცხოური ინვესტიციების დაკვეთის საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება ქმნის ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს თავისუფალი ფულადი სახსრების ეკონომიკაში დასაბანდებლად, რაც შეუქმნველი არ დარჩენია საერთაშორისო დანაშაულებრივ გაერთიანებებს.

დინამიური განვითარების პროცესის დაწყებამ აზერბაიჯანში მაშინვე მიიპყრო საერთაშორისო კრიმინალური სინდიკატების ყურადღება ნარკოტიკების ტრანზიტის, შემოსავლების განლაგებისა და ბინძური ფულის გათეთრების პლანში. რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოები სულ უფრო და უფრო ხშირად აფიქსირებენ იმის მკვლელობის ფაქტებს, რომ ეკონომიკაში დაბანდებულ იქნას საეჭვო





წარმოშობის ფულადი სახსრები. ქვეყანაში გამოჩნდნენ საეჭვო რეკრუტაციის ბიზნესმენები, საერთაშორისო მასშტაბის თაღლითები, ტრანსნაციონალური კრიმინალური გაერთიანებების ემისრები.

ასეთ ვითარებაში ჩვენი ამოცანაა დროულად და წარმატებით გამოვაყვლინოთ ამ მძლავრ საინვესტიციო ნაკადებში „ბინძური ფული“, რომელსაც ბოროტმოქმედები იყენებენ კორუფციისათვის, ნაციონალური სიმდიდრის დაუფლებისათვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საფუძვლების შესუსტებისათვის, მაგრამ ამან არამც და არამც არ უნდა გამოიწვიოს საინვესტიციო კლიმატის გაუარესება, რაც უდაოდ მოუტანს დიდ ზიანს ახალგაზრდა დემოკრატიულ სახელმწიფოს.

ყოველივე ამის გამო, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი, პატივცემული პეიდარ ალიევი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლას. ჯერ კიდევ 1996 წლის 26 აგვისტოს მან გამოსცა ბრძანებულება „ნარკომანიისა და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის დონისძიებათა შესახებ“, რომლის ძალითაც ნარკოტიკუმის აღმოფხვრა აყვანილია ეროვნული პოლიტიკის რანგში, შექმნილია სპეციალური სახელმწიფო კომისია.

1997 წლის 24 მაისს ჩვენი ინიციატივით მღებულა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა. ვაეროს ნარკოტიკების კონტროლის პროგრამისა და რესპუბლიკის მთავრობის ფინანსური დახმარების წყალობით გაუმჯობესებულია სასახლერო და საბაჟო პუნქტებზე უკანონო ნარკოტიკების აღმოჩენისა და იდენტიფიკაციის ტექნიკური შესაძლებლობები. რესპუბლიკაში 1993 წლიდან სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა იქცა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ამ საქმეში ყველაზე მაღალ მთხოვნებს უყენებს სახელმწიფო სტრუქტურებს, მათ შორის სამართალდამკავ ორგანოებს. ამან განაპირობა ის, რომ დღეს აზერბაიჯანში დსო-ს ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალია დამნაშავეობის დონე, ხოლო ნარკოტიკუმზე ხორციელდება საიმედო კონტროლი. მაგრამ ყოველივე ეს დამშვიდების საფუძველს არ იძლევა, რადგან აზერბაიჯანის ნარკოტიკების სატრანზიტო რეგიონად გადაქცევის მკვდლობას

ბოლო არ უჩანს და საერთაშორისო ნარკომავიამ მთავრდება დიდი ძალებისა და ფულადი სახსრების კონცენტრაცია ამ დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად.

მაგრამ დღევანდელი კრიმინოგენური ვითარება ისეთია, რომ შეუძლებელია ერთი ქვეყნის მასშტაბით წარმატებით ებრძოლო საერთაშორისო დანაშაულებრივ გაერთიანებებსა და მათ შორის ნარკომავიას. სწორედ ამიტომაც საჭირო ამ საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და გადრმაგება. მხოლოდ მიუღლი მსოფლიო თანამეგობრობის ძალების ინტეგრაციის გზით გახდება შესაძლებელი მომავალ ათასწლეულში წარმატებით დაეიცვათ მოზარდი თაობა იმ ჭეშმარიტად დიდი უბედურებისაგან, რასაც ნარკომანია აქვია. თუ კავკასიის გადასახედიდან მოვიანებრებთ ამ ინტეგრაციას, მან, პირველ რიგში, დსო-ს ქვეყნები უნდა მოიცვას, რომელთა შორისაც ჯერ კიდევ დიდია რეალური კავშირი და ურთიერთგავლენა. სწორედ ამიტომ ჩვენი მუდმივი ყურადღების ცენტრშია მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, პირველ რიგში კი, დსო-ს უმეტეს სახელმწიფოებთან საქმიანი და მჭიდრო თანამშრომლობა ნარკოტიკუმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ დსო ჯერ კიდევ უძალური აღმოჩნდა გლობალური ნარკოქსპანსიის წინაშე, რომელმაც გარღვია თანამეგობრობის სახელმწიფოთა საზღვრები და ფაქტობრივად, დაუსჯელად იწყო თარეში. მაგალითისათვის, ჩვენ ვეკადეთ მოგვეპოვებინა კრესითი მონაცემები დსო-ს ტერიტორიაზე ნარკოტიკუმის მღვამარების შესახებ, რათა გვეკიდნოდა, თუ ამ სახის რამდენი დანაშაულია რეგისტრირებული და გახსნილი, რა რაოდენობის ნარკოტიკული საშუალებებია ამოღებული უკანონო ბრუნვიდან. ჩვენ გვსურს გვეჩინდეს სარწმუნო ინფორმაცია ნარკოკარტელებისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ბანდების შესახებ, დასასრულ, თუნდაც გამოვლენილი და აღრიცხვაზე აყვანილი ნარკომანების რაოდენობის, მათი სოციალური მახასიათებლების შესახებ და ა.შ.

დიდად სამწუხაროა, რომ ასეთი შეჯერებული მონაცემები დსო-ს ქვეყნების მასშტაბით არ მოიპოვება, რაც იმის საბუთია, რომ არ მიმდინარეობს შეთანხმებული, ღრმად გააზრებული,

მიზანდასახული ბრძოლა ამ საერთო უბედურების წინააღმდეგ დსთ-ს ქვეყნების მასშტაბით. ფაქტობრივად დღეს დსთ-ში შემავალი ყოველი სახელმწიფო დამოუკიდებლად, სხვებთან შეთანხმებისა და კოორდინაციის გარეშე აწარმოებს თავის ომს ნარკოსაქმოსების საერთაშორისო არმიასთან, ამიტომაც ვერ აღწევს სასურველ შედეგებს.

თუ არ გვეჩნება დსთ-ს ნარკოტრეფისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიული და ოპერატიული ზომების გატარების ერთიანი შტაბი, ამ ომში წარმატებას ვერ მივაღწევთ თუნდაც იმიტომ, რომ დღეს დსთ-ში ნარკოტრეფის განვითარების ძირითად ტენდენციად გვევლინება მთელი დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზებულობის ხარისხის ამაღლება და შორეული უცხოეთის ნარკოსინდიკატებთან კოოპერირება. ეს უსაშიშროესი ტენდენცია ვლინდება დანაშაულებრივი დაჯგუფებების გამსხვილებაში, მათი ვეროპულ, სამხრეთამერიკულ და აზიურ ნარკოსინდიკატებთან ინტეგრირებაში, ჯგუფური დისციპლინის, დანაშაულებრივი საქმიანობის კოორდინაციის სრულყოფაში, კონსპირაციის მეთოდების დახვეწასა და ჯგუფური ნორმების დაძლიერებაში მძიმო უფრო მკაცრი რეპრესიების გამოყენებაში, დახვეწისა და კონტრდახვეწის საკუთარი სამსახურების შექმნაში, ჯგუფების საბრძოლო ტექნიკით, კომუნიკაციის საშუალებებით, თანამედროვე კომპიუტერებით უკეთ აღჭურვაში, ფულადი სახსრების ცენტრალიზაციაში და ა.შ. ყოველივე ამის ხარჯზე მსგავსი დანაშაულებრივი ორგანიზაციებისათვის არც თუ ისე ძნელი ხდება სახელმწიფო სტრუქტურებში შეღწევა, ამას თუ იმ რანგის თანამდებობის პირებთან დანაშაულებრივ კავშირში შესვლა და ამ გზით სახელმწიფო პოლიტიკაზე გარკვეული გავლენის მოხდენა.

ამ ტენდენციების ფონზე დსთ-ში უკანასკნელი წლების მანძილზე რელიგიურად გამოიკვეთა რამდენიმე თავისებურება: ა) დანაშაულებრივ გაერთიანებათა მხრივ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია ახალი, როული სინთეტიკური ნარკოტიკული საშუალებების საკუთარი ძალით წარმოებასთან; ბ) დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის „გათიერებაში“ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის

ისეთი ინსტიტუტების გამოყენება, როგორცაა ბანკები, კომერციული სტრუქტურები, ფონდები, ასოციაციები, გაერთიანებები და ა.შ.; გ) ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში თანამედროვე მდელი კლასის სპეკულანტების - ფინანსისტების, მეკნიერების, მენეჯერების, სამართალმკოდნების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკების, სამხედრო მისამსახურების, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების ფართოდ ჩაბმა, დ) კრიმინალური გაერთიანებების ლიდერთა მისწრაფება, რათა მოახდინონ არა მარტო თავიანთი დანაშაულებრივი გზით ნაშთი დიდძალი ქონების ლეგალიზება, არამედ ოფიციალურ სტრუქტურებში პირადად ან წარმომადგენელთა მეშვეობით დაიკავონ საპატიო ადგილი, რათა კიდევ უფრო განავრცონ თავიანთი გავლენა. რიც შემთხვევებში ისინი ცდილობენ მოიპოვონ დეპუტატის ხელშეუხებლობა, სოლიდური საქმიანი პარტნიორის იმიჯი, ვასწიონ ქველმოქმედება, მხარი დაუჭირონ ფინანსურად სახელმწიფო მდგავითა ინიციატივებს, რაც შეიძლება გამოიხატოს ადგილობრივი ბიუჯეტების შევსებაში, შენობების, რელიგიური დაწესებულების ნაგებობების (მეჩეთები, ეკლესიები) მშენებლობაში, საარსებო კამპანიების დაფინანსებაში და ამ გზით დაიმკვიდრონ საზოგადოებაში კარგი მოქალაქისა და პიროვნების სახელი. საბოლოო ანგარიშით ყოველივე ეს მიზნად ისახავს დანაშაულებრივი გაერთიანებებისა და მათი ლიდერების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურებში გათქვევას და ამით საზოგადოებაზე გარკვეული ზემოქმედებისა და კონტროლის განხორციელებას.

ყოველივე ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფოებრიობას, რადგან რეალური ხდება მის ყველაზე სასიცოცხლო სტრუქტურებში საერთაშორისო დანაშაულებრივი სინდიკატების ლიდერებისა და მათი წარმომადგენლების შეღწევა, მნიშვნელოვანი თანამდებობის მოპოვება და შემდგომ ხელისუფლებისა თუ სამსახურებრივი მდგომარეობის ნარკოსინდიკატების დანაშაულებრივი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება, რაც საბოლოო ანგარიშით გამოიწვევს დემოკრატიული საფუძვლების რღვევას, (ვივილიზებული სამართლებრივი სისტემის კრახს და ხელს შეუწყობს სამართლებრივი



წესრიგის ნაკლებად კრიმინალური „წესრიგის“ დამყარებას.

ყოველივე ეს გვიკარნახებს იმის აუცილებლობას, რომ უფრო ეფექტიანად ვებრძოლოთ ნარკოტიკულ დამნაშავეობას, მისი გამოვლინების ნეგატიურ ტენდენციებს და ყოველივე ეს გავაკეთოთ დსთ-ს ყველა ქვეყნის ერთიანი ძალებით. ნარკოტიკული დამნაშავეობის დაძლევა ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ნეგატიური შედეგების გარკვეული ნეიტრალიზაცია შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად განვახორციელებთ ღონისძიებებს რამდენიმე მიმართულებით. ეს ღონისძიებები შეიძლება იყოს: სოციალური (აღმზრდელიობითი, სოციალურ-სარეაბილიტაციო, პროპაგანდისტული), კრიმინოლოგიური (ანალიტიკური, პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი და ა.შ.), სამედიცინო (პროფილაქტიკური, სამკურნალო, ფარმაცევტული), ფინანსური (დანაშაულებრივი გზით ნაშთი ფულის ლეგალიზაციის ხელისშეწყობილი), საორგანიზაციო, ეკონომიკური, საერთაშორისო და ა.შ.

დსთ-ს ქვეყნების ხელისუფალთა მიერ ნარკოტიკული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანი გეგმით მოქმედების აუცილებლობა გამოწვეულია იმ რეალური სიტუაციით, რომელიც დღეისათვის ამ ქვეყნებში ჩამოყალიბდა. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ დსთ-ში შემაჯავამ ყველა ქვეყანამ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, დღემდე დიდია კონტრაქტები ამ ქვეყნების მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შორის, ამას ხელს უწყობს არსებული ეკონომიკური სიძნელეები, რაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს აძულებს საშუალოს საძებნელად მუდმივად ან დროებით საკხოვრებლად გადავიდეს დსთ-ს რომელიმე სხვა ქვეყანაში, მით უმეტეს, რომ ამ ქვეყნებს შორის საზღვრები გამჭვირვალეა და არ არსებობს მათი გადალახვის საეიზო რეჟიმი. ამიტომ დიდია მოსახლეობის შიდა მიგრაცია დსთ-ს ქვეყნებში, მაგალითად, კავკასიელებისა რუსეთის ფედერაციაში. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ჯერ კიდევ შემორჩენილია კარგი კონტრაქტები ადამიანთა შორის, არ არსებობს ენობრივი ბარიერი, რადგან რუსული ენა ჯერ კიდევ რჩება დსთ-ს ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის სხვა მესობელი ქვეყნების მკხოვრებლებთან კონტრაქტის დამყარების

საშუალებად და სხვა. მოსახლეობის დაუბრკოლებელი და საკმაოდ ინტენსიური მიგრაცია, ბუნებრივია, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების ერთი ქვეყნიდან მეორეში ტრანსპორტირების მნიშვნელოვან წყაროდ არის ქვეყელი, რადგან ადამიანთა თითქმის თავისუფალი გადაადგილების კვალობაზე თავიანთი დანაშაულებრივ ზრახვებს იოლად ასრულებენ როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანებები, ისე ნარკოტიკული საშუალებებითა თუ ფსიქოტროპული ნივთიერებით შედარებით წვრილი მთავაჭრეები, აგრეთვე ნარკომანები. ყოველივე ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმისათვის, რომ დსთ-ს ქვეყნების ძალთა გაერთიანება ნარკოტიკშიან ბრძოლაში დღევანდელი მეთად აქტუალურ და გადაუდებელ ამოცანად მივიჩნიოთ.

სწორედ ამიტომ 1997 წლის 2-4 დეკემბერს გამართულ დსთ-ს ქვეყნების გენერალური პროკურორების საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა დსთ-ს ქვეყნების თანამშრომლობის საკითხებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, განსახილველად შეეცანე წინადადება ნარკოტიკშიან თავიდან აცილებისა და აღკვეთის მუდმივმოქმედი შტაბის - ნარკომანიასთან და ნარკოტიკშიან ბრძოლის სახელმწიფოთაშორისო ცენტრის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

ჩემივე ინიციატივით 1998 წლის 18 მაისს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობამ ოფიციალურად მიმართა დსთ-ს ქვეყნების აღმასრულებელ სამდივნოს წინადადებით ასეთი ცენტრის შექმნის შესახებ. ეს წინადადება განიხილეს ქ. მინსკში სპეციალურ სახელმწიფოთაშორისო ფორუმზე, რომელიც მიეძღვნა დსთ-ს საქმიანობის სრულყოფისა და მისი სტრუქტურული რეფორმირების პრობლემას და პრინციპული მხარდაჭერა პოვა.

1998 წლის 27 ოქტომბერს ქ. თბილისში დსთ-ს ქვეყნების გენერალური პროკურორების საკოორდინაციო საბჭოს მორიგ სხდომაზე კვლავ მოიწონეს ჩემი წინადადება ამგვარი ცენტრის შექმნის შესახებ, რომელიც გააერთიანებდა დსთ-ს ქვეყნების ძალისხმევას ნარკოტიკშიან, ნარკოტიკშიანთან, საერთაშორისო ნარკომაფიასთან ბრძოლაში. ამ წინადადების მხარდასაჭერად სხდომაზე გამოსულმა ტაჯიკეთის გენერალურმა პროკურორმა ს. შარაბოვამ საკოორდინაციო საბჭოს

მოუთხოვრო ავღანეთის საზღვარზე შექმნილი საგანგებო მდგომარეობის შესახებ, რომელსაც აკონტროლებს მოძრაობა „ტალიბანი“. აქ თავმოყრილია პერიონისა და სხვა ნარკოტიკების რამდენიმე ათეული საწყობი, საიდანაც ნარკოტიკული საშუალებების დიდი პარტიები არაღლეალურად იგზავნება წინასწარ დამუშავებული მყარი მარშრუტებით დსთ-ს ქვეყნებსა და ევროპაში.

დსთ-ს ქვეყნების გენერალური პროკურორების საკოორდინაციო საბჭომ მოიწონა შეთანხმების პროექტი დსთ-ს ქვეყნებს შორის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე ამ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის სახელმწიფოთაშორისო ცენტრის დებულება. სხდომის მონაწილეები - დსთ-ს ქვეყნების გენერალური პროკურორები მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა, პატივცემულმა ე. შევარდნაძემ, რომელმაც აგრეთვე მოიწონა ეს წინადადება და მხარდაჭერა აღუვითქვა.

ცენტრის შექმნის იდეის განხილვის პროცესში სოფიერთი დიპლომატი დაინტერესდა იმით, თუ როგორ გვესახება პრაქტიკულად მისი შექმნის გზები.

1. *გვეკითხება - საჭიროა თუ არა ცენტრის შექმნა, რადგან ამ პრობლემების მოგვარება შინაგან საქმეთა მინისტრთა საბჭოს და მის ორგანიზებული დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო ბიუროს ფუნქცია?*

მიმანია, რომ ნარკოავრესიის მოგერიების ყველა ამოცანის შესრულების შინაგან საქმეთა მინისტრთა საბჭოსა და მისი ბიუროსათვის დაკისრება სტრატეგიული შეჯდომა იქნება, რადგან ამ ურთულესი პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია არა მარტო შინაგან საქმეთა ორგანოების, არამედ მრავალი სხვა სამსახურების მობილიზაცია, როგორცაა დსთ-ს ყველა სამართალდამცავი ორგანო, პენიტენციური დაწესებულებები, საბაჟო, სასაზღვრო სამსახურები, სამედიცინო, აღმზრდელობითი, ბუნებადაცვითი, საფინანსო დაწესებულებები და ა.შ., აგრეთვე მეცნიერები და ექსპერტები. მოძრაობაშია მოსაყვანი სახელმწიფოთა მთელი ანალიტიკური და ინტელექტუალური პოტენციალი. საჭიროა დსთ-ს ქვეყნებისათვის ერთიანი საკანონმდებლო ბაზა ამ სფეროში. უნდა შეიქმნას ნარკოტიკთან

ბრძოლის ერთიანი პროგრამები და მეთოდები, ამ სფეროში ინფორმაციის შეგროვებისა და ურთიერთგაცვლის, საერთაშორისო თანამშრომლობის ერთიანი სისტემა და სხვა. ამ საქმეში აქტიურად უნდა გამოვიყენოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ჩატარდეს ანტინარკოტიკული პროპაგანდისა და ავიტაციის ერთობლივი ღონისძიებები. საბოლოო ანგარიშით, იმ უდიდესი საფრთხის გათვალისწინებით, რასაც ნარკოტიკში უქმნის დსთ-ს ყველა ქვეყანას, საჭიროა ამ პრობლემების გადაწყვეტა კვლავ უფრო დასაფრთხილებლად სახელმწიფოებრივ დონეზე. ნათელია, რომ ვერცერთი ცალკე აღებული ორგანო, მათ შორის შსმს, დსთ-ს ქვეყნების მთავრობებისა და სახელმწიფოთა მეთაურების ქმედითი დახმარების გარეშე ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს.

ვეტარები ჩემს მრავალწლიან გამოცდილებას ამ პრობლემების მეცნიერული ანალიზისა და პრაქტიკული მოგვარების სფეროში და მიხდა განსაკუთრებით გამოვეყო ნარკომაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში კოორდინაციის დიდი მნიშვნელობა. მიხდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ დღეს არც ერთ სახელმწიფოს არ ძალუძს გადაწყვიტოს ეს პრობლემა დამოუკიდებლად, სხვა სახელმწიფოთა დახმარებისა და მათთან სერიოზული თანამშრომლობის გარეშე. ეს პრაქტიკულად არარეალურია თუნდაც იმიტომ, რომ ნარკომაციის დარტყმები, პირველ რიგში, მიმართულია იმ რეგიონებზე, სადაც იგი ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის მხრივ სერიოზულ წინააღმდეგობებს არ აწყდება.

ნარკომაციის ძირითადი სტრატეგია იმაში მდგომარეობს, რომ საწყის სტადიაზე ამგვარ რეგიონს იგი იყენებს, როგორც ნარკოტიკების სატრანზიტო გზას, ამასთან ერთად, ამ რეგიონის ტერიტორიაზე სარეალიზაციოდ შეაქვს ნარკოტიკული საშუალებები, ხოლო მას შექმდე, რაც კარვად გაიდგამს ფესვებს, აქვე უკეთებს ორგანიზებას ნარკოტიკული საშუალებების წარმოებას. სწორედ ამგვარი საფრთხის წინაშე დღეს დსთ-ს ყველა ქვეყანა. შემთხვევითი არაა, რომ ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლაში ძალთა გაერთიანებას მოგვიწოდებს ამ სფეროში არსებული ყველა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, განსაკუთრებით კი გაეროს გენერ-



ალური ასამბლეის 1998 წლის 10 ივნისის სპეციალური სესიის პოლიტიკური დეკლარაცია.

ახლა მიმდინარეობს დსთ-ს რეფორმირების, მისი სტრუქტურული ორგანოების სრულყოფის პროცესი. თანამეგობრობა უნდა გახდეს უფრო ქმედითი, ფუნქციონირება, რომელსაც შეეძლება მასში შემავალი ყველა ქვეყნისათვის საერთო პრობლემების მოგვარება. რეფორმირების პროცესში ალბათ უნდა გაუქმდეს მისი ბევრი ორგანო, რომელმაც ვერ გაამართლა. მაგრამ ამასთან ერთად, უნდა შეიქმნას ახალი ორგანოები, თუ ამისი აუცილებლობა არსებობს. ასეთ ახალ ორგანოდ შეიძლება განვიხილოთ ნარკოტიკში-სა და ნარკომავთის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის სახელმწიფოთაშორისო სამსახური. თუ ჩვენ ამას დღეს არ გავაკეთებთ, ხვალ შეიძლება დაგვიანებული იყოს, რადგან საკმარისია ნარკომავთამ მტკიცედ მოიკიდოს ფეხი დსთ-ს სივრცეში, შემდეგ მტკიცე ძნელი იქნება მისი შეფერვა. რადგან საქმე ეხება სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესებს, ხალხების გენეტიკურ ჯანმრთელობას, მათ შეჩვეულნი ბედს, ჩვენ ინერტიულობის გამიწინის უფლება არა გვაქვს.

სწორედ დსთ-ს ისეთი სახელმწიფოთაშორისო სტრუქტურის შექმნა, რომელიც მოწოდებულია დღეიდან იკრიბებდეს ნარკოავრესიას, შეიძლება საერთო ინტერესების მსახურებისადმი ახლებური მიდგომის მაგალითად იქცეს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მე არაძვლადარაძვ არ ვაყენებ საკითხს რაიმე ისეთი სახელმწიფოთაშორისო ორგანოს შექმნის შესახებ, რომელსაც ექნება მბრძანებლობითი უფლებამოსილება. ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან ეწინააღმდეგება დსთ-ს წესდებს და მასში შემავალი სახელმწიფოების სუვერენიტეტს. მაგრამ ისეთი ცენტრის შექმნა, რომელიც გააერთიანებს საერთო ძალისხმევას და მას ახალ იმპულსს მისცემს, აუცილებელია, რადგან მოწოდებულია დაიკვას სწორედ ეს სუვერენიტეტი და სახელმწიფო უსაფრთხოება. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ახლავე არ მივიღებთ ურთიერთშეთანხმებულ ზომებს, მთავრადი თაობები არც თუ ისე შორეულ მომავალში, შესაძლოა, საერთაშორისო ნარკომავთაზე დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ;

2. იბადება მყარე კითხვა-რა უნდა აკეთოს ცენტრმა, ხომ არ გადაიქცევა მთრივ უსარგებლო

სიმპოზიუმების, სემინარების, კონფერენციების სერიად, ფუნქსიცივობისა და ქაღალდ-შემაქმედების ახალ წყაროდ, მათ უმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც თვით დსთ-ს მოქმედების მექანიზმი ვერ კიდევ ამკარად არადამაკ-მყოფალებლად ფუნქციონირებს?

მიმაჩნია, რომ ეს თვით თანამეგობრობაზე დადოკიდებული, იმაზე, თუ რა პრინციპებს დაუკვირდებარებს ცენტრის საქმიანობას, როგორ წარმოადგენდეს წარგზავნის მის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, როგორ მონაწილეობას მიიღებენ მის ფუნქციონირებაში თანამეგობრობის ქვეყნების მმართველი წრეები. მაგალითად, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში უკვე შეიქმნა და აქტიურად ფუნქციონირებს ნარკოტიკთთან ბრძოლის სამეცნიერო-ანალიტიკური ცენტრი, რომელშიც შევიდნენ სპეციალისტი-მკვლევარები, ნარკოლოგები, ცნობილი სასამართლო ექსპერტები, ჟურნალისტიები, ადამიანები, რომელთაც ნარკოტიკთთან ბრძოლის დიდი გამოცდილება გააჩნიათ. უდავოდ მისასაღმებელია, რომ ბარიკადების აქეთ იბრძოდეს ეს სამეცნიერო-ანალიტიკური ორგანიზაცია და მისი კოლეგისი, ამიტომ, ბუნებრივია, მას დახმარებას გაუწევო.

ჩემს მიერ შემოთავაზებული დსთ-ს ნარკო-ბიზნესთან ბრძოლის შტაბი გააერთიანებს თანამეგობრობის ქვეყნების სამართალდაცავი და სხვა სახელმწიფო ორგანოების ძალისხმევას ამ დიდი ბოროტების დაძლევის საქმეში. მასში გაერთიანდებიან დსთ-ს ქვეყნების წამყვანი მეცნიერ-ანალიტიკოსები, ჯანდაცვის, განათლების, პენიტენციალური დაწესებულებების მუშაკები და სხვა. მას შეიძლება დაეკისროს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის კონტროლის სისტემის ანალიზი, რეგიონალური ღონისძიებების გეგმების შემუშავება და მათი განხორციელებისათვის ხელშეწყობა, ამ დანამაულებრივი ბიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ინფორმაციულ-ანალიტიკური, საექსპერტო, სამართლებრივი მხარდაჭერა და ა.შ. ჩემი აზრით, ცენტრს უნდა ჰქონდეს გაეროს 1961, 1971 და 1988 წლების კონვენციების, გაეროს პოლიტიკური დეკლარაციის, სხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების მოთხოვნათა შესრულების კოორდინაციისა და კონტროლის ფუნქცია;

3. შესაძლებელია გვეკითხონ-ცენტრს შეექმნათ,

**მგრამ პრაქტიკულად რა როლი უნდა შეასრულოს მან ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში?**

ცენტრის პირველი რიგის ამოცანა იქნება:

- 1) საერთაშორისო ნარკობიზნესის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბანკის შექმნა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით სამართალდამცავი ორგანოების, საგადასახადო ინსპექციის, საბაჟო, სასაზღვრო სამსახურის და სხვათა შემადგენლობით მიზნობრივი ოპერატიული და საგამოძიებო ჯგუფების ჩამოყალიბება, რომელთა მიზანი იქნება სიტუაციის შევსება, მოავარი ტრანსნაციონალური ნარკოტიკული მარშრუტების განსაზღვრა და ამ მარშრუტებით ნარკოტიკების მსხვილი პარტიების გადაადგილებაზე კონტროლის დაწესება;
- 2) დსთ-ს ქვეყნებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის, უკანონო გზით მიპოვებული ფულადი სახსრების გათვორების წინააღმდეგ ბრძოლის მოდელური კანონმდებლობის შექმნა;
- 3) ქ. ბაქოში 1997წ. თებერვალში მიღებული გაეროს ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო პროგრამის ქვეკომისიის 32-ე სესიის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლის დაწესება. ვაგახსენებთ, რომ ამ სესიაზე ჩემი წინადადებით მიღებული იყო „ბაქოს შეთანხმება“, რომელიც რეკომენდაციას აძლევს მონაწილე ქვეყნებს შეამსუბუქონ იმ პირობა სხვა ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემის პროცედურა, რომლებიც იმხილებიან ნარკოტიკულ დანაშაულთა ჩადენაში, თავი შეიკაონ ასეთი პირებისათვის პოლიტიკური თავშესაფრის ან მოქალაქეობის მიცემისაგან და მათ მიმართ ფართოდ გამოიყენონ ქვეყნიდან განდევნის ინსტიტუტი. ამ შეთანხმებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ასეთ პირებს არ შეიძლება მიეცეს არა მარტო მოქალაქეობა და დროებითი ცხოვრების, არამედ მუშაობის, უძრავი ქონების შეძენის, კომერციული სტრუქტურების შექმნისა და ინვესტირების უფლება;

4) მსხვილი ნარკომაფიოზების მსოფლიოს ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილების მარშრუტების დადგენა და მათი დსთ-ს ტერიტორიაზე თავისუფალი მოძრაობის შეზღუდვა ან აკრძალვა. როგორც ცნობილია, ნარკომაფიის ლიდერების საჯარო ხერხია უსაფრთხო ქვეყანაში (ცხოვრება, სადაც ისინი მიუწვედნელი ხდებიან იმ სახელმწიფოთა სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რომელთა ტერიტორიაზეც მათ შექმნეს ნარკოტიკული საშუალებების წარმოებისა და რეალიზაციის დანაშაულებრივი ქსელი და ამ უსაფრთხო ზონიდან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ნარკოტიკული ბიზნესის ხელმძღვანელობა. მაგალითად, მიიღებს რა ვიზას შენგენის შეთანხმების რომელიმე ქვეყანაში, დამნაშავე ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე შეუფერხებელი გადაადგილების უფლებას მიაპოვებს. დსთ-ში ამის გაკეთება კიდევ უფრო ადვილია, თუ გავითვალისწინებთ უვიზო სასაზღვრო რეჟიმსა და საზღვრების გამჭვირვალობას. ამიტომ საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვან ფორმად უნდა იქცეს სახელმწიფოთა ურთიერთვადლებულება ამა თუ იმ ფორმით აღუკვეთონ ნარკობიზნესმენებს ქვეყანაში ყოფნისა და ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილების კანონიერი სტატუსი.

ამით, რასაკვირველია, არ ამოწურება აღნიშნული ცენტრის შესაძლებელი საქმიანობა. ვფიქრობ, რომ მისი შექმნის შემთხვევაში იგი მაღე მოუტანს დსთ-ს ქვეყნებსა და მიიღოს მსოფლიო თანამეგობრობას კონკრეტულ სარგებლობას საერთაშორისო ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქმის სწორად წარმართვის შემთხვევაში, დიდი იქნება ცენტრის როლი ისეთი სერიოზული სოციალური პრობლემების გადაჭრის საქმეში, როგორიცაა ნარკომაფია და ნარკოტიკი, რაც დღეს ძირს უთხრის დსთ-ს ქვეყნებისა და ცივილიზებული მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას.

ვლადარ ჰასანოვი,  
აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორი.

## ზურაბ დგებუაძე

### კორუფციის პრობლემები

საბჭოურ სივრცეში უკანასკნელი პერიოდის დროის უმცირეს მონაკვეთში განხორციელებულმა კარდინალური ხასიათის ცვლილებებმა უმძიმესი პრობლემების წინაშე დაგვყენა. შექმნილი სიტუაცია ლოგიკური შედეგი გახლავთ განვითარებულ მოვლენებამდე არსებული წინამძღვრებისა. არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად წარსული დროის იმ მონაკვეთის ანალიზი გვესახება, სადაც ტოტალიტარული სისტემის პირშომ – ჩვენი ცნობიერება ჩამოყალიბდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შესაბამისი იდეოლოგიური და სამართლებრივი სისტემის, ძძლავრი ადმინისტრაციულ-სადაამსჯელო წნეხის ღრმად გააზრება, რომელიც რეპრესიულ ბადეში გახვეულ პიროვნებებს უსახო მასად აქცევდა. ამ შემთხვევაში ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ზოგად საერთო-სახალხო ინტერესებთან იყო აღრეული. ეკონომიკის ქვაკუთხედი საერთო-სახალხო (სახელმწიფო) საკუთრება იყო. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში უდავოდ უნდა წარმოშობილიყო საწარმოო გიგანტები, რომელთა წარმოების მასშტაბები უზარმაზარ საბჭოურ სივრცეს მოიცავდა. ვინაიდან არსებულ სოციალისტურ სისტემაში მთელი სახელმწიფოებრივი ძალისხმევა მიმართული იყო საზოგადო (სახელმწიფო) საკუთრების ზრდისაკენ, სავსებით ლოგიკურად, ამ გარემოებამ გარკვეულ ეტაპზე (ზღვარზე) შეუძლებელი გახადა დამკვიდრებული კონტროლისა და მატერიული დოვლათის განაწილების მექანიზმის ქმედუნარიანობა, განაპირობა საბჭოური სისტემის პირშომს – „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ („შავი ბიზნესის“) წარმოშობა. უნდა აღინიშნოს, ერთი შეხედვით, პარადოქსული მოვლენის შესახებაც, რაც საბჭოური ეკონომიკის (წარმოების) განვითარების ტემპების დაცემისა და დეგრადაციის ფონზე მოქალაქეთა არაოფიციალური შემოსავ-

ლების მკვეთრად ზრდაში გამოვლინდა. ამ უკანასკნელთა მატერიული კეთილდღეობის ამაღლების უმთავრესი წყარო კი, სხვადასხვა კანონსწინააღმდეგო ქმედებებით სახელმწიფო ქონების (საერთო-სახალხო) დატაცება იყო. არსებული ხელისუფლება, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მეტად არასახარბიელო მდგომარეობისა, ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი იდეოლოგიური და სამართლებრივი (სადაამსჯელო) ღონისძიებათა მეშვეობით, გარკვეულწილად, მაინც ახერხებდა კანონსწინააღმდეგო ქმედებათა შეზღუდვას. მმართველი ძალისათვის ნათელი ხდებოდა, რომ სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრებისა და საწარმოთა მასშტაბების ზრდის ტემპი საშუალებას აღარ იძლეოდა ქვეყნის ეკონომიკა, ადმინისტრირების გზით, ცენტრალიზებულად ემართა. სწორედ ამ რეალობით იყო გამოწვეული ჯერ კიდევ 60-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოურ ეკონომიკაში სამეურნეო ანგარიშის ცნების შემოტანა. ბუნებრივია, ეს არასრულყოფილი სიახლე ვერ გადაჭრიდა არსებულ პრობლემებს, ამიტომაც 80-იან წლებში მწვავედ დადგა საკითხი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების შესახებ. საბჭოთა კავშირის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში უმაღლესმა ხელისუფლებამ პირველად დაიწყო საუბარი ერთობლიობაში კარდინალური ხასიათის ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების აუცილებლობის თაობაზე. უფრო მეტიც, ამ თვალსაზრისით, გარკვეული მიმართულებებით ქმედითი ნაბიჯებიც გადადგა. საჯაროობის დამკვიდრება, საარჩევნო სისტემის შეცვლა, არჩევითი სახელისუფლო ორგანოების როლის გაზრდა, კომუნისტური პარტიის ორგანოების გამიჯვნა ხელისუფლების ორგანოებისაგან, მრავალპარტიული სისტემის დაშვება და სხვა დემოკრატიულ ცვლილებებს თან სდევდა სერიო-

ზული სიახლენი ეკონომიკის სფეროშიც. ამ პერიოდში მიღებული ეკონომიკური ხასიათის კანონები – საკუთრების შესახებ, საწარმოთა შესახებ, კოოპერაციის შესახებ, იჯარის შესახებ და სხვა, გარკვეულწილად ხელს უწყობდა საერთო-სახალხო (სახელმწიფო) საკუთრებიდან კერძო საკუთრებაზე გადასვლას და ქვეყანაში გეგმიური ცენტრალიზებული ეკონომიკის ნაცვლად საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას.

აღნიშნული დემოკრატიული ხასიათის ცვლილებები, რომელიც საბჭოთა კავშირის ყველაზე მაღალი სახელისუფლებო ეშელონების ინიციატივით დაიწყო, გარდაქმნის სახელითაა ცნობილი. იგი, როგორც პოლიტიკური მოვლენა, არა მარტო გაუგებარი, არამედ მიუღებელიც იყო ცენტრალურ და ადგილობრივ სტრუქტურებში მოკალათებული პარტიული (კომუნისტ) ჩინოვნიკებისათვის. მას უნდობლობით შეხვდა ტოტალიტარიზმის მათრახს შეჩვეული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ამდენად, შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც საჯაროობით (დემოკრატიული პროცესებით) დამფრთხალმა კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა (ხელისუფლებამ) თავისი უმოქმედობითა და შემრიგებლური პოზიციით გასაქანი მისცეს დემოკრატიული პროცესების სტიქიურობას, პოლიტიკასა და ბიზნესში კრიმინალებისა და შემთხვევითი პიროვნებების ჩართვასა და აღზევებას. რაც შეეხება საქართველოში დემოკრატიული დათბობის შედეგად განვითარებულ თავისებურებას, იგი ეროვნული მოძრაობის ძლიერი ტალღის აზვირთებაში გამოვლინდა. აქ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლთა მხრიდან თანამდებობის პირთა კაბინეტების აჭედვა, მილიციის შენობების დარბევა და იარაღის გატაცება, ერთმანეთთან სისხლიანი ანგარიშსწორებები და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი. ეს უჩვეულო და საშიში ქმედებები თითქმის დაუსჯელი რჩებოდა, რაც, თავის მხრივ, ძირითადად, განპირობებული იყო თანამდებობის პირთა ძრწოლით, უშუალოდ საჯაროდ არ ყოფილიყვნენ მხილებულნი აქციის მონაწილეთა მიერ კორუფციასა და სხვა ქონებრივი ხასიათის დანაშაულში (სახელმწიფო ქონების დატაცებაში, მექრთამეობაში და ა.შ.). მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის კორუფცია, საქმოსნობა (ჩრდილოვანი ეკონომიკა) არა მარტო ფართოდ გავრცელებული და ცნობილი მოვ-

ლენა იყო ქვეყანაში, არამედ სატრაბახოც კი. ჯერ კიდევ მძლავრობდა შიში საბჭოური სისტემის რეპრესიული მანქანისა. ჩინოვნიკობა კვლავაც უფრთხოდა საჯაროდ ნიღბის ჩამოხსნასა და რეალური სახის წარმოჩენას. ასეთ სიტუაციაში დღითიდღე მძლავრობდა ეროვნული მოძრაობის ტალღა და ემოციებით დამუხტული მასის თვალში უკიდურესად რადიკალურად განწყობილი აქციის მომწყობთ უზომოდ უზრდიდა ავტორიტეტს. საბოლოო ჯამში, ორმა უკიდურესობამ, ერთი მხრივ, კორუმპირებულმა და რეაქციულმა ჩინოვნიკობამ, ხოლო მეორე მხრივ, პოლიტიკაში გაუცნობიერებელმა ეროვნული მოძრაობის მაქსიმალისტმა წარმომადგენლებმა (ამასთანავე, მასზე მიტმასნილმა კრიმინალებმა) წარმოშვა სამოქალაქო ომი და შემდგომ განვითარებული ცნობილი მოვლენები (ეს პროცესი, გარკვეულწილად, გარე ფაქტორებმაც განაპირობა).

აღნიშნულ სიტუაციას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დემოკრატიული გარდაქმნის ფონზე სამართლებრივი ლიბერალიზაციისა და სასჯელის ჰუმანიზაციისაკენ მიმართულმა გაუცნობიერებელმა და არათანმიმდევრულმა პოლიტიკამაც. ამ შემთხვევაში არსებითი ხასიათის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ცვლილებები სახელმწიფო საკუთრების (რომელიც, ფაქტობრივად, ქვეყანაში არსებული საკუთრების 80-85%-ს შეადგენდა) და სასჯელის როგორც (დანაშაულის ჩადენისაგან) შემაკავებელი ფაქტორის იგნორირებაში გამოიხატა. მოცემული საშიშროების შესახებ ჯერ კიდევ 1993 წლის 6 ნოემბერს გახეთ „კრიმინალურ ქრონიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში – „ვიდრე მაფია მომძლავრდება“ – ვწერდი (ვფიქრობ აქ დასმული საკითხები კვლავაც აქტუალურია, ამიტომაც მიზანშეწონილად მიმაჩნია სტატიის ვრცელი მონაკვეთი უცვლელად მოგაწოდოთ): „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, საქართველოში მოვლენები განსაკუთრებით მტკივნეულად წარიმართა. დღეს არსებული სურათი კი, ქვეყანაში ასეთია: უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური კრიზისი, კრიმინოგენური ბუმი.

მიგვაჩნია, რომ შექმნილი მდგომარეობა ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადასვლითაა განპირობებული. თუ ტოტალიტარული ტიპის საბჭოური სახელმწიფო საყოველთაოდ აცხადებდა სახელმწიფო საკუთრების პრიორიტეტს



და უმკაცრეს ცენტრალიზაციას ეყრდნობოდა, დემოკრატიული პროცესების განვითარების შემდეგ, მისი არსის გაუცნობიერებლობის გამო, სიტუაცია საპირისპიროდ, კარდინალურად შეიცვალა. რაც თუნდაც იმაში გამოვლინდა, რომ უგულვებელყოფილია თანამდებობრივი დანაშაულისა და სახელმწიფო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით კანონმდებლობა მკვეთრად ლოიალური გახდა, ხოლო საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა შემეუბნელებური (უმოქმედო).

კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ვერ გააცნობიერეს მძიმე მდგომარეობის მიზეზი, ყურადღება ზედაპირზე მყოფ მოვლენებზე გადაიტანეს. ამას, თავის მხრივ, პოპულიზმის ელფერიც დაჰკრავდა. თუ თვალს გადავაკვლებთ ამ პერიოდის ნორმაშემოქმედებით საქმიანობას, დავინახავთ: — პრობლემათა დაძლევის მიზნით სასჯელი გამკაცრდა ისეთი კატეგორიის დანაშაულზე, რომელიც მიმართული იყო პიროვნებისა და მისი საკუთრების უფლების წინააღმდეგ. ისეთი დანაშაული კი, რომელიც განსაკუთრებულ დარტყმას აყენებდა სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს, იგნორირებულ იქნა. კანონმა სასჯელის სახით დაკარგა თავისი პრევენციული (გამაფრთხილებელი) ხასიათი. კანონის მოთხოვნის დაცვის შემაკავებელი ფაქტორის მოხსნამ, მართლსაწინააღმდეგო გზით კოლოსალური სიმდიდრის ცალკეულ პირთა ხელში თავმოყრამ, მრავალრიცხოვანი მასის გაღატაკებამ, სახელმწიფო აპარატის უმოქმედობამ წარმოშვა მაფიოზური სტრუქტურები, სული შთაბერა ორგანიზებულ დანაშაულს, კორუფცია მეტასტაზისავით მოედო სახელმწიფოსა და საზოგადოებას.

ჩვენი მოსაზრების მართებულობის დასადასტურებლად უკანასკნელ პერიოდში ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის წარმოჩენაც იკმარება:

1. 1990 წლის 22 ნოემბრის ამნისტიის შესახებ კანონში პირველად აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია სახელმწიფო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და თანამდებობრივი დანაშაულისადმი ლოიალური დამოკიდებულებისა. ეს ფაქტი განსაკუთრებით ჩანს ამავე ამნისტიის დამატებაში, სადაც <sup>71</sup> მუხლი ასეთი სახით ჩამოყალიბდა: „კანთავისუფლდნენ სასჯელისაგან, დანიშნული ვადის მიუხედავად, მსჯავრდებულნი, რომ-

ლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფისათვის საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 93-ე, 94-ე და 96<sup>1</sup> მუხლების საფუძველზე, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც ასეთი ქმედება ჩაიდინეს ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის გზით.

შეწყდეს ზემოაღნიშნულ დანაშაულთა გამო აღძრული ყველა საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმის წარმოება“.

როგორც ვხედავთ, ეს ნორმა ლოიალურია იმ დამნაშავე თანამდებობის პირის მიმართ, რომელმაც უზარმაზარი ზარალი მიაყენა სახელმწიფოს, საბოლოო ჯამში კი — ხალხს, ხოლო იმ უბრალო მუშაკის მიმართ, ვინც ხელყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონება ქურდობით ან სხვა ფორმით, კანონმდებელი შეღავათს არ უვრცელებს;

2. 1991 წლის 20 მარტის კანონში ზოგიერთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების — სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ I პუნქტი ასე ჩამოყალიბდა: „გაუქმდეს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლით (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება), 89-ე მუხლით (სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა), 96<sup>1</sup> მუხლით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება) და 189-ე მუხლით (ქრთამის აღება), (საერთოდ, სავსებით ვიზიარებთ სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეთა ყველა არგუმენტს და მიგვაჩნია, რომ სასჯელის ეს ზომა უმჯობესია შეიცვალოს სამუდამო პატიმრობით);

3. 1991 წლის 30 იანვრის კანონით საგრძნობლად გამკაცრდა სსკ 243-ე მუხლით (სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება) გათვალისწინებული დანაშაულის სანქციები;

4. 1991 წლის 28 ივნისის კანონით გაძლიერდა პასუხისმგებლობა სსკ 133-ე მუხლზე (ადამიანის მოტაცება ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონოდ აღკვეთა);

5. უკანასკნელ წლებში სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულია შემდეგი მუხლები:

95-ე (სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცება); 98-ე (ქონებრივი სარგებლობის მიღება მუცყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით); 98<sup>1</sup> (სატრასპორტო საშუალებების, მანქანების ან მექანიზმების თვითნებური გამოყენება, კანონმდებელს მხედველობაში ჰქონდა საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები); 99-ე (ნაპოვნი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისება); 102-ე (დანაშაულებრივი-დაუდევარი დამოკიდებულება სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაცვისადმი); 102<sup>1</sup> (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივი-დაუდევარი გამოყენება ან შენახვა); 160-ე (უსახსრო, უსტანდარტო ან უკომპლექტო პროდუქციის გამოშვება); 165-ე (სპეკულაცია); 169<sup>4</sup>-ე (ბენზინის ან სხვა საწვავ-საცხები მასალების უკანონო გაცემა); 169<sup>5</sup>-ე (ინერტული მასალების მოპოვების მომწვესრიგებელი დადგენილებების დარღვევა); 172-ე (აკრძალული რეწვა); 172<sup>1</sup>-ე (შემოსავლების შესახებ დეკლარაციის შეტანისაგან თავის არიდება) და სხვა.

ამავე პერიოდში საგრძნობლად შემცირდა სისხლის სამართლის საქმეების სასამართლოში განხილვის ოდენობა. ჩვენი ღრმა რწმენით, უდიდესი შეცდომა დაუშვეს, როდესაც ნიადაგის მომზადების გარეშე დაიწყეს ტოტალიტალური ტიპის სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლის დაუყოვნებელი ნგრევა. ფაქტობრივად, არ განხორციელებულა სახელმწიფო საკუთრების კანონიერი გზით მოქალაქეთა ხელში გადასვლა, შესაბამისად, არ ჩამოყალიბებულა ახალი ეკონომიკური (საბაზრო) ურთიერთობები.

უფრო მეტიც, დაუყოვნებლივ ლეგალიზებულ იქნა დანაშაულებრივი, იატაკქვეშა ეკონომიკა, გაიგივდა ბიზნესისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის ცნებები. მაფიოზური სტრუქტურების სწრაფი ტემპით აღმოცენებას, უდიდესი სიმდიდრის ცალკეულ პირთა ხელში თავმოყრასა და მასობრივ სილატაკეს თან მოჰყვა ძალადობრივი დანაშაულის კატასტროფულად ზრდა. სამწუხარო და საგანგაშო ფაქტია ისიც, რომ არსებობისათვის ბრძოლის მოტივით დამნაშავეთა სამყარო შეავსო გამეფებულ უსამართლობაზე შინაგანი პროტესტით დამუხტულმა, წარსულში პატიოსნად და მშვიდად მცხოვრებმა ადამიანებმა. განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო

სახელმწიფო აპარატის ავტორიტეტის მკვეთრად დაცემა, ელემენტარული კანონის ნორმის მოთხოვნის უგულვებელყოფამ.

ამა წლის 23-24 სექტემბერს ქ. ვოლგოგრადში ჩატარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრების თათბირი, სადაც მეტად საყურადღებო მოხსენება გააკეთა ავსტრიის იუსტიციის მინისტრმა. შეეხო რა იგი დანაშაულის პრობლემებს, აღნიშნა: „ბოლო წლებში შეიმჩნევა სახიფათო ტენდენცია, ორგანიზებულმა მაფიამ დაიწყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფინანსური საშუალებების ეკონომიკის სფეროში დაბანდება. იქმნება საშიშროება, რომ იგი ზემოქმედებას მოახდენს საზოგადოებრივი სისტემის საფუძველზე.


ეკონომიკის სფეროში ორგანიზებული დანაშაულის მომძლავრება ჩვენგან მომეტებულ საზრუნავს მოითხოვს. აუცილებელია აქეთკენ მივმართოთ ბრძოლისათვის უმთავრესი ძალები.

ჩვენ რუსეთის გენერალურ პროკურორს ხმამაღლა ვუთხარით საყვედური იმის შესახებ, რომ საბანკო სისტემა განიცდის კორუფციას, ადგილი აქვს გაფლანგვისა და ქურდობის ფაქტებს. 160 ბანკი და საწარმო კომპრომეტირებულია იმით, რომ იქ საქმიანობენ კრიმინალური დაჯგუფებები.

დიდად პატივცემულო შინაგან საქმეთა მინისტრებო, ჩვენ გაგვაჩნია კონკრეტული სამხილი. მაფია ცდილობს სახელმწიფოში გაძლიერებას, რათა მიაღწიოს საბანკო სისტემებზე ზეგავლენას, ყველა მაჩვენებელი იმაზე მეტყველებს, რომ საუკუნის ბოლოსათვის მაფია საგრძნობლად გაიზრდება. ავსტრიაში, ისევე როგორც ევროპის ქვეყნებში, სადაც გაიხსნა შეზღუდული პასუხისმგებლობის ფირმები, მათი ინსპირატორები „სნგ“-ს ქვეყნებიდან არიან. უფრო კარგად თუ შეისწავლით მათ საქმიანობას, აღმოჩნდება, რომ ესენი მოჩვენებითი ფირმები არიან, რომელთა სავაჭრო საქმიანობის შედეგები არ ჩანს, მიუხედავად ამისა, ამ ფირმებს დიდძალი კაპიტალი აქვთ, რომლის წყაროს დადგენა არ ხერხდება. ამ ფირმების კომპანიონები და ხელმძღვანელები „სნგ“-ს ქვეყნებში ან დამნაშავედ არიან რეგისტრირებული ან არც თუ დიდი ხნის წინათ მიღებული აქვთ სოციალური დახმარების მიმღები პირის სტატუსი.

როგორც ვხედავთ, ცოკილიზებული ავსტრია შემოფოთებულია „სნგ“-ს ქვეყნებში მიმდინარე

24386



პროცესებით, კერძოდ, ეკონომიკის სფეროში მაფიოზური დაჯგუფების მომძლავრებით.

ამ მხრივ განსაკუთრებით სწორედ ჩვენ არ უნდა ვიყოთ გულდამწვდებულნი. ძნელია უკიდურესად მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევა. ამ თვალსაზრისით ნაკვირვებია, მაგრამ გადაუდებელ ღონისძიებად გვესახება კორუფციისა და მაფიის წინააღმდეგ არა მარტო სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნა, არამედ დაუყოვნებლივ ქმედითი ღონისძიებების განხორციელება“.

აღნიშნული სტატია სამოქალაქო ომის შემდეგაა გამოქვეყნებული. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია კრიმინალების დაუფარავი თარეში. თუ წარსულში კორუფცია, როგორც ფარული დანაშაული უმთავრესი სახელმწიფოებრივი საფრთხე იყო, ამჯერად თითქმის ყველა სახის დანაშაული ცხადად ხდებოდა. განსაკუთრებით იმრავლა ანგარების მოტივით ჩადენილმა ძალადობრივმა დანაშაულმა. რაც შეეხება კორუფციას, მასში მრავლად ჩაება მაღალი თანამდებობის პირები. საბანკო მაქინაციებმა და სხვა სახის ეკონომიკურმა და თანამდებობრივმა დანაშაულმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია, რაც ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი გახდა კუპონის ჰიპერინფლაციისა (ამ ფაქტებზე მოგვიანებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო თითქმის არც ერთი საქმე ვინმეს დასჯით არ დასრულებულა). ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებიც „თვალს ხუჭავდნენ“ შექმნილ მდგომარეობაზე, თავიანთ დროს ელოდებოდნენ. ამჯერად მათი უმთავრესი მოწინააღმდეგე კრიმინალებით სავსე შეიარაღებული ფორმირებები იყვნენ. დროებით შევიწროებული სამართალდამცავებიც მშვიდად აგროვებდნენ საჭირო ინფორმაციებს, რაც თავგასულ დამნაშავეთა სიბრიყვის გამო, არავითარ რთულ და სარისკო ოპერატიულ მუშაობას არ საჭიროებდა. შესაფერისი დროც 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის შემდგომ დადგა (აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა პრეზიდენტის პოლიტიკურმა ნებამ), როდესაც ამავე ძალისმიერ უწყებებში მოკალათებულ ტერაქტის განმხორციელებელ თანამდებობის პირებსა და შეიარაღებულ ფორმირებებში მრავლად გაბნეულ კრიმინალებს, ჩრდილში მყოფ სამართალდამცავთა ძველი და გამოცდილი „არმია“ დაუპირისპირდა. სავსებით კანონზომიერად ეს ბრძოლა უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრ-

და, ვინაიდან ქვეშეცნეულად მფრთხალ და ქაოსურად მოქმედ კრიმინალებს სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ შესწევდა. წონასწორობა კვლავ სამართალდამცავთა სასარგებლოდ აღდგა. გარკვეული დროის განმავლობაში პოზიციადაკარგულმა სამართალდამცავებმა, რომელთა წისქვილზე შექმნილი პოლიტიკური სიტუაციაც წყალს ასხამდა, მთელი ძალით დაიწყეს დაკარგული წილების დაბრუნება (ანაზღაურება). ამ გარემოებამ განსაკუთრებით გააძლიერა კორუფციული სიტუაცია.

დღეისათვის ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური და კრიმინალური პრობლემის აღმოფხვრის თვალსაზრისით, რამდენიმე მიდგომა არსებობს, რომელიც კვერცხისა და ქათმის უპირველესად წარმოშობის ცნობილ დავას ემსგავსება. ერთს მიაჩნია, რომ პრობლემა შეიძლება აღმოფხვრას კორუფციის მოსპობით, ვინაიდან კორუფცია განაპირობებს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემას. მეორენი კი ასაბუთებენ, რომ კორუფცია გამომდინარეობს არასწორი ეკონომიკური პოლიტიკიდან და შესაბამისად, მისი დამარცხება შეიძლება ლიბერალური საგადასახადო სისტემის დამკვიდრებისა და სხვა ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებათა გატარებით. ჩვენი აზრით, პრობლემა მხოლოდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ჭრილში ყოველმხრივი და ერთობლივ ღონისძიებათა გატარების შედეგად დაიძლევა. ამასთანავე, დაცული უნდა იყოს აძოცანათა გადაწყვეტის მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობა. საკითხისადმი ამგვარად მიდგომის არარსებობა კვლავ დამახასიათებელია ამჟამინდელი სიტუაციისათვის, რომლის თვალსაჩინო მაგალითიც მიმდინარე სასამართლო რეფორმა გახლავთ. ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ სასამართლო რეფორმის დაწყებამდე გამოვთქვამდი მკვეთრად საწინააღმდეგო მოსაზრებებს, კერძოდ, მიუღებლად მიმაჩნდა სასამართლო რეფორმის არა მარტო სასამართლო სისტემიდან, არამედ მოსამართლეთა კორპუსიდან დაწყების ტაქტიკა, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა კორუფციულ სიტუაციას და გარკვეულ დისბალანსს შეიტანდა სამართალწარმოების პროცესში. ამ მოსაზრებას შემდეგი არგუმენტებით ვასაბუთებდი:

ა) მოსამართლეთა გამოცდები და ახლად დანიშნულ მოსამართლეებზე მაღალი ანაზღაურების დაპირება, ძირითადად, პოპულისტური და მც-

დარი პოლიტიკაა. იგი ვერ უზრუნველყოფს პატიოსანი და კვალიფიციური კადრების შერჩევას. პიროვნება შესაძლებელია იყოს კვალიფიციური, მაგრამ ამასთანავე უპატიოსნო. საგამოცდო დონეზე ამის დადგენის მექანიზმი არ არსებობს. გამოცდები გარკვეული მომზადების შედეგად შესაძლებელია ჩააბაროს ისეთმა პიროვნებამაც, რომელსაც ნაკლები პატიოსნება, კვალიფიკაცია და მოსამართლისათვის აუცილებელი პროფესიული ჩვევები გააჩნია;

ბ) გაუმართლებელია გამოცდების ჩატარება ისეთ ქვეყანაში, რომელშიც არ დასრულებულა ძირეული სამართლებრივი რეფორმები და დღენიადაგ მიმდინარეობს სულ ახლახან მიღებული სამართლებრივი აქტების ცვლილებები. არ არსებობს დახვეწილი და მწყობრი სასამართლო და საკანონმდებლო სისტემა;

გ) გამოცდები დაკავშირებულია სერიოზულ ხარჯებთან (ისე, როგორც მთელი სასამართლო სისტემა) და სხვა პრობლემებთან, მათ შორის კანონთან მიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც (მოსამართლეთა დათხოვნის საკითხი);

დ) იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაუშვებთ, რომ აღნიშნული გამოცდებით მივაღწევთ სასამართლოების კვალიფიციური და ობიექტური კადრებით დაკომპლექტებას, მაინც სავალალო შედეგს მივიღებთ, ვინაიდან მართლმსაჯულება გახლავთ სამართალწარმოების დამოუკიდებელი, მაგრამ საბოლოო ეტაპი. თავის მხრივ, სასამართლო ემყარება მოკვლევას, წინასწარი გამოძიებისა და ბრალდების ორგანოებს (შს სამინისტროს, უშიშროების სამინისტროს, საგადასახადო ინსპექციას, საბაჟოს, პროკურატურას და ა.შ.). კორუფციით ხავსმოდებულ უწყებებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების სასახლე თავის „განძით“ (მაღალკვალიფიციური და პატიოსანი კადრებით) უცილობლად განუკითხაობისა და უძრაობის ჭაობში ჩაეფლობა. აბსურდულია 100-ლარიანმა კორუმპირებულმა სამართალდამცავმა (მომკვლევმა, გამომძიებელმა, პროკურორმა) რაიმე ღირებული მასალა მიაწოდოს 500-1000 ლარიან მოსამართლეს და ამ უკანასკნელმა კი იქიდან ჭეშმარიტება გამოაღწიოს. მით უმეტეს, სასამართლოებს აღნიშნულ უწყებებზე ზემოქმედების ძალზედ სუსტი (არაოპერატიული, არაქმედითი) მექანიზმი გააჩნია. ასეთ შემთხვევაში გაცილებით ეფექტიანია კარდინალური ხასიათის რეფორმები ძირიდან დავი-

წყით, კერძოდ გვბ-ის მაგვარი ძლიერი საგამოძიებო ორგანოს შექმნით – მოკვლევას, გამოძიების, ბრალდების ორგანოთა კონცენტრაციითა და შერწყმით (აუცილებლად ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციით).

აღნიშნული ღონისძიება საშუალებას მოგვცემს საბჭოურის ნაცვლად, ბოლოს და ბოლოს, დავამკვიდროთ გამოძიების დასავლური გაგება. აღნიშნული მძლავრი ორგანოს კომპეტენცია იქნება ქვეყნის მასშტაბით კორუფციულ და ორგანიზებულ დანაშაულთა გამოძიება. ბუნებრივია, ანალოგიური სამსახურები გაუქმდება ყველა სხვა უწყებაში. თავის მხრივ, ეს გარემოება გამოიწვევს სამართალდამცავ ორგანოთა სტრუქტურულ და რიცხობრივ შემცირებას, რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო სამსახურების შერწყმა მკვეთრად გამოიჯნავს და ამოქმედებს პასუხისმგებლობის პრინციპს, ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების დაცვას.

ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების, აგრეთვე გამონთავისუფლებული პროფესიული კადრების დასაქმებისა და სათანადო კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების აღზრდის მიზნით, მივიღოთ კანონები ადვოკატურისა და დეტექტიური სამსახურის საქმიანობის შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გაფართოვდეს მტკიცებულებათა წრე, მათ შორის კერძო პირის მოპოვებულ მტკიცებულებათა დამაგრების, გამოკვლევას, მტკიცებულებათა დასაშვებითობის გაფართოების თვალსაზრისით (ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა). ანალოგიურად არის გადაწყვეტილი საკითხი მაღალი დონის დემოკრატიულ ქვეყნებში (მათ შორის აშშ-ში).

ვფიქრობ, სავსებით გამართლდა ზემოთ აღნიშნული არგუმენტები. მიზერული და გაუცემელი ხელფასები (მათ შორის მოსამართლეთა კორპუსისათვის), ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყანაში დღეისათვის სულ უფრო და უფრო მზარდი კორუფციული სიტუაციისა, თითქმის წაშლილია ზღვარი დამნაშავესა და სამართალდამცავს, კანონსა და უკანონობას შორის. აღარაფერს ვამბობთ პენსიონერთა, ინვალიდთა და მასიურად დაუსაქმებელი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. დასაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, არ

არსებობს წარმოება. სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა მკვეთრად მონოპოლისტური ვაჭრობის სფერო, რომელიც უმთავრესად კონტრაბანდული საქონლით საზრდოობს. არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, შენატანები სახელმწიფო ბიუჯეტში უმნიშვნელოა, რაც, თავის მხრივ, კორუფციული სიტუაციის მნიშვნელოვანი საფუძველიც გახლავთ. იქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც მეწარმე (გადამხდელი), შემოსავლების მაღალი განაკვეთით დაბეგერის გამო, იძულებულია შემოსავლების დამალვის გზით თავი აარიდოს გადასახადების გადახდას, ამ თვალსაზრისით მისთვის უპრიანია დამალული გადასახადის ნაწილი ქრთამის სახით გადასახადის ამკრეფს მისცეს. თავის მხრივ, ბიუჯეტში გადასახადების შეუტანლობა სახელმწიფოს საშუალებას არ აძლევს მაკონტროლებელი ორგანოების თანამშრომლები სათანადო ხელფასებით უზრუნველყოს, რაც, გარკვეულწილად, ამ უკანასკნელთა მიერ ქრთამის აღების გამართლების საფუძველიანი არგუმენტია. საბოლოო ჯამში, ნოყფერი ნიადაგი იქმნება ქვეყანაში კორუფციის მაღალი დონისა და პრობლემათა დაუძლეველი ჯაჭვის არსებობისათვის.

აღნიშნულიდან შესაძლებელია შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ:

საბჭოური სისტემის, როგორც სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების უმთავრესი ბერკეტი იყო მმართველობის მკაცრად ცენტრალიზებული ადმინისტრირების მეთოდი. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის უკანასკნელი პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო სადამსჯელო-რეპრესიულ ღონისძიებათა ერთგვარი შერბილება, რასაც თან ახლდა კორუფციისა და სახელმწიფო ქონების დატაცების მასშტაბების მკვეთრი ზრდა. ამ პერიოდისათვის ნიშანდობლივია ადამიანთა ცნობიერებაში (ფსიქიკაში) გარკვეული რწმენის დამკვიდრება იმის შესახებ, რომ სიმდიდრის დაუფლების ერთადერთი გზა არის კანონის დარღვევა (დანაშაულებრივი გზით გამდიდრება). ბუნებრივია, ამ რწმენის მიზეზი ჩადებული იყო არსებულ ეკონომიკურ პოლიტიკაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ჩვენს ქვეყანაში (არა მარტო ჩვენს ქვეყანაში) განვითარებულმა პროცესებმა — ძველი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ნგრევამ და შესაბამისად ახლის არსებობამ, საქართველოში კორუფციის

განვითარების არნახული პირობები შექმნა. ამჯერად განვითარდა მეტად საშიში ტენდენცია, კერძოდ, არა თუ გამდიდრება, არამედ ფიზიკური არსებობაც კი შეუძლებელი გახდა კანონის დარღვევის გარეშე. არსებულ მდგომარეობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ვითომდა დემოკრატიის ნიშნით საკანონმდებლო სიახლეთა გაუაზრებელმა დანერგვამ. კერძოდ, 90-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო სახელმწიფო ქონების დაცვის მექანიზმის დანაშაულებრივი და დაუსაბუთებელი იგნორირება. ამ თვალსაზრისით საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკა მკვეთრად უმოქმედო და ლოიალური გახდა. აღნიშნულის გამო საქართველოში მყარად დამკვიდრდა სამართლებრივი ნიჰილიზმი და დაუსჯელობის სინდრომი, ფაქტობრივად, სახელმწიფო ქონების უდიდესი ნაწილი განადგურდა, რომელიც ეროვნული სიმდიდრის უდიდეს ნაწილს შეადგენდა.

დღემდე არსებულმა ვერც ერთმა ხელისუფლებამ თავი ვერ დააღწია საკანონმდებლო და სახელისუფლებო მართვის დილეტანტიზმს, იგი კვლავ ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადასვლის მცდარ პოლიტიკას ახორციელებს. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფო საკუთრების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მკვეთრად გაამკაცრეს სადამსჯელო ღონისძიებები — სანქციები. ბუნებრივია, ასეთი ღონისძიებები წინასწარი მარცხისთვისაა განწირული, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით ნებისმიერ მოქალაქეს თუ მეწარმეს ფიზიკური გადარჩენისათვის, მხოლოდ ერთი გზა აქვს — დაარღვიოს მოქმედი კანონი. ასეთ შემთხვევაში სასჯელი, როგორც შემაკავებელი ფაქტორი, ადამიანის ფსიქიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, კარგავს თავის დანიშნულებას. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში სადამსჯელო ღონისძიების — სანქციის გამკაცრება, კიდევ უფრო უწყობს ხელს კორუფციის გაძლიერებას, „სტაკების“ გადიდების გზით წელში ტეხს მეწარმესა თუ ნებისმიერ მოქალაქეს. შექმნილი ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობა ხელს უწყობს მეწარმეთა დავალიანების კოლოსალურად ზრდას სახელმწიფოსთან მიმართებაში. აღნიშნული დავალიანება იმდენად დიდია, რომ მისი გადახდის შემთხვევაში, შეუძლებელია დებიტორმა საწარმო

შემდგომში შეძლოს ფუნქციონირება. არც თუ დიდი ხნის წინ, გარკვეულ მომენტში, ხელისუფლების წარმომადგენლები (ყოფილი ფინანსთა მინისტრის მ. ჭკუასელის პოზიცია) შეეცადნენ მოცემული პრობლემის გადაჭრას საყოველთაო ამნისტიის გამოცხადების გზით, რაც არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური კლიმატის პირობებში, უადრესად მცდარი გადაწყვეტილება იყო. ბუნებრივია, მათ ამ განცხადებას დაუყოვნებლივ მოჰყვა სავალალო შედეგები, რაც სუსტი, მაგრამ მაინც არსებული სადამსჯელო მექანიზმის წყალობით, ბიუჯეტში შემავალ შენატანთა მკვეთრ შემცირებაში გამოიხატა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ვალებისაგან განთავისუფლებისა და საყოველთაო ამნისტიის გამოცხადების იდეაში დევს ჭეშმარიტების მარცვალი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მკვეთრად ცვალებადი და კანონსაწინააღმდეგო კაპიტალის გადანაწილება და დაგროვება, ზემოთ მითითებულ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო, დროის უმცირეს მონაკვეთში მოხდა. ასეთ შემთხვევაში დამნაშავეთა ძებნა და დასჯა ურთულესია. არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ გაუმართლებელიცაა, თუნდაც იმ პრინციპით, რომ იქ, სადაც ყველა დამნაშავეა, დამნაშავე არავინაა.

სახელმწიფო ვალებისაგან განთავისუფლება და საყოველთაო ამნისტიის გამოცხადება მიზანშეწონილია მხოლოდ მძლავრი საკონტროლო და საკანონმდებლო სისტემის ქმედუნარიანობის შემთხვევაში, რაც მიღწევადია მკაცრად განსაზღვრული სიზუსტითა და თანმიმდევრობით, უკვე არსებული უმნიშვნელოვანესი წინაპირობების არსებობის შემდეგ:

1. საგადასახადო ლიბერალიზაციის, სათანადო ეკონომიკური და სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე მეწარმისათვის (ბიზნესმენისათვის) წარმოების წამოწყებისა და განვითარებისათვის მაქსიმალურად სასურველი პირობების შექმნა. ამასთანავე, ქვეყანაში საშუა-

ლო ფენის უსწრაფესად ჩამოყალიბებისა და გარკვეული სამართლიანობის აღდგენის მიზნით, აუცილებელია ამ საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომა, კერძოდ, საშუალო და მცირე ბიზნესისათვის მაქსიმალურად დაბალი გადასახადების დაწესება, შეღავათიანი კრედიტებისა და სხვა ღონისძიებათა გატარება. მეორე მხრივ, მსხვილი ბიზნესისათვის მაღალი საგადასახადო განაკვეთების შემოღება (თუნდაც იმ მოტივით, რომ დიდძალი კაპიტალი თავმოყრილია უკანონო და დანაშაულებრივი გზით გამდიდრებულ მცირე ჯგუფს შორის);

2. ქმედითი საკონტროლო მექანიზმის – მძლავრი საგადასახადო, საბაჟო, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების შექმნა და სათანადო ტექნიკით აღჭურვა, მათი დაკომპლექტება მაღალ ანაზღაურებადი პატიოსანი და კვალიფიციური კადრებით (პროფესიონალებით);

3. ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის მეწარმეთათვის (ბიზნესმენთათვის) სასურველი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს საპირწონე, სადამსჯელო ღონისძიებათა გატარება უმკაცრესი სანქციების დაწესებისა და მოქნილი სასამართლო სისტემის მეშვეობით;

4. და ბოლოს, სახელმწიფო ვალებისა და საყოველთაო ამნისტიის გამოცხადება, როგორც პატიებისა (შენდობისა) და მომავალში კანონის უმკაცრესად დაცვის პირობა, ერთგვარი ხელშეკრულება, დადებული სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის, პირველი ნაბიჯია მხარეთა ურთიერთშერიგებისა და თანხმობისა. მხოლოდ ასეთი აქტის გამოცხადების შემდგომ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო და დანაშაულებრივ ქმედებათა მიმართ ამოქმედდება ამ დროისათვის უკვე გამართული საკონტროლო და სადამსჯელო სისტემა. მოცემულ შემთხვევაში არსებული სათანადო ეკონომიკური საფუძვლების ფონზე, სასჯელი არა მარტო ქმედითი, არამედ მორალურადაც გამართლებული იქნება.

გურაბ ლგუაშაძე,  
დემოკრატიკური სისტოთა კავშირის თავმჯდომარე.

# საკონსტიტუციო სამართალი

## ქართლოს ფრიდონაშვილი

### ომბუდსმენის როლი და მნიშვნელობა სამართლის კოლიტიკურ რეჟიმში

დღესდღეობით საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესი ამკვიდრებს ახალ ღირებულებებს, რომლებსაც სერიოზული კორექტივები შეაქვთ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, საფუძველს უყრიან ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, დიდ გავლენას ახდენენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და წყობილების ფორმირებაში. საერთო ჯამში კი, საქართველოში იქმნება ახალი პოლიტიკური რეჟიმი, სადაც ომბუდსმენის ინსტიტუტი თავისი იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, საკუთარ როლსა და მნიშვნელობას იძენს.

პოლიტიკური რეჟიმის დეფინიცია მკაფიოდ არის მოცემული პროფ. გ. ინწკირველის „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის“ სახელმძღვანელოში: „პოლიტიკურ რეჟიმს განსაზღვრავენ, როგორც მმართველი ფენის მიერ გამოყენებულ მეთოდებს, ხერხებსა და საშუალებებს თავისი ბატონობის უზრუნველსაყოფად და განსახორციელებლად, ან კიდევ, როგორც ამ მეთოდებისა და ხერხების გამოყენების შედეგად სახელმწიფოში დამყარებულ წესრიგს.“

დემოკრატიული თეორიის თანახმად, დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების შექმნის წყაროა ხალხი. წარმომადგენლობითი ორგანოები და თანამდებობის პირები აირჩევიან, მმართველობითი სისტემა კი დეცენტრალიზებულია.

საქართველოში პოლიტიკური რეჟიმის ფორმირების დამახასიათებელ დინამიკურ პროცესში ომბუდსმენის ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი როლი შეიძინა. პოლიტიკურ რეჟიმში სახალხო დამცველის როლის განსაზღვრისათვის აუცილებელ პირობად მიმაჩნია დავადგინოთ არსებული ის პოლიტიკური იდეოლოგია, რომელმაც მნიშ-

ვნელოვანი ფუნქცია შეიძინა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ფორმირებაში, აგრეთვე განვმარტოთ დემოკრატიის ინსტიტუციური მოდელების შინაარსი და გავაანალიზოთ ამ მოდელების ურთიერთმიმართება საქართველოს სინამდვილეში.

ამჟამად, საქართველოს სახელისუფლო წრეებში და საზოგადოების ფართო ფენებში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის იდეა თითქმის საბჭოთა კავშირის დანგრევის დღიდან მუსირებს. სამოქალაქო საზოგადოება წმინდა იურიდიული გაგებით ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ყოველმხივ სრულყოფას გულისხმობს. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოების იდეა, მიუხედავად მისი დღევანდელი აქტუალურობისა, დიდი ხანია, რაც ისტორიის კუთვნილებაა. კერძოდ, 212 წელს ქრისტეს დაბადებიდან, კარაკალას იმპერატორობის დროს, რომის იმპერიაში შემოიღეს მოქალაქეობის ცნება. რომის მოქალაქეობა ადამიანის თავისუფლების სინონიმად გამოიყენებოდა და სამოქალაქო უფლებები მხოლოდ რომის მოქალაქეებს მიენიჭებოდათ. ჩემი აზრით, მოცემული ისტორიული ფრაგმენტი უნდა იყოს დღევანდელი სამოქალაქო საზოგადოების თეორიის საფუძველი.

სამოქალაქო საზოგადოების იდეას გააჩნია პოლიტიკური გაგებაც. პოლიტიკურია იმდენად, რამდენადაც ამ თეორიამ იდეოლოგიური ელემენტები შეიძინა და ცდილობს დამოუკიდებელი მმართველების იდეოლოგიად, თეორიად ჩამოყალიბდეს. ქვეყანაში არსებული ტენდენციები, რომლებიც გამუდმებით ბრუნავენ ხელისუფლების მთელ ვერტიკალზე, გვაძლევენ სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკურ-იდეოლოგიურ თვისო-

ბრიობაზე მსჯელობის უფლებას. კერძოდ, ახლო წარსულში ადგილი ჰქონდა ეროვნული იდენტიფიკაციის მცდელობას ჯერ რუსეთში, შემდეგ კი საქართველოში. ორივე სახელმწიფოში ეს სცადეს პიროვნების დამდასტურებელ მოწმობაში ეროვნული კუთვნილების აღმნიშვნელი გრაფის ამოშლით. ე.ი. რუსეთის ნებისმიერი მოქალაქე, განურჩევლად თავისი ეროვნული წარმომავლობისა, ხდებოდა რუსი, ხოლო საქართველოს შემთხვევაში კი – ქართველი. ამ სკანდალური კამპანიის მოტივი რუსეთსა და საქართველოში ოფიციალის მიერ განმარტებული იყო როგორც სამოქალაქო საზოგადოებად ფორმირება და ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება (მხედველობაში ჰქონდათ სეპარატიზმისა და ეთნოკონფლიქტების სამომავლოდ გამორიცხვა ეროვნული იდენტიფიკაციის მეთოდით).

ამგვარად, ჩვენ უკვე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ პოლიტიკური გაგებით სამოქალაქო საზოგადოება თვისობრიობაში ისეთი საზოგადოებაა, რომელიც მეტ-ნაკლებად გამორიცხავს ცივილიზაციათა კონფლიქტს და უზრუნველყოფს სხვადასხვა ცივილიზაციის მქონე ეთნოსთა ერთმანეთთან შეთავსებას კულტურულ და ტრადიციულ ასპექტებში. ე.ი. სამოქალაქო საზოგადოების თეორიის მიზანია მოსპოს ერისა თუ ეთნოსის განმასხვავებელი ნიშნები, ან მოახდინოს მათი ერთმანეთთან დაახლოება, ხოლო შემდეგ კი – მათი იდენტიფიკაცია.

უდავოა, რომ ნებისმიერი ერი თუ ეთნოსი ცხოვრობს განსაზღვრულ ტერიტორიულ სივრცეში, რომელსაც შეიძლება გააჩნდეს სახელმწიფოს ნიშნები და, რაღა თქმა უნდა, პოლიტიკური სუბსტანციების მთელი სპექტრიც. ამ უკანასკნელის არსებობა, ან არარსებობა პირდაპირაა დაკავშირებული დემოკრატიული პლურალიზმის ძირითად პრინციპებთან. მაშასადამე, პოლიტიკური იდეოლოგიის პლატფორმაზე ინტერპერირებული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესშივე ხდება პლურალიზმის იდეაშივე დაკნინება და სხვა ზოგიერთი დემოკრატიული პრინციპის უგულვებელყოფა, კლებულობს პოლიტიკურ სუბსტანციათა რაოდენობა.

პოლიტიკურ-იდეოლოგიური ბუნების მქონე სამოქალაქო საზოგადოების გაანალიზების შემდეგ თვალნათლივ გამოიკვეთა დემოკრატიული

თეორიის ინსტიტუციური მოდელების – სამოქალაქო საზოგადოებისა და პლურალიზმის კონფიგურაცია. ერთ-ერთის სრულყოფილი სახით ჩამოყალიბება გამორიცხავს მეორის არსებობას. ამიტომაც, აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ სამოქალაქო საზოგადოებად ფორმირების იდეა გამართლებულია ისეთ სახელმწიფოებში, როგორცაა აშშ ან ავსტრალია, რადგანაც ამ ქვეყნებში მკვიდრი ხალხების უმრავლესობისათვის ეს სახელმწიფოები ისტორიული სამშობლო არ არის. ამიტომაც ამ ქვეყნებში მოქალაქეობისა და ეროვნული კუთვნილების ცნებები ერთმანეთთანაა გაიგივებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლაც, ადგილი ექნებოდა თვითგამორკვევის იდეით სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ჯგუფების ეგზალტირებას, სეპარატიზმსა და ეთნოკონფლიქტებსაც, რასაც ვერ ვიტყვით პოსტსაბჭოთა ხალხების სინამდვილესთან მიმართებაში.

სამოქალაქო საზოგადოების განხილვისას ზოგადად შევეხეთ დემოკრატიის ერთ-ერთ მოდელს პლურალიზმს.<sup>1</sup> პლურალისტური მოდელი განმარტავს ხალხის მმართველობას როგორც ისეთ ხელისუფლებას, რომელიც ფუნქციონირებს დაინტერესებული ჯგუფების მეშვეობით. ამ მოდელის შესაბამისად, დემოკრატია არსებობს მაშინ, როდესაც მრავალი ორგანიზაცია მოქმედებს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად, თავს ახვევს ხელისუფლებას საკუთარ ინტერესებს და ხანდახან უპირისპირდება კიდევ მას.

საინტერესო ურთიერთმიმართება არსებობს დემოკრატიის პლურალისტურ მოდელსა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის განხორციელებას ქვეყნის შიგნით ცნებას შორის, რომელიც გულისხმობს<sup>2</sup> სახელმწიფო ხელისუფლების შესაძლებლობას სრულყოფილებიანად, მოცემულ ქვეყანაში არსებული ორგანიზაციებისგან დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რაც კი ეხება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ ცხოვრებას და ა.შ.

ქვეყანაში პლურალისტური მოდელის არსებობისას, მისი ძირითადი პრინციპებიდან გამომ-

<sup>1</sup> „ამერიკული დემოკრატია“, თბ., 1995, გვ.31.

<sup>2</sup> გ. ინწირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997, გვ. 30.





დინარე, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გულისხმობენ ხალხის მმართველობის განხორციელებას დამოუკიდებელი ორგანიზაციების მეშვეობით. ამ უკანასკნელთა ერთობლიობა საფუძველს უყრის არასამთავრობო სივრცის ფორმირებას. არასამთავრობო სივრცეში მომწიფებული პოლიტიკური აზრი კი თავისთავად ზღვება სახელისუფლო სივრცეში მისაღები გადაწყვეტილებების განმსაზღვრელი. აქედან გამომდინარე, თუ ვიმსჯელებთ ქვეყნის შიგნით სუვერენიტეტის დეფინიციის მიხედვით, მაშინ იქმნება დიდი წინააღმდეგობა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და ქვეყნის შიგნით სუვერენიტეტის რეალიზაციის პროცესში. ასეთ შემთხვევაში დასკვნა შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: დემოკრატიული პლურალიზმის პირობებში სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ის სუვერენიტეტი, რომელიც მოიცავს საგარეო ფუნქციის განხორციელებას. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ არსებული წინააღმდეგობა დემოკრატიული პლურალიზმისა და სუვერენიტეტის განხორციელებისა და ქვეყნის შიგნით, მხოლოდ თეორიულად არსებობს, ვინაიდან, პრაქტიკულად, კონკურენცია ამ ორ ცნებას შორის ხანმოკლეა და ერთ-ერთის დამკვიდრებით მთავრდება. ვფიქრობ, ამ ფორმალური წინააღმდეგობის იურიდიული რეგულირება პოზიტიურ იმპულსს შესძენს საქართველოს პოლიტიკური რეჟიმის ფორმირებას.

დემოკრატიის თეორიის პლურალისტური გაანალიზებისას დადგინდა, რომ პლურალისტული მოდელი მხარს უჭერს ადამიანთა ჯგუფების მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში. რაც შეეხება საზოგადოდ ხალხის მონაწილეობას ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში, იგი უზრუნველყოფილია დემოკრატიის თეორიაში ცნობილი მაჟორიტარული მოდელით.

მაჟორიტარული მოდელი ამტკიცებს, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ გააკონტროლონ თავისი ხელისუფლება, თუკი გააჩნიათ საერთო-სახალხო მონაწილეობის შესაბამისი მექანიზმი. ეს მოდელი ვარაუდობს, რომ მოქალაქეებს აქვთ უნარი გაიგონ ყველაფერი ხელისუფლებისა და პოლიტიკის შესახებ, რომ მათ სურთ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესში და, რომ მოქალაქეები იღებენ გონივრულ გადაწყვეტილებას

არჩევითი წარმომადგენლებისათვის ხმის მიცემის დროს.

დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელის თანახმად, ფართო მასების მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში ხორციელდება კონკრეტულ ინსტიტუციურ მექანიზმებზე დაყრდნობით. ესენია: არჩევნები, რეფერენდუმი, საკანონმდებლო ინიციატივა და პლებისციტი. მაჟორიტარული დემოკრატიის პირობებში მოქალაქეები გათვითცნობიერებულნი უნდა იყვნენ მთავრობის საქმიანობაში და უნდა სურდეთ არჩევით პროცესში მონაწილეობის მიღება. მაჟორიტარული დემოკრატია ეყრდნობა ისეთ საარჩევნო მექანიზმს, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად უმრავლესობის ძალას იყენებს.

დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელის განმარტებიდან ხაზგასმით გამოიკვეთა მოსახლეობის პოლიტიკური გათვითცნობიერების აუცილებელი პირობა, რათა მაჟორიტარულმა მოდელმა ღირსეული და აუცილებლად კონიუნქტურული ადგილი პოვოს წინააღმდეგობებით აღსავსე პოლიტიკური რეჟიმის რთულ სისტემაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პლურალიზმი მოქალაქეებისგან არ მოითხოვს დიდ პოლიტიკურ განათლებას, ის მოითხოვს მხოლოდ მოქალაქეთა ჯგუფების, განსაკუთრებით მათი ლიდერების, სპეციალიზებულ ცოდნას. მაჟორიტარული დემოკრატიისაგან განსხვავებით,<sup>3</sup> პლურალისტული დემოკრატია ცდილობს შეზღუდოს უმრავლესობის ქმედება და პოლიტიკური ნება იმ მიზნით, რომ დაინტერესებული ჯგუფების ხმა უფრო მკაფიოდ გაისმოდეს.

დემოკრატიული რეჟიმი პლურალიზმისა და მაჟორიტარიზმის გარეშე წარმოდგენელია, თუმცა ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ დემოკრატიული თეორიის მიერ აღიარებულ ამ ორ ღირებულებას შორის არსებობს ერთგვარი კონკურენცია თვითდამკვიდრების თვალსაზრისით. პლურალისტური და მაჟორიტარული მოდელების კონკურენციის ხელოვნური შეზღუდვა მათი ერთდროული და თანაბარ პირობებში არსებობის მოტივით, ვფიქრობ, ეს პროცესი, ხელისუფლების მხრიდან, იმპერატიული ხასიათის ნორმე-

<sup>3</sup> „ამერიკული დემოკრატია“, თბ., 1995, გვ.32.

ბის შემუშავებას გამოიწვევს, რაც თავისთავად რიგითი ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის ალბათობას გაზრდის.

შექმნილი ვითარებიდან იდეალურ გამოსავლად მიმაჩნია პლურალიზმისა და მაჟორიტარიზმის გამოყენება ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის ადეკვატურად. კერძოდ, როცა სახელმწიფო ეკონომიკურად მაღალგანვითარებულია და აქედან გამომდინარე ხალხის სოციალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია ხელისუფლებამ იზრუნოს პლურალიზმის განვითარებაზე, რადგანაც ეკონომიკურად გამართული ადამიანები პოლიტიკური პროცესის მიმართ ინდიფერენტულები არიან. მათ სწორი პოლიტიკური არჩევანის გაკეთებისათვის არ ჰყოფნით აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია. ამიტომაც, სავსებით კანონზომიერად მიმაჩნია, თუკი ხელისუფლების მხრიდან წახალისდება სპეციალური ინტელექტითა და ინფორმაციით აღჭურვილი დაინტერესებული ჯგუფების, მასების მონაწილეობა ქვეყნის მართვაში პლურალისტური მოდელის მექანიზმით.

ეკონომიკურად გაუმართავი სახელმწიფოს მოქალაქეები, რაღა თქმა უნდა, რთულ სოციალურ პირობებში იმყოფებიან. ასეთ შემთხვევაში კი, ხალხი მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აქტიურად ეცნობა და აანალიზებს, რათა თავის მიხედვით ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზში გაერკვეს. ე.ი. თუ ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოში ფართო მასები მოუშხადებელნი არიან პირდაპირ მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის მართვაში, ეკონომიკურად სუსტ სახელმწიფოებში კი პირიქითაა. აქ ხალხი პოლიტიკურ პროცესში კარგადაა გათვითცნობიერებული, ფლობს სპეციალურ ინფორმაციას, რაც ხელს უწყობს მათ შუამავლის – დაინტერესებული ჯგუფის გარეშე მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის მართვაში. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასურველია დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელის განვითარებისათვის მხარდაჭერა, რაც ხელისუფლების მხრიდან დიდსულოვნებას მოითხოვს, რათა მის მიმართ კრიტიკულად განწყობილ მოქალაქეთა ფართო მასები, დემოკრატიული პრინციპების პირნათლად დაცვით, ჩააბას სახელმწიფოს მართვის პროცესში.

დემოკრატიული თეორიის ზოგადად გაანალიზებამ და დემოკრატიის ინსტიტუციურ მოდელთა შინაარსობრივი სტრუქტურის დადგენამ ცხადყოფს ის არსებული შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებიც დემოკრატიის მრავალსახოვან ბუნებაში მდგომარეობს.

დემოკრატიის ინსტიტუციური მოდელის უწესრიგო დანერგვა, ან როცა დემოკრატიული ღირებულებები არ ემორჩილება თუნდაც ერთ-ერთი დემოკრატიული მოდელის სისტემას, მაშინ დემოკრატიულ ინსტიტუტებს შორის არსებული წინააღმდეგობანი უფრო ღრმავდება და იქმნება ერთგვარი ანარქია, რის შედეგადაც ხდება დემოკრატიული რეჟიმის დევალვაცია. მეტიც, დემოკრატიული თეორიის უაღრესად ცივილურ ღირებულებათა ერთნაირად, ერთ დროისეულ განზომილებაში გამოყენებამ, შესაძლოა სახელმწიფოს სუვერენიტეტი შელახოს და თვით დემოკრატიაც ადვილად შეცვალოს ტოტალიტარიზმით.

დემოკრატიულ ღირებულებათა მრავალრიცხოვნებისა და აღრევის ფონზე ერთობ საინტერესოდ იკვეთება ომბუდსმენის ინსტიტუტის როლი საქართველოს პოლიტიკურ რეჟიმში. თავისთავად ის ფაქტი, რომ ომბუდსმენს სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში დამოუკიდებელი ადგილი უკავია, განსაზღვრავს მის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას, როცა იგი პარლამენტს ან ქვეყნის პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სიტუაციის ნორმალიზაციის თაობაზე. მაშასადამე, ომბუდსმენს საკუთარი როლი გააჩნია საქართველოს დემოკრატიული რეჟიმის ფორმირებაში და თავისი ღრმა მნიშვნელობიდან გამომდინარე, პოზიტიურ ზეგავლენასაც ახდენს პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე, როგორც პოლიტიკურ-სახელისუფლო ინსტიტუტებსა და რიგით მოქალაქეებს შორის, ასევე საზოგადოდ. საქართველოში დემოკრატიის ინსტიტუციური მოდელის განხილვისას გაირკვა მათ შორის არსებული კონფლიქტური წინააღმდეგობანი, რის გამოც ამ მოდელის ერთნაირად და სრულყოფილად განვითარება წარმოუდგენელია. როგორც უკვე აღინიშნა, ისინი ერთდროულად არსებობისას საბოლოო ფორმირებაში ერთმანეთს ხელს უშლიან. დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვი-



დრების ასეთ სტაგნაციურ პირობებში, ომბუდსმენი, საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კონკრეტულ ფაქტებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების განზოგადების გზით, აფერხებს კონფრონტაციულ პროცესს დემოკრატიის ღირებულებებს შორის და ხელისუფლებას აძლევს საშუალებას განსაზღვროს დემოკრატიის პრიორიტეტული, ქვეყნის ობიექტურ სინამდვილესთან ადაპტირებული მოდელი. სახალხო დამცველი თავის ყოველწლიურ ანგარიშში მიღებული შედეგების კონცეფტუალური განხილვა-განზოგადების საფუძველზე, დემოკრატიის პარამეტრებით შეიმუშავებს ერთგვარ ჯერარსს მართლშეგნების, კულტურის ამაღლებისა და საზოგადოებრივი განვითარების საქმეში, რითაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრისა და სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმის ჰარმონიზაციას, ურთიერთგანპირობებას. ჰარმონიზაცია საზოგადოებრივ ცნობიერებასა და პოლიტიკურ რეჟიმს შორის აუცილებელია, რათა კანონმდებლობაში პოლიტიკური რეჟიმის მიერ დეკლარირებული პრინციპები

ცხოვრებაში რეალურად გატარდეს და მხოლოდ ფარატიანა ქალაღდზე არ დარჩეს.

ამგვარად, სახალხო დამცველის როლსა და მნიშვნელობას საქართველოს პოლიტიკურ რეჟიმში განსაზღვრავს შემდეგი გარემოებების ერთობლიობა:

- ომბუდსმენს გააჩნია საკუთარი, დამოუკიდებელი როლი დემოკრატიული რეჟიმის ფორმირებაში;
- ომბუდსმენი თავისი ინსტიტუციური მნიშვნელობით პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე;
- ომბუდსმენი საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით განსაზღვრავს ქვეყნისათვის ოპტიმალური, დემოკრატიული თეორიის ერთ-ერთ მოდელს;
- ომბუდსმენი აფერხებს კონფრონტაციის პროცესს დემოკრატიის ინსტიტუციურ ღირებულებებს შორის;
- ომბუდსმენი შეიმუშავებს ერთგვარ ჯერარსს მართლშეგნების კულტურის ამაღლებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების საქმეში.

ქართლოს შრიღონაშვილი,  
იურისტი.



# სამოქალაქო სამართალი

## ზურაბ ძლიერიშვილი

### დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა (ბამოწვევითი წარმოება)

**უ**ფლებებისა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესების დაცვის საჭიროება წარმოიშევა არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს უფლებები ირღვევა ან სადავო ხდება, არამედ ზოგჯერ წარმოიშევა ხოლმე იმ გარემოებათა დადგენის საჭიროებაც, რომლებიც ამ უფლებათა განხორციელების საფუძველია. ამიტომაც, სამოქალაქო პროცესში გვაქვს სამართალწარმოების ისეთი სახე, რომელიც დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს სასამართლო წესით დაადგინოს ის იურიდიული ფაქტები, რომლებზეც დამოკიდებულია დაინტერესებული პირის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. სამოქალაქო სამართალწარმოების ამ სახეს ეწოდება უდავო წარმოება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის თანახმად, უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს:

- ა) იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ;
- ბ) მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ;
- გ) მოქალაქის ქმედუწაროდ და შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ;
- დ) დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ;
- ე) ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ;
- ვ) საწარმოსა და კავშირის რეგისტრაციის შესახებ;
- ზ) შვილად აყვანის შესახებ;

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ ვიხილავთ მხოლოდ ისეთ საკითხს, როგორიცაა დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლებების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 328-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელსაც დაეკარგა საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი ან საორდერო ფასიანი ქაღალდი, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეუძლია სთხოვოს სასამართლოს დაკარგული ფასიანი ქაღალდის ბათილად ცნობა და დაკარგულზე უფლების აღდგენა.

განცხადება შეტანილი უნდა იყოს სასამართლოში ამ მუხლში მითითებული საბუთის გამკეში დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.

დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ სასამართლოების მიერ საქმეების განხილვა უდავო წარმოების წესით განპირობებულია სამოქალაქო უფლებათა ისეთი ობიექტის სპეციფიკით, როგორიცაა ფასიანი ქაღალდები. ფასიანი ქაღალდი ეწოდება კანონით დადგენილი სათანადო ფორმით გაფორმებულ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს რაიმე უფლებას და ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ თვითონ ამ ფასიანი ქაღალდის წარდგენის გზით. ფასიანი ქაღალდის გადაცემა იწვევს მისით განპირობებული ყველა უფლების გადასვლას.

ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: თამასუქი, ჩეკი, სადებოზიტო და საშემნახველო სერტიფიკატები, საბანკო საშემნახველო წიგნაკი, კონოსამენტი, აქცია, საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალ-

დები, სასაწყობო მოწმობა და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ფასიანი ქალაღდების შესახებ კანონის თანახმად, ანდა მის მიერ დაღგენილი წესის მიხედვით, მიეკუთვნებიან ფასიანი ქალაღდების რიცხვს.

სამოქალაქო კანონმდებლობა შემთხვევით არ გამოყოფს საწარმდგენლო ფასიან ქალაღდებსა და საორდერო ფასიან ქალაღდებს, მიუთითებს რა მათზე უფლების აღდგენის სასამართლო ფორმაზე. ამ ფასიან ქალაღდებს გააჩნიათ უდიდესი ბრუნვაუნარიანობა. უფლების აღდგენა ნები-სმიერ ფასიან ქალაღდზე განსაზღვრული ხარისხით წინააღმდეგობაში მოდის სასაქონლო ბრუნვასთან, ხელს უშლის იმ მესამე პირების უფლებების განხორციელებას, რომლებიც ფასიანი ქალაღდების ფაქტობრივი მფლობელები არიან. ამ მიზეზით მრავალ ფასიან ქალაღდზე შესაძლებელია ვინდიკაციის შეზღუდვა მისი მფლობელის მიმართ. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის 2-ე პუნქტის თანახმად, არ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს კეთილსინდისიერი შემძენისაგან ფული, ფასიანი ქალაღდები, ანდა აუქციონზე გასხვისებული ნივთები.

სასამართლოს მეშვეობით უდავო წარმოების წესით დაკარგულ ფასიან ქალაღდებზე უფლების აღდგენა ხასიათდება იმით, რომ აქ ხდება ფასიან ქალაღდებზე ყველა სავარაუდო სუბიექტის როგორც ქონებრივი, ისე ვალდებულებითი უფლებების გათვალისწინება და დაცვა.

პირს, რომელმაც დაკარგა საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქალაღდი, შეუძლია მოითხოვოს მასზე უფლების აღდგენა უდავო წარმოების წესით, თუკი მისთვის ცნობილი არ არის საბუთის ხელთქონე, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიტანება ჩვეულებრივი სარჩელი ქონების გამოთხოვის შესახებ. არ წარმოიშვება გამოწვევითი წარმოების საჭიროება სახელობითი ფასიანი ქალაღდის დაკარგვის შემთხვევაში, რამეთუ მისი აღდგენა საერთო წესის მიხედვით ხორციელდება ფასიანი ქალაღდების რეესტრის მწარმოებლის მიერ. მაგალითად, სააქციო საზოგადოება ვალდებულია აწარმოოს საზოგადოების ყველა დოკუმენტის აღრიცხვა (საზოგადოების წიგნი), რომელშიც აისახება საზოგადოების წესდება, აღრიცხება რეგისტრაციისათვის აუცილებელი ყველა ინფორმაცია და ყოველი აქცია.

თუ აქციები გაცემულია სააქციო ბარათის სახით, მაშინ საზოგადოების წიგნში უნდა აღინიშნოს გაცემის თარიღი, ნომინალური ღირებულება და სააქციო ბარათის ნომერი. თუ არ არის სააქციო ბარათი გაცემული, მაშინ საზოგადოების წიგნში რეგისტრაცია ცვლის სააქციო ბარათს. ამ შემთხვევაში, აქციები სახელობით აქციებად უნდა იქცეს.

ფასიანი ქალაღდის დაკარგვაში იგულისხმება ან მთლიანად მისი დაკარგვა, ანდა მისი საგადაამხდლო თვისებების დაკარგვა.

დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაღდებზე ან საორდერო ფასიან ქალაღდებზე უფლებების აღდგენის წესი გამოიყენება როგორც თვითონ ამ დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში, ისე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ დოკუმენტებმა დაკარგეს გადახდისუნარიანობის ნიშნები არაჯეროვნად შენახვის, ანდა სხვა მიზეზების შედეგად, მაგალითად, შემნახველ წიგნაკში წაიშალა აღნიშვნა სალაროში დარჩენილი თანხის რაოდენობის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 328-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ განცხადება დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაღდზე ან საორდერო ფასიან ქალაღდზე, შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში საბუთების გამცემი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით. განცხადებაში უნდა აღინიშნოს დაკარგული საბუთის განმასხვავებელი ნიშნები, საბუთის გამცემი დაწესებულების სახელწოდება, აგრეთვე საბუთის დაკარგვის გარემოებანი.

დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაღდზე ან საორდერო ფასიან ქალაღდზე უფლების აღდგენის შესახებ განცხადება, საერთო რეკვიზიტებთან ერთად, უნდა შეიცავდეს ისეთ მონაცემებსაც, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ამ კატეგორიის საქმეებისათვის. სახელდობრ, მათში აუცილებლად უნდა იყოს ჩამოთვლილი დაკარგული დოკუმენტის დამახასიათებელი თვისებები. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს არის თუ არა იგი ფასიანი ქალაღდი და მიეკუთვნება თუ არა იმ კატეგორიის ქალაღდებს, რომლებზეც უფლების აღდგენა ხორციელდება სასამართლო წესით.

სასამართლო პრაქტიკაში დოკუმენტის განმასხვავებელ ნიშნად უფრო ხშირად მითითებუ-



ლია: საშემნახველო წიგნაკის ანგარიშის ნო-  
მერი, საკონტროლო ტალონის ნომერი, ანაბრის  
შეტანის თარიღი, ანაბრის ოდენობა, დარჩენილი  
ანაბრის თანხა და ა. შ.

იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი მოითხ-  
ოვს უფლების აღდგენას ისეთ დოკუმენტზე,  
რომელსაც დაკარგული აქვს გადახდისუნარი-  
ანობის ნიშნები, მან თან უნდა დაურთოს ეს  
დოკუმენტი განცხადებას და აღნიშნოს განცხა-  
დებაში ის მიზეზები, რომელთა გამოც გახდა  
დოკუმენტი უკარგისი.

საკმარისია თუ არა განცხადებაში აღნიშნუ-  
ლი მონაცემები, განსაზღვრავს თვითონ მოსა-  
მართლე. ისინი არიან წინასწარი ხასიათის,  
რამეთუ ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესე-  
ბულებანი, იცავენ რა ანაბრის საიდუმლოებას,  
არავითარ ინფორმაციას არ იძლევიან მათთან  
არსებული ანაბრების შესახებ სამოქალაქო საქ-  
მის აღძვრამდე.

თუკი განცხადება არ შეიცავს სსსკ 329-ე  
მუხლში აღნიშნულ რეკვიზიტებს, სასამართლო  
მისცემს განმცხადებელს ვადას ნაკლის აღმო-  
საფხვრელად. თუკი განმცხადებელი მიცემულ  
ვადაში არ გამოასწორებს ხარვეზებს, მაშინ  
მოსამართლე მას უარს ეტყვის განცხადების  
წარმოებაში მიღებაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდ-  
ექსის 330-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე  
განცხადების მიღების შემდეგ გამოიტანს გან-  
ჩინებას, საბუთის გამცემი დაწესებულებისათვის  
(პირისათვის) ამ საბუთით ყოველგვარი გადახ-  
დის და გაცემის წარმოების აკრძალვის, აგრეთვე  
განმცხადებლის ხარჯზე ადგილობრივ პრესაში  
პუბლიკაციის შესახებ.

ასეთი პუბლიკაცია უნდა შეიცავდეს:

- ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელ-  
შიც შეტანილია განცხადება საბუთის დაკარგვის  
შესახებ;
- ბ) განმცხადებლის დასახელებასა და მის საცხ-  
ოვრებელ ადგილს;
- გ) საბუთის დასახელებასა და განმასხვავებელ  
ნიშნებს;
- დ) წინადადებას იმ საბუთის ხელთქონის  
მიმართ, რომლის დაკარგვის შესახებაც შეტა-  
ნილია განცხადება, რომ მან პუბლიკაციის დღი-  
დან სამი თვის განმავლობაში შეიტანოს განცხ-

ადება სასამართლოში ამ საბუთზე თავისი უფლებ-  
ის შესახებ (სსსკ 331-ე მუხლი).

დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქზე  
ან სოფლებს ფასიან ქალაქზე უფლების აღდ-  
გენის შესახებ საქმეებს, რომლებიც განიხილებიან  
გამოწვევითი წარმოების წესით, გააჩნია თავისე-  
ბურებანი. ერთ-ერთი ასეთი თავისებურებაა ის,  
რომ ფასიანი ქალაქის ხელთქონე უცნობია.  
ამიტომ ხდება სასამართლოს განჩინებით განმ-  
ცხადებლის ხარჯზე ადგილობრივ პრესაში პუბ-  
ლიკაციის გამოყენება.

მეორე თავისებურებაა, საბუთის გამცემი  
დაწესებულებისათვის (პირისათვის) ამ საბუთით  
ყოველგვარი გადახდისა და გაცემის წარმოების  
აკრძალვა. განჩინება აკრძალვის შესახებ დაუყო-  
ნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი მოსამართლის  
მიერ, განცხადების მიღების შემდეგ და მისი  
ასლი მაშინვე გადაეგზავნოს შესაბამის დაწესე-  
ბულებას (პირს), რომლისთვისაც სასამართლოს  
მიერ გამოტანილი განჩინება სავალდებულოა.

გამოწვევითი წარმოების აღძვრის შესახებ,  
დაკარგული საბუთის ხელთქონე გებულობს  
პუბლიკაციის მეშვეობით. ამიტომაც, პუბლიკა-  
ციას აქვს დიდი მნიშვნელობა დაკარგული საბუ-  
თის ხელთქონის უფლებების დასაცავად. პუბ-  
ლიკაცია ხორციელდება ადგილობრივ პრესაში.  
ის შეეხება ფასიანი ქალაქის ყველა ხელთმ-  
ქონეს, მიუხედავად მისი შეძენის საფუძვლისა.

კანონი იძლევა იმ ცნობების ჩამონათვალს,  
რომელსაც უნდა შეიცავდეს პუბლიკაცია.

უზენაეს სასამართლოს პლენუმმა, ჩემი აზრით  
სავსებით მართებულად ყურადღება გაამახვილა  
სასამართლოთა არასწორ პრაქტიკაზე, რომლებიც  
პრესაში პუბლიკაციის გამოქვეყნებისას, ერთ-  
დროულად მიუთითებენ მასში, რომ დაკარგული  
დოკუმენტი სასამართლოს მიერ ბათილად არის  
ცნობილი. ასეთ დასკვნამდე კი, სსსკ 334-ე  
მუხლის თანახმად, სასამართლო შეიძლება მი-  
ვიდეს იმ შემთხვევაში, თუკი პუბლიკაციის გამო-  
ქვეყნებიდან 3 თვის გასვლის შემდეგ, საბუთის  
ხელთქონე არ განაცხადებს საბუთზე თავისი  
უფლებების შესახებ და სასამართლო საქმეს  
განიხილავს არსებითად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდ-  
ექსის 332-ე მუხლის თანახმად, იმ საბუთის  
ხელთქონე, რომლის დაკარგვის შესახებაც



განცხადებულია, ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე განჩინების გამოტანიდან, სასამართლოში შეიტანოს განცხადება საბუთზე თავისი უფლების შესახებ და ამასთან ერთად, წარადგინოს საბუთის დედანიც.

ფასიანი ქალაღდის ხელთმქონე ვალდებულია, რომ სამი თვის ვაღაში განაცხადოს სასამართლოში თავისი უფლების შესახებ და წარმოადგინოს დოკუმენტის დედანი. იგი სასამართლოში გამოიღახება იმისთვის, რათა გამორკვეულ იქნას მისი დამოკიდებულება იმ პირთან, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება დაკარგულ ფასიან ქალაღდზე. ამასთან ერთად, სასამართლოში საბუთის ხელთმქონის პირადი განცხადება არ არის სავალდებულო, მას შეუძლია წერილობით შეატყობინოს სასამართლოს, რომ ასეთი საბუთი მასთანაა და წარუდგინოს სასამართლოს მისი ორიგინალი.

კანონში არ არის მითითებული საბუთის ხელთმქონის მიერ საბუთის ჯეროვნად დამოწმებული ასლის წარდგენის შესაძლებლობა. ვფიქრობთ, რომ საბუთის ხელთმქონეს აქვს უფლება წარადგინოს ასეთი ასლი, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან სამთვიანი ვადის გასვლამდე, მის მიერ დოკუმენტზე თავის უფლების განცხადების ვალდებულების შესრულება შეიძლება გართულდეს ანდა სულაც ვერ შესრულდეს. მაგალითად, მის მიერ საღაგო ფასიანი ქალაღდი ვაღაცემულია შესანახად ან დაგირავებულია. წარმოდგენილი დოკუმენტის ნამდვილობის თაობაზე ეჭვებს აქ არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა, რამეთუ დოკუმენტზე თავის უფლებების შესახებ განცხადების, ასევე თვითონ დოკუმენტის წარდგენა, არის მხოლოდ იმის წანამდღვარი, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ იქნეს ფასიანი ქალაღდის მფლობელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 333-ე მუხლის თანახმად, თუ საბუთის ხელთმქონემ პუბლიკაციის დღიდან 3 თვის გასვლამდე შეიტანა სასამართლოში განცხადება, სასამართლო განცხადებას საბუთის დაკარგვის შესახებ განუხილავად დატოვებს და დაადგენს ვაღას, რომლის განმავლობაშიც საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აუკრძალავს აწარმოოს ამ საბუთით ვაღახდა და ვაცემა. ეს ვაღა

არ შეიძლება აღემატებოდეს 2 თვეს. იმავდროულად, სასამართლო განუმარტავს განმცხადებელს მის უფლებას, აღძრას სარჩელი საბუთის გამოთხოვის შესახებ საერთო წესით იმ პირის მიმართ, ვისაც ხელთა აქვს საბუთი, ხოლო ამ უკანასკნელს – მის უფლებას, ვაღახხდევინოს განმცხადებელს ზარალი, რაც გამოწვეულია აკრძალვის ღონისძიებებით.

განსხვავებით უღავო წარმოების წესით განსაზღვრული სხვა კატეგორიის საქმეებისაგან, დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაღდზე და სორღერო ფასიან ქალაღდზე უფლების აღდგენის შესახებ საქმეებზე, კანონი ავალდებულებს მოსამართლეს განცხადების განუხილველად დატოვებასთან ერთად დაადგინოს ის ვაღაც, რომლის განმავლობაშიც საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აუკრძალავს ამ საბუთით ვაღახდისა და ვაღაცემის წარმოებას. ამასთან, მეორე მხრივ, ფასიან ქალაღდზე დადგენილ ვაღაში ვალდებულების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები ვაღამხდევნებლისათვის. სსსკ 333-ე მუხლის 2-ე პუნქტით სასამართლო განუმარტავს საბუთის ხელთმქონეს უფლებას, ვაღახხდევინოს განმცხადებელს აკრძალვის ღონისძიებით გამოწვეული ზარალი.

იმის გამო, რომ საბუთის ხელთმქონისადმი სარჩელის წაყენება ადასტურებს სასარჩელო წარმოების აღძვრას, ამიტომაც უღავო წარმოებისათვის ვათვალისწინებული გამონაკლისები არ მოქმედებს. საქმე განიხილება განსჯადობის საერთო წესებით ანუ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქმეს დაკარგული საბუთების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუკი საბუთის ხელთმქონისაგან არ შემოვიდა სსსკ 332-ე მუხლში აღნიშნული განცხადება.

თუკი პუბლიკაციაში აღნიშნულ სამთვიან ვაღაში საბუთის ხელთმქონე არ გამოცხადდება სასამართლოს გამოღახებაზე, სასამართლო დანიშნავს საქმის განხილვის დღეს განმცხადებლისა და საბუთის გამცემი დაწესებულების (პირის) მონაწილეობით.

საბუთის ხელთმქონის მიერ საბუთზე თავისი უფლების შესახებ განცხადებით მიმართვის

სამთვიანი ვადა გამოითვლება არა განცხადების შეტანის ანდა პუბლიკაციაზე განჩინების გამოტანის მომენტიდან, არამედ ამის შესახებ შეტყობინების გაზეთში პუბლიკაციის მომენტიდან. ამ ვადის დაწყების მომენტი იმ გაზეთის გამოსვლის თარიღი, რომელშიც მოთავსებულია პუბლიკაცია საბუთის ხელთმქონის სასამართლოში გამოძახების შესახებ.

საქმე განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების საერთო საფუძვლებით. სასამართლო სხდომაზე იმ პირთა გამოუცხადებლობა, რომელნიც ჯეროვნად იყვნენ გაფრთხილებული საქმის მოსმენის დღის შესახებ, არ დაბრკოლებს საქმის განხილვას. ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებლის მიერ დოკუმენტი სრულიად არის დაკარგული და მისი კუთვნილება უნდა დადგინდეს სხვა ნიშნებით, ასეთ შემთხვევაში, დოკუმენტის გამცემი დაწესებულების (პირის) წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა.

განმცხადებლის თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ბათილად ცნობს დაკარგულ საბუთს. ეს გადაწყვეტილება უფლებას აძლევს განმცხადებელს მიიღოს ანაბარი ან ახალი საბუთი ბათილად ცნობილი საბუთის ნაცვლად. მაგალითად, სასაქონლო საწყობში შესანახად ჩაბარებულ ნივთებზე ახალი სასაწყობო მოწმობა.

საბუთის ხელთმქონის გამოუცხადებლობა კანონით დადგენილ სამთვიან ვადაში თავისთავად იმის მტკიცებაა, რომ დაკარგული დოკუმენტი ნამდვილად ეკუთვნის განმცხადებელს. ამიტომაც, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მტკიცებულებები, რომლებმაც შეიძლება დაადასტურონ განმცხადებლის უფლებები დაკარგულ დოკუმენტზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება გამოწვევითი საქმეების საქმეებზე, უნდა შეესაბამებოდეს სსსკ 249-ე მუხლის მოთხოვნებს. ამ გადაწყვეტილებით, დაკარგული საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქალაღი ცნობილი იქნება ბათილად. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო მიუთითებს ბათილად ცნობილი დოკუმენტის დამახასიათებელ ნიშნებს და დოკუმენტის გამცემი დაწესებულების (პირის) ვალდებულებას, მოახდინოს მისი შეცვლა. სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, იგი იმისი საფუძველია, რომ განმცხადებელმა მიიღოს ანაბარი ან ახალი საბუთი ბათილად ცნობილი საბუთის ნაცვლად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 336-ე მუხლის თანახმად, საბუთის ხელთმქონეს, რომელსაც რაიმე მიზეზით დროულად არ განუცხადებია თავისი უფლება ამ საბუთზე, დაკარგული საბუთის ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, შეუძლია აღძრას სარჩელი ქონების უსაფუძვლოდ შექმნის ან დაზოგვის შესახებ იმ პირის მიმართ, რომელსაც დაკარგულის ნაცვლად მიენიჭა ახალი საბუთის მიღების უფლება.

თუკი საბუთის ხელთმქონეს, რომელმაც რაიმე მიზეზით თავისდროულად ვერ განაცხადა ამ დოკუმენტზე უფლების შესახებ, სურს დაიცვას თავისი უფლებები და ინტერესები, მაშინ მას სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შეუძლია წაუყენოს სარჩელი იმ პირს, რომელსაც მიენიჭა დაკარგულ დოკუმენტზე უფლება, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ. საბუთის ხელთმქონის უფლებები და ინტერესები შეიძლება დაცული იქნას ხანდაზმულობის ფარგლებში, რომელიც განისაზღვრება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

გურაბ კლიერიშვილი,  
თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე,  
სამოქალაქო სამართლის კათედრის დოცენტი.



ზვიად გაბისონია

ფიზიკური პირების, როგორც უცხოური ინვესტირების  
სუბიექტების, სამართლებრივი სტატუსი

უცხოური ინვესტირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სუბიექტები არიან ფიზიკური პირები, ისინი ინვესტირების პროცესში სხვადასხვა ფორმით შეიძლება იყვნენ ჩართულნი. მაგალითად, მათ შეუძლიათ „მოათავსონ ფულადი თანხები შემნახველ ანგარიშებზე, შეიძინონ ობლიგაციები და აქციები, სადაზღვევო პოლისები, სხვადასხვა სახის ქონება“.<sup>1</sup> მაშინაც კი, როცა უაღრესად რთულ ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახის ორგანიზებული წარმონაქმნი დომინირებს, მათ უკან მაინც ადამიანი დგას.<sup>2</sup> ადამიანმა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, სხვადასხვა მიზეზის გამო, დაკარგა თავისი პირვანდელი „ჰაბიტუსი“ და „ნათლობის სახელით“ დამკვიდრდა: ფიზიკური პირი (მაგ., ფრანგულ, ქართულ სამართალში), ბუნებრივი პირი (გერმანული სამართლის წრეში), მოქალაქე (რუსულ სამართალში)<sup>3</sup> და სხვ. როგორც ამ უკანასკნელი მაგალითიდან ვხედავთ, ადამიანი და მისი მოქალაქეობა ისე მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს, რომ რუსულ სამართალში იდენტური ტერმინოლოგიური დატვირთვაც კი მიიღო.

ცნობილია, რომ „მოქალაქისა“ და „ადამიანის“ ცნებათა ურთიერთდამოკიდებულება, სამართლის სუბიექტად მათი აღიარების ასპექტში, ჯერ კიდევ ძველი რომიდან მომდინარეობს. როგორც ცნობილია, რომის კერძო სამართალი ყველა ადამიანს სამართლის სუბიექტად როდი მიიჩნევდა, და, მიუხედავად იმისა, რომ უფლებაუნარიან ადამიანთა

წრე რომის სახელმწიფოს შემდგომი განვითარების შედეგად გაფართოვდა, საზოგადოდ, ადამიანის კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად მიჩნევა მაინც ვერ გახდა რომის სამართლის პრინციპი.<sup>4</sup> სამართლის სუბიექტად ითვლებოდა არა ყველა ადამიანი, არამედ თავისუფალი ადამიანი, რომელიც ფლობდა *status libertatis*-ს. მაგრამ იმისათვის, რომ ის სრულუფლებიან სუბიექტად ჩათვლილიყო, თავისუფალი ადამიანის სტატუსიც არ კმაროდა – აქ განმსაზღვრელი იყო რომის მოქალაქეობა – *civis Romanum*, რადგან რომის ქვეშევრდომები – ლათინები (*latini*) – არ ითვლებოდნენ რომის მოქალაქეებად და, შესაბამისად, სარგებლობდნენ შეზღუდული ქმედუნარიანობით. რაც შეეხება უცხოელებს – პერეგრინებს (*peregrines*) თავდაპირველად ისინი არ სარგებლობდნენ რომის ტერიტორიაზე რაიმე უფლებითა და მათი მონად ქცევაც კი შეიძლებოდა. სავაჭრო ბრუნვის განვითარების შემდეგ უცხოელებმა შეიძინეს გარკვეული უფლებები და რომის იმპერიის არსებობის ბოლო სტადიაზე გაუთანაბრდნენ კიდევ რომის მოქალაქეებს.<sup>5</sup> ხოლო რომში არსებულ ადამიანთა ბოლო (უმდაბლეს) კლასის წარმომადგენლები – მონები, არათუ რომის მოქალაქეებად, თვით სამართლის სუბიექტადაც კი არ მიიჩნეოდნენ. ამიტომ მათ „მოლაპარაკე იარაღებსაც“ (*instrumentum vokale*) კი უწოდებდნენ. მაგალითად, რომაელი იურისტი ვარონი (ძვ. წ. I ს.) იარაღებს ყოფდა მუნჯ (მაგ., ურმები), გაურკვეველი ხმების გამომცემ (პირუტყვი) და ლაპარაკის

<sup>1</sup> Лоренс Дж. Гитман, Майкл д. Джонк. Основы инвестирования, М., 1997, с. 17.  
<sup>2</sup> ლადო ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, გვ. 125.  
<sup>3</sup> იქვე, გვ.125.

<sup>4</sup> «Римское частное право». Учебник под ред. проф. И.Б. Новитского и И.С. Перетерского, М., 1996, с. 89.  
<sup>5</sup> О.С. Иоффе, В.А. Мусин. Основы римского гражданского права. Ленинград, 1974, с. 26-27.



მკოდნე (მონები) იარაღებად.<sup>6</sup>

როგორც დავინახეთ, ძველ რომში უცხოელე-ბი შეზღუდულქმედუნარიან სუბიექტებად ითვ-ლებოდნენ და მხოლოდ III საუკუნის დასაწყის-ში (212 წელს ქრისტეს შობიდან), კარაკალას იმპერატორობის დროს, რომის იმპერიაში შემ-ოიღეს მოქალაქეობის ცნება.

როგორც პროფ. ლ. ჭანტურია აღნიშნავს, „საუკუნეების მანძილზე მივიწყებულმა მო-ქალაქეობის ცნებამ XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში პოვა საკანონმ-დებლო განმტკიცება ჯერ კიდევ 1791 წლის ფრანგულ კონსტიტუციასა და მერე – 1804 წლის ფრანგულ სამოქალაქო კოდექსში“.<sup>7</sup> სა-ფრანგეთის 1791 წლის 3 სექტემბრის კონსტი-ტუციის მეორე ნაწილის მე-3 პუნქტის მიხედ-ვით, „პირები, რომლებიც სამეფოს (იგულისხმება საფრანგეთი. – ზ. გ.) საზღვრებს გარეთ დაი-ბადნენ უცხოელი და საფრანგეთში დამკვიდრებუ-ლი მშობლებისაგან, ხდებიან საფრანგეთის მო-ქალაქეები ხუთი წლის განუწყვეტელი ცხოვრე-ბის შემდეგ, თუ, გარდა ამისა, ისინი აქ იძენენ უძრავ ქონებას, ანდა ქორწინდებიან ფრანგზე, ან აფუძნებენ სასოფლო-სამეურნეო ან სავაჭრო საწარმოს, აგრეთვე, თუ ისინი მიიღებენ სამო-ქალაქო ფიცს“.<sup>8</sup>

თუ სამოქალაქო სამართლისათვის უცხო ქვეყ-ნის მოქალაქეობას დიდი მნიშვნელობა არ ენი-ჭება, იგი „თავის კერძოსამართლებრივ მნიშ-ვნელობას საერთაშორისო კერძო სამართალში მოიპოვებს“.<sup>9</sup>

თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართ-ლის დოქტრინაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ე.წ. ფიზიკური პირის „პირად კანონს“ (lex personalis), რომლის მიხედვითაც წყდება უცხოელი ფიზიკური პირების სამოქალაქო-სა-მართლებრივ სტატუსთან, მის უფლებაუნარი-ანობასა და ქმედუნარიანობასთან, პირად უფლე-ბებთან, საკუთრების შექენასთან, ინვესტირებასთან

და ა.შ. დაკავშირებული საკითხები. ფიზიკური პირის პირადი კანონის განსაზღვრისას მხედ-ველობაში მიიღება ორი პრინციპი: ა) მოქალაქე-ობის კანონი (lex patriae, lex nationalis) და ბ) საცხოვრებელი ადგილის კანონი (lex domi- cillii). იმ შემთხვევაში, როცა პირადი კანონის როლში გამოდის მოქალაქეობის კანონი, ეს სა- კითხები განიხილება იმ ქვეყნის სამართლით, რომლის მოქალაქეც არის ფიზიკური პირი, ხოლო საცხოვრებელი ადგილის კანონის გამოყენები- სას მხედველობაში მიიღება იმ ქვეყნის სამარ- თალი, სადაც პირი მუდმივად ან უპირატესად ცხოვრობს.<sup>10</sup>

აღნიშნულ პრინციპებს განსხვავებულად იყ- ენებენ სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნები. მაგალითად, საერთო სამართ- ლის სისტემის ქვეყნებისაგან განსხვავებით, კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყანათა უძრავლესობა (საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, იტალია, რუსეთი და სხვ.) უპირატესობას მო- ქალაქეობის კანონს ანიჭებენ. ამ პრინციპის პრიორიტეტულობას, როგორც ზემოთაც აღინი- შნა, ბიძგი საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევ- ოლუციამ და მის წიაღში აღმოცენებულმა 1804 წლის სამოქალაქო კოდექსმა მისცა, რომლის მე-3 მუხლის მიხედვითაც, საზღვარგარეთ მყო- ფი ფრანგები ემორჩილებიან თავიანთ ეროვნულ კანონს, დაკავშირებულს მოქალაქეობრივ მდგო- მარეობასთან და ქმედუნარიანობასთან. შემდგომში ეს პრინციპი განმტკიცდა იტალიის 1865 წლის და გერმანიის 1896 წლის სამოქალაქო კოდე- ქსებში. რაც შეეხება საერთო სამართლის სისტე- მის მქონე ქვეყნებს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია), ისინი ფიზიკური პირის პირადი კანონის განსაზღვრისას საცხოვრებელი ადგი- ლის კანონით ხელმძღვანელობენ. ამ ორი პრინ- ციპის შედარებისას, ცნობილი მეცნიერი მ. ვოლ- ფი, უპირატესობას „მოქალაქეობის კანონს“ ანი- ჭებდა და აღნიშნავდა, რომ „ხშირად გაცილებით რთულია განსაზღვრო პირის დომიცილი, ვიდრე მისი მოქალაქეობა, ვინაიდან დომიცილი მნიშ- ვნელოვანწილად დამოკიდებულია პირის განზრახ- ულობაზე, რაც რთული დასამტკიცებელია... გარდა ამისა, დომიცილის კონცეფცია მნიშვნელოვნად

<sup>6</sup> И.Б. Новицкий. Римское право. М., 1994, с. 47.

<sup>7</sup> ლ. ჭანტურიას დასახ. ნაშრ., გვ. 138.

<sup>8</sup> იხ. Конституции и законодательные акты зарубежных государств XVII-XIX в.в. (сборник документов). Под ред. Проф. П.И. Галанзы. М., 1957, с. 254.

<sup>9</sup> Lehrmann/Hubner. Allgemeiner Teil des burgerlichen Gesetzbuches. 15. Aufl. S. 418. ციტირებულია: ლ. ჭან- ტურიას დასახ. ნაშრომიდან, გვ. 139.

<sup>10</sup> В.П. Звекон. Международное частное право (курс лекций), М., изд. «норма», 1999, с. 107-108.

განსხვავდება ერთმანეთისგან: არა მარტო სხვადასხვა სახელმწიფოში, არამედ ერთი და იმავე სახელმწიფოს ტერიტორიაზეც კი ხშირად წარმოიშობა განსხვავებული მიდგომა ამ ცნების განმარტებისას... დაბოლოს, იქ, სადაც დომიცილის პრინციპი ბატონობს, ყოველთვის არსებობს საფრთხე დომიცილის ფიქტიური შეცვლისა.<sup>11</sup> მართლაც, საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში დამკვიდრებული "Domicil" განსხვავდება კონტინენტური სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში დამკვიდრებული ანალოგიური ცნებისაგან. ინგლისურ-ამერიკული სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს წარმოშობით დომისაილს (domicil of origin) და არჩევით დომისაილს (domicil of choice).<sup>12</sup> ამ კონცეფციის ძირითადი არსი ისაა, რომ არავის არ შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე დომისაილი, ისევე, როგორც არ შეიძლება იყოს ადამიანი დომისაილის გარეშე<sup>13</sup> (კანონიერ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვს აქვს მამის დომისაილი, არაკანონიერ ქორწინებაში – დედის დომისაილი). არჩევითი დომისაილის მიხედვით, „...საჭიროა არა მარტო განსაზღვრულ ტერიტორიაზე ყოფნა, რომელსაც თავისი სამართლებრივი სისტემა გააჩნია, არამედ ინდივიდის განზრახულობა დარჩეს მოცემულ ადგილას სამუდამოდ“.<sup>14</sup> ამასთან, ძირითადი აქცენტი გადატანილია პირის მოცემულ ადგილზე ცხოვრების განზრახულობაზე და მნიშვნელობა არა აქვს ცხოვრების ხანგრძლივობას. მაგალითად, ერთ შემთხვევაში სასამართლომ არასაკმარისად ჩათვალია პირის ინდოეთში 25 წლის მანძილზე ცხოვრება იმისათვის, რომ მიეცა ინდოეთის დომიცილი, ვინაიდან მისი განზრახვა სამშობლოში – შოტლანდიაში დაბრუნება იყო. მეორე გადაწყვეტილებაში კანადელი, რომელსაც წარმოშობით დომიცილი ახალ შოტლანდიაში ჰქონდა, არ იქნა აღიარებული ინგლისში დომიცილირებულად, მიუხედავად იმისა, რომ იგი 40 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მსახურობდა ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებში, იმ მიზეზით, რომ

მას განზრახული ჰქონდა გარკვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში დაბრუნებულიყო ახალ შოტლანდიაში.<sup>15</sup>

ინგლისურ-ამერიკული ცნებების მსგავს ცნებებს იყენებს ფრანგული სამართალიც, ოღონდ განსხვავებული შინაარსით. კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის დომიცილი არის მისი მთავარი ადგილსამყოფელი (principal e'tablisement), რომელშიც იგულისხმება პირის ფაქტობრივი ყოფნის ადგილი. რაც შეეხება მის განზრახვას, იგი წესრიგდება კოდექსის 103-ე მუხლით, რომლის თანახმად, „საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ხორციელდება სხვა ადგილზე ნამდვილი ცხოვრების ფაქტით, რომელიც დაკავშირებულია განზრახვასთან, რომ იგი გახდეს მთავარი ადგილსამყოფელი“.<sup>16</sup> საცხოვრებელი ადგილის ცნებას განსაზღვრავს იტალიური სამართალიც. კერძოდ, კოდექსის 43-ე მუხლის მიხედვით, საცხოვრებელი ადგილი (domicilio) არის ადგილი, რომელზეც პირს აქვს თავისი საქმიანობისა და ინტერესების უმთავრესი ნაწილი, ე.ი. ადგილი, რომელსაც ადამიანი მუდამ უბრუნდება.<sup>17</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში საკანონმდებლო განმტკიცება პოვა პირადი კანონის ე.წ. „შერეულმა“ პრინციპმა, რომლის მიხედვითაც ფიზიკური პირის სამართლებრივი სტატუსი საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ნორმებში ალტერნატიულად წყდება – შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც მოქალაქეობის, ასევე საცხოვრებელი ადგილის კანონი. მაგალითად, შვეიცარიის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მიხედვით, სამოქალაქო ქმედუნარიანობა რეგულირდება პირის საცხოვრებელი ადგილის კანონის მიხედვით, მაგრამ, პირის სურვილით, მის სახელთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მოქალაქეობის კანონით. გარდა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა, აღნიშნული პრინციპი ასახულია საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც. მაგალითად, საერ-

<sup>11</sup> М. Вольф. Международное частное право, М., изд. «Иностранн. лит.» 1948, с. 121-122.

<sup>12</sup> Дж. Чешир, П. Норт. Международное частное право, М., изд. «Прогресс», 1982, с. 191.

<sup>13</sup> ლ. ჭანტურიას დასახ. ნაშრ., გვ. 174.

<sup>14</sup> ჯ. ჩემპინისა და პ. ნორტის დასახ. ნაშრ., გვ. 192.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 205.

<sup>16</sup> ლ. ჭანტურიას დასახ. ნაშრ., გვ. 175-176.

<sup>17</sup> Kindler, peter, Einführung in das italienische Recht, 1993, Rn 21. ციტირებულია ლ. ჭანტურიას დასახ. წიგნიდან, გვ. 179.



თაშორისო კერძო სამართლის კოდექსის (ბუსტამანტეს კოდექსი)<sup>18</sup> მე-7 მუხლის მიხედვით, „ითოეულ ხელშემკვერელ სახელმწიფოს პირად კანონად შეუძლია გამოიყენოს საცხოვრებელი ადგილის (დომიცილის) ან მოქალაქეობის კანონი, ანდა ის კანონები, რომლებიც უკვე მიღებულია ან მიიღება მომავალში მის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში“.<sup>19</sup>

უცხოელი ფიზიკური პირის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. უცხოელი ინვესტორი, აპირებს რა განახორციელოს კაპიტალდაბანდებები მოცემულ ქვეყანაში, ცდილობს, უპირველეს ყოვლისა, შეისწავლოს, თუ რა შეზღუდვები ან პრივილეგიები გააჩნია მას ინვესტიციების მიმღები ქვეყნის კანონმდებლობით. უცხო ქვეყნის ფიზიკური პირების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს თანამედროვე სამართალში პირობითად „უცხოელთა სამართალს“ უწოდებენ. „უცხოელთა სამართლებრივ სტატუსს მიეკუთვნება დასახლებასთან, სამუშაოზე მიღებასთან, სამეწარმეო საქმიანობასთან და ა.შ. დაკავშირებული საკითხები“.<sup>20</sup> გარდა ამისა, არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც „უცხოელთა სამართლის ცნებაში“<sup>21</sup> უნდა ვიგულისხმოთ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც ზღუდავს უცხოელთა უფლებებს. შეზღუდვები, ძირითადად, ეხება გადაადგილებას, განსაზღვრული პროფესიით საქმიანობის უფლებას, უძრავი ქონების შეძენის უფლებას და ა.შ. ზოგიერთი სახის უძრავ ნივთზე უცხოელთა მიერ საკუთრების

უფლების შეძენას ზღუდავს ქართული სამართალიც. მაგალითად, საქართველოს 1996 წლის 22 მარტის კანონის „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ მე-5 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს და უცხო ქვეყნის მოქალაქეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიეცემა მხოლოდ იჯარით.<sup>22</sup> პროფ. ა. ლაბარტყავა სამართლიანად მიიჩნევს, რომ ეს შეზღუდვა „... სრულიადაც არ ნიშნავს საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან უცხო ქვეყნების მოქალაქეთა მიმართ მიწათსარგებლობის საკითხებთან მიმართებაში უსამართლო მოპყრობასა და დისკრიმინაციას. საქართველოში სამეწარმეო, კომერციული თუ სხვა სახის საქმიანობის მსურველ უცხოელებს წინამდებარე კანონით მინიჭებული აქვთ უფლება გამოიყენონ საქართველოს მიწა სარგებლობის უფლებით, მაგრამ სამუდამოდ მათი ბატონ-პატრონი არ უნდა იყვნენ. მიწების მესაკუთრე უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაინტერესებული იქნება ქართული მიწის დღევანდელით და იზრუნებს მის მომავალზეც, ამასთან, დაეკისრება პასუხისმგებლობა მისი ავკარგიანობისათვის საერთოდ და ყოველთვის“.<sup>23</sup>

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში „უცხოელთა სამართალი“, ცხადია, არ არის სამართლის ცალკე დარგი, რომლის ნორმებიც დაარეგულირებდნენ უცხოელებსა და ადგილობრივ მოქალაქეებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს. არის ქვეყნები, სადაც უცხოელთა სამართალი აღმინისტრაციული სამართლის ქვედაგად ითვლება. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება პანდექტიური სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნები (გერმანია, ავსტრია და ა.შ.). ამასთან, ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი მიიჩნევს, რომ, მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებთან ერთად, უცხოელთა სამართალში კოლიზიური ნორმე-

<sup>18</sup> აღნიშნული კოდექსი მიღებულია 1928 წლის 25 ნოემბერს პანამურიკულ კონფერენციაზე. მისი ავტორი იყო ცნობილი კუბელი იურისტი ბუსტამანტე, რომლის გვარის მიხედვითაც იწოდება აღნიშნული კოდექსი. ბუსტამანტეს კოდექსი საერთაშორისო კერძო სამართლებრივ დოქტრინაში მიჩნეულია უნიკალურად იმ თვალსაზრისით, რომ ის ერთადერთი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, სადაც უნიფიცირებულია უცხოურ ელემენტთან დაკავშირებული ყველა სახის კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი კოლიზიური ნორმები.

<sup>19</sup> იხ. Г.К. Дмитриева, М.В. Филимонова. . Международное частное право. Действующие нормативные акты, М., 1999, с. 13.

<sup>20</sup> იხ. J. Frowein, J. Wolf. Auslandsrecht im Internationalen Vergleich, Heidelberg, 1985.

<sup>21</sup> იგულისხმება იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობას ქვეყანაში.

<sup>22</sup> იხ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა მიწის შესახებ (1999 წლის 1 მარტის მდგომარეობით), თბ., 1999, გვ. 39.

<sup>23</sup> აკაკი ლაბარტყავა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონის კომენტარები. პირველი გამოცემა, თბ., 1999, გვ. 35.

ბიც შედის.<sup>24</sup> რაც შეეხება საფრანგეთს და იმ ქვეყნებს, რომლებმაც ფრანგული სამოქალაქო სამართლის გავლენით პანდექტურ სისტემას ინსტიტუციური სისტემა ამჯობინეს, უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი ნორმები (*la condition des entrangers*) საერთაშორისო კერძო სამართლის სისტემაშია ჩართული.<sup>25</sup> როგორც ა. ნ. მაკაროვი აღნიშნავს, ისტორიულად მოქალაქეობასთან დაკავშირებული ნორმები საერთაშორისო კერძო სამართალში ჯერ კიდევ იმ დროს იყო ჩართული, როცა არ არსებობდა მოქალაქეობის ზოგადი განმარტება – არსებობდა მოქალაქეობა კერძო სამართლისათვის (რომელსაც, რა თქმა უნდა, საერთაშორისო კერძო სამართალიც მიეკუთვნებოდა) და მოქალაქეობა საჯარო სამართლისათვის.<sup>26</sup> თანამედროვე კონცეფციით კი, თითოეული სახელმწიფო თავად წყვეტს, ფლობს თუ არა ესა თუ ის პირი აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეობას.

„უცხოელთა სამართალი“, ჩვეულებრივ, განსაზღვრავს უცხოელთა სამართლებრივ სტატუსს როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით ეს ნორმები, ძირითადად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივია, ხოლო ფართო გაგებით უცხოელთა სამართალი მოიცავს ნორმათა ერთობლიობას და ისინი გაბნეულია სამართლის სხვადასხვა დარგში. ერთ-ერთ ასეთ დარგად სწორედ საინვესტიციო სამართალი უნდა იქნეს მიჩნეული.

ადმინისტრაციული და სხვა საჯარო სამართლის დარგებისაგან განსხვავებით, საერთაშორისო კერძო სამართლის კერძო ქვედარგი – საინვესტიციო სამართალი გაცილებით მეტ უფლებებს ანიჭებს უცხოელ ინვესტორებს (უცხო ქვეყნის მოქალაქეებს). თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ საჯარო სამართალი, შეზღუდვებთან ერთად, გარკვეულ დამატებით გარანტიებსაც უქმნის უცხოელებს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციურ (სახელმწიფო) სამართალში გამოყოფენ რამდენიმე პრინციპს, რომელიც უცხო

ქვეყნის მოქალაქეებს ადგილობრივ მოქალაქეებთან ათანაბრებს. ამ პრინციპებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს ე.წ. ეროვნული რეჟიმის პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ „...ყველა უცხოელი, რომელიც ექვემდებარება საქართველოს იურისდიქციას, სარგებლობს, ძირითადად, იმავე უფლებებით და გააჩნია იგივე მოვალეობები, რაც საქართველოს მოქალაქეებს. მეორე, უცხოელების მიერ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას განუყოფლად უნდა ერწყმოდეს მათი მოვალეობების შესრულებაც, უპირველეს ყოვლისა, მათ არ უნდა მიაყენონ ზიანი საქართველოს ინტერესებს. მესამე, საქართველოს კანონმდებლობა ხელმძღვანელობს უცხოელების კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპით და არ უშვებს რაიმე დისკრიმინაციულ შეზღუდვებს რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისა და სხვა ნიშნების მიხედვით. მეოთხე, კანონმდებლობით გათვალისწინებული უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობა გარანტირებულია საქართველოს მიერ“.<sup>27</sup> ამკარაა, რომ აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპები უცხოელ ინვესტორებს ათანაბრებს ადგილობრივ მეწარმეებთან და ინვესტორებთან და უქმნის გარკვეულ გარანტიებს, რაც შესაბამისად აისახება შიდასახელმწიფოებრივ მიმდინარე კანონმდებლობაში.

გარდა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა, უცხოური ინვესტიციების სუბიექტთა განმარტებებს საერთაშორისო ხელშეკრულებებიც შეიცავს, მაგალითად, როგორც წესი, უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებები განმარტავენ, რომ „მოქალაქეები“ ნიშნავს ერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობით მოქალაქეობისა და უფლებაუნარიანობის მქონე, მის ტერიტორიაზე ან საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრებ და მეორე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ინვესტიციების განმხორციელებელ პირებს“.<sup>28</sup> როგორც წესი, ამგვარი სახის ორმხრივი ხელშეკრულებები „ინ-

<sup>24</sup> იხ. მაგალითად, Bar Ch. Von. Internationales privatrecht, München, 1987, s. 203-204.

<sup>25</sup> . Международное частное право (современные проблемы), под ред. проф. М.М. Богуславского, М., ИПГ „LAW“, 1994, с. 19.

<sup>26</sup> Makarov A. N. Allgemeine Lehren des Staatsangehörigkeits. Tübingen, 1962, s. 103.

<sup>27</sup> პაატა ცნობილად, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ., 1996, გვ. 158-159.

<sup>28</sup> იხ. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უზბეკეთის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ... ქ. ტაშკენტი, 1995წ. 4 სექტემბერი, მუხლი I, 3.5.

ვესტორის“ ცნებაში გულისხმობენ იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც ითვლებიან შესაბამისი ქვეყნის მოქალაქედ – მისი კანონმდებლობის შესაბამისად. გამონაკლისია გერმანიასა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება, სადაც, განსაკუთრებულ ვითარებათა გამო, ეს საკითხი სხვაგვარადაა გადაწყვეტილი. ამ შეთანხმების შესაბამისად, ინვესტორად ითვლება ის ფიზიკური პირი, რომელსაც გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ხელშეკრულების მოქმედების სივრცეში (ტერიტორიაზე). აღნიშნულ შეთანხმებას საფუძვლად უდევს გერმანიის ტერიტორიაზე ინვესტორის მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და არა მოქალაქეობის პრინციპი. მოქალაქეობის პრინციპის უარყოფა დაკავშირებულია გერმანიის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 116-ე მუხლში ჩამოყალიბებულ კონცეფციასთან, რომლის მიხედვითაც, „გერმანელად, ამ ძირითადი კანონიდან გამომდინარე, მიიჩნევა პირი, რომელსაც აქვს გერმანიის მოქალაქეობა, ან როგორც გერმანული ეროვნების ლტოლვილმა ან ხიზანმა, ან მისმა მუდმივ ან შთამომავალმა თავშესაფარი პოვა გერმანიის იმპერიის ტერიტორიაზე 1937 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით“. აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „გერმანიის ყოფილ მოქალაქეებს, რომლებსაც 1933 წლის 30 იანვრიდან 1945 წლის 8 მაისამდე პერიოდში ჩამოერთვათ მოქალაქეობა პოლიტიკური, რასობრივი ან რელიგიური მოტივებით, აგრეთვე მათ შთამომავლებს, მოთხოვნის საფუძველზე, შეიძლება აღუდგინონ მოქალაქეობა. ისინი არ ჩაითვლებიან მოქალაქეობაჩამორთმეულ პირებად, თუ 1945 წლის

8 მაისის შემდეგ მათ მიიღეს გერმანიაში საცხოვრებელი ადგილი და არ გამოუხატავთ საწინააღმდეგო სურვილი“.<sup>29</sup> ვინაიდან ყოფილ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ვერ გადაწყდა ე.წ. „Volksdeutsche“-ბის საქმე, რომლებიც მრავლად ცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები იძულებულნი იყვნენ საერთოდ ეთქვათ უარი ინვესტორების მიმართ მოქალაქეობის პრინციპის გამოყენებაზე და ფიზიკური პირების განსაზღვრულ ტერიტორიაზე მიკუთვნების ფაქტიდან გამოსულიყვნენ“.<sup>30</sup>

ზემოაღნიშნულ შეთანხმებაში გათვალისწინებულ სუბიექტთა ფართო წრეს შეიძლება მივაკუთვნოთ ევროპის კავშირის წევრ-სახელმწიფოთა მოქალაქეებიც, რომლებსაც რომის ხელშეკრულების 52-ე მუხლის მიხედვით, „უფლება აქვთ დასახლდნენ გერმანიაში და შეიძინონ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“.<sup>31</sup>

გარდა უცხო ქვეყნების მოქალაქეებისა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უცხოელ ინვესტორებად ითვლებიან აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები<sup>32</sup> და ადგილობრივი მოქალაქეები, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ. ბელორუსიის, ესტონეთის, თურქმენეთის, საქართველოს, რუსეთისა და პოსტკომუნისტური სივრცის სხვა სახელმწიფოები თავიანთ საინვესტიციო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნულ პირებს უცხოელ ინვესტორებად მიიჩნევენ და მათზე ავრცელებენ ყველა იმ გარანტიებსა და შეზღუდვებს, რასაც უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ინვესტორებს უწესებენ, ამიტომაც მათზე ცალკე არ შევჩერდები.

გვიან პაბისონია,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ასპირანტი.

<sup>29</sup> გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი (1993 წლის ივნისის მდგომარეობით) (თარგმანი რ. მიგრაულისა), თბ., 1995 წ.

<sup>30</sup> C-Th. Ebenroth, B. Bippus. Der Deutsch-sowjetische Investitionsschutz, vertag – Recht der Investizionalen Wirtschaft. 1989. H. 7, Beieage, s.4.

<sup>31</sup> М.М. Богуславский. Иностраннные инвестиции...с. 70.

<sup>32</sup> მოქალაქეობის არმქონე პირებად ითვლებიან ისინი, რომლებსაც არ შეუძლიათ დაამტკიცონ რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობისადმი კუთვნილება. მაგალითად, ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით, ავსტრიის ტერიტორიაზე ნაპოვნი 6 თვეზე მეტი ხნის ბავშვი მიიჩნევა მოქალაქეობის არმქონე პირად. მოქალაქეობის არქონა შეიძლება წარმოშვას მოქალაქეობის დაკარგვამაც. (Конституционное (Государственное) право зарубежных стран. Т. 1-2 (общая часть) под. ред. Б.А. Страшуна, М., 1996, с. 129).

## ღელა კოპალეიშვილი

### მომხმარებლის უფლებები

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად მომხმარებელი არის – პირადი საჭიროებისათვის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გამოძეწეველი, შემძენი, შემკვეთი ან ასეთი განზრახვის მქონე მოქალაქე.

მომხმარებელთა მოძრაობის ისტორიაში, ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი ამერიკის პრეზიდენტ კენედის სოციალური მიმართვა იყო ამერიკის კონგრესისადმი 1962 წელს – „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.“ ამ მიმართვაში, მან ოთხი ძირითადი წესი გამოყო:

1. უფლება უსაფრთხოებაზე – ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო საქონლის გაყიდვისგან დაცვის უფლება;

2. უფლება ინფორმაციაზე – დაცვა იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელს საქონლის არჩევისას მიეწოდება ტყუილი, თაღლითური ინფორმაცია, რეკლამა, წარწერა საქონელზე;

3. არჩევის უფლება – კონკურენტუნარიანი ფასის შემთხვევაში, ჰქონდეს შესაძლებლობა სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე.

4. გარანტია უფლებების დაცვაზე – მომხმარებელი იყო დარწმუნებული, რომ მისი ინტერესი მთლიანად გათვალისწინებულია მთავრობის პოლიტიკის შემუშავებისას. ხოლო მათი საჩივრები, დროთა განმავლობაში განხილული იქნება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ.

1995 წელს ევროკავშირის საბჭომ მომხმარებლის ხუთი ძირითადი პრინციპი აღიარა:

1. კანონმდებლობისა და უსაფრთხოების დაცვის უფლება;
2. ეკონომიკური ინტერესების დაცვის უფლება;
3. ზარალის ანაზღაურების უფლება;

4. ინფორმაციისა და ცოდნის უფლება;
5. უფლება წარმომადგენლობაზე.

ბევრს ეს უფლებები მოეჩვენება ჩვეულებრივი, შეიძლება ითქვას, რეალობას მოკლებული, მაგრამ მიუხედავად მათი ფართო აღიარებისა, საეჭვოა, რომ ისინი მთლიანად განხორციელებული იყოს სადმე მსოფლიოში.

ხელმძღვანელ პრინციპებში ჩართულია:

1. ფიზიკური უსაფრთხოება;
2. მომხმარებლის ეკონომიკური პრინციპები, ან შეთანხმება და მათი დაცვა;
3. უსაფრთხოების სტანდარტი და ხარისხი, მათ შორის გამოცდა და სერტიფიკაცია;
4. ძირითად სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებას შორის გამანაწილებელი ქსელის არსებობა;
5. სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალება;
6. განათლებისა და ინფორმაციის პროგრამა;
7. განსაზღვრული სფეროების ღონისძიებები. განსაკუთრებით გასაყიდი საქონლით, წყლითა და ფარმაცევტულ პრეპარატებით მომარაგება;
8. საერთაშორისო თანამშრომლობა.

ეს პრინციპები დროთა განმავლობაში ძირითადი საფუძველი გახდა რეზოლუციისა, რომელიც პოლონეთის მომხმარებელთა ფედერაციის მიერ იქნა შემუშავებული 1991 წელს და ერთხმად მიიღო მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციის მომხმარებელთა კავშირმა.

1996 წელს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის მიღებით საქართველო ახორციელებს იმ საერთო მიდგომას, რომელიც ხდება ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ყველა-



ქვეყანაში და დსთ-ს წევრ ქვეყნებში. ქართველ მომხმარებელს ამ კანონის გარდა შეუძლია ისარგებლოს დაცვით, რომელსაც უზრუნველყოფს ახალი სამოქალაქო კოდექსი მიღებული 1997 წლის 25 ნოემბერს. კოდექსი მომხმარებელთა დაცვის თვალსაზრისით შეიცავს მუხლებს ისეთ ორ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა:

1. ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერი პირობები;

2. უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულება. როგორც ცნობილია, ეს ორივე საკითხი იყო ევროგაერთიანების რეგულირების საგანი. აღსანიშნავია, რომ ფუნდამენტალური ცვლილებები, რომლებსაც ითვალისწინებს ეს ორი დირექტივა, ფაქტობრივად შეტანილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. მოქმედი სამოქალაქო კოდექსი შეიცავს აგრეთვე, რამდენიმე მუხლს სამომხმარებლო კრედიტისა და განვადებით გაყიდვის თაობაზე.

კანონის მიზანია დააბალანსოს ბაზარზე პროფესიონალურ მომწოდებელთა და მომხმარებელთა შორის არსებული ურთიერთობები. რეალური პირობები, რომლებიც სამომხმარებლო სფეროს ახასიათებენ, კითხვის ქვეშ აყენებენ იმას, თუ რამდენად ეფექტიანია მომხმარებელთა უფლებების დამცველი, ტრადიციული, სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება. სამართალი მოითხოვს ეკონომიკური და სოციალური სისტემების შიგნით რესურსების უკეთეს დისტრიბუციას და ეს ეხება, როგორც ჯანმრთელობას, ასევე ენერჯეტიკას, განათლებას, ინფორმაციას, სხვადასხვა დანტერესებული ოპერატორების უფლებების წარმოდგენას და წახალისებას. ამასთან, იდეალური დემოკრატიული წესების თანახმად, გათვალისწინებული უნდა იყოს მომხმარებელთა კოლექტიური ინტერესები, მათი ორგანიზაცია და წარმომადგენლობა.

სამომხმარებლო კანონი ახლებურად აშუქებს საბაზრო ურთიერთობებს, რომლებიც განსხვავდება სხვა სამართლებრივი დისციპლინებისაგან.

უდიდესი პრობლემა მომხმარებლის გაუთვითცნობიერებლობა სამომხმარებლო საკითხებში, ფასებისა და ტარიფების არაადეკვატური ინდიკაცია, საკონტრაქტო სისტემების, საგარანტიო პირობებისა და მომხმარებელთა ინფორმირების დამოუკიდებელი სისტემების არარსებობა და სხვა.

საქართველოში, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში, მომხმარებელი ტრადიციულად უფლებო იყო. არ არსებობდა მომხმარებელთა დაცვის საკანონმდებლო საფუძვლები. მომხმარებელი იძენდა იმას, რასაც და რა ფასადაც სთავაზობდნენ. იგნორირებული იყო მომხმარებლის მთელ მსოფლიოში აღიარებული თავისუფალი არჩევანის, საქონლის (მომსახურების), დამამზადებლისა და გამყიდვლის შესახებ ინფორმაციის მიღების, უსაფრთხოებისა და სხვა უფლებები.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, საქართველოში ყველა მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს:

- საქონლის, სამუშაოს, სავაჭრო და სხვა სახის მომსახურების სათანადო ხარისხი;
- პროდუქციის უსაფრთხოება;
- სანდო ინფორმაცია პროდუქციის რაოდენობაზე, ხარისხსა და ასორტიმენტზე;
- არასათანადო ხარისხის მქონე და/ან მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, აგრეთვე მისი ქონებისათვის საზიანო პროდუქციით მიყენებული ზარალის ანაზღაურება;
- საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოსა და შესაბამისი რწმუნების მქონე სახელმწიფო ორგანოების მიერ;
- მომხმარებელთა კავშირებში და საზოგადოებებში გაერთიანება.

მწარმოებელი, გამყიდველი და მომსახურების გამწვევი ვალდებული არიან გაყიდონ საქონელი, რომლის ხარისხი შეესაბამება არსებულ სტანდარტებს. მწარმოებელი და მომსახურების გამწვევი ვალდებული არიან უზრუნველყონ საქონლის გამოყენება მისი დანიშნულებისამებრ. მწარმოებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის შეკეთება მისი გამოყენების მანძილზე.

კანონში ნათალადაა მოცემული განსხვავება გამაფრთხილებელ ვალდებულებათა და აუცილებელ ვალდებულებათა შორის.

მწარმოებელი ვალდებულია საქონელზე მიუთითოს პროდუქციის უსაფრთხოების ვადა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მომხმარებლისათვის ზიანის მიყენება ვადის გასვლის შემთხვევაში, აგრეთვე იგი ვალდებულია უზრუნველყოს სათანადო ინფორმაციით.





მწარმოებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროდუქციის უსაფრთხოება ვარგისიანობის ვადის განმავლობაში.

უსაფრთხოების ან უსაფრთხო საქონლის კონცეფციის განსაზღვრის უქონლობის და საქონლის შეუსაბამობას არსებულ სტანდარტებთან, ვინაიდან კანონი არ მოიცავს „არაუსაფრთხო საქონლის“ მცნებას, საქონლის არაუსაფრთხო ხასიათს განაპირობებს არსებულ სტანდარტებთან შეუსაბამობა. უსაფრთხოების სტანდარტები ვრცელდება სხვადასხვა საქონელზე, მაგრამ ისინი არ მოიცავენ საქონლის ყველა სახეობას. აღსანიშნავია, რომ საქონელი შეიძლება იყოს მავნე მაშინაც, როდესაც შეესაბამება სტანდარტებს. გარდა ამისა, ზოგიერთ საქონელზე შეიძლება არც იყოს სტანდარტი, როგორც ახლად გამოშვებულ და მოკლევადიან საქონელზე.

და ბოლოს, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ისეთ საკითხზე, რომელიც ეხება საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დებულებას და დაცული უნდა იყოს არა მხოლოდ მომხმარებლის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, არამედ საკუთრებაც, გარემოს უსაფრთხოებაც. ასეთი დებულება არ არის შეტანილი ევროკავშირის დირექტივაში. რა თქმა უნდა, უსაფრთხოების სათანადო პოლიტიკა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მომხმარებელთა ფიზიკური მდგომარეობის დაცვით.

წინასწარი საბაზრო კონტროლის პერსპექტივა ითვალისწინებს ტექნიკური სტანდარტების ან წესების დაცვის ვალდებულებას.

ამ ვალდებულების გარდა აუცილებელია დაცული იყოს მწარმოებლისა და გამყიდველის ვალდებულებები, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროკავშირის დირექტივით. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ისევე როგორც ევროკავშირის დირექტივით, გათვალისწინებულია მომხმარებელთა ინფორმაციით უზრუნველყოფა. სამაგიეროდ, ამ კანონით არ არის გათვალისწინებული ბაზარზე გამოტანილი საქონლის ბოლომდე განსაზღვრის და ამისათვის აუცილებელი ღონისძიებების ვალდებულება.

საქართველოს კანონით, ისევე როგორც ევროკავშირის დირექტივით, გათვალისწინებულია მწარმოებელთა ვალდებულება მავნე საქონ-

ლის წარმოების შეწყვეტისა და მისი ბრუნვიდან ამოღების შესახებ. საქართველოს კანონი ევროდირექტივისაგან განსხვავებით, უზრუნველყოფს საქონლის ამოღებას თვით მომხმარებლის ადგილმდებარეობიდან, ამასთან, ითვალისწინებს მომხმარებლის კომპენსაციასაც.

ევროკავშირის დირექტივაში განსაზღვრულია იმ საქონლის ვარგისიანობის ვადა, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მომხმარებლის ჯანმრთელობას. ამგვარი ვალდებულება მიუღებელია დღევანდელი საბაზრო პირობებისათვის. ძალიან ძნელი და მძიმე ამოცანაა საქონლის ყველა სახეობისათვის განსაზღვრული იყოს ვარგისიანობის ვადა და გათვალისწინებული იყოს ის მომენტი, რომლიდანაც საქონელი ხდება მავნე და აგრეთვე იმ კონკრეტული ღონისძიებების დაწესება, რომლებიც განხორციელებული უნდა იყოს მომხმარებლის მიერ. მეორე მხრივ, მწარმოებლის მიერ ვადების მითითებამ შესაძლოა გამოიწვიოს უსაფრთხოების დისკრედიტირება, თუ უბედური შემთხვევა მოხდება აღნიშნული ვადის შემდეგ; თუ უბედური შემთხვევები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, შესაბამისად, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი აგრეთვე უსაფრთხოების მოთხოვნები. როგორც უკვე აღინიშნა, საქონლის მოხმარების ვადა უნდა შეესაბამებოდეს იმ ვადას, რომელსაც მოითხოვს მომხმარებელი და არა მწარმოებლის მიერ დაწესებული ვადა.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ასამოქმედებლად დადგენილი წესით დამტკიცებულია 25 ნორმატიული აქტი შემდეგ საკითხებზე: პროდუქციის გაყიდვა, საქონლის გაყიდვა ნიმუშების მიხედვით, სამომხმარებლო კრედიტი, ალკოჰოლური სასმელებისა და სხვა განსაკუთრებული საკვები პროდუქტების გაყიდვა; ბეწვეულის, ოქროსა და ძვირფასი ლითონების გაყიდვა, გაყიდვა ბინაზე მიტანით, კომუნალური მომსახურება; მომხმარებელთა მომსახურება; ახალი ავტომანქანების გაყიდვა და მომსახურება და სხვა.

ამ წესების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა ევალება საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკანონმდებლო ბაზა სრულყოფილია და შესაბამისი ბერკეტებიც არსებობს, რომ



მაქსიმალურად იყოს დაცული მომხმარებელთა უფლებები. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს თეორიულ ჭრილში. პრაქტიკულად თუ მიუღწევით საკითხს, საკანონმდებლო ბაზა სრულყოფას მოითხოვს. მაგალითად, თბილისში (ისევე, როგორც საქართველოს სხვა ქალაქებში) ბოლო დროს საკმაოდ მომრავლდა აგრარული ბაზრები – საკვები პროდუქტების ფართო არჩევანით. დღეს, მართალია, მომხმარებელთა უმრავლესობა არ არის საემარისად ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა უფლებები გააჩნია მას, მაგრამ თუ მაინც ვინმე დაინტერესდება და პროდუქციის შექენამდე პროდუქტის ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს – სერტიფიკატს მოითხოვს (მაგ., ძეხვეული, ქათამი სამამულო და იმპორტული წარმოების), გამყიდველი მას ვერ წარმოუდგენს. ბევრ შემთხვევაში მწარმოებელს სერტიფიკატი ასეთი პროდუქციის წარმოებაზე აქვს. იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებელს, და/ან გამყიდველს არ ექნება სერტიფიკატი და მის საქმიანობაში ადგილი ექნება ვაჭრობის წესების დარღვევას, მაკონტროლებელი ორგანო, ამ კონკრეტულ მაგალითთან დაკავ-

შირებით, ვაღიარებ ვალდებულია შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (მუხლი 239), რომელიც დაუყოვნებლივ (მუხლი 241) ეგზავნება საქმის განმხილველ ორგანოს – სასამართლოს. თუ მწარმოებელი და/ან გამყიდველი ჯარიმდება და ჯარიმის გადახდის შემდეგ კვლავ განაგრძობს მოქმედი კანონმდებლობის უხეშ დარღვევას, ასეთი ქმედება განზრახი ბრალით შეიძლება დაკვალიფიცირდეს.

მიმაჩნია, რომ ამ საკითხის (მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის, ვაჭრობისა და მომსახურების წესების) არსებითად გადასაწყვეტად აუცილებელია შემუშავდეს ცვლილებების პროექტი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153-ე მუხლში, სადაც შედარებით გამკაცრებული იქნება პასუხისმგებლობის ზომა. მაგალითად, ჯარიმასთან ერთად გამყიდველს და/ან მწარმოებელს უნდა ჩამოერთვას პროდუქცია და მოხდეს კონფისკაცია, ხოლო დანაშაულის ხარისხიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოხდეს წარმოების შეჩერებაც.

ლელა კოვალიშვილი,  
საქართველოს სახელმწიფო  
ანგემონოპოლიური სამსახურის  
იურიდიული სამმართველოს უფროსი.



გიორგი ჭილაძე

## უფლებათა უზღუდვა საქართველოს საპატენტო კანონით

საპატენტო კანონმდებლობის ჩამოყალიბებას მსოფლიოში ხანგრძლივი ისტორია და ტრადიციები გააჩნია, რაც სათავეებს იღებს ვენეციასა და ინგლისის სამეფოში XIV-XVI საუკუნეებში. საპატენტო სამართლის საკანონმდებლო ნორმების შემდგომ ფორმირებასა და დახვეწას ბიძგი მისცა სამრეწველო რევოლუციამ, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებამ, ახალი ტექნიკური საშუალებებისა და ტექნოლოგიების პროგრესმა, რამაც 1883 წელს განაპირობა სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში ფუძემდებლური საერთაშორისო ხელშეკრულების – პარიზის კონვენციის მიღება.

1999 წლის 5 თებერვლის საქართველოს საპატენტო კანონი ერთდროულად მოიცავს სამრეწველო საკუთრების სამ ობიექტს – გამოგონებას, სასარგებლო მოდელს და სამრეწველო ნიმუშს. იგი არეგულირებს აღნიშნული ობიექტების შექმნასთან, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებულ ქონებრივსა და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს.

საქართველოს საპატენტო კანონის მე-7 მუხლი აწესრიგებს გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე, რომელიც შესაბამისი კომპენტენტური ორგანოს მიერ გასაიდუმლოებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისით, პატენტის გაცემის პროცედურას.

აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს საპატენტო კანონი ერთგვარად ზღუდავს გასაიდუმლოებას დაქვემდებარებული ინფორმაციის სახეებს და აწესებს დათქმას, რომ მხოლოდ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის კრიტერიუმია გადამწყვეტი იმისათვის, რომ გამოგონება და სასარგებლო მოდელი იყოს გასაიდუმლოებული.

ამის დასტურად გამოდგება 1996 წლის 29

ოქტომბრის საქართველოს კანონი “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ”, რომლის პრეამბულაში ნათქვამია, რომ საიდუმლო ინფორმაციას მიეკუთვნება აგრეთვე ინფორმაცია, რომელიც გასაიდუმლოებულია და განკუთვნილია ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის სფეროში. სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის მე-7 მუხლში საუბარია იმ ინფორმაციაზე, რომელიც შესაძლებელია მიჩნეული იყოს სახელმწიფო საიდუმლოებად, კერძოდ, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებები, აგრეთვე სამეცნიერო გამოკვლევის შედეგები. 1996 წლის 20 თებერვლის საქართველოს კანონი “სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ” და 1998 წლის 18 თებერვლის საქართველოს კანონი “სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ” შეიცავენ ნორმებს, რომლებითაც შესაბამის უწყებებს არ ეკრძალებათ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება, ხოლო საჭირო შემთხვევაში მათ შეიძლება ხელშეკრულებით მოიწვიონ მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები.

გარკვეულ შეზღუდვებს შეიცავს აგრეთვე საქართველოს საპატენტო კანონის მე-7 მუხლის პ.2, რომლის ძალითაც გასაიდუმლოება დასაშვებია მხოლოდ ორი წლის ვადით, რაც პატენტის მოქმედების ვადის განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი ორი წლით. იმავე კანონის მე-5 მუხლით კი დადგენილია, რომ გამოგონების პატენტის მოქმედების ვადაა 20 წელი, ხოლო სასარგებლო მოდელის პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 8 წლით “საქპატენტში”



განაცხადის შეტანის დღიდან. საქართველოს საპარტენტო კანონით შემოთავაზებული "გასაშუალებული" ორწლიანი ვადის დაწესება სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე გაცემულ პატენტის ვადებთან არაადეკვატურია სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის მე-14 მუხლისა, სადაც ნათქვამია, რომ ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა დამოკიდებულია მისი საიდუმლოების ხარისხზე. "განსაკუთრებული მნიშვნელობის" ინფორმაციისათვის იგი შეადგენს არა უმეტეს 20 წელს, "სრულიად საიდუმლო" ინფორმაციისათვის – არა უმეტეს 10 წელს, "საიდუმლო" ინფორმაციისათვის – არა უმეტეს 5 წელს. დასაიდუმლოების ვადის ათვლა იწყება ინფორმაციის შემცველზე საიდუმლოების გრიფის აღნიშვნის თარიღიდან. საქართველოს საპატენტო კანონის მე-7 მუხლიდან გაურკვეველია, თუ საიდუმლოების რომელი გრიფი შეიძლება მიენიჭოს ზოგადად გამოგონების ან სასარგებლო მოდელის პატენტს. 2 წლიანი გასაიდუმლოებული ვადის დაწესება, ჩემი აზრით, ასევე მიზანშეწონილი არაა იმ მოსაზრებით, რომ თუ შესაბამისმა კონკრეტულმა უწყებამ ყოველწლიურად, დადგენილი წესით, შეფასების საფუძველზე და სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად პატენტზე მოხსნა გრიფი, ეს ვერ გახდება საფუძველი იმისათვის, რათა მოხდეს საიდუმლო გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის გასაიდუმლოება, ვინაიდან საქართველოს საპატენტო კანონის მე-7 მუხლის 3.2 ითვალისწინებს ასეთი გადასინჯვის აუცილებლობას ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

საქართველოს საპატენტო კანონის 31-ე მუხლი აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს საქართველოში შექმნილ გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელის განაცხადზე. კერძოდ, მათი უცხო ქვეყნის საპატენტო უწყებაში წარდგენამდე, განმცხადებელი ვალდებულია შეიტანოს განაცხადი "საქპატენტში" და სთხოვოს მას უცხო ქვეყანაში დაპატენტების ნებართვა.

ქვეყნებისათვის, რომლებიც მიერთებულნი არიან 1883 წლის 20 მარტის პარიზის კონვენციას სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ, საპატენტო განაცხადის წარდგენის დროს დგინდება გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საქართველოს საპატენტო კანონის მოცემულ მუხლთან დაკავშირებით კონვენციაში არაფერია ნათქვამი იმის

აუცილებლობის შესახებ, რომ განმცხადებელმა აუცილებლად უნდა განაცხადოს ადგილობრივ საპატენტო ორგანოში და დაელოდოს მის გადაწყვეტილებას, რათა შემდეგ, როგორც მესაკუთრემ მიიღოს განაცხადის უცხო ქვეყანაში დაპატენტების უფლება.

ცხადია, რომ 31-ე მუხლის 3.1 ვერ აიძულებდა საქართველოში შექმნილი გამოგონებისა ან სასარგებლო მოდელის განაცხადის განმცხადებელს ეს განაცხადი უშუალოდ შეეტანა "საქპატენტში", ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვეოდა პარიზის კონვენციის მე-4 მუხლი, რომლის ძალითაც ნებისმიერ პირს ან მის უფლებამონაცვლეს, რომელმაც დადგენილი მოთხოვნების დაცვით კავშირის რომელიმე ქვეყანაში შეიტანა განაცხადი გამოგონებაზე, ან სასარგებლო მოდელის რეგისტრაციაზე, კავშირის სხვა ქვეყნებში განაცხადის შეტანისას სარგებლობს პრიორიტეტის უფლებით კონვენციით დადგენილი ვადების განმავლობაში.

ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, თუ განხორციელდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში მოპოვებული პატენტების დამოუკიდებლობის პრინციპი – სხვადასხვა ქვეყანაში კავშირის ქვეყნების მოქალაქეთა მიერ მიწოდებული განაცხადების საფუძველზე მიღებული პატენტები იქნებოდა დამოუკიდებელი იმ პატენტებისაგან, რომლებიც იმავე გამოგონებისათვისაა გაცემული კავშირის სხვა წევრ ან არაწევრ ქვეყნებში და ამ პრინციპის შესაბამისად უფლება მისცემოდათ განმცხადებლებს თვითონ, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ "საქპატენტში" განაცხადის აუცილებლად შეტანის გვერდის ავლით, შეეტანათ განაცხადი უცხო ქვეყნის საპატენტო უწყებაში.

ამავე დროს მნიშვნელოვანია დაზუსტდეს ტერმინი "უცხო ქვეყანა". უდავოა, რომ განაცხადის შეტანის განსხვავებული რეჟიმები და წესები უნდა მოქმედებდეს კონვენციის წევრ სახელმწიფოებში, ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებებით დაკავშირებულ და სხვა ამ რეჟიმის გარეთ მყოფ სახელმწიფოებს შორის.

საქართველოს საპატენტო კანონის 59-ე მუხლის შესაბამისად პატენტის მფლობელს ან მის უფლებამონაცვლეს (ლიცენზიარი) უფლება აქვს გასცეს სხვა პირზე (ლიცენზიატი) ლიცენზია, რომელიც შეიძლება იყოს მარტივი ან განსაკუთრებული. მარტივი ლიცენზია ლიცენზიარს უტოვებს პატენტიდან გამომდინარე ყველა უფლებას, ხოლო



განსაკუთრებული ლიცენზია ლიცენზიარს უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიების გაცემის უფლებას.

კანონი ზოგად დებულებებში არ იძლევა მარტივი და განსაკუთრებული ლიცენზიის განმარტებას და შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური დათქმით. ასეთი განმარტებების მოწოდება, ჩემი აზრით, მეტად აქტუალურია, ვინაიდან ისინი უკავშირდებიან სალიცენზიო ხელშეკრულებებს. რაც შეეხება ლიცენზიების სახეების შეზღუდვას მხოლოდ მარტივი და განსაკუთრებული ტიპით ზღუდავს როგორც ლიცენზიარისა და ლიცენზიატის, ასევე მესამე პირთა უფლებებს.

განსაკუთრებული ლიცენზია ლიცენზიატს ანიჭებს მონოპოლიურ პოზიტიურ უფლებამოსილებას, რათა მხოლოდ მან შესაბამისი მოცულობით გამოიყენოს უფლებები გარკვეულ ბაზრებზე. განსაკუთრებული ლიცენზია ლიცენზიარს პატენტზე უტოვებს მხოლოდ ფორმალურ უფლებებს, ხოლო პატენტის ფლობიდან გამომდინარე, ყველა უფლებები გადადის ლიცენზიატზე.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ განსაკუთრებული ლიცენზიის გაცემა პატენტის გასხვისებისაგან, რის შედეგადაც პატენტის მფლობელი კარგავს ყველა, მათ შორის ფორმალურ უფლებებს.

ზოგი ავტორის შეხედულებით ლიცენზიის განსაკუთრებული სახე ბევრ შემთხვევაში განსაზღვრავს მის შეფასებას, როგორც კვაზისანივთო ან როგორც სანივთო უფლებას. განსხვავებულ პოზიციებზე დგანან ავტორები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ განსაკუთრებული ლიცენზია არის აბსოლუტური უფლებამოსილება.

ჩემი აზრით, ეს ორი პოზიცია პრინციპულად არაფერს არ ცვლის, ვინაიდან სანივთო უფლებები აბსოლუტური უფლებების შემადგენელი ნაწილია. ხოლო განსაკუთრებული ლიცენზიის სანივთო-სამართლებრივი მოქმედება დამოკიდებული არაა საპატენტო რეესტრში მის რეგისტრაციაზე, ვინაიდან, როგორც წესი, ასეთ რეგისტრაციას აქვს დეკლარაციული და არა კონსტიტუციური მნიშვნელობა.

საქართველოს საპატენტო კანონის 59-ე მუხლი დეტალურად არ განმარტავს, თუ რა უფლება-მოვალეობას იძენენ განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელი და ლიცენზიატი. ცხადია, რომ ასეთი უფლებები მათ უნდა ჩამოუყალიბდეთ სახელშეკრულებო ჩარჩოებში, რაც ლიცენზიატს უნდა

აძლევდეს უფლებას, განურჩევლად ყველა პირისა, გამოიყენოს გამოგონება მონოპოლიურად, აგრეთვე მესამე პირთა მიმართ გააჩნდეს მოქმედი ნეგატიური (აკრძალვითი) უფლება. ანალოგიური მდგომარეობა მოქმედებს ლიცენზიარის მიმართაც, თუ შეთანხმებით სხვა რამ არაა დადგენილი, თუ ლიცენზიარს, განსაკუთრებული ლიცენზიის არსებობის მიუხედავად განზრახული აქვს თვითონ გამოიყენოს პატენტი, მან უნდა დაარეზერვოს ასეთი უფლებები პირდაპირ სალიცენზიო ხელშეკრულებაში, თუმცა ეს პირობა შეიძლება გამომდინარეობდეს მხარეთა უხმო შეთანხმებით.

თუ ლიცენზიარი არ დაარეზერვებს თავისთვის ასეთ უფლებებს და ისე შეეცდება გამოიყენოს პატენტი, განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელს შეუძლია წარადგინოს სარჩელი შესაბამისი მოქმედებების შეწყვეტისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

საქართველოს საპატენტო კანონის 59-ე მუხლი არ აკონკრეტებს აგრეთვე განსაკუთრებული ლიცენზიის გამოყენების ტერიტორიულ ფარგლებს. ჩემი აზრით, მისი მოქმედების არეალი უნდა ვრცელდებოდეს როგორც პატენტის მოქმედების მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ნაწილზეც. განსაკუთრებული ლიცენზია შეიძლება არ იყოს ერთადერთი. ის შეიძლება შეიზღუდოს ტერიტორიით, დროით ან შინაარსის მიხედვით. ყველა შემთხვევაში, დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ აღნიშნულ პირობებთან მიმართებაში ის ანიჭებს ლიცენზიატს მონოპოლიურ უფლებას. მნიშვნელოვანი შეზღუდვების დროს შეიძლება წამოიჭრას იმის განსაზღვრის აუცილებლობა, არის თუ არა მოცემული ლიცენზია განსაკუთრებული. ალბათ, ამ პრობლემის გადაჭრის კრიტერიუმი ყოველთვის უნდა იყოს კითხვაზე პასუხი, მიიღო თუ არა ლიცენზიატმა, თუნდაც რომელიმე გამოყენების პირობების მიმართ განსაკუთრებული უფლებები.

ლიცენზიის განსაკუთრებულობის დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ლიცენზიატისათვის სუბლიცენზიის გაცემის უფლება ან პატენტის დამრღვევების მიმართ დენის უფლების მინიჭება.

საქართველოს საპატენტო კანონის 59-ე მუხლის პ.2 შემოაქვს ლიცენზიის მხოლოდ ორი სახე -- მარტივი და განსაკუთრებული, თუმცა უკანასკნელ დროს მსოფლიოში გარდა განსაკუთრებული ლიცენზიისა, სულ უფრო ფართო მნიშვნელობას იღებს "ერთპიროვნული ლიცენზიების"



გამოყენების პრაქტიკა. ერთპიროვნული ლიცენზიის შემთხვევაში განსაზღვრულ ტერიტორიაზე მხოლოდ ლიცენზიატს ეძლევა ლიცენზია, რომელზედაც ლიცენზიარი ასევე ინარჩუნებს პატენტის გამოყენების უფლებას.

ცნობილია, რომ ინგლისურ სამართალში განსაკუთრებულ და ერთპიროვნულ ლიცენზიებს შეესატყვისება ისეთი ცნებები, როგორცაა "Exclusive licence" და "Sole licence". ერთპიროვნული ლიცენზია ეს არის წმინდა განსაკუთრებული ლიცენზიის ვარიანტი და ზოგჯერ მას უწოდებენ ე.წ. "ნახევრადგანსაკუთრებულ ლიცენზიას". ლიცენზიის განსაკუთრებულობა არ იკარგება იმის გამო, რომ ლიცენზიარს უნარჩუნდება პატენტის დამოუკიდებლად გამოყენების უფლება.

საქართველოს საპატენტო კანონი მთლიანად და კონკრეტულად მისი 59-ე მუხლი არ შეიცავს აგრეთვე ნორმას, რომელიც შემოიტანდა პირადი ლიცენზიის ცნებას. ეს საკითხი აქტუალურია ურთიერთობათა სუბიექტების და პირველ რიგში, იმის დასადგენად, თუ ვინ არის ლიცენზიატი. ლიცენზია შეიძლება ეკუთვნოდეს პირადად ლიცენზიატს. ის არ გადაეცემა მემკვიდრეობით და იგი, პრინციპში, განუსხვისებელია. ლიცენზიატი, სალიცენზიო ხელშეკრულების ძალით, უნდა დარჩეს უფლებამოსილ პირად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი შეწყვეტს თავისი ყოფილი საწარმოს საქმიანობას და მის მაგივრად წამოიწყებს ახალ სხვა სახის საქმიანობას. თუ შევაჯამებთ ზემოაღნიშნულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ განსაკუთრებული ლიცენზია შეიძლება შეიზღუდოს იმის მინიშნებით, რომ მისი გამოყენების უფლება ენიჭება მხოლოდ გარკვეულ პირს.

საქართველოს საპატენტო კანონის 61-ე მუხლის 3.1-ის მიხედვით გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე შეიძლება გაიცეს იძულებითი ან ოფიციალური ლიცენზია. იძულებითი ან ოფიციალური ლიცენზია გაიცემა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული იძულებითი ლიცენზიების კომისიის გადაწყვეტილებით.

დადგენილი წესით, იძულებითი ლიცენზიების გაცემა მიზნად ისახავს იმას, რომ თავიდან ავიცილოთ პატენტით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებებით ბოროტად სარგებლობა, მაგალითად, პატენტის გამოუყენებლობა. საზოგადოდ, დაუშვებელია პატენტის გაუქმება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც იძულებითი ლიცენზიის გაცემა

არ აღმოჩნდება საკმარისი უფლებების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. საქართველოს კანონით პატენტის ჩამორთმევა ან გაუქმება გათვალისწინებული არ არის.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ ნორმას შეიცავს კონვენცია ევროპატენტის შესახებ და ითვალისწინებს ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების პატენტებზე იძულებითი ლიცენზიების გაცემას არა ცენტრალიზებული წესით, არამედ სახელმწიფოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

საქართველოს საპატენტო კანონის 61-ე მუხლის 3.2 ხისტად ადგენს, რომ იძულებითი ლიცენზია შეიძლება იყოს მხოლოდ მარტივი და იგი გაიცემა პატენტის გაცემის თარიღიდან ოთხი წლის შემდეგ, ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით.

ჩემი აზრით, ამ ნორმით მნიშვნელოვნად იზღუდება მეწარმე პატენტმფლობელის ან მისი უფლებამოსილი პირის უფლებები, ვინაიდან სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ 1883 წლის 20 მარტის პარიზის კონვენციის მე-5 მუხლის 3.4 განსაზღვრავს, რომ იძულებითი ლიცენზია არ შეიძლება განსაკუთრებული იყოს და დაუშვებელია მისი სხვა პირისათვის გადაცემა, ქველიცენზიის გადაცემის ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთ ლიცენზიასთან ერთად გადაეცემა საწარმოს ნაწილი ან გუდვილი.

საქართველოს საპატენტო კანონის 61-ე მუხლის 3.4 და 3.5-ის მიხედვით იძულებული ლიცენზია შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანამდე დაინტერესებული პირი ცდილობდა ნებართვის მიღებას პატენტმფლობელისგან ან მისი უფლებამონაცვლისგან ვონივრული პირობებით. იძულებითი ლიცენზიის ნაირსახეობა – ოფიციალური ლიცენზია გაიცემა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნით, თუ დასაბუთებულია ეროვნული თავდაცვის, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ან ქვეყნის ეკონომიკის ინტერესებისათვის პატენტის გამოყენების აუცილებლობა.

61-ე მუხლის 3.5-ის აღიარებით, რომ ოფიციალური ლიცენზიის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნით, მნიშვნელოვნად ზღუდავს პატენტმფლობელისგან ნებართვის მიღებით დაინტერესებულ კერძო პირთა უფლებებს.

რაც შეეხება მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ იძულებითი ლიცენზიის გაცემა დასაშვებია თუ



დასაბუთებულია ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე პატენტის გამოყენების აუცილებლობა, ჩემი აზრით, ეს პატენტმფლობელთა უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვაა. ამასთან, "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" 1996 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 3.2 იძლევა საკმაოდ ფართო ჩამონათვალს იმ ინფორმაციის სახეებისა, რომლებიც შესაძლებელია მიჩნეული იყოს სახელმწიფო საიდუმლოებად. ვინაიდან საქართველოს საპატენტო კანონი არ აკონკრეტებს იმ ობიექტებს, თუ რომელი მათგანი შეიძლება მოექცეს ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების სფეროში და აქედან გამომდინარე, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს ეძლევათ მეტად ფართო შესაძლებლობა, რათა ამ თეზისის მოშველიებით მოითხოვონ ოფიციალური ლიცენზიის გაცემა პატენტმფლობელისაგან.

აღსანიშნავია, რომ ევროგაერთიანების ქვეყნებში პატენტის მოქმედება იზღუდება და, შესაბამისად, ოფიციალური ლიცენზია გაცივმა მხოლოდ ორ შემთხვევაში: სახელმწიფო უშიშროებისა და

საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

ჩემი აზრით, გარკვეული შეუსაბამისობაა საქართველოს საპატენტო კანონის 61-ე მუხლის 3.3 და 3.5 შორის, კერძოდ, როდესაც საუბარია იძულებითი ლიცენზიის მოთხოვნაზე, არგუმენტებად მოტანილია, შესაბამისად, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი საჭიროება (3.3), ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული თავდაცვა, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა ან ქვეყნის ეკონომიკის ინტერესები (3.5). ეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისათვის უდავოდ იწვევს იძულებითი ლიცენზიის მოთხოვნის კანონით მინიჭებული უფლებების გაფართოებას და ამის ადეკვატურად გამოგონების ან სასარგებლო მოდელის პატენტმფლობელის ან მისი უფლებამონაცვლის უფლებების არასამართლიან შეკვეცას. როგორც აღვნიშნავდით, საჭიროა დადგინდეს იძულებითი ლიცენზიისა და მისი ნაირსახეობის ოფიციალური ლიცენზიის გაცემაზე მოთხოვნის უფრო მკაცრი და ერთიანი კრიტერიუმები, რათა შეიკვეცოს პატენტმფლობელთა ან მათ უფლებამონაცვლეთა კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლებები.

ბაგოქინიშული ლიტერატურა:

1. 1999 წლის 5 თებერვლის საქართველოს საპატენტო კანონი, "საქპატენტი", თბ., 2000;
2. 1996 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, №27-28, თბ., 1996;
3. 1998 წლის 18 თებერვლის საქართველოს კანონი "სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, №11-12, თბ., 1998;
4. 1996 წლის 20 თებერვლის საქართველოს კანონი "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, №2, თბ., 1996;
5. 1997 წლის 26 ივნისის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი №31, თბ., 1997;
6. Paris Convention for Protection of Industrial Property, Wipo, 1996;
7. Патентный закон США, М., ВНИИПИ, 1986;
8. Agreement between the world Intellectual Property Organization and the World Trade Organization (1995); Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights (TRIPS Agreement) (1994), World Intellectual Property Organization, Geneva, 1997;
9. Г. Боденхаузен, Парижская конвенция по охране промышленной собственности, комментарий, "Прогресс" М., 1977;
10. А.П. Сергеев, Право интеллектуальной собственности в Российской Федерации. "Прогресс", М., 1966;
11. Р. Кросс, Прецедент в английском праве, "Юр. лит", М., 1985;
12. М.М. Богуславский, Международное частное право, Учебник, 2-е изд., МО, М., 1994;
13. М.М. Богуславский. Международное экономическое право, МО, М., 1986;
14. ლ. ჭანტურია, ზ. ახვლედიანი, ბ. ზოიძე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, გამომ. "საპატენტო", თბ., 1999;
15. ბ. ზოიძე. სანივთო სამართალი, გამომ. "უფლება", თბ., 1999;
16. ს. ჯორბენაძე, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1998;
17. დ. ძამუკაშვილი. სამრეწველო საკუთრება, თბ., 1997;
18. დ. ძამუკაშვილი. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2000.

# სისხლის სამართალი, კრიმინოლოგია

ნონა თოდუა

## სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს 2000 წლის 1 ივნისიდან, ბუნებრივია, არ არის დაზღვეული ცალკეული ნაკლოვანებისაგან. მათი გამოსწორება კი უპრიანია ამ კოდექსის ამოქმედებამდე, რადგან ამოქმედების შემდეგ მასში ცვლილებების შეტანა გარკვეულ სიძნელეებს გამოიწვევს სასამართლო პრაქტიკაში.

ჩემი მიზანია გამოვავლინოთ ზოგიერთი ხარვეზი, რომლის შევსება ახალ სისხლის სამართლის კოდექსს, ალბათ, უფრო სრულყოფილს გახდიდა. კერძოდ:

1. ზოგიერთი მუხლის შემადგენლობაში არასწორადაა შერჩეული დამამძიმებელი ანუ მაკვალიფიცირებელი გარემოება. სახელდობრ, ამგვარ გარემოებად მიჩნეულია ისეთი შედეგის დადგომა, რაც, ჩემი აზრით, გათვალისწინებული უნდა იყოს ამ მუხლის პირველ ნაწილში (მარტივ შემადგენლობაში). მაგალითად, სისხლის სამართლის ახალი კოდექსის 233-ე (ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება), 240-ე (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა), 243-ე (სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა) მუხლების 1-ელ ნაწილში მძიმე შედეგის სახით გათვალისწინებულია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება. ხოლო ამავე მუხლების მე-2 ნაწილით მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიჩნეულია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით ან სხვა მძიმე შედეგი. სხვა მძიმე შედეგში კი იგულისხმება დიდი მატერიალური ზიანი, სამუშაოს პროცესის დიდი ხნით მოცდენა და ა.შ. მაგრამ სადავო არ უნდა იყოს ის, რომ ცივილიზებული საზოგადოებისათვის ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება უფრო მძიმე შედეგია, ვიდრე დიდი მატერიალური ზიანი. ყოველ შემთხვევაში,

მატერიალური ზიანი, რაც არ უნდა დიდი იყოს იგი, უფრო დიდ ზიანად არ უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია ზემოჩამოთვლილ ნორმათა მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „ან სხვა მძიმე შედეგი“ და იგი შევიდეს ამავე ნორმათა 1-ლი ნაწილის შემადგენლობაში.

2. სისხლის სამართლის კოდექსის 230-ე მუხლის (ბირთვული მასალის მოწყობილობის, რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროებისადმი უკანონო მოპყრობა) ობიექტურ მხარეში, სხვა ქმედებებთან ერთად, შედის რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების, აგრეთვე ნებისმიერი სახისა და დანიშნულების მოწყობილობის, დანადგარის, ხელსაწყო ან ნაკეთობის, რომელიც შეიცავს რადიაქტიური ნივთიერების უკანონო ექსპორტ-იმპორტს. ამავე დროს 214-ე მუხლის (საბაჟო წესის დარღვევა) მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა საქართველოს საბაჟო საზღვარზე რადიაქტიური ნივთიერების წესის დარღვევით გატანისა ან გადმოტანისათვის. რადიაქტიურ ნივთიერებათა უკანონო ექსპორტ-იმპორტი შეუძლებელია განხორციელდეს ისე, თუ არ დაირღვა საბაჟო წესი. მაშ, რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან 214-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 230-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ზემოთ მითითებული შემთხვევა (უკანონო ექსპორტ-იმპორტი), როცა დანაშაულის საგანია რადიაქტიური ნივთიერება? ჩემი აზრით, აქ ადგილი აქვს დუბლირებას, ე.ი. ფაქტობრივად ერთი და იგივე ქმედება აკრძალულია ორი სხვადასხვა ნორმით, რაც დაუშვებელია.

3. ჩემი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსში არ უნდა გვხვდებოდეს ისეთი შემადგენლობანი, რომელიც გამოიხატება მხოლოდ რაიმე სპე-





ციალური წესის დარღვევაში და არ გამოუწვევია არანაირი მძიმე შედეგი, ან არ შეუქმნია ასეთი შედეგის დადგომის საფრთხე. ასეთი ნორმები, ძირითადად, უნდა ჩაითვალოს ადმინისტრაციულ გადაცდომად და შესაბამისად მოთავსდნენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ამიტომ, მიმაჩნია, რომ უნდა მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილის დეკრიმინალიზაცია და იგი ჩაითვალოს ადმინისტრაციულ გადაცდომად (საქმე ეხება რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევას, რომელსაც არ გამოუწვევია 275-ე მუხლის 1-ლი ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შედეგი).

4. აუცილებელ დახვეწას მოითხოვს ასევე სისხლის სამართლის ახალი კოდექსის 237-ე, 250-ე და 267-ე მუხლები. მაგალითისათვის მოვიყვანოთ 250-ე მუხლში არსებულ უზუსტობას. ამ ნორმის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისა ან გამოძალვისათვის, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტი – იგივე ქმედებისათვის, თუ იგი ჩადენილია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით.

დაზარალებულის ან მისი ახლობლის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა შედის გამოძალვის შემადგენლობაში, ამიტომ ისმის კითხვა: თუკი პირი მისაკუთრებს შხამს გამოძალვით, რისთვისაც გამოიყენებს დაზარალებულის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ მუქარას, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს მისი მოქმედება – სს კოდექსის 250-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სადაც გათვალისწინებულია გამოძალვა, თუ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით, სადაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა იგივე ქმედებისათვის, თუ მას თან ახლდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის მუქარა? ეს წინააღმდეგობა ადვილად გამოსწორდება, თუ 250-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტში მინიშნებული იქნება ამ მუქარის იმ წუთიერობაზე, რაც მას განასხვავებს გამოძალვისაგან.

იგივე წინააღმდეგობაა 237-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-2 ნაწილისა და მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტის შემადგენლობაში, აგრეთვე 264-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის შემადგენლობებში.

5. არსებით შეცვლას მოითხოვს სს კოდექსის 260-ე მუხლი – ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება. ამ მუხლის 1-ლი ნაწილით პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, ამოძრავებს თუ არა დამნაშავეს გასაღების მიზანი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ ერთიანი პასუხისმგებლობაა დაკისრებული რეალიზატორებისა და მომხმარებლების მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელმა ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო მოხმარება და მათი უკანონო გასაღება დაახლოებით ერთნაირი საშიშროების დანაშაულებად ჩათვალა, რასაც პრინციპულად ვერ დავეთანხმები. ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო მოხმარებით პირი ზიანს აყენებს საკუთარ ჯანმრთელობას, ხოლო მისი უკანონო გასაღებით იგი აზიანებს სხვის ჯანმრთელობას. ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ნორმას თან ახლავს ისეთი სანქცია (თ.ა. 10 წლამდე), რაც სასამართლოს აღნიშნული სასჯელის ვადის შერჩევაში დიდ გასაქანს აძლევს, ვერ მოხსნის პრობლემას. საქმე ისაა, რომ როცა ქმედებები თავიანთი საშიშროების მიხედვით რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათთვის პასუხისმგებლობა იმავე ითვე გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ნორმით, რასაც თან დაერთვის განსხვავებული სანქციები. ამით კანონმდებელმა თავიდანვე განსხვავებული შეფასება უნდა გამოხატოს ამ ქმედებებისადმი. და მეორეც, არ შეიძლება კანონმდებელმა არსებითად განსხვავებული საშიშროების მქონე ქმედებისათვის სამართლიანი სასჯელის დაკისრების საქმე მთლიანად მხოლოდ სასამართლოს მიანდოს, როგორც ამას ადგილი აქვს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მაგალითზე.

თუკი ჩემი მოსაზრება ამ საკითხზე არამართებულია, მაშინ გაუგებარია, რატომ არსებობს სს კოდექსში ცალ-ცალკე 108-ე და 109-ე მუხლები, რომლებიც განსხვავებულ პასუხისმგებლობას აკისრებენ სხვისი სიცოცხლის განზრახი მოსპობისათვის? აქაც ხომ შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ნორმის დაწესება ისეთი სასჯელით, რაც სასამართლოს ფართო არჩევანის საშუალებას მისცემდა.

ამდენად, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ 260-ე მუხლის ცალკე ნაწილით დაწესდეს პასუხისმგებლობა ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო მოხმარებისათვის და ცალკე ნაწილით – მათი გასაღებისათვის. იგივე უნდა ითქვას სს კოდექსის 261-ე მუხლზე (ფსიქოტროპული ნივთიერების,

მისი ანალოგის, ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება).

6. ჩემი აზრით, სს კოდექსის 261-ე მუხლი სხვაგვარად დახვეწასაც მოითხოვს. ამ მუხლის მე-2 ნაწილის საგანია ძლიერმოქმედი ნივთიერება. მიმაჩნია, რომ ძლიერმოქმედი ნივთიერება თავისი თვისებებით უფრო ახლოს დგას შხამთან, რადგან შხამის მიღება მეტ-ნაკლები სისწრაფით იწვევს სიკვდილს, ხოლო ძლიერმოქმედი ნივთიერების ექიმის დანიშნულების გარეშე მიღება – ჯანმრთელობის გაუარესებას. იგი არ იწვევს იმგვარ შედეგებს, როგორც ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერება (ეიფორია, ფსიქიკური ცვლილებები). ამიტომ უფრო სწორედ უნდა ჩაითვალოს ძლიერმოქმედი ნივთიერების გატანა 249-ე მუხლის შემადგენლობაში და პასუხისმგებლობის დაკისრება შხამის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების ბრუნვის წესის დარღვევისათვის.

7. დასახვეწია აგრეთვე სს კოდექსის 260-ე მუხლის შენიშვნა, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს. ფსიქოტროპულ ნივთიერებას. მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

ამ შენიშვნის ტექსტიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებების ნებაყოფლობით ჩაბარების შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება ისიც, ვინც უკანონოდ გაასაღა ეს ნივთიერება, ანუ გამსაღებელი. ეს იმიტომ, რომ ნარკოტიკულ ან სხვა ჩამოთვლილ ნივთიერებათა უკანონო გასაღება შედის სწორედ ამ დანაშაულის შემადგენლობაში, ასეთი გასაღება არ შეიცავს რაიმე სხვა დანაშაულის ნიშნებს. მაგალითად, პირი, რომელმაც უკანონოდ შეიძინა გარკვეული ოდენობის ნარკოტიკული საშუალება და გაასაღა მისი ნაწილი, თუკი შემდეგ დარჩენილ ნაწილს ჩააბარებს ნებაყოფლობით, უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რადგან მის ქმედებაში არ არის, გარდა ამ ნორმით გათვალისწინებულისა, სხვა დანაშაულის ნიშნები. საკ-

ითხის ამგვარი გადაწყვეტა კი არ უნდა ჩაითვალოს მართებულიად, რადგან ერთგვარად ხელს შეუწყობს ნარკოტიკულ საშუალებათა გამსაღებლებს პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევაში.

აქედან გამომდინარე კი, მიზანშეწონილად მიმაჩნია აღნიშნული შენიშვნის ბოლო წინადადება შეიცვალოს და იგი შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „თუ მას არ ჩაუდენია ზემოთ ჩამოთვლილ ნივთიერებათა უკანონო გასაღება ან თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები“.

8. ნაწილობრივ შესწორებას მოითხოვს სს კოდექსის 267-ე მუხლის რედაქციაც. ამ ნორმის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადებისათვის გასაღების მიზნით ან გასაღებისათვის. ე.ი. ამ დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა მაშინ, როცა პირი დაამზადებს ნარკოტიკულ საშუალებათა შესაძენად ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს და მიზნად აქვს არა თვითონ გამოიყენოს ეს ყალბი რეცეპტი ან დოკუმენტი, არამედ გაასაღოს იგი. ამავე დროს აღნიშნული ნორმის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით დამამძიმებელ გარემოებად ითვლება „იგივე ქმედება, ჩადენილი სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზნით“.

მაგრამ საკითხავია: რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან ნარკოტიკულ საშუალებათა შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით და მათი დამზადება სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზნით? გასაღების მიზანში ხომ ნებისმიერი გზით მათი გასხვისების მიზანი იგულისხმება. მაშ, რატომაა გამოყოფილი დამამძიმებელ გარემოებად სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზანი?

ჩემი აზრით, ამ წინააღმდეგობის გამოსწორება შეიძლება ორი გზით: 1) ან ამ მუხლის 1-ლი ნაწილიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „გასაღების მიზნით ან გასაღება“, 2) ან 267-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „ან სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზნით“.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიმართ გაგვაჩნია სხვა შენიშვნაც, მაგრამ ერთი სტატიის ფარგლებში ყველა მათგანზე ვერ შევჩერდებით.

ნონა თოღუა,

ოსუ იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

მალხაზ ბაძაღუა

ჯგუფური დანაშაულობის ევოლუციის  
პირითადი ფაზები

**ღ**ანაშაულობასთან ბრძოლის ამოსავალ კრიმინოლოგიურ პრობლემათაგანია ჯგუფურ დანაშაულობათა მიზეზების შემეცნებისა და მისი წინასწარ აღკვეთის პრობლემა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჯგუფურ დანაშაულობათა მეცნიერული კვლევის ბუნებრივი სტიმული გახდა ორი არსებითი გარემოება:

პირველი - შეცვლილი კრიმინოგენური სიტუაცია, რომელიც „შეივსო“ ჯგუფური დანაშაულობის ახალი ფორმებით;

მეორე - ახალი კანონმდებლობა, რამაც ჯგუფური დანაშაულობის ობიექტური კრიმინოლოგიური ანალიზის საფუძველი შექმნა.

ამ პირობებში მეცნიერები მიმართავენ ჯგუფური დანაშაულობის ცალკეული საშიში ფორმების აღწერასა და ანალიზს, განსაზღვრავენ თეორიული ხასიათის მიდგომებს. მაგრამ მთლიანობაში აღნიშნული კვლევები ჯერ არ არიან ჯგუფური დანაშაულობის ერთიანი სურათის ამსახველნი. ცხადია, რომ აღნიშნული ხასიათის ძიებანი მნიშვნელოვანია, თუმცა ჯგუფური დანაშაულობის პრობლემა, თავისი სირთულით, სცილდება ცალკეული ფორმების გააზრების საზღვრებს. ამაზე მიუთითებს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, სადაც ჯგუფურ დანაშაულობათა შესახებ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ინფორმაციის დაგროვების პროცესში, მცირე ჯგუფების ანალიზიდან გადავიდნენ ახალ ფაზაში, - ჯგუფური დანაშაულობის განხილვის ევოლუციურ ფაზაში. აღნიშნული საკითხი საგანგებოდ განიხილა გაერომ. ინტერპოლის მონაცემებით ჯგუფების ორგანიზებულობა, მათი სოციალური არსი, საბოლოო ჯამში, არის მთავარ კრიმინალურ ჯგუფთა, როგორც ორგანიზე-

ბული დანაშაულობის არსებითი შედეგი, ანუ კრიმინალური ჯგუფების ევოლუციის ნაყოფი, მასადაც ჯგუფურ დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკა სცილდება იმ ზომების ჩარჩოებს, რომლებიც მხოლოდ ცალკეული ჯგუფების წინააღმდეგ არიან მიმართული, პირიქით, როგორც აღნიშნავენ მეცნიერები, დანაშაულობის თავიდან აცილების ობიექტი ხდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის კრიმინალური აქტიურობის თანდათანობით გართულების პროცესი, ანუ ჯგუფური დანაშაულობის უფრო რთული ფორმების ჩამოყალიბება შედარებით ნაკლებად რთული ფორმებისაგან.

თანამედროვე ეტაპზე ჯგუფური დანაშაულობის შესახებ განმარტებული კვლევის არარსებობას შეუძლია დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის მთელს პროცესზე უარყოფითად იმოქმედოს. ჯგუფური დანაშაულობის გამოვლინებას სხვადასხვა ფორმები გააჩნია: ტერორისტული აქტები, ბანდიტური ომები, მძევალთა აყვანა, კორუფცია, ყაჩაღობა და ა.შ. ყველა მათგანს აქვს არა მარტო კონკრეტული მიზეზები, არამედ მათთან ერთად ზოგადიც. ზოგადი ნიშნების იგნორირება იწვევს ბრძოლის პრაქტიკის კერძო ეპიზოდურ სიბრტყეში გადაყვანას და თვალსაწიერად იკარგება ერთიანი პრევენტული პოლიტიკის ღონისძიებანი.

შესაბამისად, ჯგუფური დანაშაულობის გენეზისის ერთიანი სურათის უცოდინარობას მოსდევს დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკის ღონისძიებათა დაქსაქსვა. ჯგუფური დანაშაულობის გავრცელების წინასწარ აღსაკვეთად კონცეპტუალური მიდგომის ნაცვლად, სხვადასხვა ორგანოები იძულებული იქნებიან დაეყრდნონ

კერძო ხასიათის რეკომენდაციებს, რაც უეჭველად გართულებს სიტუაციას და არ მიგვიყვანს სასურველ ეფექტიანობამდე. გარდა ამისა, ფაქტორული მიდგომა ეწინააღმდეგება ქართული მეცნიერების ტრადიციებს. სწორედ ამიტომ ბ-ი გ.ნაწიეშვილი ჯერ კიდევ ტოტალიტარული რეჟიმის დროს ავითარებდა თვალსაზრისს ნორმატიულობის ერთიანი ფილოსოფიური გაგებისა და მისი დარღვევის პროცესის შესახებ.

ამასთანავე კომპლექსური მიდგომის გარეშე ჯგუფური დანაშაულობის პრობლემას მივყავართ სუბიექტივიზმამდე, ჯგუფური დანაშაულობის გაგებისადმი უარყოფით დამოკიდებულებამდე. სხვადასხვა ორგანოების ქმედებათა კოორდინაცია უკანა პლანზე გადაიწევა და მის ადგილს, საბოლოო ჯამში, უწყებრივი ინტერესები, ამა თუ იმ თანამდებობის პირთა ინტერესები დაიჭერს.

ჯგუფურ დანაშაულობასთან ბრძოლისას მნიშვნელოვანია არა მარტო ფაქტების გამოვლენა, არამედ, ასევე, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარება, სადაც დანაშაულობის „რუკა“ პროგნოზულად მიუთითებს კრიმინალური ჯგუფების მოსალოდნელ გამოცოცხლებას, ცხადია, რომ სერიოზული კრიმინოლოგიური პროგნოზის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა. მაშასადამე, ჯგუფური დანაშაულობის ყველა ფორმის კრიმინოლოგიური გამოკვლევა ოპერატიულ-სამძებრო პრაქტიკის კონცეპტუალური საფუძველია.

ამასთან ერთად, ჯგუფური დანაშაულის ევოლუციასთან დაკავშირებულ გამოკვლევებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან, ჯერ ერთი, იქმნება სტაბილური მეცნიერული საფუძველი საკანონმდებლო რეფორმების გატარებისათვის, რომელიც პერსპექტივაზე იქნება გათვლილი და მეორეც, ყალიბდება კრიტერიუმი სწორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის.

ცხადია, რომ მხოლოდ ჯგუფური დანაშაულობის ყველა ფორმის სრული გამოკვლევა იძლევა შესაძლებლობას დავადგინოთ შედარებითი ანალოგები მსოფლიოს სხვა ქვეყნებში და აქედან გამოვყოთ ჯგუფურ დანაშაულობასთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფური დანაშაულობის ინდივიდუალურ დონედ ითვლება არა კონკრეტული საქციელი, არამედ მთელი ჯგუფის ქცე-

ვა. თავის მხრივ, თვით ჯგუფის ქცევა არის ჯგუფის მხოლოდ გარეგანი ხასიათობრივი გამოხატულება, სადაც ძირითად არსს შეადგენს ჯგუფის სტრუქტურა. საერთო სოციალური პროცესები ინდივიდუალურ დონეზე სწორედ ჯგუფის სტრუქტურის მეშვეობით ვლინდება. მაშასადამე, ჯგუფური დანაშაულობის სრული ასახვისათვის, საჭიროა, გავერკვეთ კრიმინალური ჯგუფების, როგორც დანაშაულობის ელემენტის პრობლემაში.


კრიმინოლოგიის თეორიასა და დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკაში გამოიყოფა გაგება „ჯგუფების სტრუქტურები“. აქ წინ წამოსწევინ როლებს, რომლებიც განაწილებულია კრიმინალური ჯგუფის წევრებს შორის. ასეთი მიდგომა მისაღებია ოპერატიული სამძებრო საქმიანობის პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად. მაგრამ იგი ნაკლებად გამოსადეგია მასალის სოციოლოგიური განზოგადებისათვის. მაგალითად, ჯგუფები, თავისი სტრუქტურით, შეიძლება ერთნაირი იყოს, იმ შემთხვევაშიც, როცა ჯგუფი სჩადის ორგანიზებულ დანაშაულს ხელისუფლებაზე ხელყოფის გარეშე და მაშინაც, როცა ჯგუფის ქმედებაში არის ასეთი ელემენტი. მაშასადამე, ჯგუფური დანაშაულობის ევოლუციის შემეცნებისათვის ცნება „ჯგუფების სტრუქტურები“ არ ვარგა. ჯგუფური დანაშაულობის ევოლუციის გამოსაკვლევად აუცილებელია შემოვიღოთ ახალი გაგება: „კრიმინალური ჯგუფის სტრუქტურა, როგორც ჯგუფური დანაშაულობის ელემენტი“. ეს აღწერილობითი გაგება მასალას სხვა კუთხით აანალიზებს, კერძოდ, არა როლების გამოყოფის თვალსაზრისით, არამედ დანაშაულების გამოყოფით. არსებითად, ლაპარაკია დანაშაულთა იმ სტრუქტურაზე, რომელსაც კრიმინალური ჯგუფი სჩადის.

№1 ცხრილში მოცემულია ჯგუფური დანაშაულის ევოლუციის ძირითადი ფაზების სქემა<sup>1</sup>. „A“ ფაზაში, როგორც სქემიდან ჩანს, ჩვენ გამოვყოფთ ჯგუფების ფორმებს. მათ შემთხვევითი ეწოდებათ იმის გამო, რომ ჯგუფი დანაშაულს სჩადის ეპიზოდურად და კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციის გავლენით. ამ სიტუაციების

<sup>1</sup> მ.ბაძალუა, ჯგუფური დანაშაულობა, 1998, პოლიგრაფკომბინატი „ფარი“ გვ. 39.

ცხრილი 1

### ჯგუფური დანაშაულობის ევოლუციის ძირითადი ფაზები (საქართველოსთვის ტიპური კრიმინოგენური სიტუაციის გათვალისწინების მიხედვით)



ემპირიული ვარიანტები მრავალნაირია და ისინი საფუძვლიანად აქვთ შესწავლილი კრიმინოლოგებს<sup>2</sup>. აქვე აღვნიშნავთ, რომ განსახილველი ფორმები შემთხვევითია იმის გამო, რომ ჯგუფის არსებობის მთავარი პრინციპი, ფილოსოფიურად რომ ვთქვათ, არის არა თვით ჯგუფში, არამედ ამ ჯგუფს გარეთ. კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაცია განსაზღვრავს როგორც დანაშაულობის არჩევანს, ასევე მართლსაწინააღმდეგო რეაქციის ინტენსივობას ამ სიტუაციაზე. შემთხვევითი ფორმა „А“-ს საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ რამდენიმე ფართოდ ცნობილი მაგალითი. რ.-მ, მთვრალმა, უცნობი პირის კ.-ს თხოვნით, რომელმაც ჩხუბი აუტეხა სხვას, მონაწილეობა მიიღო ჩხუბში. შედეგად რ.-მ და კ.-მ ჩაიდინეს მკვლელობა ხულიგნური განზრახვით. ვნახოთ სხვა მაგალითი. კ.-მ უცნობი მოქალაქის მიმართ დაიწყო შეურაცხყოფელი ქმედება, შემდეგ დასცა მიწაზე, ხდიდა ტანსაცმელს და დაუპირა საათის ართმევა. მძარცველს მისი მეგობრები რ. და ფ. წამოეშველნენ მოქალაქის ძარცვაში. კიდევ ერთი მაგალითი - კ. და ვ. იმყოფებოდნენ მეგობარ ქალიშვილთან, მის დაბადების დღეზე. როცა მათი თანამესუფრეები ცეკვავდნენ, ისინი გავიდნენ მეორე ოთახში და იქიდან მოიპარეს მასპინძლის ოქროს ნივთები.

მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება. მაგრამ, ჯგუფური დანაშაულობის შემთხვევითი ფორმის საილუსტრაციოდ ესეც საკმარისია. დანაშაულობები აქ შემთხვევით არის „შემზადებული“ და ორგანიზებული კრიმინალური ქმედების ეპიზოდებს არ განეკუთვნებიან.

ჯგუფური დანაშაულების შემთხვევითი ფორმა („А“ ფაზა) მთლიანად სიტუაციაზეა დამოკიდებული. აქ საქმე გვაქვს ყველაზე მარტივ ფორმასთან, რომლის საზღვრები, ჰეგელის თქმით, გაურკვეველია, გადარეცხილია. სუბსტანცია იმყოფება არა თვით ფორმაში, არამედ მის გარეთ<sup>3</sup>. შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. შემთხვევითი ფორმაში

საწყისი იმყოფება არა თვით ფორმაში, არამედ ამ ფორმის გარეთ.

როგორც ნაჩვენებია №1 ცხრილში, ჯგუფური დანაშაულობის შემდეგი ფორმა გახლავთ დუალისტური ფორმა. „В“ ფაზას ჩვენ ევოლუციის გარდამავალი ფაზა ვუწოდებთ, მასში ორი სახეობაა წარმოდგენილი: „В1“... ბლოკში მოცემულია ჯგუფური დანაშაულობის ისეთი სახეები, სადაც არ აღინიშნება ხელისუფლებაზე ხელყოფის ელემენტები. ამ საფეხურზე საქმე დუალისტურ ფორმასთან გვაქვს. აქ დუალიზმის სისტემა გაიაზრება, როგორც ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საწყისი, აქაა მხოლოდ გახლეჩის და გონების სასოწარკვეთის სისტემა.<sup>4</sup>

ერთი მხრივ, საქმე გვაქვს ორგანიზებულ ფორმებთან, მეორე მხრივ, აქ ჯერ კიდევ არ არის დამახასიათებელი ნიშნები ორგანიზებული ფორმებისა: მოგების სისტემატური მიღება ძალადობითი ან ანგარებითი დანაშაულის გზით. თუკი იღებენ მოგებას, ეს ხდება მხოლოდ საერთო სისხლის სამართლის დანაშაულების საშუალებით.

„В“... ბლოკისათვის, მაგალითად, შეიძლება გამოვიყენოთ საქმე №118, რომელიც განიხილა სასამართლომ 1998 წლის 3 აპრილს. ხუთკაციანი ჯგუფი ტ.-ს მეთაურობით, ქ.საგარეჯოსა და სხვა რეგიონებში რამდენიმე წელიწადს ყაჩაღობდა. ჯგუფის ზოგ წევრს იარაღი ჰქონდა. დანაშაულთა ჩადენისას ჯგუფის წევრები იცვლებოდნენ, თუმცა ლიდერი, თუ ლიდერები უცვლელი რჩებოდნენ. უეჭველია, ამ ჯგუფის მიზანი გამდიდრება იყო. მაგრამ არა კორუფციის მეთოდით, არამედ ძალადობის გზით. აქ წარმატების მიღწევის საშუალებად ძალადობის კრიმინალური გზა გამოიყენება. აქ მხოლოდ ჯგუფური დანაშაულობის ევოლუციის ზოგიერთი კონტურია მოცემული, ე.ი. გვაქვს ორგანიზებულობის ელემენტი, მაგრამ გამდიდრებისაკენ სწრაფვა ძალადობას ექვემდებარება.

ანგარებითი დანაშაულობის ტიპური ფორმის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ 1996 წლის 11 ოქტომბერს საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული ჯგუფური დანაშაულობის საქმე რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების

<sup>2</sup> В.Н. Кудрявцев. Причинность в криминологии М.: “Юрид-лит-ра”, 1968, с. 38-49. Н.Г. Угрехелидзе. Криминологическая характеристика соучастия в преступлении, Тб., “Мецниереба”, 1975, с. 62-70.

<sup>3</sup> Гегель. Работы разных лет. М., “Мысль”, 1970, с. 347.

<sup>4</sup> Ф.Шеллинг, Сочинения, М., 1989, с.104.

ცენტრალურ ბაზაში. სამკაცრიანმა ჯგუფმა, ბაზის უფროსის ბ.-ს მეთაურობით გაიტაცა დიდი რაოდენობის ფული და საქონელი, იჯარისა და ფინანსური ოპერაციების უკანონო ხერხების გამოყენებით. ამ ჯგუფის მიზანი გახლდათ გამდიდრება ძალადობის გარეშე. ანუ მიზნის მიღწევის „ეკონომიკური“ გზა, რაც არაა ძალადობასთან დაკავშირებული.

უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის მიერ, 1997 წლის 22 აპრილს განხილული საქმის ანალიზით, ჩვენ „B2“ ბლოკის ნიშნებს აღმოვაჩინეთ, რომელიც საჭიროა დაწვრილებით განვიხილოთ. 25 კაციანი ჯგუფი, ლიდერ ა.-ს (ნასამართლევი) მეთაურობით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში აწყო ბანდიტურ თავდასხმებს. უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, ჯგუფმა სცადა ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც გზა უნდა გაეხსნა ხელისუფლების სტრუქტურებში „B1“ ბლოკისაგან განსხვავებით, აქ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ორი საწყისი. ჯერ ერთი, ჯგუფი რეგულარულად სჩადის დანაშაულობებს, ძალადობის გზით, გარკვეული მოგების მისაღებად, მეორეც, ხელისუფლების სტრუქტურებში შესაღწევად, ძალადობის გზით ხდება დანაშაულის მცდელობები. აქ ეს ორი საწყისი თითქოს ერთ რიგშია, რადგან მოგება მიიღება სისხლის სამართლის ფორმით – პირდაპირი ძალადობით, ბანდიტიზმის ფორმით, ამ საფეხურზე ჩვენ ჯერ ვერ აღმოვაჩინეთ ჯგუფის ფართომასშტაბიან ქმედებას, რომელიც დანაშაულს ეწევა, როგორც სარეწს და რომელსაც აქვს კორუმპირებული კავშირები<sup>5</sup>, მაგრამ მეორე საწყისის სახით მაინც გამოიყოფა ხელისუფლების ხელყოფის ელემენტი, მართალია, უხეში ბანდიტური ფორმით და არა ე.წ. მაფიოზური სახით. აღსანიშნავია, რომ ეს ფორმა დიდად განვითარებულია სსრკ-ს დაშლის გარეშე.

როგორც ფორმების ანალიზისას, ჩვენ ასევე აღმოვაჩინეთ ძალადობის ფაქტორს. სეპარატისტული ჯგუფი აფხაზეთში გენოციდის ფართომასშტაბიან მეთოდს იყენებდა და ანადგურებდა

მშვიდობიან მოსახლეობას. ძირითადი მიზანი აქ სიღრმისეულად იყო ძალაუფლების გაძლიერება; მოგების მისაღებად მოსახერხებელი საშუალების მიღწევა და ა.შ. მაგრამ, ამ ეტაპზე ჩვენ უხეშ, ჯერჯერობით კრიმინალური გაერთიანების განუვითარებელ ფორმას ვხედავთ.

50-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში კორუფციის სერიოზული გამოკვლევები ტარდებოდა. სწორედ ამჟამად, კრიმინოლოგი ვაუბერტი ადასტურებს ორმაგ (დუალისტურ) ფორმას თეორიულად დასაშაულობისა. ეს აღმოჩენა კრიმინოლოგიის თეორიის მეტად სერიოზული წინსვლა იყო, რადგან სწორედ კორუფციის და უბრალოდ რომ ვთქვათ, ანგარებითი დანაშაულობის ეს დუალისტური ბუნება უმნიშვნელოვანესი კონფლიქტების<sup>6</sup> გაგების გასაღებს იძლეოდა. ჯგუფური დანაშაულობის ევოლუცია სწორედ ამ პუნქტში იხრება ორგანიზებული საკენ. ზემოთ ჩვენ განვიხილეთ დუალისტური ფორმა ბლოკ „B2“ ძალადობით დანაშაულობასთან მიმართებაში. ახლა კი განვიხილოთ მისი ანგარებითი ნაირსახეობა.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ცნობილი ორგანიზებული ჯგუფის საქმე, რომელიც საწარმოს დირექტორ დ.-ს მეთაურობით მოქმედებდა. მთავარმა ბუღალტერმა, ასევე სხვა წევრებმა შექმნეს ჯგუფი, რომელიც 1994-1995 წლებში უკანონო ოპერაციების გზით იტაცებდა და ასაღებდა დიდი რაოდენობის ფქვილს. დანაშაულის დასაფარავად, სამტრედიის რაიონის ხელმძღვანელებთან ერთად დააარსეს „ა-ბანკი“, რომლის ანგარიშზე ირიცხებოდა დანაშაულებრივი გზით ნაშოვნნი ფული.

ამ მაგალითშიც ჩვენ ჯგუფური დანაშაულობის დუალისტურ ფორმას ვხედავთ. მაგრამ გამოიყოფა ორგანიზებული დანაშაულობის ნიშნები. „ხელისუფლების სტრუქტურებში შესვლა“ ხორციელდება დატაცების დამალვის გზით. რეგულარულ დანაშაულებრივ საფუძველზე სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაცია, ე.ი. დანაშაულებრივი გზით ნაშოვნნი ფულით საწარმოების შექმნა ჯერ არ ხდება. ბანკის შექმნა იმ ფორმების წინარე სახეა, რომელსაც ჩვენ მაფიოზური ჯგუფების<sup>8</sup>

<sup>5</sup> “Основы борьбы с организованной преступностью”, М., “ИНФРАМ-М”, 1996, с.154.  
<sup>6</sup> Деловой мир, М., “Финансы и статистика”, 1970, с. 148-162; “Организованная преступность”, М., “Юрид.-литература”, 1989, с.131-236.

<sup>7</sup> V.Aubert. White Collar Crime and Social Structure. American Journal of Sociology. 1952. 58.p. 265-266.

<sup>8</sup> В.М.Рейсман. Скрытая ложь. Взятки: “крестовые подходы” и реформы, М., 1988, с. 46.



დანაშაულებრივ პრაქტიკაში ვხვდებით. მაგრამ ჯგუფური დანაშაულობის ევოლუციაში უკვე აღმოჩენილია უფრო განვითარებული ფორმების პირველი ყლორტები: ძალადობა უკანა პლანზე გადადის. წინა პლანზე გამოდის ხელისუფლების კორუმპირებული ელემენტების სიმბიოზი და სამეწარმეო საქმიანობის დანაშაულებრივი მიზნებისათვის გამოყენება. ამის გამო ს.მ.ინშაკოვი სამართლიანად აღნიშნავს: „ორგანიზებული დანაშაულობის პერსპექტივების პროგნოზირება შეიძლება მისი განვითარების ძირითადი ორიენტირების მიხედვით: „გადარჩენა - სიმდიდრე - ხელისუფლება“.<sup>9</sup> განსახილველ მაგალითში ხელისუფლება მხოლოდ დამხმარე გზით გამოიყენება. შემდგომში ვნახავთ, რომ ხელისუფლება უფრო განვითარებულ ფორმებში დანაშაულებრივი სამეწარმეო საქმიანობის მნიშვნელოვანი პირობაა. ადრე გაანალიზებულ ფორმებში ძალადობა და ანგარება ხელისუფლების სტრუქტურებში მცდელობის პირობად გვევლინება, ხოლო ქვემოთ მოტანილ მაგალითში („C1“) თვით ხელისუფლება ხდება მოგების მიღების საშუალებად. აქ იგივე ტენდენცია შეინიშნება, რაც აშშ-ში დაადგინეს: „სასტიკი ანგარიშსწორება... უკანა პლანზე გადადის და პირველ ადგილს იკავებს მოსყიდვა და კრიმინალურ ხერხებზე დამყარებული ზემომკებიანი ბიზნესი. ამასთან, რაც უფრო მდიდრდება მაფიოზური ოჯახი, მით უფრო ნაკლები ხვედრითი წონა აქვს მის საქმიანობაში კრიმინალს.“<sup>10</sup> „C1“ ფორმის ნიშნად თანამედროვე კრიმინოლოგიური თეორია ადასტურებს ჯგუფ „მხედრიონს“. სეპარატიზმისაგან ქვეყნის „ხსნის“ ტალღაზე აღმოცენებული, იგი იმთავითვე მიზნად ისახავდა მოგების კრიმინალური გზით უზრუნველყოფას. მოგების მიღების საფუძველი იყო ხელისუფლების ოფიციალურ სტრუქტურებში შეღწევა. 1997 წლის 14 ნოემბერს ქ.ქუთაისში განხილული №190 საქმიდან ირკვევა, რომ ამ ორგანიზაციის უპირველესი წესი გახლდათ მოგების ყაჩაღური ხელყოფის გზით მიღება.<sup>11</sup> ამასთან ერთად, დანაშაულებრივი ორგანი-

ზაციის მასალათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მის კრიმინალურ ქმედებაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებდა რეკეტული საქმიანობა, მისი სხვადასხვა კომერციულ ორგანიზაციებში „წილობრივი“ მონაწილეობა. აქ თავს იჩენს ორგანიზებული დანაშაულობის ყველა ნიშანი, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით და იგი გაიგივებულია კორუფციასთან, რომელიც ჩვენ ბლოკ „B1“-ში ვნახეთ, აქ შეინიშნება ხელისუფლებაში მოხვედრის პირდაპირ გზებზე გადასვლა, მისი უფლებამოსილების გამოყენება კრიმინალური ქმედებების დაფარვისა და უზრუნველყოფისათვის. მართალია, უფრო ორგანიზებულ საქმიანობაზე მხედრიონი არ გადასულა საზოგადოებაში პოლიტიკური ცხოვრების მოწესრიგების და სამართალდამცავი ორგანოების გაძლიერების გამო. თითქმის ყველა რეგიონში გააუვნებელყვეს „მხედრიონის“ „ფილიალები“ და მისი ხელმძღვანელები. მაგრამ თეორიული ანალიზი იმის პროგნოზირების საშუალებას იძლევა, რომ იმ შემთხვევაში, ეს ჯგუფი რომ არ აღკვეთილიყო, იგი მაფიოზური ორგანიზაციის ფორმებს მიიღებდა.

ჯგუფური დანაშაულობის უკანასკნელი განვითარებული ფორმის ნიმუშად, აგრესიული სეპარატიზმი გამოვყავით ბლოკი „-C2“. ეს გაგება საერთაშორისო ინფორმატიკულ აზროვნებაში საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ შემოიტანა დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრაზე ქ.ალმა-ატ-ში, 1995 წ. უნდა ითქვას, რომ ამ მოვლენის განსაზღვრა ევროპულ კრიმინოლოგიას არ გააჩნია. პოლიტიკური დანაშაულობის ფორმების გამოყოფისას განარჩევენ დელიქტებს, რომლებსაც სჩადიან მმართველი ჯგუფები, დემოკრატიული სისტემის სახელმწიფოს ფარგლებში, რაც სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების<sup>12</sup> წინააღმდეგ არის მიმართული. ამ დელიქტებიდან, განსაკუთრებით, ტერორიზმს გამოჰყოფენ. მაგრამ სეპარატიზმს არ იკვლევენ. ამიტომაც, ჯგუფური დანაშაულობის ფორმებიდან არ გამოიყოფა სეპარატიზტული ჯგუფები. არადა, სეპარატიზმის ანალიზის გარეშე, როგორც აღვნიშნეთ, ძნელია ჯგუფური დანაშაულობის სრული სურათის მიღება. ამის გამო, ისტორიკოსებმა და პუბლი-

<sup>9</sup> С.М.Иншаков. Зарубежная криминология, М., „Норма“, 1997, с.304.

<sup>11</sup> იქვე.  
იხ. გ.შარიქაძე. გამოძიება დამთავრებულია, გამოძიება დაიწყო, „კრიმინალური ქრონიკა“ 1997, №35-36, 30 დეკემბერი.

<sup>12</sup> Г.Шнайдер. Криминология, М., „Прогресс“, 1994, с.435.





ცისტებმა უამრავი ლიტერატურა გამოაქვეყნეს. საკითხის დასმის წესით, ამ საკითხის მხოლოდ სამეცნიერო ასპექტს შევეხებით, მით უმეტეს, რომ მისი დამუშავების აუცილებლობას აღნიშნავენ ქართველი მეცნიერები.<sup>13</sup>

თავისი ფორმით „C2“ უფრო განვითარებულია, ვიდრე „C1“ ბლოკი.

ჩვენ ვნახეთ, რომ „მხედრონს“ ხელისუფლებაზე პრეტენზია ნაწილობრივ ჰქონდა, რამდენადაც ჯგუფის ლიდერს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოში ერთ-ერთი ხელმძღვანელი თანამდებობა ეჭირა. „C2“ ანალიზისას ჩვენ უფრო განვითარებულ, ხარისხობრივად ახალ ფორმას ვხედავთ. აფხაზეთში მთელს სეპარატისტულ ქმედებას ეწევა ჯგუფი, რომელმაც ხელთ იგდო ძალაუფლება საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე აფხაზეთში. სეპარატიზმი ტრანსნაციონალური კორპორაციის (მათ შორის უცხო სახელმწიფოს, მისი ბიზნესის ჩართვით) ნაწილად გვევლინება. სეპარატისტული ჯგუფი, ჩვეულებრივ, იმ ხელისუფლების სტრუქტურებით მოქმედებს, რომელიც მას ხელთ ჩაუვარდა. ჯგუფის პირობების უზრუნველყოფის მთელი სისტემა „ოფიციალური სტრუქტურების“ ფორმის სახით მოქმედებს. შევნიშნავთ, რომ არსი დასტურდება შინაარსობრივად. ძირითადი მიზანი აქაც ანგარე-

ბითია. მაგრამ ეს მიზანი უფრო გარედან არის ნაკარნახევი და საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებთანაა დაპირისპირებული. ამ მიზნის განხორციელება მკვიდრი მოსახლეობის გენოციდის საშუალებით დაქირავებული ბანდიტების დასახლებით ხდება. ხელისუფლების სტრუქტურები და კომერციული ორგანიზაციები იმ პირებით ივსება, რომლებიც სეპარატისტულ იდეოლოგიას აღიარებენ. „ნეიტრალიზაციის“ ოპერაციებს ატარებენ ზოგიერთი ადგილობრივი მოსახლე და „აგრეთვე“ დაქირავებულები, რომლებიც პოლიციის უფლებებით არიან აღჭურვილი. ნეიტრალიზაციის ოპერაციას ცენტრალურ დონეზე დაინტერესებულ ქვეყნის სპეცსამსახურები უზრუნველყოფენ. ორივენი ამუშავებენ სეპარატისტული პოლიტიკის ეკონომიკური უზრუნველყოფის პროგრამას, შემსრულებლების დონეზე ფართოდ არიან წარმოდგენილი არა მარტო დაქირავებულები, არამედ, ასევე, ადგილობრივი კრიმინალები. ამ ფორმაში განსახიერებულია უზურპირებული ხელისუფლებისა და უცხოური ბიზნესის ეკონომიკური პოლიტიკის ინტეგრაცია. სეპარატისტული ჯგუფების ანალიზი ცალკე თემაა, მაგრამ ჯგუფური დანაშაულობის ევოლუციის, მისი განვითარებული ფორმების ანალიზისათვის ამ თემის განხილვა აუცილებელია.



<sup>13</sup> Д.Бараташвили. Агрессивный сепаратизм. „პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი“, იხ. 1997, №2, გვ. 14-17; ვ.თოდრა. დანაშაულობის ორგანიზებული ფორმირების ზოგიერთი საკითხი, „პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი“, თბ., 1997, № 3, გვ. 14; მ.ბაძალუა, „ჯგუფური დანაშაულობა“ 1998, პოლიგრაფკომბინატი „ფარი“, გვ. 108-109.



## რამდენიმე მოსაზრება საზოგადოებაში მიმდინარე დისკუსიაზე

### პროკურატურის რეფორმასთან დაკავშირებით

მიმდინარე წლის 30 იანვარს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცების, დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლის და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით 1999 წელს გაწეული მუშაობის შედეგებსა და 2000 წლის ამოცანებს შეეხებოდა, ქვეყნის პრეზიდენტმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დასვა საკითხი პროკურატურის ორგანოების რეფორმის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობის შესახებ. პროკურატურის რეფორმასთან დაკავშირებული პრობლემატიკა საფუძვლად დაედო უკანასკნელ პერიოდში საზოგადოებაში მიმდინარე დისკუსიას საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 21 ნოემბერს მიღებულ ორგანულ კანონში „პროკურატურის შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე.

პროკურატურის სისტემის მომავალზე საზოგადოების მსჯელობაში გამოიკვეთა წინადადებები ორი ძირითადი მიმართულებით:

პირველი – პროკურატურის უფლებამოსილების, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა-გაფართოება;

მეორე – პროკურატურის კადრების სრულყოფა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების გზით;

პირველი მიმართულება – საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონით განისაზღვრება. მიმდინარე ეტაპზე აღნიშნულ კანონში სათანადო ცვლილებების შეტანის აუცილებლობა ნაკარნახევია უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში შექმნილი დამნაშავეობის და განსაკუთრებით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული ნაკლოვანებებით. ამ საკითხზე სავესებით კომპეტენტური და დასაბუთებული რეკომენდაციებია ცნობილი მეცნიერ-იურისტების მიერ მიმდინარე წლის 2 მარტის გაზეთ „საქართვე-

ლოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „პროკურატურას სჭირდება რწმუნებები, რომლებიც შეესაბამება დამოუკიდებელ სახელმწიფოს ინტერესებსა და ადამიანთა კანონიერი უფლებების დაცვას“.

რაც შეეხება მეორე მიმართულებას – პროკურატურის კადრების სრულყოფას საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების გზით – უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „საქართველოს პროკურატურა ერთიანი ცენტრალიზებული სისტემაა. გენერალურ პროკურორს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 5 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უძრავლესობით ნიშნავს პრეზიდენტი. ქვემდებარე პროკურორებს ნიშნავს გენერალური პროკურორი“. ამით გენერალური პროკურორი პირადად არის პასუხისმგებელი მთლიანად ქვეყანაში პროკურატურის საქმიანობაზე და მათ შორის საკადრო საკითხებზე, რომელიც ასევე კონსტიტუციით არის რეგლამენტირებული და ორგანულ კანონში მისი სხვა სახით წარმოდგენა ეწინააღმდეგება ქვეყნის ძირითად კანონს, ამიტომ გადასახედია საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი, მასში გენერალური პროკურორის მონაწილეობა და ასევე სადოქტორო-საკანდიდატო სამეცნიერო ხარისხის მქონე იურისტების საკვალიფიკაციო გამოცდების გარეშე მიღების საკითხი.

აღნიშნულის შესახებ დისკუსია კოპეტენტური პირების, უპირველეს ყოვლისა, პროკურატურის მუშაკების, მეცნიერ-იურისტების და საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით აუცილებელი და მისასალმებელია. განსაკუთრებით უნდა გამოიკვეთოს საქართველოს იურისტთა კავშირის როლი და მნიშვნელობა ზემოთ აღნიშნული და საერთოდ, სამართლებრივი რეფორმის მიმდინარეობის პერიოდში.

მალხაზ ბაბაძე,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

## კომპიუტერულ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური დახასიათება\*

საზოგადოებაში კომპიუტერული დანაშაულის წარმოშობის ფაქტს ბევრი მკვლევარი აკავშირებს ე.წ. "ჰაკერების" (hacker-ინგ.) გამოჩენასთან, გამოთვლელი სისტემის მომხმარებლებისა (ჩვეულებრივ ეგმ-ს სისტემის), რომლებიც დაკავშირებულნი არიან კომპიუტერული ტექნიკის საშუალებებისა და მონაცემების არასანქცირებული (თვითნებური) დაუფლებით, მათი არასანქცირებული გამოყენებით ერთობლიობაში ანგარებითი მიზნით, (იხ. Пантелеев Е. С., О законе против хакеров. М., 1992, г. с. 156). ზოგჯერ ლიტერატურასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ასეთ პირებს ეძახიან "კომპიუტერულ მეკობრეებს", "თაღლითებს", "ქურდებს", "ელექტრონულ ბანდიტებს" და ა.შ. ჰაკერებს განეკუთვნებიან კომპიუტერული ტექნიკის მტაცებელი პირები – ახალგაზრდები – სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები, რომელნიც იწაფებიან სხვადასხვა დაცვითი სისტემის გატეხვაში.

უკანასკნელი ცნობებით, ჰაკერები ერთიანდებიან ჯგუფებად, უშვებენ მასობრივი ინფორმაციის ელექტრონულ საშუალებებს (გაზეთებს, ჟურნალებს, ელექტრონულ დოსიეებს სასწრაფო განცხადებებით) ატარებენ ელექტრონულ კონფერენციებს, აქვთ თავიანთი ჟარგონული ლექსიკონი, რომელიც გამუდმებით ივსება და რთულდება კომპიუტერული ბიულეტენების დახმარებით, რომელნიც აგრეთვე შეიცავენ ყველა აუცილებელ ცნობას დამწყების ოსტატობის ასამაღლებლად – კონკრეტულ სისტემებში შეღწევის და დაცვის სისტემის გატეხვის მეთოდებს. ჰაკერები მჭიდროდ ეკონტაქტებიან და უცვლიან ერთმანეთს გამოცდილებას გლობალური ტელეკომუნიკაციის არხებით.

ყველა ზემოხსენებული სახელწოდება ერთობლიობაში განსაზღვრავს კომპიუტერული დანაშაულის ცნებას. ამიტომ, კრიმინალისტიკური თვალსაზრისით, მისი პიროვნების დახასიათება მიზანშეწონილია ჩაითვალოს კრებით ცნებად, ამ სიტყვის ფართო გაგებით, თუმცა დამოუკიდებელ ჯგუფებად გარკვეული დაყოფით განვიხილოთ ისინი უფრო დაწვრილებით.

"კომპიუტერულ" დამნაშავეთა პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ პირები, რომელთა განმასხვავებელი თავისებურებაა კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამირების სფეროში პროფესიონალიზმისა და თავისებური ფანატიზმისა და გამოგონებლობის მდგრადი შეხამება. ეს სუბიექტები კომპიუტერული ტექნიკის საშუალებებს აღიქვამენ როგორც თავიანთი შემოქმედებითი და პროფესიონალური ცოდნის უნარისა და ჩვევების გარკვეულ გამოწვევას (იხ. Батуриш Ю. М.). სწორედ ეს არის, სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ისეთ სხვადასხვა ქმედებათა ჩადენის აღმძვრელი ფაქტორი, რომელთა უმრავლესობასაც გააჩნია მკვეთრად გამოხატული დანაშაულებრივი ხასიათი. ამ ფაქტორის ზემოქმედებით, განსახილველი ჯგუფის პირები იკონებენ კომპიუტერულ სისტემებში არასანქცირებული შეჭრის სხვადასხვა ხერხს, რომელთაც ხშირად ახლავს თანდათან უფრო გართულებულ მონაცემთა დაცვის საშუალებების გადალახვა, რაც თავის მხრივ, იწვევს დანაშაულებრივ ქმედებათა ალგორითმის ზრდას, მრავალფეროვნებას მატებს და ობიექტურად უწყობს ხელს კომპიუტერულ დანაშაულთა ჩადენის ხერხებს. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის დამნაშავეთა დამახასიათებელი თავისებურებაა მკვეთრად გამოხატული მართლსაწინააღმდეგო განზრახვის არარსებობა. პრაქ-

\* დასასრული. დასაწყ. იხ. ჟურნ. „საპარტალი“, №2, 2000.



ტიფულად ყველა ქმედების ჩადენა ხდება ინტელექტუალური და პროფესიონალური შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით. პირობითად შეიძლება ამ სიტუაციის შედარება ისეთთან, რომელიც ყალიბდება სხვადასხვა გონებრივი აქტივობის მასტიმულირებელი თამაშებისას, მაგ., ჭადრაკის თამაშისას, როდესაც ერთი მოთამაშის როლში გამოდის ჰიპოთეტიკური დამნაშავე, ხოლო მის საწინააღმდეგო როლში – კომპიუტერული სისტემის განმზოგადებელი სახე და შემუშავებლის ინტელექტი არასანქციონირებული შეღწევისაგან დაცვის საშუალებით. კრიმინალისტიკურ ასპექტში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ დამნაშავეს პიროვნების შესწავლის კომპიუტერული ტექნიკის საშუალებათა სფეროს სპეციალისტი პროფესიონალები. მოცემული სპეციალობის წარმომადგენლები, ჩვეულებრივ, საკმაოდ ცოდნისმოყვარულნი და გამორჩეული ინტელექტისა და შესაძლებლობების მქონენი არიან. ამასთან ისინი არ არიან მოკლებულნი თავისებურ სიცვლქეს და "სპორტულ" აზარტს. კომპიუტერულ სისტემათა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მზარდ ღონისძიებებს ისინი აღიქვამენ, როგორც თავისებურ გამოწვევას და ამიტომ ესწრაფვიან, რაღაც უნდა დაუჯდეთ, აღმოაჩინონ ეფექტიანი ხერხები თავიანთი უპირატესობის დასამტკიცებლად. წესისამებრ, ამას მიჰყავს ისინი დანაშაულის ჩადენამდე. განსახილველი კატეგორიის ზოგიერთი სუბიექტი, არა მხოლოდ იძენს აუცილებელ გამოცდილებას, არამედ ინტერესსაც მოღვაწეობის ამ სფეროში. საბოლოო ჯამში, ხდება მათი მიზანმიმართულების გადორიენტირება, რომელიც "უანგარო თამაშის" მდგომარეობიდან გადადის თავის ახალ ხარისხში. მსგავსი "თამაშით" გატაცება უკეთესია გარკვეული მატერიალური გამორჩენის მიღების შემთხვევაში. სწორედ ამრიგად ხდება მოყვარული პროგრამისტის გარდაქმნა პროფესიონალ დამნაშავედ.

ზემოთ განხილულ დამნაშავეთა ჯგუფთან ახლოს დგას დამნაშავეთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც მოიცავს პირებს, ახალი სახეობის ფსიქიკური სენით დაავადებულთ. ესაა ინფორმაციული დაავადებები, ანუ კომპიუტერული ფობიები. ამ საკითხებს შეისწავლის მედიცინის შედარებით ახალი დარგი – ინფორმაციული მედიცინა. დღესდღეობით სამუშაო ადგილების პერსონალური კომპიუტერებით ფართო აღჭურვასთან დაკავშირებით ინფორმაციული პროცესების დაჩქარების და სამუშაო დროის ეფექტიანად გამოყენების გამო, ბევრი მომსახურე

ვარდება სხვადასხვა სტრესულ სიტუაციაში, რომელთაგან ზოგიერთიც კომპიუტერულ ფობიათა ფორმირებით მთავრდება. არსებითად, ეს სხვა არაფერია, თუ არა პროფესიონალური დაავადება. განსახილველი ჯგუფის დამნაშავეთა მიერ ჩადენილი კომპიუტერული დანაშაულები, ძირითადად, დაკავშირებულია იმ დანაშაულებრივ ქმედებებთან, რომელნიც მიმართულია კომპიუტერული ტექნიკის საშუალებათა ფიზიკური განადგურების ან დაზიანებისაკენ, დანაშაულებრივი განზრახვის გარეშე თავისი ქმედებებისათვის კონტროლის გაწვევის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვით.

მესამე ჯგუფს შეადგენენ პროფესიონალი "კომპიუტერული" დამნაშავენი მკვეთრად გამოხატული ანგარებითი მიზნებით, ე.წ. "პროფესიონალები". პირველი მოყვარული გარდამავალი ჯგუფისა და მეორე სპეციფიკური "ავადმყოფების" ჯგუფებისაგან განსხვავებით, მესამე ჯგუფის დამნაშავეები დანაშაულს სჩადიან არაერთგზის და აუცილებლად იყენებენ მოქმედებებს, რომელნიც მიმართულია მათ დასაკარგად და ამასთან დაკავშირებით, გააჩნიათ მდგრადი დანაშაულებრივი ჩვევები. სწორედ დამნაშავეთა ეს ჯგუფი ქმნის საზოგადოებისათვის განსაკუთრებულ საშიშროებას. სწორედ ამ დამნაშავეებზე მოდის განსაკუთრებით საშიშ ხელყოფათა მაქსიმალური ოდენობა. მაგ., დიდი და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფულადი სახსრების დატაცების თითქმის 79%.

პროფესიონალურ-მაკლასიფიცირებელი თვალსაზრისით, "კომპიუტერულ" დამნაშავეთა წრე საკმაოდ ფართოა. ჩვეულებრივ, ეს არის სხვადასხვა სპეციალისტთა და ხელმძღვანელთა კატეგორია. ისინი შეიძლება დავეყთ ორ ძირითად ჯგუფად კომპიუტერული ტექნიკის საშუალებებთან ხელმისაწვდომობის მაკლასიფიცირებელი ნიშნის კატეგორიიდან გამომდინარე:

1. შინაგანი მომხმარებლები;
  2. გარე მომხმარებლები, სადაც მომხმარებელი არის სუბიექტი, რომელიც მიმართავს ინფორმაციულ სისტემას ან შუამავალს მისთვის აუცილებელი ინფორმაციის მისაღებად და მოიხმარს მას.
- არსებობს მომხმარებლების ორი სახეობა: რეგისტრირებულნი (სანქციონირებულნი) და არარეგისტრირებულნი (არასანქციონირებულნი, უკანონოები).
- ამერიკელ სპეციალისტთა შეფასებით, კომპიუტერულ დანაშაულთა ჩადენის ძირითადი საშიშროება

მოდის სწორედ შინაგანი მომხმარებლისაგან. მათ მიერ ხდება დანაშაულთა 94%-ის ჩადენა, მაშინ, როდესაც გარე მომხმარებლები სჩადიან მხოლოდ 6%-ს. ასეთი დამნაშავეები, ძირითადად, შეიძლება დაეყოს სამ ჯგუფად კომპიუტერული ტექნიკის ფუნქციონალური ხელმისაწვდომობის საფუძველზე. პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ დამნაშავეები, რომელნიც სჩადიან პროგრამულ საშუალებათა გამოყენებაზე დაფუძნებულ კომპიუტერულ დანაშაულებს.

მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან პირები, რომელნიც სჩადიან კომპიუტერული ტექნიკის საშუალებათა აპარატურულ გამოყენებაზე დაფუძნებულ კომპიუტერულ დანაშაულებს.

მესამე ჯგუფს შეადგენენ ის პირები, რომელნიც სჩადიან კომპიუტერულ ტექნიკასთან ირიბ შელწევვაზე დაფუძნებულ კომპიუტერულ დანაშაულებს და ხელი მიუწვდებთ კომპიუტერული ტექნიკის საშუალებებზე. როგორც მოწმობს საზღვარგარეთული პრაქტიკა, გარე მომხმარებელ დამნაშავეთა რიცხვს მიეკუთვნებიან ის პირები, რომელნიც კარგად ერკვევიან დაზარალებული მხარის მოღვაწეობაში. მათი წრე უკვე ისე ფართოა, რომ არანაირ სისტემატიზაციას და კლასიფიკაციას აღარ ექვემდებარება – ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი შემთხვევითი ადამიანი. ამ ჯგუფებში შედიან ჰაკერები, რომელთა შესახებაც უკვე ადენი ითქვა.

ეხლა განვიხილოთ კომპიუტერულ დანაშაულთა "თამაშით" ჩადენის მოტივები და მიზნები, რომელიც არცთუ უმნიშვნელო როლს თამაშობს განსახილველი კატეგორიის დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების განსაზღვრებაში.

მოტივი და მიზანი ითვლება ზოგიერთ შემთხვევაში განზრახ დანაშაულთა სუბიექტური მხარის აუცილებელ ნიშნებად (მაგ., ანგარებითი მოტივი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისას, ფულადი თანხების გატაცების მიზანი მონაცემთა არასანქცონირებული დაუფლებისას და ა.შ.). გვხვდება ისეთი შემადგენლობები, რომელშიც მოტივი და მიზანი შეადგენს მაკვალიფიცირებელ ნიშნებს (მაგ., ხულიგნური ქვენაგრძობა კომპიუტერულ სისტემაში ვირუსის შეყვანისას და სხვა დატაცების დაფარვის მიზანი კვალიფიცირებული დატაცებისას). სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი მოტივი ნაჩვენებია დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოების სახით. ყველა ამ შემთხვევაში დანაშაულთა სისხლისსამართლებრივ დახასიათებას განეკუთვნება მოტივი და მიზანი. თუმცა, განზრახ ჩადენილ დანაშაულთა უმეტესობისათვის

მოტივი და მიზანი არ არის სუბიექტური მხარის აუცილებელი ნიშნები და შესაბამისად, არ შედიან სისხლისსამართლებრივ დახასიათებაში. მაგ., დასავლეთის საგამომიებო პრაქტიკა მოწმობს მანქანური ინფორმაციის ფიზიკურ მატარებელთა განადგურებისა და დაზიანების მიზანს, რაც რიგ შემთხვევაში მატერიალურ ღირებულებათა და ფულადი სახსრების დატაცების დაფარვაა. საზღვარგარეთულ მკვლევართა გამოკვლევების შედეგებიდან გამომდინარე, დღესდღეობით შეიძლება გამოვყოთ კომპიუტერულ დანაშაულთა ჩადენის ყველაზე გავრცელებული ხუთი მოტივი:

1. ანგარებითი მოსაზრებით – 66% (რომელთაც ძირითადად ჩადიან ზემოთ განხილული მესამე ჯგუფის დამნაშავეები);
2. პოლიტიკური მიზნები – 17% (შპიონაჟი, დანაშაულები, რომლებიც მიმართულია მთავრობის ფინანსური, ფულად-საკრედიტო პოლიტიკისათვის ზიანის მიყენებისთვის, სავალუტო სისტემის დესტრუქციულ დაზარალებას, საბაზრო ურთიერთობათა ჩაშლა – რომელთაც სჩადიან მხოლოდ მესამე ჯგუფის დამნაშავეები);
3. კვლევითი ინტერესი – 7% (სტუდენტები და პროფესიონალი პროგრამისტები, პირველი ჯგუფი დამნაშავეთა რიცხვიდან);
4. ხულიგნური ქვენაგრძობა და სიცელქე – 5% (ჰაკერები, პირველი ჯგუფის დამნაშავეები);
5. შურისძიება – 5% (პირველი და მეორე ჯგუფის დამნაშავეები). შესაძლებელი ხდება შემდეგი, შედარებით ტიპური დანაშაულებრივი მიზნების გამოყოფა, რომელთა მისაღწევადაც დამნაშავეები იყენებდნენ კომპიუტერული ტექნიკის საშუალებებს: ანგარიშებისა და საგადასახადო უწყებათა გაყალბება, ზეგანაკვეთური სამუშაო საათების მიწერა, საგადასახადო დოკუმენტთა ფალსიფიცირება, ნაღდი და უნაღდო ფულადი სახსრების დატაცება, უკვე წარმოებულ ანგარიშსწორებათა ხელმოწერა, ფიქტიურ ანგარიშებზე ფულადი სახსრების გადარიცხვა, ფულის გადარიცხვა, დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზება (მათი დანაწევრება და გადაყვანა წინასწარ გახსნილ კანონიერ ანგარიშებზე, შემდგომი მათი მოხსნითა და მრავალჯერადი კონვერტაციით), ყიდვის წარმოება ფიქტიური ანგარიშსწორებით (მაგ., ფალსიფიცირებული ან მოპარული საკრედიტო ბარათით), უკანონო ოპერაციები ნედლეულითა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით, უკანონო სავალუტო ოპერაციები,



კრედიტების უკანონო მიღება, უძრავი ქონებით უკანონო მანიპულაციები, უკანონო შეღავათებისა და მომსახურების მიღება, კონფიდენციალური ინფორმაციის გაყიდვა. ამასთან, წესისამებრ, დანაშაულთა 52% დაკავშირებულია ფულადი სახსრების დატაცებასთან, 16% – კომპიუტერული ინფორმაციისა და პროგრამების დატაცებასთან და 10% – მომსახურების დატაცებასთან.

კომპიუტერული დანაშაულების საერთაშორისო კომიტეტის მონაცემთა თანახმად, რომელიც ივლევს კომპიუტერული დამნაშავეობის მასშტაბებსა და სახეებს და აგრეთვე ამ სახის დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივ ასპექტებს, კომპიუტერული დანაშაულები სერიოზული საფრთხეა ნებისმიერი კომპიუტერული ტექნიკის მფლობელი ორგანიზაციისათვის. ამასთან, დიდი რისკის გარდა, მას შეუძლია მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის მიყენებაც. არსებული გამოთვლებით, ელექტროგამომთვლელი სისტემის მწყობრიდან გამოყვანის არასაშტატო ტექნიკური სიტუაციის შედეგად, შეიძლება თვით ყველაზე მსხვილი ბანკის სრული გაკოტრება 4 დღე-ღამის განმავლობაში, ხოლო უფრო პატარა დაწესებულების – მხოლოდ ერთ დღე-ღამეში.

როგორც მცირერიცხოვანი პრაქტიკა გვიჩვენებს, კომპიუტერული დანაშაულების დროს დაზარალებული მხარე, ჩვეულებრივ, იურიდიული პირები არიან. ეს იმით აიხსნება, რომ დღესდღეობით საქართველოში კომპიუტერიზაციის პროცესმა მოიცვა მხოლოდ საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები (ე.ი. იურიდიული პირები), კომპიუტერული ტექნიკის საშუალებების შიდა ბაზარზე საკმაოდ მაღალი გასაყიდი ფასის გამო, საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობისათვის პერსონალური კომპიუტერი მიუწვდომელია. მაშინ, როდესაც, ამერიკელ ოჯახთა მესამედს გააჩნია პერსონალური კომპიუტერი, 2 მილიონს კი ისინი აღჭურვილი აქვს მოდემით (ფუნქციონალური მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრომაგნიტური სიგნალების მოდულაციასა და დემოდულაციას, ე.ი. გარდაქმნის ციფრულ სიგნალებს ანალოგიურ ფორმად და პირიქით, კავშირის ხაზებით გადასაცემად), სხვადასხვა ინფორმაციული მომსახურების მიღებისათვის, ელექტრონული ფოსტით კოლეგებთან დასაკავშირებლად, კომერციულ გარიგებათა განსახორციელებლად, თავისუფალი დროის გასატარებლად და ა.შ. მით უმეტეს, მიმანია, რომ ქვეყნის მოსახლეობის კომპიუტერიზაცია,

რომელიც თანდათან ფართოვდება და იკრებს ძალას, მოკლე ხანში გამოიწვევს კომპიუტერული დანაშაულისაგან დაზარალებულ მხარედ ფიზიკური პირის გამოჩენასაც, რასაც ნათლად გვიჩვენებს საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითი.

საზღვარგარეთის ქვეყანათა გამოცდილებიდან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაზარალებული მხარე, რომელიც არის სისტემის მესაკუთრე, უხალისოდ აცნობებს (თუკი საერთოდ აცნობებს) სამართალდამცავ ორგანოებს კომპიუტერულ დანაშაულთა ჩადენის შესახებ და რადგანაც ისინი უმრავლესობას შეადგენენ და შესაბამისად, ასეთ დანაშაულთა ჩადენის ფაქტების უმრავლესობას, ამიტომ სწორედ ამით შეიძლება აიხსნას კომპიუტერულ დანაშაულთა ლატენტურობის მაღალი დონე. შევეცადოთ გამოვყოთ შემდეგი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს დაზარალებული მხარის გადაწყვეტილებაზე, რათა მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს კომპიუტერული დანაშაულის ფაქტის შესახებ (რა თქმა უნდა, ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ):

1. საკანონმდებლო ბაზის უსუსურობა;
2. სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების არაკომპეტენტურობა კომპიუტერული დანაშაულის ფაქტის დადგენის საკითხში, აღარ ვლაპარაკობთ უკვე მისი გახსნისა და გამოძიების პროცესზე;
3. იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის-სამართლებრივი გამოძიების შემთხვევაში ზარალმა გამოძიებისაგან შეიძლება გადააჭარბოს მიყენებული ზიანის თანხას, რომელიც უნდა ანაზღაურდეს სასამართლო წესით, ბევრი ორგანიზაცია უპირატესობას ანიჭებს კონფლიქტის საკუთარი ძალებით გადაჭრას, რომელიც არცთუ იშვიათად მთავრდება ისეთი ზომების მიღებით, რომელნიც არ გამორიცხავენ კომპიუტერულ დანაშაულთა რეციდივებს;
4. საკუთარი ავტორიტეტის შელახვის შიში საქმიან წრეებში და ამის შედეგად კლიენტთა მნიშვნელოვანი ოდენობის დაკარგვა. ეს გარემოება განსაკუთრებით დამახასიათებელია ბანკებისათვის;
5. სასამართლო გარჩევის დროს ორგანიზაციის კომპიუტერული უსაფრთხოების სისტემის გარდაუვალი გახსნა, რაც არასასურველია მისთვის;
6. გამოძიების პროცესში საკუთარი მოღვაწეობის ცალკეული სახეების უკანონო მექანიზმის და ფინანსურ-ეკონომიკური ოპერაციების აღმოჩენის შიში;
7. კომპიუტერულ დანაშაულთა გამოძიების პროცესში იმ მიზეზების გარკვევა, რომელნიც ხელს

უწყობენ მის ჩადენას, შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ ცალკეული თანამდებობის პირების პროფესიული ვარგისიანობა (კომპეტენტურობა), რაც საბოლოო ვაშში იწვევს მათთვის ნეგატიურ შედეგებს;

8. თანამდებობის პირთა უმრავლესობის სამართლებრივი და კანონმდებლობითი უცოდინარობა განსახილველი კატეგორიის საკითხებში;

9. ხშირად ორგანიზაციებს გააჩნიათ საკმაოდ ცუდი წარმოდგენა იმ ინფორმაციის რეალური ღირებულების შესახებ, რომელთაც შეიცავს მათი კომპიუტერული სისტემა. ჩვეულებრივ, ღირებულება განისაზღვრება მისი შექმნის ფასით და კონკურენტუნარიანობით. ამასთან, სულ უფრო მეტი უპირატესობა ეძლევა უკანასკნელს. მათში მოცემულ მონაცემთა დიაპაზონი მოიცავს, როგორც საწარმოო საიდუმლოებსა და გეგმებს, ასევე კონფიდენციალურ ინფორმაციას და კლიენტთა სიებს, რომელთა გამოყენებაც შეუძლია დამნაშავეს შანტაჟისა და სხვა დანაშაულებრივი მიზნებისათვის. ამ ინფორმაციას გააჩნია სხვადასხვა ფასი მესაკუთრისა და იმ პირისათვის, რომელიც ცდილობს მის ხელში ჩაგდებას. ინფორმაციის უშუალო ღირებულება დგინდება მისი აკრეფის, გადამუშავებისა და შენახვის ხარჯების გათვალისწინებით, აგრეთვე საბაზრო ფასით. ამასთან, მასზე არ მოქმედებს ზოგიერთი გარემოება, რომელიც დაკავშირებულია კომპიუტერულ დანაშაულთა ჩადენასთან. თუ მონაცემები გატაცებული ან განადგურებულია (ნაწილობრივ ან მთლიანად), მაშინ ზარალი მოიცავს არმიღებულ შემოსავლებს და მომსახურებას, ინფორმაციის აღდგენის საფასურს, ამასთან დაშვებული ერთობლივი შეცდომების დანაკარგებს და ა.შ.

შემდგომში გატაცებული ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით, მათ შორის მესაკუთრის წინააღმდეგაც, მაგ., მისი კონკურენტუნარიანობის დაქვეითების ან გამოძალვის მიზნით (ეს იწვევს საერთო დანაკარგების კიდევ უფრო მეტ ზრდას). კომპიუტერული ტექნიკის საშუალებანი, კერძოდ, კომპიუტერულ სისტემას დამნაშავეები ხანდახან იყენებენ როგორც ხელყოფის იარაღს, მაგ., ადმინისტრაციასზე ზემოქმედების საშუალება

სამსახურში დაწინაურების მიზნით. მაგალითად, 1983 წლის აგვისტოს ქ. ტოლიატის საავტომობილო ქარხანაში რსფსრ-ს პროკურატურის საგამომიებო ბრიგადამ ამხილა პროგრამისტი, რომელმაც საწარმოს ხელმძღვანელობის მიმართ შურისძიების გამო, განზრახ შეიტანა ცვლილებები ელექტროგამომთვლელი მანქანის პროგრამაში, რომელიც უზრუნველყოფდა ქარხნის ავტომატური სისტემის მექანიკური კვანძების მიწოდებას ძირითადი საამწყობო კონვეიერისათვის, ასევე ტექნიკურ ფუნქციონირებას. შედეგად მოხდა მოცემული კონვეიერის მუშაობის შეფერხება და ქარხანას მიაღდა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი. "ვაზ"-ის მარკის 200 მსუბუქი მანქანა ვერ ჩამოვიდა კონვეიერიდან, ვიდრე პროგრამისტებმა არ მიაგნეს შეფერხებათა წყაროს და არ აღმოფხვრეს იგი, რომელიც 1983 წლის ფასებით 1 მლნ. მანეთის ეკვივალენტური იყო. პროგრამისტს დაეკისრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. სასამართლო გარჩევის დროს მოსამართლე და სახალხო მსაჯულები გარკვეულ სიძნელეებს წააწყდნენ. განსახილველ ბრალი ედებოდა რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 98-ე მუხლის მეორე ნაწილით "სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, რამაც მიაყენა დიდი ზარალი". ამასთან, ბრალდებული და მისი ადვოკატი ამტკიცებდნენ, რომ სინამდვილეში არაფერი დაზიანებულა – დაზიანებული აღმოჩნდა მხოლოდ სამუშაო წესი, ე.ი. ქმედებანი, რომელიც არ ექვემდებარებოდა მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის არც ერთ მუხლს. კვლევითი თვალსაზრისით საინტერესოა სასამართლოს განაჩენი: "პირობითი თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, იმ თანხის ამოღებით, რომელიც უნდა გადაეხადათ მომუშავეთათვის კონვეიერის იძულებით გაჩერების დროს, მთავარი კონვეიერის ამწყობის თანამდებობაზე გადაყვანა."

და ბოლოს, იქ, სადაც კომპიუტერული ტექნიკის საშუალებანი გამოიყენება ფინანსურ და ეკონომიკურ ოპერაციათა განხორციელებისათვის, დამნაშავეთათვის იძლება ფართო შესაძლებლობები სხვადასხვა დანაშაულებრივი ხელყოფის შესრულებისათვის.

ალექსანდრე კასიანი,  
იურისტი.

# სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა

ზაზა ინწკირველი

## ბრალდებულის ცრუ აღიარების მიზეზები და მათი ბამოვლენის მმქანიზმი ფსიქოლოგიური და პროცესუალური ხერხებით და საშუალებებით

**ღ**აკითხვა ძირითადი საგამოძიებო მოქმედებაა, რომლის მიმდინარეობის დროსაც პრაქტიკულად შესაძლებელია გამოვლინდეს ცრუ აღიარება და მისი მიზეზები. ამიტომ მისი განხილვა მეცნიერული და პრაქტიკული თვალთახედვით, დიდ ინტერესს იწვევს.

როგორც ცნობილია, დაკითხვა იწყება წინადადების შეთავაზებით იმის თაობაზე, რომ ითქვას ყოველივე, რაც შეეხება წარდგენილი ბრალდების, დანაშაულის შემთხვევის მნიშვნელოვან გარემოებებს და თვით დანაშაულის ფაქტს. ხშირად ეს მამოძრავებელი ინფორმაცია არ არის საკმარისი. მაშინ გამოძიებელი უფრო ინტენსიურად იყენებს დაკითხვის პროცესუალურ მოთხოვნათა პირობების დაცვას, ახსნას, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებისა და ა.შ.

ბრალდებულის მიერ ჩვენებების მიცემისაგან თავის არიდების პასუხად, გამოძიებელი აღძრული ეჭვების არსზე ცდილობს შეარყიოს ბრალდებულის პოზიცია, აცნობებს მას მის ხელთ არსებულ ზოგიერთ მტკიცებას, ახდენს გასაუბრებას თითოეული მტკიცებულების მნიშვნელობაზე ცალკე და ერთობლიობაში, აძლევს რჩევას, თქვას სიმართლე და ა.შ.

საგამოძიებო პრაქტიკა ადასტურებს, რომ არც თუ იშვიათად, ამ ეტაპზე ბრალდებული კიდევ უწყევს წინააღმდეგობას გამოძიებლის ზემოქმედებას. ის შეუპოვრად ცდილობს თავისი პოზიციის დადასტურებას, მასში დომინირებს განზრახული მიზნის მიღწევა და მისი ყველა ძალა უშუალოდ აქეთკენაა მიმართული. ძალზე ხშირად ბრალდებული ხაზგასმით მიუთითებს იმ სოციალურ ერთობას, რომელსაც იგი თავს აკუთვნებს.

როცა ბრალდებულის ყველა ცდა უნაყოფო ხდება, მაშინ იგი ესწრაფის დაამციროს გამოძიებლის, როგორც ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის ავტორიტეტი. წინასწარი განზრახვით ამცირებს მის პირად ღირსებას, რაც აადვილებს დაუმორჩილებლობას გამოძიებლის მიერ მიცემული რეკომენდაციების, რჩევებისა და მითითებებისადმი.

მაგრამ ამით ურთიერთმოქმედება დაკითხვისას არ მთავრდება. ბრალდებულის მხრიდან საწინააღმდეგო ქმედებასთან შეხვედრისას გამოძიებელი იწყებს ისეთი საშუალებების გამოყენებას, რომლებიც გამიზნულია ბრალდებულის შემობრუნებისაკენ, რათა სწორი ჩვენება მისცეს.

ასეთებს განეკუთვნება: – განმეორებითი დაკითხვა, შეკრებილი მტკიცებულებების ილუსტრირება, დაპირისპირება და ა.შ.

დაკუბრუნდეთ ცრუ აღიარების მიზეზების ანალიზს. მათ აქვთ ორმაგი ხასიათი. ესაა, ჯერ ერთი, ბრალდებულისათვის არასასურველი, ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელიც წარმოიშვა პასუხისგებაში მიცემის ფაქტით და აქედან გამომდინარე იძულებითი ღონისძიებებით. ამ ჯგუფის ფაქტორთა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გაანეიტრალოს მისი უარყოფითი გავლენა ბრალდებულზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ცრუ აღიარების აღმოცენება. მეორეც: ესაა არასწორი პროცესუალურ-ტაქტიკური ვითარება, რომელიც წარმოიქმნება გამოძიებლის მხრიდან როგორც გამოუცდელი მოქმედების ან შეგნებულად დაშვებული პროცესუალური ნორმების დარღვევების შედეგი.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ცრუ აღიარების წარმოშობას ემსახურება ამ



პირთა არასწორი ქცევა: ან პროცესუალურ მოთხოვნათა იგნორირება, ან სხვადასხვა მოქმედების არაჯეროვანი, არასათანადო შესრულება. საბოლოო ჯამში, მათ ერთი ბუნება აქვთ – საპროცესო ნორმების დარღვევა. ამით განისაზღვრება ის მკვეთრად უარყოფითი შეფასება, რასაც წინასწარი გამოძიების ორგანო იმსახურებს.

კანონიერებისა და ჰუმანიზმის პრინციპებს ეწინააღმდეგება ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობა ბრალდებულის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების უგულებელყოფით. ამ ურთიერთდაკავშირებულ ამოცანათა სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ გარანტიად ითვლება ბრალდებულის პროცესუალური მდგომარეობა, რომელშიც კანონმდებელი ხედავს პროცესუალური საქმიანობის თანასწორუფლებიან სუბიექტს.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში მრავალი მაგალითი მოიპოვება, თუ რა დამლუპველი შედეგები მოაქვს სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობის უგულებელყოფას; პროცესუალური კანონმდებლობის მოთხოვნაა, გამოირიცხოს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის დაპირისპირება.

დაბალი იურიდიული განათლების კულტურა წარმოშობს არასწორ დამოკიდებულებას პროცესუალურ ურთიერთობაში ბრალდებულთან, განაპირობებს შეცდომებს და წარმოქმნის სიმწელებებს მართლმსაჯულების განხორციელებაშიც. სისხლის სამართლის იმ საქმეთა შესწავლა-განალიზება, რომლებშიც ბრალდებულებმა მოახდინეს ცრუ აღიარებანი, შესაძლებლობას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ მრავალი მათგანი წინასწარი გამოძიების პროცესში და შემდგომ სასამართლოში საქმეთა განხილვისას არ იყო დაცული სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით დადგენილი წესით. ამასთან, აღნიშნული დარღვევები უშუალოდ უკავშირდებოდა ცრუ აღიარებათა აღმოცენებას.

წინასწარ გამოძიებაში ბრალდებულთა მხრივ ცრუ აღიარების მიზეზების განხილვა უნდა დავიწყოთ არახელსაყრელი ცხოვრებისეული სიტუაციებით. ადამიანის მიერ იმის გააზრება-გათვითცნობიერება, რომ მის მიმართ არსებობს გარკვეული ეჭვი, შემდეგ მოხდა ჩხეკა, დაკავება, დაპატიმრება, ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობა მიცემა და ა.შ. ყველაფერი ეს ნებისმიერი, და

განსაკუთრებით კი, უდანაშაულო პირისათვის, მიეკუთვნება უძნელეს და უკიდურესად არასასურველ სიტუაციას, როგორც იძულებითი ღონისძიების გამოყენებით, ისე იმითაც, რომ იგი რეალურ საფრთხეს უქმნის პიროვნების შემდგომ კეთილდღეობას, ცხოვრების, მომავლის გეგმებს.

ასეთი და მსგავსი ღონისძიებების გატარება აუცილებლობაა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აქვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან, უნდა განხორციელდეს დადგენილი წესების ზუსტი და განუხრელი დაცვით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იძლევა საშუალებას, რათა აღკვეთის ღონისძიებად არჩეულ იქნეს ასევე გირაო, რაც, სამწუხაროდ, იშვიათად გამოიყენება. თავისთავად იბადება კითხვა – რატომ ვამახვილებთ ყურადღებას აღკვეთის ღონისძიების საკითხებზე?

სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადება ადასტურებს, რომ თავისუფლების აღკვეთა აღმოჩნდა ერთი იმ გარემოებათაგანი, რომლის ზემოქმედებითაც ბრალდებული არც თუ იშვიათად მიდის ცრუ აღიარებამდე. აუცილებელია თვალნათლივ წარმოვიდგინოთ თავისუფლების აღკვეთის სახით მოქმედი ფსიქიკური ზემოქმედების მაღალი ხარისხი.

საიდუმლო არ არის, რომ აღკვეთის ღონისძიების შერჩევა, რომელიც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან (წინასწარი პატიმრობა), ბევრი პრაქტიკოსი მუშაკის მიერ ფასდება, როგორც აღიარების საუკეთესო და უფრო იოლი გზა. მაგრამ გვინდა ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ, რომ აღიარების მიღების საშუალებად თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების გამოყენება კანონსაწინააღმდეგო და დაუშვებელია, თუ ასეთი ღონისძიების გამოყენება არ გამომდინარეობს იმ პირობებიდან, რომლებიც კანონმდებელმა გაითვალისწინა.

რასაკვირველია, არ უნდა გამოირიცხოს პროცესუალური იძულების ისეთი ზომები, როგორებიცაა დაკავება და თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ თითოეულმა გამოძიებელმა კარგად უნდა გაითვითცნობიეროს ამ ღონისძიებათა მოქმედების მექანიზმი, რომ კარგად გაერკვეს ამ პირთა



პიროვნულ თვისებებში და დროულად გააქარწყლოს ცრუ აღიარების მცდელობა.

ცრუ აღიარების წარმოქმნაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს არასწორი პროცესუალური ვითარება, რომელიც იქმნება კანონით დადგენილი პროცესუალური საქმიანობის უგულვებელყოფით, რასაც ადასტურებს ცრუ აღიარებათა შემთხვევები.

ძალადობისაგან განსხვავებით, მართლზომიერი ფსიქიკური ზემოქმედება თვითონ არ კარნახობს კონკრეტულ მოქმედებას, არ გამოსძალავს ამა თუ იმ შინაარსის ჩვენებას, მაგრამ, შინაგან ფსიქიკურ პროცესებთან შერწყმით, აყალიბებს ბრალდებულის პოზიციას, შეგნებულ დამოკიდებულებას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობასთან და უშუალოდ მიჰყავს იგი ქცევის განსაზღვრული ხაზის არჩევისაკენ. არჩევანის ნებაყოფლობითობა განასხვავებს, მაგალითად, დაკითხვას, რომელიც მიმართულია სწორი ჩვენებების მისაღებად, აღიარების გამოძალვისგან.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ დამოკიდებულებათა (ურთიერთობათა) სწორ ფსიქოლოგიურ დახასიათებას, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს გამოძიებელსა და ბრალდებულს შორის. ამ დამოკიდებულებას გააჩნია ორნაირი ხასიათი, რომელიც დაფუძნებულია, ერთი შეხედვით, ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპებზე: ფსიქოლოგიურ კონტაქტზე და ფსიქოლოგიურ ბრძოლაზე. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის ორი სხვადასხვა მიდგომა ბრალდებულის მიმართ, მათ მიერ დაკავებულ პოზიციასთან დამოკიდებულებაში. წინასწარი გამოძიების დროს ზოგჯერ ნამდვილად ყალიბდება ისეთი დამოკიდებულება, როცა ბრალდებულს (უფრო ხშირად იმას, ვინც აღიარა თავისი დანაშაული) ექმნება ბევრად უფრო სასურველი და ხელსაყრელი მდგომარეობა, ხოლო მეორეს (რომელიც არ იძლევა სასურველ ჩვენებას) – უსაფუძვლო უნდობლობის, მტრობის ატმოსფერო და ა.შ. ეს არც თუ იშვიათად ხდება პროცესუალურ მოთხოვნათა დარღვევის მიზეზებისა და საქმეზე არაობიექტური გადაწყვეტილებების მიღების წყაროდ.

ფსიქოლოგიური კონტაქტი არ უნდა ავურიოთ ისეთ ურთიერთობაში, სადაც ადგილი აქვს ურთიერთდათმობას, ურთიერთსამსახურსა და ურთიერთმფარველობას, ისევე, როგორც ფსიქო-

ლოგიური „ომის“ ცნება არ უნდა განვიხილოთ როგორც „ომი“ ბრალდებულის პიროვნებასთან. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს „ებრძვიან“ ბრალდებულს, არა როგორც პიროვნებას, არამედ მისი ჩამორჩენილი შეგნების ცალკეულ გამოვლინებასა და სულმდაბლობას – პიროვნებაში საუკეთესოს გადასარჩენად, ე.ი. მონაწილეობენ იმ „ომში“, რომელიც მიმდინარეობს ადამიანის შინაგან სამყაროში.

უკანონო ფსიქიკურ ზემოქმედებათა ზომებს უნდა მიეკუთვნოს ბრალდებულის მოტყუება. ჩვეულებრივ, იგი ფორმისა და შინაარსის მიხედვით მეტად მარტივია, მაგრამ ბრალდებულზე ახდენს ძლიერ ეფექტს. ასეთია, მაგალითად, შეტყობინება თანამონაწილის – ვითომ აღიარების მიღების შესახებ. დაკითხვისას ეჭვმიტანილს შეატყობინეს, რომ იმავე საქმეზე ბრალდებულმა აღიარა დანაშაული, რის შემდეგაც ეჭვმიტანილმა მისცა ისეთი ჩვენება, როგორსაც მისგან მოითხოვდნენ. თანამონაწილის ჩვენებაზე მითითება ბრალდებულმა შეიძლება შეაფასოს როგორც საფუძვლიანი და უდავო მტკიცებულება. შიშისა და დაურწმუნებლობის მდგომარეობაში მყოფი ბრალდებული ადვილად მივა ცრუ აღიარებამდე, რომ ამით ცოტათი მაინც შეიმსუბუქოს, როგორც მას ეჩვენება, გარდაუვალი სასჯელი.

გამომძიებელი ვალდებულია ისე მოქმედებდეს თავის საქმიანობაში, რომ ყველაზე უფრო მკაცრი კრიტერიუმებით შეფასების დროსაც კი არ შეიძლებოდეს მას ვუსაყვედუროთ მორალური ნორმების დარღვევაც კი. ეს მოთხოვნები არ ტოვებს გამომძიებელს შეუიარაღებელს დამნაშავის სხვადასხვა ხრიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. სრულიად მართლზომიერია ის ტაქტიკური ხერხები, რომლებიც დამყარებულია მოულოდნელობის ფაქტის გამოყენებაზე და ა.შ. მაგალითად, გარკვეული მონაცემების, ცნობების დაფარვა, რომლებიც განსაზღვრულ დრომდე საიდუმლოდ უნდა ინახებოდეს, ითვლება მოქალაქეობრივ და სამსახურებრივ მოვალეობად და არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც მოტყუება ბრალდებულისა.

როდესაც ვეხებით პროცესუალურ მოთხოვნათა იგნორირების შემთხვევებს, აუცილებელია ზოგადი სახით მივუთითოთ, რა უფლებებით არის აღჭურვილი გამომძიებელი თავის საქმიანობაში; გამო-

ძიების პროცესში გამოსაყენებელი მეთოდებისა და საშუალებების შესაძლებლობების რა კრიტერიუმები არსებობს და, საერთოდ, რით განისაზღვრება მათი პროცესუალური მოქმედებანი? უპირველეს ყოვლისა, ესაა ამ გამოძიების ყოველი გასატარებელი ღონისძიების სრული შესაბამისობა კანონით დადგენილ წესებთან. ესაა მთავარი მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს გამოძიებლის ყველა მოქმედება. ამიტომ ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების შეფასებისას, პირველ რიგში, უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ იგი უცილობლად პასუხობს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებს და არ არღვევს არავის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

კანონის მითითებიდან, რომ აუცილებელია საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, გამომდინარეობს სხვა მოთხოვნაც, რომ თითოეული ტაქტიკური ხერხი ემსახურებოდეს ჭეშმარიტების დადგენას, იმის უნარს, რომ ხელი შეუშალოს სიცრუის, შეცდომების და სხვა არასასურველი შედეგების დადგომას.

მიზანმიმართულება და ეფექტიანობა არის შესაძლო გამოსაყენებელი საშუალებების მომდევნო პირობა.

თუ ამა თუ იმ საშუალებას შეუძლია ცალკეულ შემთხვევაში მოიტანოს წარმატება, მაგრამ საბოლოო ჯამში მოგვცეს უკუეფექტი, იგი მიუღებელია და არ შეიძლება მისი გამოყენება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ამ საშუალებებს უნდა ჰქონდეთ შერჩევითი ხასიათი და შეესაბამებოდნენ ბრალდებულის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელთა მიმართაც ისინი გამოიყენება. აუცილებელია, რომ ეს ხერხი და საშუალებები ეფექტიანი იყოს მხოლოდ ბრალდებულებთან დამოკიდებულებაში, რომლებიც მაღავენ სიმართლეს, დაბრკოლებებს უქმნიან ჭეშმარიტების დადგენას და არა იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც გამოძიებას აძლევენ სწორ ჩვენებებს.

და ბოლოს, თითოეული ხერხი, საშუალება ექვემდებარება შეფასებას, რომელიც გამომდინარეობს გამოძიებლის პროფესიული ეთიკიდან. უეჭველია, რომ ამ გადასახედიდან დაუშვებელია ნებისმიერი ძალადობა, უმეცრების, ცრუ აზრების გამოყენება, სულმდაბალ თვისებებზე და გატაცებებზე თამაში, ტყუილი და ა.შ. ასეთი საშუალებების დროებითი წარმატებაც კი ერთობ საეჭვოა.

თუ მხედველობაში მივიღებთ გამოძიებლის მხრიდან აღმზრდელითი შემოქმედების აუცილებლობას, მაშინ ნათელი გახდება, რომ ასეთი ხასიათის ხერხები სრულ შეუსაბამობაშია ეთიკურ მოთხოვნებთან და წინასწარი გამოძიების წარმოების ამოცანებთან.

ცრუ აღიარებათა მიზეზების დაწვრილებითი განხილვა შესაძლებლობას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ გარკვეული ვითარების არსებობისას, ცრუ აღიარების ვერსიის წინ წამოწევა სრულიად კანონზომიერი და გამართლებულია. შემოთქმულიდან, პირველ რიგში, გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ მთელ რიგ შემოქმედებებს შეუძლიათ ბრალდებულს უბიძგონ ცრუ აღიარებისაკენ. ანალიზი საგამოძიებო და სასამართლო შეცდომებისა, რომლებიც განაპირობებენ ცრუ აღიარებას, ადასტურებს მათ უეჭველ კავშირს პროცესუალური ნორმების დარღვევასთან, გამოძიებლის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობასთან ამ მოვალეობის უხარისხოდ და ტაქტიკურად უსწოროდ შესრულებასთან. ერთი სიტყვით, პროცესუალური მოთხოვნის ნებისმიერი დარღვევა გამოძიების წარმართვის დროს, საერთოდ, და, კერძოდ, ცალკეული საგამოძიებო მოქმედების შესრულებისას, ქმნის აღიარების ჭეშმარიტების კრიტიკულად შემოწმების საფუძველს.

ეს პირველ რიგში, შეეხება ჩვენების მიღების ვითარებასა და პირობებს. ბრალდებულის დაკითხვების მიმდინარეობის წესი და პირობები, მათი ჩატარების დრო და ხანგრძლივობა, დაკითხვათა რაოდენობა, მათ შორის შესვენებების არსებობა, მისი მიმდინარეობისა და შედეგების სწორი გაფორმება, იმ პირების ზუსტი რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესში – ყველა ეს მომენტი ზუსტად უნდა დადგინდეს აღიარების ჭეშმარიტების გამოკვლევის დროს. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ შემოქმედების გამოვლენა და შეფასება, რომელსაც განიცდის ბრალდებული დაკითხვის პროცესში.

არც თუ იშვიათად ცრუ აღიარების ვერსიის წინ წამოწევის საფუძველს შეიძლება ემსახურებოდეს თვით ბრალდებულის განცხადება. ასეთ შემთხვევაში მისი დაკითხვა წინ უნდა უსწრებდეს მთელ შემდგომ შემოწმებას. იმ პირის ვრცელი, დაწვრილებით დაკითხვა, რომელმაც მოახდინა ცრუ აღიარება, შესაძლებლობას გვა-

ძლევს უფრო მიზანმიმართულად გავანაწილოთ იმ ღონისძიებათა გატარება, რომლებმაც უნდა გააქარწყლონ ცრუ აღიარება ან ცრუ მტკიცება. ასეთი ბრალდებულის დეტალური დაკითხვა უნდა ითვალისწინებდეს მრავალი საკითხის გარკვევას. ეს ნაკარნახევეა თვით სისხლის სამართლის საქმის კონკრეტული თავისებურებებით. ამასთან ერთად, ზოგიერთი ვითარების გამოვლენა, ახსნა, უნდა მივიჩნიოთ აუცილებელ პრინციპად.

მაგალითად, აუცილებელია ბრალდებულისაგან მივიღოთ დეტალური ახსნა ცრუ აღიარების მიზეზების შესახებ; ამ დროს უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს იმ პერიოდში მის მიერ განცდილი მდგომარეობის აღწერა. თუ ამ დროს იგი გაიხსენებს გამოძიების პერიოდში დაშვებულ რაიმე დარღვევებს, აუცილებელია ზუსტად გაირკვევს, რა სახის დარღვევები აქვს მას მხედველობაში; როდის, სად, ვის მიერ, რა ვითარებაში იგი დაშვებული. აღნიშნული მონაცემები, რომ აღწეროს ბრალდებულმა, საჭიროა გაირკვეს მისი პიროვნების ფსიქოლოგიური მახასიათებლები, კერძოდ კი, მხსიერების დონე. ე.ი. რამდენად ზუსტად შეუძლია ბრალდებულს აღიდგინოს წარსულში განცდილის ასახვა. გამოძიება აუცილებლად უნდა დაინტერესდეს აქვს თუ არა უნარი ბრალდებულს მოახდინოს ობიექტურად ასახვა, თუ გადმოსცეს მოგონება დამახინჯებულად, არასწორად.

აუცილებელია ასევე გაირკვეს, ხომ არ შეუძლია თავისი განცხადების დამტკიცება. ზოგჯერ უსარგებლო არ არის კითხვის დასმაც, თუ ასეთი აღიარება (ცრუ აღიარება) პირველსავე დაკითხვებში რატომ არ გააკეთა? გამოძიებელმა უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ არც თუ იშვიათად ბრალდებულნი ცრუ აღიარებას მიმართავენ უფრო მძიმე დანაშაულის დაფარვის მიზნით.

როდესაც არსებობს საეჭვო ვითარება, აუცილებელია ბრალდებულის განმეორებითი დაკითხვა და ბრალდებულის ქმედების ყოველი დეტალის გარკვევა და დადგენა, რადგან ბრალდებული, რომელიც ცდილობს დაფაროს სხვა დანაშაული, ამ მიზნით აკეთებს ცრუ აღიარებას ყოველგვარი დაცვითი დომინანტების გარეშე.

ვხვები რა ცრუ აღიარების მიზეზებს და მათი გამოვლენის მექანიზმს, მინდა აღვნიშნო, რომ მთელ რიგ საქმეთა გამოძიების დროს, რომლის საფუძველად ცრუ აღიარებაა დადებული, არ

სცდებიან ბრალდების ფარგლებს და არ ახდენენ გარკვევას ასეთი ჩვენების მიზეზისა. რა თქმა უნდა, ასეთი არგუმენტების მოშველიება უსაფუძვლო და გაუმართლებელია, რადგან გამოძიება უდანაშაულო პიროვნებას დამნაშავეს საბრალდებო სკამზე კი არ სვამს, არამედ ამოწმებს იმ ვერსიებს და მონაცემებს, რომლებიც პასუხს გასცემენ კითხვას: რამ განაპირობა ცრუ აღიარება და ხომ არ იმალება ამ აღიარების მიღმა სხვა უფრო მძიმე დანაშაული. გამოძიებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია არ არის დამნაშავე პირების მხილების დაბრკოლება, იგი ემსახურება საქმის ირგვლივ ჭეშმარიტების დადგენას.

რა მეთოდებით და საშუალებებით შეიძლება გამოვლინდეს ცრუ აღიარების ფაქტი?

გარდა ზემოაღწერილი ფსიქოლოგიური და პროცესუალური ხერხებისა და საშუალებებისა, კიდევ დაგუმატებ და ერთხელ კიდევ აღვნიშნავ ბრალდებულის დეტალურ დაკითხვას, არა მარტო ძირითად, არამედ საქმის მეორეხარისხოვან გარემოებებზედაც. არანაკლებ შედეგიანი შეიძლება იყოს საქმის მთლიანი მასალების ანალიზი. ასეთ შემთხვევებში გაანალიზება უნდა მოხდეს ბრალდებულის ყველა ჩვენებისა, რაც შესაძლებელი ხდება დაკითხვების ოქმების ყურადღებით გაცნობის შედეგად (საგამოძიებო მოქმედების დრო, ადგილი და ხანგრძლივობა, მონაწილეთა რაოდენობა და ა.შ.). საქმის მასალების შესწავლისას შეიძლება მივიღოთ გარკვეული შინაარსის ჩვენებების სისწორის დამადასტურებელი მონაცემები. ამას მოწმობს, მაგალითად, ბრალდებულის მიერ საკუთარი ხელით შესრულებული ვრცელი ჩანაწერი, რომელსაც აშკარად ეტყობა გამოძიებლის მიერ თავსმოხვეული და ნაკარნახევი იურიდიულად ჩამოყალიბებული განმარტებანი და გარემოებათა ახსნა.

არც თუ იშვიათად, ჩვენებების შემოწმებისა და სრულფასოვანი მტკიცებულებების შეკრების ნაცვლად, გამოიყენება აღიარებათა „განმტკიცების“ ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: დაპირისპირება სხვა პირებთან, როცა მათი ჩვენებები არ არიან ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსისა; გასვლა შემთხვევის ადგილზე, როცა ეს საგამოძიებო მოქმედება არ არის აუცილებლობით ნაკარნახევი, მაგრამ ჩატარდა მხოლოდ იმის გამო,

რომ ბრალდებულმა გაიმეოროს თავისი ჩვენება გარეშე პირების თანდასწრებით და ა.შ.

რა თქმა უნდა, აუცილებელია მივიღოთ ზომები ბრალდებულის შესაძლო სიცრუის საწინააღმდეგოდ. სიცრუის მთავარ დამაბრკოლებლად გვევლინება დაკითხვის ისეთი ტექტიკა, რომელიც მიზნად ისახავს და ჰქმნის ადრე მიცემული ჩვენების სიტყვასიტყვით გამეორებას.

შეინიშნება და არც თუ იშვიათად, როდესაც პირველი დაკითხვისას დაშვებული შეცდომები, დამახინჯებები, მისახვედრი კითხვები და შთაგონების სხვა ფორმები, ჩვენებათა არასწორი ინტერპრეტაცია და მათი დაფიქსირება, მთლიანად აისახება შემდგომ ჩვენებებშიც.

სავსებით ვეთანხმებით პროფ. ა. ფალიაშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აუცილებლად უნდა ხდებოდეს „ჩვენების ადგილზე შემოწმება იმ მიზნით, რომ ადრე დაკითხულმა ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, დაზარალებულმა ან მოწმემ, შემთხვევის ადგილზე მოახდინოს თავისი ჩვენების დაზუსტება, ილუსტრაცია და გარემოების აღდგენა“.

პროცესუალურ საქმიანობაში ბრალდებულის შესწავლის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად ითვლება მისი ბიოგრაფიის გამოკვლევა, რომელიც მოიცავს ბიოგრაფიული ხასიათის მონაცემების შეკრებასა და განზოგადებას. ასეთი ხასიათის მონაცემები შეიძლება მოვიძიოთ შესასწავლი პიროვნების ავტობიოგრაფიიდან, მისი ჩანაწერებიდან, დღიურიდან, კორესპონდენციებიდან, სხვა პირთა ცნობებიდან, სამკურნალო და სასწავლო დაწესებულებათა შეტყობინებიდან, საარქივო მასალებიდან.

ბრალდებულის ცხოვრების გზის შესწავლის შედეგად შეიძლება დადგინდეს, თუ როგორ ყალიბდებოდა ამ პიროვნების ხასიათის თვისებები, როგორ განაპირობა (განსაზღვრა) წარსულმა მისი დღევანდელი ფსიქიკური სახე და ა.შ.

ბიოგრაფიულ გამოკვლევას უნდა შეუხამდეს დამოუკიდებელი დახასიათების მეთოდიც. საგა-

მოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება დახასიათება, როგორც დამნაშავე პიროვნების შესწავლის საშუალება. მაგრამ ამასთან ერთად ხშირად შემოიფარგლებიან ხოლმე ფორმალური დახასიათებით სამუშაო ადგილიდან, რომელიც უფრო ხშირად ცალმხრივი, ძალზე მოკლე და არაფრის მთქმელია.

ამასთან, ბრალდებულის შესწავლაში მეტი წარმატება მიიღწევა იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე ითვლებელი მონაცემები იკრიბება სხვადასხვა წყაროდან პიროვნებისა და კოლექტივისაგან, რომლებიც ბრალდებულს ახასიათებენ სხვადასხვა მხრიდან და ცხოვრების სხვადასხვა პირობებში: სამსახურში, ყოფაში, საყვარელი საქმიანობის დროს, თანამშრომლებთან, მეზობლებთან, ნათესავებთან და მეგობრებთან ურთიერთობაში და ა.შ.

ურთიერთშევესებული და შემოწმებული მონაცემები ქმნიან განზოგადებულ დახასიათებას, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს მაქსიმალურად სწორად და ამომწურავად შევისწავლოთ და შევაფასოთ ბრალდებული და მის მიერ მიცემული ჩვენებები.

ზოგიერთი სპეციალური საკითხის გადასაწყვეტად საკმარისი არ არის გამოძიებლისა და მოსამართლის ცხოვრებისეული გამოცდილება, საყოველთაოდ ცნობილი მონაცემები და სამართლებრივი ცოდნა. არც თუ იშვიათად საჭიროა ღრმა ფსიქოლოგიური ცოდნა, გამოძიების რთული მეთოდის დაუფლება. ისეთი საკითხები, როგორებიცაა განსაზღვრული ფსიქიკური მოვლენის აღმოცენების შესაძლებლობა, რომელსაც შეუძლია სიტუაციის ტრამპირება, ბრალდებულის ფსიქიკური ქმედების დროებითი რღვევა (სულიერი ავადმყოფობის არ არსებობისას), ფსიქოლოგიური აფექტი, სტრესები და ფრუსტრაცია, ინტელექტუალური დონის შეუსაბამობა მის ასაკთან, მაღალი შთაგონება და ა.შ. ყველა ამ საკითხის გარკვევა საწინდარია დაკითხვის სწორად წარმართვისა, მიღებული ჩვენებების გაანალიზებისა და სწორი შეფასებისათვის.

გაგა ინჟინერი, ქ. თბილისის მერიის სამართალდამცველ ორგანოებთან მუშაობის, კორუფციასთან ბრძოლის და ადამიანის უფლებათა დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

იური გაბისონია

დაკავება, მოყვანა, კეზნა: ზოგიერთი

თეორიულ-პრაქტიკული და საკანონმდებლო ასპექტი

**1** შესავალი. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათაგან დაკავება, მოყვანა და დაპატიმრება (რომელსაც ზოგჯერ წინ უსწრებს „ურჩი“ ბრალდებულის ძებნა, მათ შორის საერთაშორისო მასშტაბითაც) კანონმდებელთა და კანონგამომყენებელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა განსაკუთრებით უხეშად ხელყოფის მომეგებულ საფრთხეს შეიცავს. ამ საფრთხეთაგან ადამიანის დაცვის უზოგადესი კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები განივრცობა და დეგალიზდება სისხლის საპროცესო სამართლებრივ გარანტიათა კორპუსში, რომელიც **სისტემატური** უნდა იყოს. ამგვარ გარანტიათა მიმართ სისტემატრობის, აგრეთვე ქმედითობის (ეფექტიანობის) ინიცირება კი იმთავითვე, უწინარესად დამოკიდებულია ზემოხსენებულ საპროცესო ინსტიტუტთა ჯეროვან საკანონმდებლო რეგლამენტაციებზე, რომელიც, თავის მხრივ, ცხადია, მთლიანად ეყრდნობა გარკვეულ კონცეფტუალურ ფუნდამენტს, ამოსავალ პოსტულატებს, ნორმა-პრინციპებს. ამასთან, ეს თეორიული ბაზა გადაჭრით უნდა იყოს ორიენტირებული არსებულ რეალიებზე, სისხლის სამართალ წარმოების პრაქტიკის „სასიცოცხლო“ მოთხოვნებზე.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს სტანდარტებზე კონცეფტუალური ორიენტირებულობის მიუხედავად, როგორც ახალიზი გვიჩვენებს, ჯერაც გარკვეულ კორექტივებს საჭიროებს.

**2. დაკავების რაობის შესახებ (რამდენადაც თეორიული ასპექტი).** აღიარებულია, რომ დაკავება, როგორც თავისუფლების წინასწარი, ხანმოკლე აღკვეთა,

დანაშაულის ჩაღენაში ეჭვმიტანილი პირის სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების (შემდგომში „საპროცესო იძულების“) ღონისძიებაა, რომელიც წინ უსწრებს აღკვეთის ღონისძიებებს და, ისევე როგორც საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებები, უკვე თუნდაც მხოლოდ თავისი არსებობით (კანონში გათვალისწინების ფაქტით), განსაკუთრებით კი მისი იძულებით აღსრულების რეალური შესაძლებლობით, თბიქტურ-იძულებით ხასიათს იძენს<sup>1</sup>. ამასთან, საკმაოდ გავრცელებულია შეხედულება, რომ დაკავება ერთდროულად მიეკუთვნება გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებს<sup>2</sup>.

საქართველოს ახალი სსსკ გერმინ „გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებას“ არ იცნობს - შესაბამისი სამართლებრივი სიგუაციისათვის იგი იყენებს გერმინს „თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედება“. კერძოდ, იგი გამოყენებულია 65-ე მუხლის მე-2 ნაწილში. ამავე მუხლის მე-4 ნაწილში კი მოცემულია ამგვარ მოქმედებათა (ოღონდ აქ სიტყვა „საგამოძიებო“ უკვე გამოტოვებულია, რაც უნდა გასწორდეს) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა შორის დაკავება არაა მოხსენიებული. იგი არ მოიხსენიება აგრეთვე კოდექსის მე-7 კარში - „საგამოძიებო მოქმედება“. აქედან, ვფიქრობ, აშკარაა, რომ დაკავება, ახალი სსსკ-ის მიხედვით, მიეკუთვნება ე.წ. „სხვა საპროცესო მოქმედებებს“.

<sup>1</sup> ამ საკითხზე უფრო დეტალურად იხ., მაგალითად: Петрухин И.А., Свобода личности и уголовно-процессуальное принуждение, М., „Наука“, 1985.

<sup>2</sup> იხ., მაგალითად: Комментарий к уголовно-процессуальному кодексу РСФСР, Под ред. В.И. Радченко и В.Т. Томина. 2-е изд., М., „Юрайт“, 1999, с.224; Уголовный процесс. Учебник под ред. К.Ф. Гуденко. 3-е изд., М., „Зерцало“, 1998, с.165.



3 დაკავების უფლებამოსილების მქონე სუბიექტების მიერ პირს კანონი ეჭვმიტანილის დაკავების უფლებას აძლევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა „პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე“ (142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი; 143-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამდენად, როგორც აღნიშნული, ისე 142-ე მუხლში მითითებული ყველა დანარჩენი საფუძვლით ეჭვმიტანილის დაკავების უფლება აქვთ „სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს“. მაგრამ რამდენად ზუსტია აქ ამ გერმინით ოპერირება?

პრაქტიკა მოწმობს, რომ ეჭვმიტანილად დაკავებულთა აბსოლუტური უმრავლესობა მოდის სსსკ-ის 66-ე მუხლში ჩამოთვლილ მოკვლევის ორგანოებზე (კოდექსი „ორგანოებში“ გულისხმობს თანამდებობის პირებსაც, რაც, როგორც არაერთ პუბლიკაციაში აღმინიშნავს<sup>3</sup>, უსწორთა), რომელთაგან, მაგალითად, ნაოსნობაში მყოფი საზღვაო ხომალდის კაპიტანი ვერც ერთი კრიტერიუმით ვერ მიეკუთვნება სამართალდამცავ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს. ამდენად, ამ შემთხვევაში ცნება-გერმინი „სამართალდამცავი ორგანო“-ს გამოყენება უზუსტია თუნდაც იმიტომ, რომ იგი სრულად ვერ მოიცავს დაკავების უფლების მქონე ყველა ოფიციალურ სუბიექტს. ასევე, დაუშვებელია ყველა სამართალდამცავი ორგანოს ყველა „თანამშრომლისათვის“ ეჭვმიტანილად პირის დაკავების უფლებამოსილების მინიჭებაც. ამკარაა, რომ აქ კანონმდებელმა ვერ იპოვა საჭირო უნივერსალური ცნება-გერმინი, ამიტომ აირჩია ექსტენსიური გზა – ამგვარ სუბიექტთა ჩამოთვლა შესაბამის მუხლებში, რომელიც, ამასთან, ყოველთვის ზუსტია და ამომწურავი ვერ არის. იგივე ითქმის ორგანოებსა და თანამდებობის პირებზე, სადაც ან ვისთანაც უნდა იქნეს მიყვანილი დაკავებული, დაკავების ოქმის შედგენის უფლების მქონე სუბიექტებზე და სხვ. მაგალითად:

ა) სსსკ-ის 143-ე მუხლში მითითებულია, რომ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავების და შესაბამის დაწესებულებაში (ამ დაწესებულებებზე იხ. ქვემოთ) მიყვანის უფლება აქვთ „პოლიციის თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, სამოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, მოკვლევის სხვა ორგ-

ანოს, გამომძიებელს“. რომ არაფერი ვთქვათ იმ უხერხულობებზე, რომ აქ, ნებისთ თუ უნებლიედ, პოლიციის თანამშრომელი გვევლინება ორგანოდ (გრამატიკულ-ლოგიკურად ამაზე მიგვანიშნებს სიტყვა „სხვა“), ხოლო ოპერატიულ საქმიანობასა და მოკვლევას შორის ფაქტობრივად გოლობის (იგივეობის) ნიშანია დასმული, ამ ჩამონათვალში, სულ ცოცხა, გამოგოვებულია პროკურორი და მოკვლევით, რომელთაც, თანახმად ამავე მუხლის მე-2 ნაწილისა, პირის დაკავების შესახებ დადგენილების გამოგანის უფლებაც კი აქვთ.

ბ) 145-ე მუხლში (ნაწ. 1) ნახსენებია „პოლიციის თანამშრომელი ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი“, რაც არაზუსტია, თუ სიტყვა „თანამშრომლის“-ს წინ არ ვიხმართ მსაზღვრელ სიტყვას (მაგ., „უფლებამოსილი“), რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, კანონი ამგვარ უფლებამოსილებას მხოლოდ პოლიციელთა გარკვეულ ნაწილს ანიჭებს.

გ) 146-ე მუხლში ლაპარაკია დაკავებულის მიყვანაზე „პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირთან“, რაც ასევე უზუსტია, რადგან არაა მოცული ყველა სამართალდამცავი ორგანო, სიტყვა „მოკვლევის“ შემდეგ კი უნდა დაემატოს „სხვა“. ამასთან, იგი არ შეესაბამება ამავე და სხვა მუხლებში გამოყენებულ გერმინს - „პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანა“.

ამ მაგალითებიდან ცხადია, რომ სსსკ-ში ცალსახად უნდა განისაზღვროს, თუ კანონით ვის ენიჭება უფლება: პირის ფაქტობრივი (თავდაპირველი) დაკავებისა (142-ე მუხლში მითითებული ყველა საფუძვლით) და მიყვანისა; დაკავების ოქმის შედგენისა; დაკავების შესახებ დადგენილების გამოგანისა. კერძოდ:

ა. პირის ფაქტობრივი (თავდაპირველი) დაკავების უფლების მქონე სუბიექტებს, როგორც კოდექსის ანალიზი გვიჩვენებს, მიეკუთვნებიან: პროკურორი, გამომძიებელი, მოკვლევის ორგანო მისი უფროსის და სხვა ხელმძღვანელი პირების სახით<sup>4</sup>, მომკვლევით, მოკვლევის ან ოპერატიული

<sup>3</sup> იხ., მაგალითად, მონოგრაფია: ი. გაბისონია. პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში (ძირითადი კონცეფტუალური საკითხების შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), თბ., „ფავერიტი“, 1999, გვ. 274-277.

<sup>4</sup> გერმინი „მოკვლევის ორგანო“, ვთქვათ, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება. მის „ღინამიკაში“ (ანუ ჩვენს მიერ განსახილველ ასპექტში რეალური ფუნქციონირების, შესაბამისი კომპეტენციის თვალსაზრისით), გარდა მისი უფროსისა, შეიძლება წარმოღვნილი იქნეს, მაგალითად, კრიმინალური პოლიციის უფროსის სახით (დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. А.П. Рыжаков. Возбуждение и отказ в возбуждении уголовного дела. М., „Филинь“, 1997, с. 34-37).



საქმიანობის უფლებამოსილების მქონე სხვა თანამდებობის პირები, სამართალდამცავი ორგანოების სპეციალურად უფლებამოსილი სხვა თანამშრომლები. ეს ამომწურავი ჩამონათვალი მოცემული უნდა იქნეს 143-ე მუხლში, ხოლო შემდგომში მათზე მითითებით მოკლედ დაიწეროს „დაკავების უფლებამოსილების მქონე ორგანო ან თანამდებობის პირი“. საკანონმდებლო გეგმის თვალსაზრისით ასე უმჯობესი იქნება.

ბ. 146-ე მუხლის პირველ ნაწილში ამავე წესით უნდა ჩამოითვალოს დაკავების ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირები, შემდგომში კი შესაძლებელი იქნება ანალოგიური მოკლე ფორმულირების („დაკავების ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირები“) გამოყენება.

გ. დაკავების შესახებ დადგენილების გამოგანის უფლებამოსილების მქონე სუბიექტები უნდა ჩამოითვალოს 146-ე მუხლში. ამ მიზნით, კერძოდ, უნდა „შეიკრიბოს“ 146-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და 143-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული სუბიექტები, რის შემდეგაც 143-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამოსაღები იქნება კოდექსიდან (იგი აქ ისედაც ამკარად „უადგილო ადგილასაა“ ჩაწერილი).

ამ პრობლემატიკის არეალში ხვდება ორი ასეთი საკითხიც:

**პირველი.** უფრო ნათლადაა გასარკვევი პროკურორის უფლებამოსილების ერთი ასპექტი. კერძოდ, იგი უთანხმება ეჭვმიტანილი პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის (ან მასზე უარის თქმის), ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების დადგენილებებს (ამასთან, ეს თანხმობა წინასწარია თუ შემდგომი), როგორც ეს 146-ე მუხლის მე-3 ნაწილშია მითითებული, თუ ამტკიცებს აღნიშნულ დადგენილებებს (როგორც ეს ამავე მუხლის მე-4 ნაწილშია მითითებული). არსებრივად ეს ორი გერმინი, როგორც ჩანს, აქ ერთდამთავრებულად ცნებას გამოხატავს<sup>5</sup>, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამგვარი გერმინოლოგიური „გაორება“ საკანონმდებლო გეგმის უნიფიცირებულობის პოზიციებიდან არასასურველია. აქვე უნდა ითქვას იმის თაობაზეც, რომ,

<sup>5</sup> ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: საქართველოს ორგანულ კანონში „პროკურორის შესახებ“ (მუხ: 21) საპროკურორო აქტებს შორის მითითებულია „თანხმობა“, ხოლო დამტკიცებაზე არაფერია ნათქვამი, თუმცა პროკურორი ღვემდე ამტკიცებს, მაგალითად, საბრალდებო დასკვნას.

მაგალითად, საქმის აღძვრაზე უარის თქმის შემთხვევაში (12 - საათიან ვადაში) დაკავებული ეჭვმიტანილი, ცხადია, დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს იმისდა მიუხედავად, პროკურორი უკვე დაეთანხმა (დაამტკიცა) თუ არა ამ დადგენილებას. ამის თაობაზე სსსკ-ში გარკვევით უნდა ჩაიწეროს.

**მეორე** გემთ მოცემულ ჩამონათვალში არ არის მითითებული „საგამომიებო ორგანოს უფროსი“, რომლის სტატუსი განსაზღვრულია სსსკ-ის მე-6 მუხლში. იგულისხმება, რომ, გამომიებლის უფლებამოსილების განხორციელებისას, მას მოიცავს ცნება „გამომიებელი“. რაც შეეხება ეჭვმიტანილად ცნობას, დაკავებას და მისთანებს, ამ მხრივ მის „საკუთარ“ უფლებამოსილებაზე კოდექსი არაფერს ამბობს.

**4. დაკავება: ფაქტობრივი და იურიდიული (საპროკურო).** ეჭვმიტანილის დაკავება, როგორც წესი, იწყება მისი შეპყრობით, რომელიც ჯერ კიდევ არაა იურიდიულად გაფორმებული, ამიტომ მას ლიტერატურაში „ფაქტობრივ დაკავებას“ უწოდებენ<sup>6</sup>, თუმცა ამ გერმინს კანონმდებლობა არ იცნობს - იგი როგორც ფაქტობრივად, ისე იურიდიულად (საპროკურორ წესით) დაკავებულ პირს ერთი და იმავე გერმინით მოიხსენიებს. ამ უხერხულობის (ფაქტობრივად, გერმინოლოგიური აღრევის) თავიდან ასაცილებლად, ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა, თუ ფაქტობრივ დაკავებას საპროკურორ კოდექსი უწოდებდა „შეპყრობას“, როგორც ეს გააკეთა ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა. კერძოდ, 29-ე მუხლს ჰქვია „დამნაშავეს (უნდა იყოს „დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი“, რადგან სამართლებრივად ეს პირი ამ მომენტში ჯერაც არაა აღიარებული დამნაშავედ“! - ი.გ.) შეპყრობა“. მასში მითითებულია სწორედ ჩვენთვის საინტერესო სიტყვები: „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს (იგივე შეცდომა!-ი.გ.) საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად“ (ნაწ.1). მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირს მიიყვანენ „სადაც ჯერ არს“ და შედგება დაკავების ოქმი, მოგვიანებით კი გამოგანილი იქნება დადგენილება მისი ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ, ფაქტობრივი დაკავება იძენს იურიდ-

<sup>6</sup> იხ., მაგალითად, რუსეთის სსსკ-ის გემოხსენებული კომენტარი, გვ. 225.





იული (საპროცესო) დაკავების ხასიათს („გადა-  
იბრლება“ მასში). მაგრამ ამ პროცედურას ჩვენს  
კანონმდებლობაში, როგორც ქვემოთ ვნახავთ,  
მრავალი კითხვის ნიშანი ახლავს...

**5. მიყვანა დაკავების ოქმი.** შეპყრობილი ეჭვმიგ-  
ანილის შესაბამის ორგანოში (დაწესებულებაში)  
ან თანამდებობის პირთან მიყვანისთანავე, თა-  
ნახმად 146-ე მუხლისა, დაუყოვნებლივ უნდა  
შეღვეს დაკავების ოქმი. კანონი არაფერს ამბობს  
იმაზე, უნდა შეღვეს თუ არა რაიმე დოკუმენტი  
ეჭვმიგანილის მიყვანის შესახებ ან გაკეთდეს თუ  
არა რაიმე ოფიციალური ჩანაწერი (ვთქვათ,  
სპეციალურ ჟურნალში), თუნდაც ბუსტი დროის  
დაფიქსირების მიზნით. ამ მომენტის დაფიქსირე-  
ბის საკითხი რომ მხოლოდ თეორიული განსჯის  
საგანი არ არის, იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ  
იგივე კოდექსი (მუხ. 146) ყველა საპროცესო ვა-  
დას (12 საათი - შემოწმებისათვის; 24 - დაკითხ-  
ვისათვის; 48 - ბრალდების წასაყენებლად; 24 -  
აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის  
გადასაწყვეტად) სწორედ ეჭვმიტანილის მიყვანას  
უკავშირებს - ამ მომენტიდან აითვლება  
ზემოსხენებული ვადები! ამდენად, ამრიგ აქვს  
მიყვანის ოქმის შეღვევის აუცილებლობის (და  
კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის)  
საკითხის დაყენებასაც. მით უმეტეს, რომ,  
როგორც პრაქტიკა მოწმობს, ეჭვმიგანილის მი-  
მართ ე.წ. „წარმოდგენის ოქმი“ ყველგან და  
ყოველთვის არ ღებდა (ან უხარისხოდ ღებდა),  
ხოლო პირველ საპროცესო დოკუმენტში -  
დაკავების ოქმში ეჭვმიგანილის მოყვანის დრო  
ან საერთოდ არ აღინიშნება, ან იგი ნებისმიერად  
(ე.ი. უბუსტოდ) შეიგანება, რადგან მისი დაუყოფ-  
ნებლივ შეღვევის მოთხოვნას ყოველთვის როდი  
იგავენ. ეს - იმისდა მიუხედავად, რომ 146-ე  
მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია: დაკა-  
ვების ოქმში უნდა აღინიშნოს ფაქტობრივი დაკა-  
ვების დრო („როდის“) და მიყვანის დრო („რომელ  
საათზე მიიყვანეს“)<sup>7</sup>. საქართველოს სსსკ, რო-

გორც ჩანს, პირის შეპყრობის მომენტს (რაც  
ცივილიზებულ მსოფლიოში, როგორც წესი, სწო-  
რედ ის მომენტია, საიდანაც აითვლება დაკავების  
და პატიმრობის საპროცესო ვადები!) აქ სასხვა-  
თაშორისოდ, „ყოველი შემთხვევისთვის“ აფიქ-  
სირებს, ვინაიდან შემდგომში იგი არანაირად არ  
უკავშირებს ამ მომენტს საპროცესო ვადების (მათ  
შორის პატიმრობის ვადის) გამოთვლას მაშინ,  
როცა, როგორც ცნობილია, ჩვენს სინამდვილეში,  
გარკვეულ ადგილას და გარკვეულ სიტუაციებში  
(მაგ., შორეულ მთიან სოფელში - ზამთარში) შეპ-  
ყრობილი ეჭვმიგანილი შეიძლება „სადაც ჯერ  
არს“ ვერ მიიყვანონ საკმაოდ მნიშვნელოვანი  
(დღე-ღამეზე მეტიც კი!) დროის განმავლობაში,<sup>8</sup>  
რომელიც შემდგომში პატიმრობის შემთხვევაში,  
პირს „ეკარგება“ - არ ეთვლება პატიმრობის  
ვადაში. ამიტომ, ვფიქრობ, კოდექსმა უნდა გაი-  
თვალისწინოს ეჭვმიგანილის შეპყრობის დროის  
მაქსიმალურად ბუსტად დაფიქსირება - დადგენ-  
ის უფრო კატეგორიული, ქმედითი, „კომპლექსუ-  
რი“ მოთხოვნა: შეპყრობის (თუ ეს შესაძლე-  
ბელია), მიყვანის (იხ. ზემოთ) და დაკავების  
ოქმებში, შემოწმების მასალებში, ეჭვმიგანილ-  
ად ცნობისა და დაკავების დადგენილებებში,  
ჩვენებებში და ა.შ. აქედან გამომდინარე,  
პროცესის მონაწილე შესაბამის ორგანოებსა და  
თანამდებობის პირებს, სასამართლოს ჩათვლით,  
საპროცესო მოვალეობად უნდა შეერაცხთ აღნ-  
იშნული დროის მაქსიმალური სიმუსტით დადგ-  
ენა და პატიმრობის (მათ შორის სასჯელის სახით)  
ვადების გამოთვლისას მისი გათვალისწინება.

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა დავძინო  
შემდეგი: სსსკ-ის 148-ე მუხლი, მართალია, ადგ-  
ენს, რომ „პირის ეჭვმიგანილის სახით დაკავების  
მომენტიდან აღრიცხული დრო ითვლება ბრალ-  
დებულის პატიმრობის ვადაში“, მაგრამ სიძნელე  
სწორედ იმაშია, რომ, როგორც აღინიშნა, „ეჭვ-  
მიგანილის სახით დაკავების მომენტი“ აქ გაუგე-  
ბარია, ვინაიდან იგი არც ფაქტობრივ დაკავებას  
ემთხვევა და არც საპროცესოს - სადღაც „შუა-  
შია“ (მიყვანის მომენტი!).

**6. ძენა: შეიძლება თუ არა იგი გამოიყენებოდეს ეჭვმი-  
ტანილის მიმართ? 142-ე მუხლის პირველი ნაწილ-**

<sup>8</sup> აღნიშნულ მომენტზე და, საერთოდ, პატიმრობის ვადის  
გამოთვლის კოდექსისეული კრიტერიუმის უმართებულობაზე  
საგანგებოდ ვაამახვილა ყურადღება პროფ. ა. ფალიაშვილმა  
(იხ. ა. ფალიაშვილი, საქართველოს სსსხლის სამართლის  
საპროცესო კოდექსი აშოქმელდა, მაგრამ მასში უნდა შევიდეს  
ცვლილებები, ჟურნ. „სამართალი“, 1999, №5, გვ. 86-87).



ის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დანაშაულის ჩადენაში ეჭვიგანილი პირის დაკავება შეიძლება იმ საფუძვლითაც, რომ „პირის მიმართ გამოგანილია განჩინება (დადგენილება) ძებნის წარმოების შესახებ“. ამკარაა, რომ აქ სასამართლოს კოლეგურ აქტთან - განჩინებასთან ერთად („შეწყვილებულად“) მითითებულ „დადგენილებაში“ იგულისხმება მხოლოდ მოსამართლის ერთპიროვნული აქტი. მაგრამ რა შემთხვევაში შეიძლება მოსამართლემ (სასამართლომ) გამოიგანოს აქტი ეჭვიგანილის ძებნის შესახებ?

სსსკ-ის 142-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებითა და წესით დაკავებულ ეჭვიგანილს, თანახმად 146-ე მუხლის მე-9 ნაწილისა, დაკავების ვადის გასვლამდე უნდა წაუყენონ ბრალდება და დაკითხონ ბრალდებულის სახით, 311-მუხლით დადგენილი წესით. ამის შემდეგ გამოძიების ორგანოს უფლება აქვს (ე.ი. ვალდებული არ არის) მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესით აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ. თუ შემოაღნიშნული ვადის (48 სთ) გასვლამდე პირს ბრალდება არ წარედგინა ან აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება არ შეეფარდა, ეჭვიგანილი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. თუ ბრალდებული გამოძიებას დაემალა, გამოძიებულს ან პროკურორს უფლება აქვს (ე.ი. არც ამ შემთხვევაშია ვალდებული, რისი ლოგიკური ახსნაც ერთობ ძნელია!) სასამართლოში აღძრას შუამდგომლობა მის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების გამოყენების თაობაზე<sup>9</sup>. შემდეგ მითითებულია, რომ „მოსამართლის მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ცხადდება ასეთი პირის ძებნა“ (მუხ. 283, ნაწ.3). ლოგიკურად ამკარაა და პრაქტიკაც ადასტურებს, რომ ამ შემთხვევაში: ა) ძებნა ცხადდება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ; ბ) ძებნა ცხადდება მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, მაგრამ არა მოსამართლის ბრძანებით<sup>10</sup>. შემდგომში

393-ე მუხლის პირველი ნაწილი უკვე ამუხტებს, რომ მიმალული ბრალდებულის ძებნას აცხადებს გამოძიებელი ან პროკურორი მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, რომლითაც ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა დაპატიმრება ძებნის გამოუცხადებლად. მაგრამ ამავე მუხლის საკმაოდ უცნაური მე-3 ნაწილი ამკარად გვაბნევს: „ძებნილის მიმართ შეიძლება შეირჩეს აღკვეთის ღონისძიებაო“. ამკარაა, რომ აქ ყველაფერი თავდაყირა დგება - ძებნა ხომ მხოლოდ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობაშეფარებული პირის მიმართ ცხადდება! ვფიქრობ, აქ წინააღმდეგობა ამკარაა და იგი უნდა აღმოიფხვრას.

დავუბრუნდეთ ისევ ეჭვიგანილის დაკავების ერთ-ერთ საფუძველს - განჩინების (დადგენილების) გამოგანას. როგორც დავინახეთ, სსსკ-ში ამგვარი სამართლებრივი (საპროცესო) სიტუაციისათვის არანაირი აღვლი არ რჩება, ვინაიდან, დაკავებისა და ძებნის ასპექტში, სასამართლოს (მოსამართლეს) სასამართლომდელ სტადიებზე საქმე აქვს მხოლოდ ბრალდებულთან, სასამართლო სტადიაზე კი - ბრალდებულთან (სამართალში მიცემამდე) და განსასჯელთან. ეჭვიგანილისა და მისი ძებნის თაობაზე არც კერძო ბრალდების საქმეთა წარმოების სპეციფიკისაღმომდგნად თავშია (LXII) რაიმე ნათქვამი. ამდენად, 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტი ამოსალდება.

7. მოყვანა, როგორც ძებნის გამოცხადებამდელი, „შუადღურია“ პროცედურა და მისი „უცნაურობანი“. სსსკ-ის 293-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ პირი, რომელიც წინასწარი დაკავების ვარეშე ბრალდებულის სახითაა მიცემული პასუხისგებაში, თავს არიღებს გამოცხადებას, გამოძიებულს ან პროკურორს გამოაქვს დადგენილება მისი მოყვანის შესახებ. ამ საპროცესო იძულების ღონისძიების პროცედურა გათვალისწინებულია საგანგებო თავში (XXI). მოყვანა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ბრალდებულის, ისე ეჭვიგანილის (რომელიც, ცხადია, დაკავებული არ ყოფილა), განსასჯელის, დაზარალებულისა და მოწმის მიმართ, თუ ეს პირები უარს ამბობენ ნებაყოფლობით გამოცხადებაზე და, ამასთან, დადგენილია გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზი (მუხ. 174, ნაწ.1). მათგან ეჭვიგანილის, ბრალდებულისა და გან-

<sup>9</sup> 283-ე მუხლში წერია: „პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე“. უნდა იყოს: „აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების თაობაზე“.

<sup>10</sup> მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევები, როცა მოსამართლე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების შესახებ ბრძანებითვე აცხადებს ბრალდებულის ძებნას. რაც უსწორია.



სასჯელის მოყვანა წინასწარი გამოძახების გარეშე არ დაიშვება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, როცა „აღნიშნული პირები ემაღლებიან მოკვლევას, გამოძიებასა და (უნდა იყოს „ან“ - იგ.) სასამართლოს, ან არა აქვთ გარკვეული<sup>11</sup> საცხოვრებელი ადგილი“ (ნაწ.2). ჯერ ერთი, გაუგებარია, თუ რაგომ აღმოჩნდნენ ეჭვმიტანილი, ბრალდებული და განსასჯელი პრივილეგირებულნი დაზარალებულსა და მოწმესთან შედარებით. მეორეც, რაც მთავარია, აქ ცნაურდება ამკარა წინააღმდეგობა. 174-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეჭვმიტანილი, ბრალდებული და განსასჯელი წინასწარი გამოძახების გარეშე შეიძლება იძულებით მოიყვანონ (დაპატიმრებაზე აქ ლაპარაკი არ არის) მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ემაღლებიან პროცესის მწარმოებელს, 283-ე მუხლის მე-3 ნაწილში კი მითითებულია (და ირიბად ამასვე ადასტურებს 160-ე მუხლის მე-2 ნაწილიც), რომ ამ „სამეულიდან“ ერთ-ერთის – ბრალდებულის – მიმართ მოყვანის წინასწარი პროცედურა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი თავს არიდებს (ამ ცნების შინაარსი არსად არაა გახსნილი, მაგრამ იგულისხმება, რომ იგი „ნაკლები ბოროტებაა“, ვიდრე მიმალვა!) გამოცხადებას, ხოლო თუ ცნობილია, რომ იგი უკვე დაემაღლა გამოძიებას, ეს გარემოება წარმოადგენს მოყვანის წინასწარი პროცედურის გარეშე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების თვითკმარ საფუძველს (თუმცა, როგორც ზემოთ ვნახეთ, „არაიმპერატიულს“...). ბრალდებულის მიმართ გასაგები ეს „სიმკაცრე“, ამასთან, გაუგებარია, თუ რაგომ არ განავრცო კანონმდებელმა განსასჯელზე, ანუ რაგომ არ უნდა იყოს მიმალვა განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების შეფარდების (თუ მას აღკვეთის ღონისძიება საერთოდ არ ჰქონია შეფარდებული) ან ნაკლებად მკაცრი ღონისძიების დაპატიმრებით შეცვლის საფუძველი (სსსკ-ის 159-ე მუხლის მე-3 ნაწ.).

**9. დაკავებისა და ძებნის ზოგიერთი სხვა ასპექტი.**

<sup>11</sup> სიგევა „გარკვეული“ -ს მნიშვნელობა აქ, ცოცხა არ იყოს, ბუნდოვანია, ვინაიდან ამჟამად ჩვენი კანონმდებლობა არ კრძალავს თუნდაც ერთი და იმავე დასახლებულ პუნქტში რამდენიმე საცხოვრებლის ქონას. ჩაწერის ინსტიტუტი გაუქმებულია, ხოლო რეგისტრაციის ფაქტი არ ავალდებულებს პირს მაინცდამაინც „გარკვეულად“ ამ ადგილას იცხოვროს.

სსსკ-ის 176-ე მუხლის („მოყვანის შესახებ სასამართლო ბრძანებისა და განჩინების (დადგენილების) აღსრულება“) და მთლიანად კოდექსის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოსაყვანი პირის „აღმოსაჩენად“ (იგი ხომ რაღაც ფორმით „თავს არიდებს“ გამოცხადებას!..) პოლიციის მიერ გატარებული ღონისძიებები, ცხადია, საპროცესო ვაგებით ძებნა, არ არის, მიუხედავად იმისა, რომ თავისი გამოვლინებებით (მეთოდიკით) იგი ზოგჯერ, გარკვეულწილად, შეიძლება ჩამოჰგავდეს კიდეც ამ ინსტიტუტს – ძებნა, როგორც აღინიშნა, გარდება მიმალული ბრალდებულის (ან განსასჯელის) მიმართ, შესაბამისი სასამართლო აქტის საფუძველზე.

ბრალდებულის მიმალვის თავიდან აცილების საშუალებად დაკავების გამოყენების სპეციფიკურ წესს ითვალისწინებს სსსკ-ის 160-ე მუხლი. კერძოდ, მასში ლაპარაკია გამოძიებლისა და პროკურორის (მხოლოდ ამ თანამდებობის პირების!) უფლებამოსილებაზე – დააკავონ ბრალდებული, რომლის მიმართაც, 140-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოში აღძრულია შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების გამოყენების (შესაბამისი ბრძანების გაცემის) თაობაზე. ცხადია, აქ ლაპარაკია პირზე, რომელიც ბრალდების წაყენებამდე არ იყო ეჭვმიტანილად დაკავებული. კოდექსიდან არ ჩანს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას ამგვარი სიგუანია, მაგრამ ზოგადი ფორმულა შეიძლება ასეთი იყოს: პირის მიმართ თავიდან არ არსებობდა (გამოკვეთილი არ იყო) 142-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, რის გამოც იგი არ ყოფილა ეჭვმიტანილად ცნობილი და დაკავებული, ან კიდეც ეჭვმიტანილად კი იქნა ცნობილი, მაგრამ დაკავებული არ ყოფილა რაიმე მოგვიით. შესაბამისად, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის და აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების შერჩევის საფუძველი გამოიკვეთა შემდგომი მოკვლევა-გამოძიებით. ბრალდებულის ამ ეტაპზე დაკავება კი გამოწვეულია საკმაო საფუძვლის არსებობით ვარაუდისათვის (ანუ „დასაბუთებული ვარაუდისათვის“ – თანახმად 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა), რომ ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე შუამდგომლობის განხილვამდე, გადაწყვეტილების გამოგანა-გამოცხადებამდე, ან ლაპა-

გიმრების შესახებ ბრძანების გამოცხადებიდან მის აღსრულებამდე, მიიმალება და საჭირო გახდება მისი ძებნა.<sup>12</sup>

და, ბოლოს, სსსკ-ის 147-ე მუხლი ითვალისწინებს მოსამართლის მიერ ბრძანების გაცემას ახალი დანაშაულის ჩამდენთა - პირობით მსჯავრდებულის ან თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით ვადამდე გათავისუფლებულის 8 დღე-ღამით დაკავების შესახებ, თუ არსებობს საშიშროება, რომ იგი მიიმალება. დაკავების შესახებ სასამართლო ბრძანების გაცემის საფუძველია იმ „მოკვლევის ორგანოს ან გამოძიების სხვა ორგანოს“ შეამდგომლობა, რომლის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლის საქმე ახალი დანაშაულის შესახებ. ჯერ ერთი,

ამ მუხლს მცდარად ჰქვია „მიმალული მსჯავრდებულის დაკავება“ - შინაარსიდან გამომდინარე, მას უნდა ერქვას, ვთქვათ, ასე: „მსჯავრდებულის დაკავება მიმალვის საშიშროების არსებობისას“. მეორეც, „მოკვლევის ორგანო ან გამოძიების სხვა ორგანო“ აქ არასრულია, რადგან „გაურკვევლობაში გოვებს“ პროკურორს - არ ჩანს მისი კომპეტენცია. ისედაც, ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა აქ (და, საზოგადოლ, ამგვარ შემთხვევებში) გამოგვეყენებინა ზოგადი ტერმინი - „პროცესის მწარმოებელი“, ან უფრო კონკრეტული - „სისხლის სამართლის საქმეზე მოკვლევის ან გამოძიების მწარმოებელი“ („ორგანო ან თანამდებობის პირი“, როგორც უკვე მივუთითებდი, იგულისხმება<sup>13</sup>).

იური ბაბისონია,

თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,  
თსუ სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის  
კათედრის დოცენტი.



<sup>12</sup> პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა ბრალდებულმა, რომელიც წინასწარ არ ყოფილა დაკავებული, მისი დაპატიმრების შესახებ ბრძანების გამოცხადებისას ან მას შემდეგ დაგოვა სასამართლოს შენობა და მიიმალა.

<sup>13</sup> შესაბამისი ტერმინოლოგიური საკითხების თაობაზე უფრო დაწვრილებით იხ. ჩემი სტატია: „სისხლის სამართალწარმოებაში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის არასისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე კანონმდებლობის სრულყოფისათვის“, ჟურნ. „სამართალი“, 2000, № 2.

## ჩხრეკა, როგორც გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება

**მ**ითქმის ყველა საგამოძიებო მოქმედება დაკავშირებულია მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლებების გარკვეულ შეზღუდვასთან, ეს ეხება იმ საგამოძიებო მოქმედებასაც, რომელიც ტარდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის თანახმად, ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, როგორცაა ამოღება, ჩხრეკა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება საცხოვრებელ ბინაში ან სხვა მფლობელობაში პირთა ნების საწინააღმდეგოდ, მოსამართლის ბრძანების გარეშე, გადაუდებელ შემთხვევებში, შეიძლება ჩატარდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდეც.

გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მრავალ შემთხვევაში ამ მოქმედებათა ჩატარების დაყოვნებას შეიძლება მოჰყვეს დანაშაულის ადგილის გარემო-ვითარების შეცვლა, დანაშაულის კვალის წაშლა, დანაშაულის საგნების და ნივთმტკიცებების მოსპობა-გადამალვა, დამნაშავე პირის მიმალვა, დანაშაულის გაუხსნელობა და ა.შ. პრაქტიკაში განსაკუთრებით ხშირად დგება ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობა.

ჩხრეკა არის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ტარდება საცხოვრებელ ბინაში ან სხვა ადგილას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული იარაღის, ნივთის, ფასეულობის, დანაშაულის კვალის მქონე საგნის, აგრეთვე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა საგნების და დოკუმენტების დაძებნის და ამოღების მიზნით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება, კანონიერი

საფუძვლების გარეშე, მოქალაქის ნების საწინააღმდეგოდ, შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში.

საქართველოს სსსკ 317-ე მუხლის თანახმად, ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ გარკვეულ საცხოვრებელ, სასამსახურო, საწარმო სათავსში, ამა თუ იმ ადგილას, ან ამა თუ იმ პირთან ინახება დანაშაულის იარაღი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგანი და ფასეულობა, ასევე სხვა საგნები და დოკუმენტები, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეთ საქმის გამოძიებისათვის და რომლის დაძებნა და ამოღება აუცილებელია. ამასთან ერთად, არსებობს მონაცემები, რომ მათ ნებაყოფლობით არ გასცემენ.

ვფიქრობ, რომ ამ მუხლში ჩხრეკის საფუძველად მითითებული უნდა იყოს არა მარტო სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, არამედ დანაშაულის შესახებ მიღებული ოპერატიული მონაცემებიც. სახელდობრ, აღნიშნული მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მომკვლევს, გამოძიებულს, პროკურორს უფლება აქვთ ჩაატარონ ჩხრეკა, თუ დანაშაულის შესახებ მიღებული ოპერატიული მონაცემები ან სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის...“

ჩხრეკის ჩატარება დასაშვებია არა მხოლოდ ეჭვმიტანილთან და ბრალდებულთან, არამედ გარეშე პირთანაც, თუ არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ მასთან არის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნები ან იმალება დამნაშავე პირი. იმ პირებთან, რომლებიც არ არიან სისხ-

ლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემულნი, ჩხრეკის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ მოიპოვება სერიოზული, უდავოდ საფუძველი ისეთი ვარაუდისათვის, რომელიც უნდა ემყარებოდეს მომკვლევის, გამომძიებლის ან პროკურორის მიერ მიღებულ კონკრეტულ მონაცემებს. კატეგორიულად დაუშვებელია სავარაუდო ჩხრეკა, რომელიც ტარდება ხოლმე საკმაო საფუძვლის გარეშე, იმ ვარაუდით, რომ შეიძლება რაიმე აღმოჩნდესო. ჩხრეკა არის მეტად სერიოზული შეჭრა მოქალაქეთა უფლებების სფეროში და, მაშასადამე, უნდა ტარდებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს ნამდვილად აუცილებელია. დაუსაბუთებელი და უკანონო ჩხრეკა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევაა.

ჩხრეკის შესახებ მოსამართლე განიხილავს რა მოკვლევის ორგანოს დადგენილებას და პროკურორის შუამდგომლობას, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

1. სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ;

2. სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის და ამ მოქმედებით მიღებული შედეგების გაუქმების შესახებ.

მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილება არ გასაჩივრდება.

მიუხედავად იმისა, რომ გადაუდებელ საგამომძიებო მოქმედებათა წარმოებაში მონაწილეობენ მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და არანაკლებ ორი დამსწრისა, მიგვაჩინია, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების აკრძალვა ხელს არ უწყობს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლება-მოვალეობების და კანონიერი ინტერესების დაცვას.

პრაქტიკაში არცთუ იშვიათად, მოსამართლეები ნებით თუ უნებლიედ, იღებენ უკანონო გადაწყვეტილებებს, საგამომძიებო მოქმედებათა როგორც კანონიერად, ისე უკანონოდ ცნობის შესახებ.

1999 წლის 16 იანვარს ვაკის რაიონის სასამართლომ კანონიერად სცნო ნარკოტიკული ნივ-

თიერების ხმარებაში ეჭვმიტანილი მოქ. დ.-ს პირადი ჩხრეკა, რომელსაც ჩატარებული ჩხრეკის შედეგად არ აღმოაჩნდა რაიმე კანონსაწინააღმდეგო საგანი. ჩხრეკას არ დასწრებია არც ერთი სხვა პირი და შესაბამისად არც მათი ხელმოწერებია დაფიქსირებული ჩხრეკის ოქმში, რითაც დარღვეულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 321-ე მუხლის მოთხოვნა. დ.-ს მიმართ ჩატარებული ჩხრეკა კი რაიონის მოსამართლემ სცნო კანონიერად. შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ მოსამართლემ შეგნებულად დაუშვა ეს შეცდომა, მით უფრო, რომ ქ. თბილისის სასამართლოებში ყოველდღიურად უამრავი ჩხრეკა-ამოღების დაკანონება ხდება, მაგრამ უფლებადარღვეული პირისათვის რა მნიშვნელობა აქვს იმას, მოსამართლემ შეგნებულად დაარღვია მისი უფლება თუ შეუგნებლად. მან იცის მხოლოდ ის, რომ მის მიმართ ჩატარებული ჩხრეკის შესახებ მოსამართლის მიერ გამოტანილ დადგენილებას ვერ გაასაჩივრებს.

ავიღოთ მეორე მაგალითი, 1998 წლის 24 აგვისტოს ცხინვალის რაიონის ს.თამარაშენში, ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში ნარკოტიკული ნივთიერების დამზადების პროცესში პოლიციამ ხუთგრამიანი შპრიცით და ორი ნემსით ხელში დააკავა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოქ. გ. აღნიშნული ფაქტის ირგვლივ მოკვლეული მასალა კანონით დადგენილ ვადაში და წესით წარედგინა ცხინვალის რაიონის სასამართლოს ჩატარებული ჩხრეკის კანონიერად ცნობისათვის. მოსამართლემ კი უკანონოდ სცნო ჩატარებული ჩხრეკა იმ მიზეზით, რომ მასალას თან არ ერთვოდა მომინაქრებული ჯამი, რაშიც ნარკოტიკული მასალა მზადდებოდა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონში კატეგორიულადაა ნათქვამი იმის შესახებ, რომ მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შემთხვევაში, პროკურორმა დაუყოვნებლივ უნდა აღძრას სისხლის სამართლის საქმე. კანონის ასეთი კატეგორიულობა ხშირ შემთხვევაში იწვევს აღძრული სისხლის სამართლის საქმეების შეწყვეტას.

მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ნარკოტიკული ნივთიერების ხმარებაში ეჭვმიტანილ პირს სათანადო წესით ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა და



აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება, რომლის სახეობა და წონა ვერ დადგინდება საექსპერტო გამოკვლევის გარეშე, რასაც სჭირდება გარკვეული დრო. მოცემულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემთხვევაში, თუ საექსპერტო გამოკვლევის შედეგად დადგინდება, რომ აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება არის „ოპიუმი“ და მისი წონა შეადგენს 0,4 გრამს, მაშინ ნარკოტიკული ნივთიერების ხმარებაში ეჭვმიტანილი პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში არ მიეცემა. აღნიშნული დარღვევა გამოიწვევს ამ პირის მხოლოდ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, აღძრული სისხლის სამართლის საქმე უნდა შეწყდეს, დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო. ანალოგიურად შეიძლება შესაწყვეტი გახდეს აღძრული სისხლის სამართლის საქმე, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად აღ-

მოჩენილი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება-შენახვის ფაქტზე, რადგან ბალისტიკური ექსპერტიზის გამოკვლევით შესაძლებელია იარაღი სახმარად უვარგისი აღმოჩნდეს.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე პროკურორი შუამდგომლობს და მოსამართლე, თითქმის ყოველთვის კანონიერად სცნობს ჩხრეკას, რომლის ჩატარების დროსაც გაჩხრეკილ პირს რაიმე კანონსაწინააღმდეგო საგანი არ აღმოჩენია. ასეთ შემთხვევაში კი არ არსებობს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი, რადგან სახეზე არ არის დანაშაულის ნიშნები.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ პროკურორის მიერ სს საქმის დაუყოვნებლივი აღძვრა ნაჩქარევი იქნება და პრაქტიკაში წარმოშობს ბევრ გაუგებრობას.

თამარ იასკვილიძე,

საქართველოს გენერალური პროკურატორის  
შს ორგანოებში მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო  
საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის  
სამმართველოს უფროსი პროკურორი.





# სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია

## ვალერიან მეტრეველი

### რომის სამართალი და იმპერატორ იუსტინიანეს კოდიფიკაცია

**ც**ივილიზაციის ისტორიაში რომის სამართალს ისეთივე მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ, როგორც ცეცხლის გამოგონებას და გამოყენებას ადამიანთა მიერ. რომის სამართალი მანამდე დარჩება კაცობრიობის ცივილიზაციაში ფუნდამენტურ განმად, ვიდრე იარსებებს თვით კაცობრიობა.

არსებობს გამონათქვამი, რომლის მიხედვითაც რომმა სამჯერ დაიპყრო მსოფლიო: პირველად – თავისი ლეგიონებით, მეორედ – ქრისტიანობის ძილებით და მესამედ – როცა მოხდა რომის სამართლის რეცეფცია ფეოდალური ევროპის მიერ, საიდანაც მრავალმა ცივილიზებულმა სახელმწიფომ რეცეფცირებული რომის სამართალი საფუძვლად დაუდო თავისი ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობას. რომის სამართალი მიჩნეულია ყველაზე სრულყოფილ სამართლებრივ სისტემად, რომელმაც განუზომელი როლი შეასრულა სამართლის მსოფლიო ისტორიაში. რომის სამართალი გამოირჩევა ცალკეული იურიდიული კატეგორიების ცნებათა საოცარი სიზუსტით, ცალკეულ საგნობრივ ინსტიტუტთა კვლევის სიღრმით და იურიდიული ტექნიკის გასაოცარად მაღალი დონით.

რომაელი იურისტების შემოქმედებამ თავისი მნიშვნელობა შეინარჩუნა მრავალი საუკუნის მანძილზე. ეს აიხსნება იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის განუყოფელი – მჭიდრო კავშირით. რომელი იურისტები არა მარტო თეორეტიკოსები, არამედ მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ, რომელთა ხელში იყო როგორც საკანონმდებლო საქმიანობა, ისე ცალკეული კატეგორიების საქმეთა გადაწყვეტა. რომელი იურისტები პრაქტიკულად წყვეტდნენ იმ კონკრე-

ტული, სასიცოცხლო მნიშვნელობის კაზუსებს, რომლებიც ხვდებოდნენ მოქალაქეთა საჩივრებსა, თუ სახელმწიფო საჭიროებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. რომელი იურისტების კონსულტაციები ცხოვრების მოთხოვნილებათა პასუხები იყო.

რომაელი იურისტები ახალგაზრდობას ასწავლიდნენ სამართალს. ეს უკანასკნელნი კი თავის მოღვაწეობას აგრძელებდნენ იურისპრუდენციაში და სხვებს უკვალავდნენ გზას. რომის სამართლის სიდიადესა და მნიშვნელობაზე როდესაც ვმსჯელობთ, ყურადღებიდან არ უნდა გამოვკრჩეს ის ფაქტი, რომ რომის სამართლიდან, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციის ფუნდამენტური განძიდან, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა რომის კერძო სამართალს ანუ რომის სამოქალაქო სამართალს. მართალია, დიდად მნიშვნელოვანია რომელი საჯარო სამართალიც (განსაკუთრებით კი სახელმწიფო სამართალი), მაგრამ სამოქალაქო სამართალთან შედარებით, რომის საჯარო სამართლის სხვადასხვა დარგი შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, განუზომელია რომის სამოქალაქო სამართლის სიდიადე და მნიშვნელობა, მაგრამ დღევანდელი იურისტებისათვის ჩემი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამი მთავარი სამართლებრივი ინსტიტუტის დეტალური რეგლამენტაცია: 1. შეუზღუდავი, ინდივიდუალური კერძო საკუთრების ინსტიტუტი; 2. ხელშეკრულების ინსტიტუტი; 3. ზოგადი მოძღვრება ვალდებულებათა შესახებ.

რომის სამართალს მისი წარმოშობიდან მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. თანამედროვე რომანისტიკა (მეცნიერება რომის სამართლის





შესახებ) ერთმანეთისაგან გამოჰყოფს რომის სამართლის წარმოშობისა (ჩამოყალიბების) და განვითარების ხუთ პერიოდს:

- 1) არქაული პერიოდი (753–367 წწ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე);
- 2) წინაკლასიკური პერიოდი (367–17 წწ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე);
- 3) კლასიკური პერიოდი (17 წ. ჩვ. წ. მდებ–235 წ. ახ. წ. აღრიცხვით.);
- 4) პოსტკლასიკური პერიოდი (IV–V სს. ახ. წელთაღრიცხვით);
- 5) იუსტინიანეს პერიოდი (527–565 წწ.).

წინამდებარე წერილში შეუძლებელია შევხებით რომის სამართლის ჩამოყალიბების და განვითარების თითოეულ პერიოდს, ამიტომაც დაკვირვებით მხოლოდ მეხუთე პერიოდს, ანუ იუსტინიანეს პერიოდს მოკლე განხილვით.

იუსტინიანე I ანუ ფლავიუს პეტრუს საბატოუსი დიდი დაიბადა 482 წელს ტაურეზიუმში (ახლანდელ სკოპიესთან), გარდაიცვალა 565 წელს კონსტანტინოპოლში. იგი იყო ბიზანტიის იმპერატორი 527-565 წლებში.

იუსტინიანე გაზარდა მისმა ბიძამ – იუსტინე I-მა. მან მიიღო ბრწყინვალე განათლება და 518 წლიდან იგი, ბიძასთან ერთად, ქვეყნის თანამმართველია, ხოლო 527 წელს იკავებს ბიძის ადგილს და ხდება იმპერატორი. იუსტინიანე იყო არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე. მისი დევიზი იყო: „იმპერატორს არასოდეს არ სძინავს“. იუსტინიანეს სურდა კვლავ გაეერთიანებინა დაშლის გზაზე მდგარი რომის იმპერია და აღედგინა ძველი რომის ძლიერება. მან შეზღუდა მსხვილი სენატორული დიდკაცობა და აღავაძო მათი სეპარატისტული მისწრაფებანი. იგი ებრძოდა მოხელეთა მექრთამეობას, გამოსცა ბრძანებულება თანამდებობების ქრთამით დაკავების წინააღმდეგ. ეს ბრძანებულება ერთგულების ფიცდადებულ სამხედრო პირებს (ოფიცრებს) კიდევ უფრო განუმტკიცებდა სამხედრო და სამოქალაქო უფლებამოსილებებს.

იუსტინიანემ ჩაატარა მრავალრიცხოვანი დაპყრობითი ომები: 533 წელს დაიპყრო ვანდალები ჩრდ. აფრიკაში, ოსტგუთები იტალიასა და სიცილიაში (535–555წწ.), ვესტგუთები ესპანეთში (554წ.). იგი ოცნებობდა, რომ ხმელთაშუა ზღვა გადაექცია „ბიზანტიის ტბად“ და მიაღწია კიდევაც

ხმელთაშუა ზღვის აუზის ბიზანტიისათვის დამორჩილებას. საქართველოსთან მიმართებაში ძალზე საინტერესოა იუსტინიანეს პოლიტიკა კოლხეთის მიმართ, რაც აღწერილი აქვს ცნობილ ბიზანტიელ მწერალს აგათია სქოლასტიკოსს და რამაც ჩვენამდე მოაღწია კოლხი ორატორების – აიეტისა და ფარტადის სიტყვების (მოსაზრებათა) მეშვეობით. იუსტინიანეს მოღვაწეობიდან ჩვენთვის – იურისტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია იუსტინიანეს საკოდიფიკაციო საქმიანობა.

რამ განაპირობა იუსტინიანეს საკოდიფიკაციო მოღვაწეობა? ეს კითხვა ვრცელ პასუხს მოითხოვს. აქ უნდა წარმოვაჩინოთ როგორც ობიექტური ისე სუბიექტური მიზეზები.

ცნობილია, რომ ერთ დროს ძლიერი რომის იმპერია მე-3 საუკუნიდან (ახ. წელთაღრიცხვით) კრიზისს განიცდის. ეკონომიკურ დაქვეითებას თან ერთვის ბარბაროსების შემოსევები, ქვეყნის შიგნით უამრავი აჯანყებები მონებისა და კოლონების მხრიდან. სწორედ ასეთი სიტუაცია კარნახობდა გაბატონებულ ფენებს გაეტარებინათ განსაკუთრებული ღონისძიებები თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად, პირველ რიგში კი ეს უნდა დაწყებულიყო სახელმწიფოსა და იმპერიის გაძლიერებით.

მეოთხე საუკუნიდან დაწყებული რომის იმპერია დაშლას იწყებს, ხოლო 395 წლიდან აღმოსავლეთი რომის იმპერია საბოლოოდ გამოეყო დასავლეთ რომს და გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. 476 წელს კი რომი საბოლოოდ დაეცა (დასავლეთ იმპერია). აღმოსავლეთი რომის იმპერია დარჩა ძველი რომის ერთადერთი მემკვიდრე, რომელსაც ეწოდა ბიზანტია.

იუსტინიანეს კოდიფიკაცია VI საუკუნეში ჩატარდა. ამ დროს აღმოსავლეთ რომის იმპერიის ანუ ბიზანტიის შემადგენლობაში შედიოდა: მცირე აზია, ბალკანეთის ნახევარკუნძული, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი, ფინიკია, ლიბანი, პალესტინა, ეგვიპტე; ამას დაემატა იუსტინიანეს მეფობის პერიოდში დაპყრობილი და შემოერთებული ტერიტორიები, აპენინის ნახევარკუნძული, ესპანეთის გარკვეული ტერიტორია: აფრიკის ჩრდილოეთი სანაპირო და სხვა. როგორც ვხედავთ იუსტინიანეს მეფობის დროს რომმა (ბიზანტიამ) კვლავ გამოაჩინა თავისი



იმპერიული სახე. უზარმაზარი იმპერიის სამართავად, ექსპლუატატორული კლასების დასამორჩილებლად და გაბატონებული ფენების ინტერესების განსახორციელებლად საჭირო იყო პოლიტიკურ-სამართლებრივი რეფორმების გატარება. მაგრამ ამისათვის ძველი რომის კანონების გამოყენება არ იყო მიზანშეწონილი, ხოლო ახალი კანონმდებლობა არ არსებობდა. ამ გარემოებებმა აიძულა იმპერატორი იუსტინიანე ხელი მოეკიდა კოდიფიკაციისათვის. იუსტინიანეს კოდიფიკაცია ცარიელი ადგილიდან არ დაწყებულა. იუსტინიანამდე არსებობდა რომის სამართლის უამრავი წყარო, მათ შორის XII ტაბულის კანონები და უამრავი კომენტარები მასზე, სენატის დადგენილებები ანუ სენატუსკონსულტა, სახალხო კრებების გადაწყვეტილებანი, მაგისტრატების ედიქტები, რომელი იურისტების თხზულებები, იმ იურისტებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ახალი წელთაღრიცხვის II-IV საუკუნეებში. ამ თხზულებებს ეწოდებოდა *ius* (სამართალი). ამასთან, იგივე ეწოდებოდა რომის იმპერატორების მიერ გამოცემულ „კონსტიტუციებს“ ანუ ბრძანებულებებს. 395 წლიდან, ე. ი. რომის იმპერიის ორად გაყოფის შემდეგ, სამართლის წყაროდ იქცა „*leges*“ (კანონები). ეს იგივე იმპერატორების კონსტიტუციები იყო, რომლებსაც სავალდებულო ძალა მიეცა.

იუსტინიანეს კოდიფიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო იყო მაგისტრატების ედიქტები, უმთავრესად კი ისეთი მაგისტრატის (თანამდებობის პირის) ედიქტი, როგორც იყო პრეტორი. პრეტორი ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირი – მაგისტრი იყო, რომელიც გამოსცემდა ედიქტებს ანუ განკარგულებებს სასამართლო დაცვისათვის სარჩელების მისანიჭებლად. პრეტორთა ედიქტები იმდენად მრავალფეროვანი და იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ იურისტების სპეციალური ახსნა და კომენტარები სჭირდებოდა. ამ გზით რომში კიდევ ერთი წყარო შეიქმნა „პრეტორული სამართალი“.

130 წელს იმპერატორ ადრიანეს დავალებით იურისტმა იულიან სიცივიუსმა პრეტორთა ედიქტები განაზოგადა და შეადგინა ე. წ. მუდმივი ედიქტი „*Edictum perpetuum*“. ედიქტები იქცა გამოჩენილი რომაელი იურისტების – პომ-

პონიუსის (მან შეასრულა ედიქტების კომენტარები 150 წიგნად), პაულიუსის (მას ეკუთვნის კომენტარები 78 წიგნად), ულპიანეს (მას დაწერილი აქვს ედიქტების კომენტარები 83 წიგნად) და სხვათა შემოქმედების წყარო.

იუსტინიანეს კოდიფიკაციის წყარო აგრეთვე იყო რომაელი იურისტების მოღვაწეობის ისეთი სახე, როგორცაა რესპონსა – იურიდიული კონსულტაციების დროს გაცემული პასუხები. ასეთ პასუხებში ჩანს რომაელ იურისტთა სამართლებრივი აზროვნების მაღალი დონე. კონსულტაციების ნაირსახეობა იყო ე. წ. „*Epistulae*“ (ანუ წერილობითი პასუხები ახლობლების, კოლეგების, მაგისტრატების, იურისტების მიერ გაცემულ შეკითხვებზე) და „*Quaestiones*“ (ხელოვნურად მოგონილი იურიდიულ სიტუაციაზე გაცემული პასუხები. ასეთ სიტუაციას ხატავდა თვით იურისტი ან მისი მოწაფე ამა თუ იმ ინსტიტუტის ან პრინციპის დეტალურად გაანალიზების და შესწავლის მიზნით).

ამრიგად, იუსტინიანეს კოდიფიკაცია ეყრდნობა ძველი რომის კანონებს, სასამართლო პრაქტიკის მასალებს, მაგისტრატების (პრეტორების) ედიქტებს, იმპერატორების და პრინციპის კონსტიტუციებს და, რაც მთავარია, კლასიკური პერიოდის იურისტების მოღვაწეობას და შემოქმედებას. სწორედ კლასიკური პერიოდის იურისტების მოღვაწეობით შეიქმნა და თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია რომის კერძო სამართალმა, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც კაცობრიობის უმაღლესი კულტურული მონაპოვარი. კლასიკური პერიოდის რომაელი იმპერატორები ხელს უწყობდნენ იურისტების არა მარტო სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობას, არამედ პოლიტიკურ სფეროში მათ დაწინაურებასაც.

რომის სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებული პროგრესი დაკავშირებულია სამართლისმცოდნეთა მოღვაწეობასთან, რომელთა ავტორიტეტის განმტკიცებასაც ცდილობენ იმპერატორები. რესპუბლიკის ბოლო წლებში დაწინაურდა ორი იურისტი ათეუს კაპიტონი და ანთისტეუს ლაბუნდი. სწორედ ამ ორი რომაელი იურისტის ანტაგონიზმის შედეგად ჩამოყალიბდა კლასიკური პერიოდის რომის სამართლის ორი სკოლა: პროკულიანური და საბინიანური.



ახალი წ-ის II საუკუნეში დამოუკიდებელმა იურისტმა ფლორენტინიუსმა, რომელიც არცერთ მიმდინარეობას არ ემხრობოდა – შეადგინა „ინსტიტუციები“ (Instituciones) 12 წიგნად. ტერმინი „ინსტიტუციო“ (Instituto) ნიშნავდა შექმნას, დადგენას, განათლებას და მიგვანიშნებს დაწვევით განათლებაზე, ცოდნის საფუძვლების ჩამოყალიბებაზე, იგი გულისხმობს აქცენტის გადატანას სამუშაოს დაწვევის საფუძვლებზე, სამუშაოს ელემენტარულ ხასიათზე. ფლორენტინიუსის „ინსტიტუციების“ 43 ფრაგმენტი იუსტინიანეს საკოდიფიკაციო კომისიამ შეიტანა დიგესტებში.

ფლორენტინიუსის თანამედროვემ, პროვინციელმა პროფესორმა გაიუსმა (მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია), რომელიც მხოლოდ სახელით არის ჩვენთვის ცნობილი, დაწერა ინსტიტუციები 4 წიგნად. კლასიკური პერიოდის თხზულებათაგან მხოლოდ გაიუსის ინსტიტუციებმა მოაღწია სრულყოფილი სახით ჩვენამდე. გაიუსის ინსტიტუციები ეხება კერძო სამართლის სამ ძირითად ინსტიტუტს: პირები, ნივთები და სარჩელები. „ძველი სამართალი, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, მოიცავს ან პირებს, ან ნივთებს ან სარჩელებს“, თამამად აცხადებდა ავტორი. სწორედ გაიუსის ინსტიტუციები გახდა იუსტინიანეს ინსტიტუციების მოდელი, იგივე მოდელი აიღო ნაპოლეონმა, როცა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი შეადგინა.

კლასიკური პერიოდის იურისტების შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს მათი წინამორბედების შრომების კომენტარებს. გაიუსმა და მისმა თანამედროვემ პომპონიუსმა დაგვიტოვეს მნიშვნელოვანი ნაშრომები რომის კერძო სამართალში. მაგ., პომპონიუსს ეკუთვნის კვინტი მუციუსის შრომების კომენტარები 39 წიგნად. ამავე იურისტის შრომებზე ჰქონია დაწერილი კომენტარები გაიუსსაც, რომელიც შემორჩენილი არ არის.

კლასიკური პერიოდის რომაელ იურისტთა შემოქმედებაში გამოირჩევა „შენიშვნები“ ანუ notae. შენიშვნები კეთდებოდა წინამორბედ იურისტთა შრომების ტექსტებში, სტრიქონთა შორის, ან სვეტის მინდორზე, ამასთან, ხშირად მითითებული იყო შენიშვნის ავტორის ვინაობა. შენიშვნები მნიშვნელოვანი წყარო გამოდგა რომის სამართლის კოდიფიკაციის დროს, რამდენადაც

ისინი შეიცავდნენ შენიშვნის ავტორის თვალსაზრისს ამა თუ იმ იურიდიულ საკითხზე.

თავისი წინამორბედების შრომების კომენტარებისას, ან ნაშრომების, ციტატების თუ შინაარსის გადმოცემისას, რომელი იურისტები ძალზე ფაქიზად ეპყრობოდნენ თავიანთი კოლეგების შრომებს, ისე მიიჩნევდნენ, როგორც ნორმატიულ მასალას ან როგორც იმპერატორთა კონსტიტუციებს.

როგორც ირკვევა, იუსტინიანეს მიერ მოწვეულ (შეკრებილ) იურისტებს ხელთ ჰქონიათ თავის წინამორბედთა შრომები, კომენტარებით და შენიშვნებით, რომლებსაც დიდი სიფრთხილით, მოწინავედ და პატივისცემით იყენებდნენ.

რომაელ იურისტთა მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სწავლულებისა და იურიდიული დარგის სპეციალისტების საქმიანობის ისეთ ფორმას, ისეთ სახეს, რომელსაც ეწოდებოდა „Prudertes“ ანუ სამართალმცოდნეობა. მასში იგულისხმება პრეტორის ედიქტების კომენტარება, იურისტების კონსულტაციები (მოსახლეობისა თუ თანამდებობის პირთათვის), შეკითხვებზე პასუხების გაცემა, წერილების შედგენა და გაგზავნა ამა თუ იმ იურიდიულ პრობლემაზე (Epistulae), კლასიკური პერიოდის ცნობილი იურისტების დასკვნებს სასამართლოებისათვის სავალდებულო ძალა ჰქონდა.

კლასიკური პერიოდის რომის სამართლის წყაროებზე მსჯელობისას კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ კლასიკურ პერიოდში (ძვ. წ-ის 17წ.-ახალი წ-ის 235წ.) ხდება რესპუბლიკის პერიოდის მდიდარი საკანონმდებლო აქტების კვლავ აღდგენა, გამართვა, სრულყოფა, პალინგენეზია (გაცოცხლება), რომელმაც საშუალება მისცა იმპერატორ იუსტინიანეს გადაერჩინა და კაცობრიობისათვის გადაეცა (დაეტოვებია) სულიერი კულტურის ისეთი ხელთქმნილი განძი, როგორცაა დიგესტები.

ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნის დასასრულისათვის ძალზე შესუსტდა რომის იურისტების შემოქმედებითი საქმიანობა, დაეცა მათი როლიც. სასამართლოებს უჭირდათ, არ იცოდნენ რომელი იურისტის მოსაზრებას დაყრდნობდნენ ან უარეყოთ იგი: 426 წელს იმპერატორმა ვალენტინიან III შეამსუბუქა მოსამართლეების რთული მდგომარეობა იმ მხრივ,



რომ გამოიცა სპეციალური აქტი, რომლის მიხედვითაც მოსამართლეებს შეეძლოთ ეხელმძღვანელათ მხოლოდ ხუთი იურისტის დებულებებით. ესენი იყვნენ: პაპინიანი (პაპინიანუსი), პაულიუსი (პავლე), ულპიანი, მოდესტინი და გაიუსი. თუ რომელიმე საკითხზე წამოიჭრებოდა აზრთა სხვადასხვაობა, საკითხი წყდებოდა ხმების უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში, იმარჯვებდა ის მხარე, რომელშიც შედიოდა პაპინიანუსი. თუ ამ საკითხზე პაპინიანს არ ჰქონდა გამოთქმული მოსაზრებანი, საკითხი წყდებოდა მოსამართლის შეხედულებით.

იმპერატორი იუსტინიანე ხედავდა, რომ კლასიკური პერიოდის რომის იურისტების მოსაზრებანი ვეღარ აკმაყოფილებდა აღმოსავლეთ რომის ანუ ბიზანტიის იმპერიის გაზრდილ მოთხოვნილებებს. სწორედ ამიტომაც დააყენა საკითხი, ძველი რომაული სამართლიდან აერჩიათ ის ნორმები, რომლებმაც შეინარჩუნეს ძალა, მოქმედება და შეიძლებოდა მათი გამოყენება როგორც სამართლის წყარო. იუსტინიანე კარგად ხედავდა ასევე, რომ საჭირო იყო შეთანხმებაში მოეყვანათ რომაელი იურისტთა საღაო, წინააღმდეგობრივი დებულებები.

530 წ. 15 დეკემბერს იმპერატორმა იუსტინიანემ წერილით მიმართა (დაავალა) იმ პერიოდისათვის გამოჩენილ იურისტს ტრიბონიანს, რომელიც იყო „magister officium“ და „questor sacri palatii“, რაც დაახლოებით უდრის გვიანდელი პერიოდის იუსტიციის მინისტრს. იუსტინიანე წერს: „ყველაზე რთული საქმე კანონთა ხელისუფლება ანუ კანონთა უზენაესობაა, რომელიც განაგებს საღმრთო და საერო საქმეებს, თავიდან გვაცილებს ყოველგვარ უსამართლობას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა სახის კანონი რომის დაარსებიდან თუ რომელიუსის დროიდან, ისე არეული და უსასრულოდ გაბნეულია, რომ შეუძლებელი ხდება მათი გაგება და გამოყენება ადამიანის ყოველგვარი ცდით თუ შესაძლებლობებით. ჩვენი უპირველესი საზრუნავი იყო დაგვეწყო ყოფილ წმინდა პრინციპსთა კონსტიტუციებით, გაგვეხადა ისინი ნათელი და გასაგები; ჩვენ შევკრიბეთ ისინი ერთ კოდექსად და გავათავისუფლეთ ზედმეტი გამეორებებისაგან, ასევე არასწორი წინააღმდეგობებისაგან, რადგანაც მათი ნამდვილობა (სისწორე) ხალხს აღმოუჩენს სწრაფ დახმარებას“.

ამ მიმართვის პირველ პუნქტში იუსტინიანე ასახელებს კონსტიტუციებს. მართლაც, იუსტინიანეს მოღვაწეობა კონსტიტუციების შედგენით დაიწყო 529 წ. 7 აპრილს. უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციები რომაელი იმპერატორების მიერ ადრე გამოცემული დადგენილებები თუ ბრძანებულებებია, რომელიც საჭირო იყო აღმინისტრაციული აპარატის ყოველდღიური საქმიანობისათვის, ადვოკატებისათვის და სხვა. კონსტიტუციების შედგენის პრაქტიკა იუსტინიანეს მეფობამდეც ყოფილა. IV-V საუკუნეებში შედგენილი იყო სამი კოდექსი ამ დარგში:

1. გრეგორიანუსის კოდექსი, მასში შევიდა 196 წლიდან – 297 წლამდე გამოცემული კონსტიტუციები;
2. ჰერმოგენუსის კოდექსი ფაქტობრივად იყო წინა კოდექსის გაგრძელება და დამატა შემდგომი რამდენიმე წლის კონსტიტუცია;
3. თეოდოს II-ის კოდექსი. 438წ. მასში თავი მოიყარა IV საუკუნის კონსტიტუციებმა და წინა ორი კოდექსის დამატება.

ტრიბონიანისადმი გაგზავნილი წერილის (მიმართვის) მეორე პუნქტში იმპერატორი იუსტინიანე წერს, რომ „კონსტიტუციების შედგენის შემდეგ აუცილებელია შეიკრიბოს, შესწორდეს რომის ყველა დადგენილება (იგულისხმებოდა სასამართლოს დადგენილებები, ასევე იურისტების დებულებები) და შეტანილ იქნას ისინი ერთ კოდექსში. მართალია, ეს უაღრესად რთული საქმეა, შეიძლება ითქვას შეუძლებელიც, მაგრამ აღვაპყრეთ ცისკენ ხელები და შემწეობა ვთხოვეთ უფალს ... ჩვენ ეს საქმე, უპირველესად, თქვენ მიგანდეთ, რადგან მივიღეთ სათანადო ცნობა თქვენი მონაცემების და შესაძლებლობების შესახებ კოდექსის შესაქმნელად“...

„ამიტომაც გიბრძანებთ ... (აქ იმპერატორი იუსტინე ზოგჯერ ბრძანებას ცვლის რჩევით), რომ შეკრიბოთ რომაელი იურისტების თხზულებები, რათა მოთავსდნენ ისინი ერთ კრებულში 50 წიგნად. კრებულის სახელწოდება იქნება დიგესტები ანუ პანდექტები“. დასასრულს, იუსტინიანე ბრძანებს, რომ მომავალში ამ კოდექსის კომენტირება არავინ არ უნდა გაბედოს.

დიგესტა – ლათინური სიტყვაა და აღნიშნავს კრებულს, სისტემაში მოყვანილს. ასეთი სახელწოდება ახალი არ იყო, არამედ ამ სახელ-

წოდებას ატარებდა მრავალი რომელი იურისტის თხზულება, რომელშიც მოცემული იყო როგორც თვით ავტორის, ისე სხვა იურისტების მოსაზრებანი.

**პანდექტა** – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ყოვლის მომცველს“. ასეთი ტერმინი იხმარებოდა ადრეც, არაიურიდიულ ლიტერატურაში.

დიგესტები და პანდექტები ერთმნიშვნელოვანი, თანაბარი მნიშვნელობის სახელწოდებებია. დიგესტები შედგენილი იყო ლათინურ ენაზე. მართალია, ბიზანტიაში ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნული ენა, მაგრამ ადმინისტრაციის და სასამართლოს ენად, ანუ სახელმწიფო ენად კვლავ რჩებოდა ლათინური.

დიგესტები მეტად ვრცელი კრებულია. მასში შევიდა 39 ავტორის თხზულებებიდან ამოკრებილი მასალები. დიგესტებში 150 ათასი წინადადებაა და მოცულობით შეადგენს 100 საავტორო თაბახს. უნდა აღინიშნოს, რომ დიგესტებში თითქმის მისი ერთი მესამედი ულპიანეს თხზულებებიდან ამოკრებილ დებულებებს და მოსაზრებებს უკავია. ერთი მეექვსედი – პაულიუსის დებულებებს, პაპინიანუსის – 1/18, იულიანუსისა – 1/20, გაიუსისა – 1/30 და ა. შ.

დიგესტებში, ძირითადად, კერძო სამართლის შინაარსის მასალაა მოცემული, მაგრამ მრავლადაა მოტანილი საჯარო სამართლის დებულებებიც, ასევე სამართლის ზოგადი თეორიის მუხლები და დებულებები. იმდენად, რამდენადაც დიგესტები გათვალისწინებული იყო როგორც ოფიციალური საკანონმდებლო აქტი, იმპერატორმა იუსტინიანემ აკრძალა მისი კომენტირება. საეჭვო შემთხვევაში მოსამართლეები ვალდებული იყვნენ მიემართათ იმპერატორისათვის.

როგორც აღვნიშნეთ დიგესტები 50 წიგნს შეადგენს. მისი სტრუქტურა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: დიგესტები შეიძლება დაიყოს 7

დიდ ნაწილად, თითოეული ნაწილი შედგება რამდენიმე წიგნისაგან:

1) 1-4 წიგნები ეხება ზოგად დებულებებს, რა არის სამართალი, როგორ წარმოიშვა იგი, რა არის კანონები, როგორია მათი სახეები ...

2) 5-11 წიგნები ეძღვნება მართლმსაჯულებას და სამართალწარმოებას.

3) 12-19 წიგნები – ვალდებულებით სამართალს და სხვადასხვა ხელშეკრულებას.

4) 20-27 წიგნებში მოცემულია დებულებები გირაოს, პროცენტების, მტკიცებულებების, საქორწინო-საოჯახო სამართლის და სხვა საკითხებზე.

5) 28-36 ანდერძი, უარი ანდერძზე...

6) 37-44 წიგნები წინა 28-36 წიგნების გაგრძელებაა.

7) 45-50 წიგნები მრავალი სახის ურთიერთობებს ეძღვნება, მათ შორის სიტყვიერ ვალდებულებებს, კერძო დელიქტებს, სისხლის სამართლის საკითხებს, პროცესს ... თითქმის ყველა წიგნი იყოფა ტიტულებად ანუ თავებად, ხოლო თავები იყოფა ფრაგმენტებად.

იუსტინიანეს დიგესტები იყო, არის და იქნება მომავალშიც მრავალი ავტორის შემოქმედების წყარო. საქართველოში დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა ამ ძვირფასი ძეგლის შესასწავლად და გამოსაყენებლად. გამოცემული არ არის ქართულ ენაზე რომის სამართლის არც ერთი წყარო.

ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო და სამართლის კათედრამ ხელი მოჰკიდა რომის სამართლის პირველწყაროების თარგმანს ქართულ ენაზე. აქცენტი ალბუღია პირველწყაროების ლათინური ენიდან ანუ დედანიდან თარგმანზე. უკვე მომზადებულია დასასტამბად და გამოსაცემად ლათინურიდან თარგმნილი დიგესტების პირველი წიგნი.

პალერიან მებრეველი,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
ოსუს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის  
კათედრის გამგე.

## გიორგი ნადარეიშვილი

### ერთი იურიდიული ტერმინის წარმოშობა-ბანკოთარება

ენას ხალხი ქმნის. ის ხალხის შემოქმედებაა. სახელმწიფოსა და სამართალსაც ხალხის შემოქმედების ბეჭედი აზის. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ სამართალგანვითარებას თან ახლავს ენის, განსაკუთრებით იურიდიული ტერმინოლოგიის განვითარება. ერთი სიტყვით, ისტორია ვითარდება კომპლექსურად მთელი მისი რთული შემადგენელი ნაწილებით. ისტორია არ შეიძლება იყოს ან მხოლოდ ეკონომიკური, პოლიტიკური ან ლიტერატურული და ა.შ., არამედ ისტორია მრავალი ფაქტორის (რომელთაგან თითოეული განუმეორებელია თავისი კონკრეტული თვისებებით) განუყოფელი მთლიანობაა.

ცხადია, ამიტომაც ქართული იურიდიული ტერმინებიც ვითარდებოდნენ ქართული სახელმწიფოსა და ქართული სამართლის განვითარებასთან ერთად.

ცნობილია, რომ ცივილიზებულ ხალხთა ენებიდან მრავალს არა აქვს საშუალება სპეციალური ტერმინის მეშვეობით ერთმანეთისაგან განსხვავოს სამართალი და უფლება. ორივე ეს ცნება ენების დიდ უმრავლესობაში ერთი ტერმინით გამოიხატება და როდესაც საჭირო ხდება სამართლისა და უფლების ერთიმეორისაგან განსხვავება, მიმართავენ აღწერილობას. რუსულში „პრავო“ სამართალიც არის და უფლებაც და როდესაც საჭიროა, რომ მსმენელი ან მკითხველი მივახვედროთ, რომ სამართალზე კი არ ვსაუბრობთ, არამედ უფლებაზე, მიემართავთ აღწერილობას და ვიტყვით „სუბიექტივით პრავო“. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა მრავალი განვითარებული ხალხის ენებშიც. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ინგლისური ენა, რომელიც კარგად ანსხვავებს ერთიმეორისაგან

სამართალსა და უფლებას და თითოეული მათგანის აღსანიშნავად გააჩნია ცალ-ცალკე ტერმინიც. ცოცხალ იურიდიულ პრაქტიკაში კი დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, მივახვედროთ მკითხველი თუ მსმენელი, საარჩევნო სამართალი ან საკუთრების სამართალი გვაქვს მხედველობაში თუ შესაბამისად საარჩევნო უფლება და საკუთრების უფლება.

ქართული ენა, როგორც ცნობილია, კარგად არჩევს ერთმანეთისაგან სამართალსა და უფლებას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამას მან მიაღწია ისტორიულ ხანაში. ქართული მწერლობის ძეგლებში, როგორც ნათარგმნში, ისევე ორიგინალში, თითქმის ვერ ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც სამართალი და უფლება ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული, ყოველთვის იგრძნობოდა ტენდენცია, რომ „უფლების“ ცნების გამოსახატავად ძეგნილიყო ცალკე ტერმინი. უკვე ძველი ქართულის დონეზე შემოდის „კელმწიფება“ დღევანდელი უფლების მნიშვნელობით. თვითონ „უფლება“ ოთხთავის უძველეს ქართულ თარგმანებში ნიშნავდა „ბატონობას“. შემდეგში მას თანდათან ენაცვლება „კელი-ც“ პარალელურად ჩნდება „ტყევა“ და ბოლოს, ე.წ. „სუბიექტური სამართლის“ გამოსახატავად მკვიდრდება „უფლება“.

1656 წლით დათარიღებულ ქალაქურ ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „კელთ გეწიფოდეს გასყიდვათ, გაზითვათ, რითაც ფერად მოსახმარისად გინდოდეს“... 1711 წლით დათარიღებულ განჩინებაში უფლების მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი კელი: „... . ამ დღეს ზემოთ ჯანდირიანთ და ვაჩნაძეთ კელი არა აქვსთ“. „დასტურლამალში“-ც /კარი 25/ „კელი“ უფლების მნიშვნელობით იხმარება.



ხოლო 1810-1815 წლებში შედგენილ „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი“-ს 71-ე მუხლში „უფლება“ ნახმარია დღევანდელი მნიშვნელობით.

„უფლება“, როგორც სიტყვა და ტერმინი საუკუნეების განმავლობაში „იბრძოდა“ თავისი „უფლებებისათვის“. XI საუკუნის ძეგლში პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში „უფლება“ ორმაგი მნიშვნელობით იხმარება: ერთი მხრივ, ის ნიშნავს უფლად-ყოფნას, ბატონ-პატრონობას /ა.შანიძე/, ხოლო მეორე მხრივ, უფლებას მისი დღევანდელი ქართულის მნიშვნელობით, იმას, რასაც აღწერილობით გამოხატავს რუსული „სუბიექტივნოე პრავო“.

ხსენებული ტიპიკონის ქართულ რედაქციაში გვხვდება „კელმწიფობაც“ და „უფლებაც“, ცალცალკე ისინი გამოხატავენ დღევანდელი ქართული „უფლების“ შინაარსს: რაი არა აქედეს ხელმწიფობა განგებლად რაისამე /5,6/ „რომელნიცა მაქუნდეს ხელმწიფებითა სრულითა და შეუძრავითა უფლებითა“ /2,1/.

ხსენებულ ტიპიკონში „კელმწიფება“ უპირატეს ხმარებაშია უფლების მნიშვნელობით. „ოდესღა იგი არავის აქუნდეს კელმწიფება თავისა თვისისა უფლებად, ვითარ უკუე ეუფლოს სხუათა საკმართა ვითარცა თვსთა“ /4,8/.

მოტანილი მაგალითებიდან და მასალებიდანაც ჩანს, რომ ქართული ენა ყოველთვის გარკვევით ანსხვავებდა ერთმანეთისაგან უფლებასა და სამართალს. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა პროცესი ამ ტერმინის ჩამოყალიბებისა და დახვეწისა.

ცხადია, ცნებებს და ტერმინებს ხალხი ქმნის ისტორიული განვითარების პროცესში. სიმპტომატურია ის გარემოება, რომ ძველ ქართულ ენებში

„კელი“ თანამდებობასაც ნიშნავდა და უფლებასაც. მას თანდათან ჩამოშორდა თანამდებობის მნიშვნელობა და შერჩა – უფლებისა. თანდათან „კელის“ ეს უკანასკნელი მნიშვნელობაც იკარგება. ჩვენი ღრმა რწმენით, ანტიკური ეპოქის საქართველოში „კელი“ საკუთრების ცნების აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც ლათინური „მანუს“. სიმპტომატურია ის გარემოება, რომ ერთ ხანს თანამდებობა, საკუთრება და უფლება ერთ ნაკადში მოისაზრებოდა. რამდენადაც „უფლება“ ნებადართული ქცევის წესია, ძველ ქართულში გვხვდება „ტევება“, „ტეობა“ „უფლებისა“ და ნების დართვის მნიშვნელობით. ოთხთავის ქართული თარგმანის უძველეს ხელნაწერებში „კელმწიფება“ ნიშნავს ბატონობას, ძალას, უფლებას, ძალაუფლებას, შეძლებას, ნებას.

აქედან ჩანს, რომ „კელმწიფება“ ჯერ კიდევ არ იყო ტერმინად ჩამოყალიბებული და რომ უძველეს ხანაში „კელი“ ძალასაც ნიშნავდა და უფლებასაც. „კელმწიფება“, ცხადია „კელი“-დან არის ნაწარმოები. „კელი“ და „უფლება“ დიდხანს თანაარსებობდნენ, როგორც უფლების ცნების გამომხატველი სიტყვა-ტერმინები. საბოლოოდ ქართულმა ნათლად განასხვავა უფლება და სამართალი.

ვფიქრობთ, დროთა ვითარებაში ის ენებიც, რომელნიც „უფლებასა“ და „სამართალს“ აღწერილობითი საშუალების გარეშე ვერ ანსხვავებენ, ქართული და ინგლისური ენების მაგალითს მიბაძავენ და გამოიმუშავენ /შექმნიან/ უფლების ცნების გამომხატველ სპეციალურ ტერმინს. როგორც რ.ა. ბუდაგოვი წერდა, „ტერმინი, ეს არის სიტყვა ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობით . . . ტერმინი მიისწრაფვის ერთმნიშვნელობისაკენ, მონოსემიისკენ“ . . .

ბიორბი ნალარაიშვილი,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ქართულ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს ჰუმანიტარული აკადემიის ნამდვილი წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



## ნინო ცნობილაძე

# ფაქტ-ფიქციური ბავრცელებული რუსული სამართლის კრიტიკა ვაჟა-ფშაველას ნააზრევში

**3**აჟა-ფშაველა თავდაუზოგავად იბრძოდა ქვეყანაში, განსაკუთრებით, ფაქტ-ფიქციურ შემთხვევაში უარყოფითი მხარეების აღმოსაფხვრელად. ცდილობდა აემხედრებინა მთიელები უსამართლობის წინააღმდეგ, რისი მოთავეცა და სულისჩამდგმელიც ყოველთვის თავად ყოფილა. ვაჟა პოლიტიკურად სამიმ პიროვნებად იყო აღიარებული, რაზედაც არაერთი დოკუმენტი არსებობს. კავკასიის რკინიგზის პირველი ბატალიონის კაპიტან სამონოვის წერილში ვკითხულობთ: «Во главе революционного движения сего р-на стоит народный поэт «Важа-Пшавела» (прозвище), фамилия Лука Разикашвили, пшавец, имеет неограниченное влияние на пшавцев, считается народным вождём,... Ввиду крайней вредности как человека умного и деятельного Важа-Пшавела в горах, необходимо обдумать ряд мер, дабы его обезвредить, ибо арест его может вызвать серьёзные последствия и брожение среди Магароскарцев.»<sup>1</sup>

ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ ვაჟა-ფშაველას სდევნიდნენ და ფულადი საჩუქრებიც იყო დაწესებული, ვინც მის დაჭერაში დაეხმარებოდა. აქედან გამომდინარე, იგი კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა და „თავისუფალი სიტყვის“ თქმა ყოველთვის არ შეეძლო. ბევრჯერ ჟურნალ-გაზეთები უარსაც ეუბნებოდნენ სტატიებისა და მხატვრული ნაწარმოებების დაბეჭდვაზე.

შექმნილი სიტუაციის შესახებ ვაჟა წერს: „სოფლის სასამართლოში მოწმეები არც კია საჭირო: ოღონდ პატარა არაყი ასუნთქებინოს სოფლის „სუდიებს“ და იმედი უნდა ჰქონდეს, საქმე მოიგოს. ტყუილის მოწმეების შოვნის იმედი,

რასაკვირველია, ათამამებს აეს და ავაზაკს კაცსა. იგი შემდეგ უარესს საქმეს ჩაიდენს და მუდამ გამარჯვებული გამოვა სასამართლოდამ. ვინ ასწავლის ამას ამისთანა ხრიკებს? თვით სასამართლოს მსახურნი. ზოგი ადვოკატ-აბლოკატები, ზოგი წვრილმანი „ჩინოვნიკ-პისრები“, რით და როგორ უნდა მოუაროს მტყუანმა თავსა“.<sup>2</sup>

ვაჟა-ფშაველას ამ წერილიდან აშკარაა, რომ სასამართლო უწმინდურებისა და უსამართლობის კერად ქცეულა. მწერალს კარგად ესმის, ამგვარ მოქმედებას ხალხი ზნეობრივ დაცემამდე მიჰყავს.

მწერალმა ისიც კარგად უწყის, კანონები, რომლებიც რუსეთმა შემოიღო, ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის, ჩაგრული მასების ინტერესებს. ამ პრობლემას მრავალი პუბლიცისტიური წერილი მიუძღვნა, ერთ-ერთი მთავარი კი არის „ფაქტ-ფიქციურთა დეკლარაცია“. ამ ნაშრომს საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა მიუძღვენით საკანდიდატო დისერტაციად წარმოდგენილ თემაში – „ვაჟა-ფშაველას სამართლებრივი და პოლიტიკური შეხედულებანი“. ახლა კი მხოლოდ პატარა მონაკვეთს დავიმოწმებთ: „არ გვინდა რუსის მთავრობისაგან მოცემული სამართალი, რადგან იქ უსამართლობის მეტი ვერა ვნახეთ, არც მისგან დაყენებული მოსამართლეები. ჩვენ უნდა გვექონდეს მედიატორული სამართალი. ყველა სოფელში მოჩივანი და მოპასუხე უნდა გაასამართლოს თავიანთივე მეზობელმა, მხოლოდ საქმე ყრილობამ ხმის უმრავლესობით უნდა გადასწყვიტოს და დამნაშავეს სასჯელი მიუსაჯოს. ამიტომ არავინ ჩვენგანმა არ უნდა იჩივლოს არც სულში, არც ნაჩაღნიკთან, არც ასისთავთან, არც მიროვი პასრედნიკთად და არც სხვა რუსის მოსამართლესთან“.

<sup>1</sup> სოლომონ ყუბანეიშვილი. ვაჟა-ფშაველა, 1937, გვ. 399-400.

<sup>2</sup> ვაჟა-ფშაველა, თხ.ს., ტ. X, თბ., 1964, გვ. 91.





ამ წერილით თუ ვიმსჯელებთ, ვაჟა მედიატორული სამართლის მომხრეა და არა რუსეთის მიერ შემოღებული კანონისა. რადგან მედიატორებმა იცოდნენ, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი, ყველაფერი მათ თვალწინ ხდებოდა. და მაინც, თუ ვინმე მედიატორთაგანი მაინც გაბედავდა დამნაშავეს გამართლებას, მას მიუდგებოდა, მაშინ მედიატორს, ანუ მოსამართლეს, ხალხის რისხვა, გაკიცხვა არ ასცდებოდა. ამიტომაც მედიატორი ყოველთვის ცდილობდა საქმე გადაეწყვიტა ხალხის სინდისისა და ჩვეულების კარნახით. რა თქმა უნდა, ადრეც ხდებოდა უსამართლობები, მაგრამ ხალხი მაინც კმაყოფილი იყო, რადგან ხალხის ჩვეულებებზე იყო დაფუძნებული კანონი. მაშასადამე, ვაჟა-ფშაველა მომხრეა, სასამართლო პროცესს საჯარო ხასიათი ჰქონდეს, განაჩენი გამოიტანოს ყრილობამ და არა ერთმა ვიგინდარა მოსამართლემ, რომელსაც კანონი გაუთელავს და თავისი ნებით მოქმედებს.

სიღარიბის გამო ვაჟამ გადაწყვიტა მომრიგებელ-შუამავლად დაეწყო მუშაობა, რის შესახებაც მისი უახლოესი მეგობარი ივანე გომელაური იგონებს: „ძალიან გამიჭირდა ცხოვრება, – უთქვამს 1906-1907 წლებში მისთვის. წვრილშვილიანი კაცი ვარ. გადავწყვიტე სამსახურში შესვლა. მომრიგებელ-შუამავლის თანამდებობას მაძლევენ.

ეს სამსახური იმით არის კარგი, რომ ხალხთან ვიქნები. ხალხში მექნება საქმე და მეტი სარგებლობის მოტანა შემეძლება მათთვის“.<sup>3</sup>

საინტერესოა, რა უფლებამოსილება ჰქონდა ვაჟას, როგორც მომრიგებელ-შუამავალს. თავდაპირველად, გავიხსენოთ, რომ ეს თანამდებობა დაწესდა რუსეთში 1861 წელს. მომრიგებელ-შუამავლის უმთავრესი ამოცანა იყო ურთიერთობების მოგვარება, მოწესრიგება მემამულეებსა და გლეხებს შორის. ე.ი. მომრიგებელ-შუამავალი განიხილავდა გლეხების საჩივრებს მემამულეების წინააღმდეგ.

მომრიგებელ-შუამავალს ევალებოდა თვალყური ედევნებინა სოფლის მმართველობის სისტემაზე. ამასთან, თუ სოფლის მმართველობის აპარატის რომელიმე წარმომადგენელი დანაშაულს ჩაიდენდა, შეეძლო გაეთავისუფლებინა თანამდებობიდან და საქმე სასამართლოსათვის გადაეცა.

ინტერესნოკლებული არ უნდა იყოს იმ სასამართლოს წარმომადგენელთა ფუნქციები, რომელთაც ვაჟა ახსენებს თავის შემოქმედებაში:

1. **სასამართლოს ბოქაული** – ბოქაული, ტერმინი თურქულ-მონღოლური წარმოშობისაა. იგი საქართველოში XVI საუკუნიდან შემოვიდა. სულხან-საბა ბოქაულს ასე განმარტავს: „ბოქაული – იასაული. ბოქაული ჯალათას ენათა არს, ქართულად მშვიდობისას მანდატური ეწოდების, ხოლო რისხვისას მტარვალი. ეს ჯალათას ენაა, ქართულად მანდატური ჰქვიან“.<sup>4</sup>

არსებობდა სხვადასხვა სახის ბოქაული, ანუ „პრისტავი“. სასამართლოს ბოქაული იყო მოხელე, რომელიც სასამართლო აღმასრულებლის ფუნქციებს ასრულებდა. თუმცა, იგი მხოლოდ ამ ფუნქციებითაც არ შემოიფარგლებოდა. ვაჟას პერიოდში იყო მაზრის უფროსისა და ზემდგომი დაწესებულებების ბრძანებათა აღმასრულებელი. ბოქაული ისეთი მოხელე იყო, რომ ცხოვრება ზემდგომი მოხელეების მორჩილებაში უნდა გაეტარებინა. ვაჟას დახასიათებით:

„მინამ ქვეყნად გაისმოდა  
„ერთობა და სიყვარული!“  
ჩვენმა მცველმა ბოქაულმა  
არ იცოდა სიბრალული.  
მუშტით, ჯოხით და მათრახით  
ხალხსა სთიბდა ბოქაული  
ისე, როგორც მოსულს ყანას  
კარგი ცელი მოფხაული.  
მაგრამ როცა ხალხი ნახა  
ყოველ მხრიდან მოზღვაული,  
იძახოდა: ძირს მთავრობა,  
ნაჩალიკი, ბოქაული  
სუდიები, მინისტრები,  
ტანსაცმელით მოქარგული!“

2. **სოფლის მამასახლისი** – იგი იყო ადმინისტრაციული ფუნქციების მქონე დაბალი მოხელე, რომელსაც ევალებოდა ეცნობებინა სოფლისათვის ცენტრალური ორგანოების ბრძანება-განკარგულებები, გაერჩია სისხლისა და სამოქალაქო სამართლის წვრილ-წვრილი საქმეები, დახმარებოდა სათანადო მოხელეებს გადასახადების აკრეფაში. ვაჟას მიხედვით, მამასახლისის გამოჰქონდა განაჩენი: „ხშირად საკვირველს განაჩენს და საქციელს ჰხედავ სოფლის მამასახლისებისას“.<sup>5</sup>

სულხან-საბასთან მამასახლისის ძუნწი განმარტებაა: „მამასახლისი სახლთ უფროსი, წინამძღუარი“.<sup>6</sup>

<sup>4</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991, გვ. 111.

<sup>5</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. X, თბ., 1964, გვ. 56.

<sup>6</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, გვ. 431.

<sup>3</sup> ნინო ჩიხლაძე, ვაჟა მოგონებებში, თბ., 1957, გვ. 33.





ლეფდნენ. მართლმსაჯულებას ხელმძღვანელობდნენ მთიელთა წეს-ჩვეულებებისა და ენის უცოდინარები, რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნული რუსი მოსამართლეები. ვაჟა მათ შესახებ წერს: „მოძივარმა და მოპასუხემ კარგად იციან „სუდიების“ სიმსუნაგე და ამიტომ ცდილობს თითოეული მათგანი მეორეზე მეტი არაფი შესავას მსაჯულთა, უფრო გული მოიგოს, რომ მართლიერების სასწორმა იმისკენ გადიწიოს. „სუდიები“ ამის გამო მუდამ გამობრუჟულნი არიან თავის „პისრიანად“ და გასამართლების მაგივრად, სთვლემენ და თავებს ურახუნებენ სტოლსა და არ ესმით, რას ერთი ამბობს, რას მეორე. მაგრამ გაგება მართლისა და ტყუილისა ხომ ამათთვის საჭირო არაა, ვინც მეტი პატიით სცა, გამართლებას ის უნდა მოელოდეს“.<sup>10</sup>

სასამართლოში ადგილობრივი მოსახლეობაც მუშაობდა, ქართველები, რომლებმაც ენაც იცოდნენ და ადგილობრივი ზნე-ჩვეულებებიც კარგად ჰქონდათ შესწავლილი. ვაჟას ნაწერებით ვასკვით, რომ მათ მოქმედებებს შორის განსხვავება თითქმის არ იყო. პირიქით: „შინაური ტურები უფრო მეტს სწადიან, ვიდრე გარეული მგლები“.<sup>11</sup>

მაშასადამე, სასამართლო დაწესებულებებშიც ისე ღრმად ჰქონია ფესვები გადგმული მექრთამეობას, რომ უქრთამოდ არც ერთი სასამართლო მოხელე სამართლიანად არ გაარჩევდა საქმეს. ამას შედეგად მოჰყვა, რომ გამრავლდა დანაშაულობანი, ქურდობა, ავაზაკობა. ყველა დამნაშავე დარწმუნებული იყო, მსაჯულთა „მოთაფლვით“ სასჯელი ასცდებოდათ.

ვაჟა მუდამ უსამართლოდ დასჯილთა მხარეზე იყო. მოძრიგებელ-შუამავლად დანიშვნის შემდეგ მან, მართლაცადა, დიდი დახმარება გაუწია მათ. მართალია, ვაჟამ მხოლოდ ერთი წლის კურსი მოისმინა სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ იგი ბრწყინვალედ ერკვეოდა ამ სპეციალობაში. მისი დახმარებით გაჭირვებულმა მოსახლეობამ მრავალი

სასამართლო პროცესი გადაწყვიტა თავინთ სასარგებლოდ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვაჟა გაათავისუფლეს მოძრიგებელ-შუამავლის თანამდებობიდან.

ვაჟას მიერ მართლმსაჯულების კრიტიკა ჩანს მის ლექსებშიც, სადაც აღწერს სამართალდამცველთა უსამართლო მოქმედებებს:

„ვიჩივლო? აბა, ვისთანა,  
როს ცხოველების წესია:  
არავინ არ შავიბრალებს,  
რაც უნდა დაიკვნესია.“<sup>12</sup>

ვაჟას შემოქმედების შესწავლისას ვასკვით, რომ სამართალი გაირყვნა, ხალხის სინდისი სავაჭრო ნივთად იქცა, მოსამართლეები და სასამართლოს სხვა წარმომადგენლები ჩარჩ-ვაჭრებად მოგვევლინენ.

მაშასადამე, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ შემოღებულმა რუსულმა სამართალმა არასასურველი ნაყოფი გამოიღო. რუსული სამართლის სიმართლე იმაში გამოიხატებოდა, რომ შემოღებული იქნა კანონის წინაშე თანასწორობა. მართალია, კანონი სწორედ ასეთ პრინციპზე იყო აგებული, მაგრამ ეს პრინციპი მოსამართლეთა მიერ არ სრულდებოდა. თანასწორობის პრინციპი კანონის წინაშე ფულზე იყიდებოდა. ეს კი ფაქტობრივად, იურიდიული ფორმალიზმი იყო. ამიტომაც ამბობს ვაჟა:

„დიდ-ფაშვიანი, თვალე-ბრიალა  
იყო ერთს დროსა მსაჯული ჩვენი.  
არ შეჰხედავდა მოჩივარს სწორედ,  
მრისხანე სახის მელურად მჩენი.  
ბატონი კარგი: იმის მოწყალე,  
ესტუმრებოდა რომელიც ძღვნითა,  
გამტყუნებდა ალაღ-მართალსა  
იგი შუბლ-მეკვრით, მაღალი ხმითა.“<sup>13</sup>

ასეთ სურათს ხატავს ვაჟა-ფშაველა რუსული სამართლისა და სასამართლოს წარმომადგენელთა საქმიანობის შესახებ, რომელთა უმსგავსობამ და სიყალბემ საქართველო კინაღამ გადაგვარების გზაზე დააყენა.

60670 6670612222,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდაგი.

<sup>10</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. X, თბ., 1964, გვ. 55-56.

<sup>11</sup> ვანტანგ რაზიკაშვილი, მამაჩემი ვაჟა-ფშაველა, თბ., 1961, გვ. 61.

<sup>12</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. II, 1964, გვ. 24.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 333.

# საერთაშორისო სამართალი, ურთიერთობები

ირაკლი შაფაქიძე

## უცხოეთის ძველებს სსსამართლოს გადაწყვეტილებათა აღიარება და შესრულება

**ს**აერთაშორისო კერძო სამართალში ეროვნული სამართლის ნორმების გამოყენებას შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ექსტერიტორიულობის პრინციპი ეწოდება.

საერთაშორისო კერძო სამართალში ხშირად გამოიყენება ექსტერიტორიულობის პრინციპი, უფრო კონკრეტულად კი ეს ნიშნავს უცხოეთის სამართლის გამოყენებას სხვა სამართლებრივი სისტემის მქონე ტერიტორიაზე. ამასთან, უცხოური სამართლის ნორმის მოქმედება პირდაპირი არ არის. ისინი ნაციონალური კანონის კოლოზიური ნორმის მიხედვით წარმოადგენენ.

სამართლის ნორმის ექსტერიტორიულობის პრინციპის მოქმედების საკითხების განხილვა იურიდიულ ლიტერატურაში არც ისე დიდი ხნის წინ დაიწყო, დაახლოებით 20 წლის წინ, ჯერ კიდევ, XVIII ს. მოყოლებული, საერთაშორისო დავების გაფართოებასთან ერთად. სახელმწიფოები ცდილობდნენ თავიანთი „ეკონომიკური ხასიათის“ კანონმდებლობისათვის მიეცათ ექსტერიტორიულობის ხასიათი. პირველ რიგში ეს ეხება კანონმდებლობას კონკურენციის, კომპანიების შესახებ და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის ნორმათა ექსტერიტორიულობის პრინციპი საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც. სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობის, სამართლის გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული სამართლებრივი კონფლიქტები და გარკვეულწილად შეზღუდოს კიდევ სახელმწიფოს სუვერენიტეტი. ამიტომ, დემოკრატიული განვითარების გზაზე დამდგარი სახელმწიფოსათვის კანონის ექსტერიტორიულობის პრინციპის მოქმედების გარკვევა მნიშვნელოვანია.

ჩვენ ვეცდებით, აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითზე განვიხილოთ სამართლის ექსტერიტორიულობის პრინციპის მოქმედების საკითხები და მისი შეკავებისა და შეზღუდვის გზები.

მიზეზები, რომლებმაც წარმოშვეს ექსტერიტორიულობის საკითხი მრავალია. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დასავლეთ ევროპის იურისტები მსოფლიოში ვაჭრობის განვითარებასა და მისი მნიშვნელობის ზრდაზე მიუთითებენ. სწორედ ამის შედეგია, ის, რომ სახელმწიფოები, მათ ხელთ არსებული საშუალებებით (და, პირველ რიგში, ეს ეხება კანონმდებლობას) ცდილობენ ზემოქმედება მოახდინონ თავიანთ მოქალაქეებზე და იურიდიულ პირებზე, რათა გააკონტროლონ მათი საქმიანობა საერთაშორისო ურთიერთობებსა და საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვაში. ექსტერიტორიულობის გამოყენებისას სახელმწიფო მიზნად ისახავს ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის დამკვიდრებას მსოფლიო ბაზარზე და ამით გარკვეული მოგების და უპირატესობის მიღებას. სახელმწიფოს ჩარევა სამეურნეო სფეროში სხვადასხვაგვარად ვლინდება. ეს შეიძლება გამოიხატოს საგადასახადო ან სავაჭრო კანონმდებლობის მიღებაში. მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში, საუბარია ისეთ ზემოქმედებაზე, როდესაც სახელმწიფო ჩარევა ვლინდება და უფრო სხვა ფორმას იღებს. ეს გამოვლინდება თავის მოქალაქეებისადმი მიმართულ მოთხოვნაში, ჩართონ ესა თუ ის სახელმწიფოს ინტერესების შემცველი ქცევის წესი საზღვარგარეთის პარტნიორებთან დადებულ კონტრაქტებში.

გარკვეული სირთულეები წარმოიშობა მაშინ, როდესაც სახელმწიფო ცდილობს თავის ნორმათა

მოთხოვნა გაავრცელოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობაზე, კერძოდ, ეს ხდება მაშინ, როცა ნაციონალური სამართლის რეგულირების სფეროს მოქმედება ვრცელდება საზღვარგარეთ მოქმედებებზე ფორმების ფილიალების და წარმომადგენლობების საქმიანობაზე. სახელმწიფოს ამგვარმა მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული კონფლიქტური სიტუაცია. მაგალითად, წარმოიშობა წინააღმდეგობა სახელმწიფოს სამართლის ნორმათა რეგულირებასა და იმ სახელმწიფოს ნორმებს შორის, რომლის ტერიტორიაზეც საქმიანობენ ფილიალები. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა „ბლოკირების“ ანუ „დაცვის“ კანონმდებლობის წარმოშობა, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს უცხოეთის სამართლის ექსტერიტორიულობის პრინციპის შეღწევას სახელმწიფოში.

დღეისათვის, ყველაზე მეტი „ექსტერიტორიულობით“ გამოირჩევა აშშ კანონები. უცხოელი იურისტების აზრით, ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, ექსტერიტორიულობის პრინციპი ეფექტიანად გამოიყენება ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებშიც.<sup>1</sup> მაგ., გერმანიის კანონი კონკურენციის შესახებ მთლიანად აგებულია „ეფექტის დოქტრინაზე“, რომელიც, თავის მხრივ, ექსტერიტორიულობის პრინციპის თეორიული საფუძველია. ამავე დოქტრინას იყენებს ავსტრალიის კანონმდებლობა.

ექსტერიტორიულობის პრინციპი ხშირად და საყოველთაოდ გამოიყენება. მისი მართლზომიერება მხოლოდ მაშინ ხდება განჯის საგანი, როდესაც გამოყენებული სამართალი ეწინააღმდეგება ნაციონალურ საჯარო სამართალს, სახელმწიფოს უსაფრთხოებას, მის ინტერესებს.

სუვერენიტეტის იდეიდან გამომდინარე, ერთმა სახელმწიფომ არ უნდა განახორციელოს თავისი სუვერენიტეტი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამიტომაც, ბუნებრივია, სახელმწიფოს ლტოლვა, დაიცვას საკუთარ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეც, სხვა სახელმწიფოებრივ სისტემაში, იწვევს არა მარტო სამართლებრივი ხასიათის, არამედ პოლიტიკური ხასიათის კონფლიქტების წარმოშობას.

ამგვარმა პრობლემამ დაგვანახა ექსტერიტორიულობის პრინციპის მეორე მხარეც. ამ თემას საკმაოდ მრავალი გამოკვლევა და მონოგრაფია მიეძღვნა. თეორიულმა გამოკვლევებმა გამოკვეთა ძირითადი პრობლემა – ორი და მეტი სახელმწიფოს იურისდიქციის და სამართლებრივ ნორმათა კონფლიქტი. ამასთან დაკავშირებით, წარმოჩინდება ისეთი სამართლებრივი კატეგორია, როგორცაა იურისდიქცია, რაც გულისხმობს უფლებას, საკანონმდებლო მოღვაწეობა განხორციელდეს ნაციონალურ ტერიტორიაზე.<sup>2</sup>

ამ დოქტრინის არასრულმა დამუშავებამ წარმოშვა სადავო საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიებისა და ფილიალების საზღვარგარეთ საქმიანობასთან.

ცნობილი ჰოლანდიელი იურისტები ჟ. სლოტი და ტ. გრაბინერი აღნიშნავენ, რომ ნაციონალური კანონმდებლობის გამოყენება საზღვარგარეთ არსებულ იურიდიულ პირთა და საკუთარ მოქალაქეთა მიმართ წარმოადგენს ექსტერიტორიულობის პრინციპს.<sup>3</sup>

ზოგადად ითვლება, რომ იმპერატიული ნორმის თანახმად, იძულებითი ხასიათის აქტების გამოყენება, თუნდაც საკუთარი მოქალაქეების ან იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც უცხოეთში იმყოფებიან, დაუშვებელია უცხოეთის ქვეყნის თანხმობის გარეშე. ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო, რომელიც აპირებს რაიმე იძულებითი ღონისძიებების გატარებას თავისი მოქალაქეებისა ან იურიდიული პირებისადმი, გამოაცხადებს თავის იურისდიქციას სამართლის ზემოაღნიშნული სუბიექტების მიმართ. „საერთო“ სამართლის სისტემების ქვეყნები თავს იკავებენ თავისი იურისდიქციის საჯაროდ გამოცხადებისაგან და უპირატესობას აძლევენ ტერიტორიულ პრინციპს.

მაგრამ უკანასკნელი წლების პრაქტიკა სულ სხვაზე მეტყველებს. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ აშშ უმაღლესი სასამართლოს დადგენილება: „კონგრესს, შეუძლია გააფართოვოს თავისი კანონების მოქმედების სფერო საკ-

<sup>1</sup> Rosenthal D., Knighton W., National law and International commerce: The problem of extraterritoriality L. 1982.

<sup>2</sup> Lange D., Born G., The extraterritorial applicabion of national laws. p. 1987.

<sup>3</sup> Slot P., Grabandt T., Extraterritoriality and jurisalifion. Common Market Law Rev. 1987. p. 545.

უთარ მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებზე, აშშ საზღვრებს გარეთაც“.

იურისდიქციის კონცეფციას გააჩნია ორგვარი ხასიათი: ერთი საერთო საჯარო სამართალში და მეორე საერთაშორისო კერძო სამართალში. საერთაშორისო საჯარო სამართალი ეს არის სახელმწიფოს უფლება დაადგინოს ქვეყნის წესები სამართლის გარკვეული სუბიექტებისათვის და უზრუნველყოს მათი იძულებითი შესრულება. რაც შეეხება საერთაშორისო კერძო სამართალს, აქ იურისდიქცია სხვაგვარი მნიშვნელობით იხმარება. კერძოდ, განისაზღვრება, არიან თუ არა კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოები განიხილონ საქმე, რომელიც უცხოურ ელემენტს შეიცავს. ამგვარი იურისდიქცია გულისხმობს სასამართლოში უცხოელთა დაშვებას, მათი სარჩელის მიღებას და განხილვას, აგრეთვე სასამართლოს გააჩნია იურისდიქცია იმ ფაქტების მიმართ, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ საზღვარგარეთ.

ყოველი სახელმწიფო დამოუკიდებლად წყვეტს თავისი იურისდიქციის საკითხებს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ იურისდიქციის საკითხები გახდეს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა საგანიც.

საერთაშორისო სამართალში განასხვავებენ იურისდიქციის განსაზღვრის ორ სახეს – ტერიტორიალურს და ნაციონალურს.

ტერიტორიული პრინციპი გულისხმობს სახელმწიფოს უფლებას განუსაზღვროს ქვეყნის წესები პირებს, რომლებიც მის ტერიტორიაზე იმყოფებიან და განსაზღვროს მოქმედების წესები, რომლებიც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხორციელდება. წინააღმდეგობები და დავები შესაძლებელია წარმოიშვას მაშინ, როდესაც მოქმედება ნაწილობრივ საზღვარგარეთ განხორციელდა და გარკვეული შედეგი დადგა ამ სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ. ამგვარი იურისდიქცია შეიცავს გარკვეული ექსტერიტორიულობის ელემენტებს.

კანონის ნაციონალური მოქმედების პრინციპიდან გამომდინარე ერთი სახელმწიფოს კანონები ვრცელდება მის მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებზე, როგორც თვითონ ამ ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში გავრცელდა ე.წ. „ეფექტის“ დოქტრინა. მის ავტორად მიჩ-

ნეულია აშშ მოსამართლე ა. ჰარდი. ერთ-ერთი საქმის გადაწყვეტისას, მან მიუთითა, რომ სამართლის ნორმის მიხედვით, ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლება დააკისროს პასუხისმგებლობა პირს, რომელიც მოქმედებდა ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ და რომელიც არ არის აღნიშნული სახელმწიფოს მოქალაქე, თუკი პირის მოქმედების შედეგი დადგა ამ სახელმწიფოში და სხვა სახელმწიფოები აღიარებენ პასუხისმგებლობას. შემდგომში აშშ სასამართლოები ფართოდ იყენებენ ამ დოქტრინას.

„ეფექტის“ დოქტრინა, როგორც აშშ სამართლის პრინციპის არსი, იმაში მდგომარეობს, რომ: 1) ამ დოქტრინის მიხედვით დასაშვებია ხდება ისეთი სამართლის ნორმების შემუშავება, რომლებიც უშუალოდ მიმართულია უცხოეთის სახელმწიფოში მყოფი უცხოეთის სამართლის სუბიექტის მიმართ; 2) ნებას აძლევს სასამართლოს დააკისროს პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნულ სუბიექტებს ისეთ მოქმედებაზე, რომლებიც კანონიერია და არ არიან დასჯადი ამ სახელმწიფოებში, თუკი ამგვარმა მოქმედებებმა განზრახ გამოიწვიეს მავნე შედეგი აშშ-ში; 3) აშშ სასამართლოებს ამ დოქტრინის შედეგად ეძლევათ შესაძლებლობა განახორციელონ ღვეზა ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ არა მარტო იმ მოქმედებებისათვის, რომელიც მათ ადრე განახორციელეს, არამედ ამერიკის სამართლის ნორმათა მოთხოვნის შესრულებლობისათვის აწმყოში. ამასთან, აშშ-ის სასამართლოები არ იღებენ მხედველობაში უცხოეთის სახელმწიფოთა ნორმებსა და სახელმწიფო პოლიტიკას.<sup>4</sup>

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოქტრინა იურიდიულ ლიტერატურაში კრიტიკის ცეცხლში იქნა გატარებული, უკანასკნელი წლების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამგვარი პოსტულატი ეფექტიანად გამოიყენება კონტინენტალური ქვეყნების სამართალშიც, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებშიც.

დოქტრინის არსიდან ნათლად ჩანს, რომ იურისდიქციის განხორციელების საფუძველია ექსტერიტორიულობის პრინციპი.

<sup>4</sup> Griffin I., Calabrese M. Coping with extraterritoriality disputes. I. World Trade, 1988. N2, p. 6. Fazzone P. Business effects of the extraterritorial reach of US export control Laws. v. Int. law and Politic. 1983. Vol. 13 N3. p. 558.



ექსტერიტორიულ ნორმათა მოქმედებას შედეგად მოჰყვება იურისდიქციათა კონფლიქტი. ამერიკის სამართალწარმოებაში ამგვარი კონფლიქტის თავიდან ასაშორებლად, შემუშავებულია ინტერესთა ბალანსირების მეთოდი, რომელსაც საფუძვლად დაედო ევროპის ქვეყნების კატეგორიული მოთხოვნა აშშ-ის ვაჭრობის კანონმდებლობაში ექსტერიტორიულობის პრინციპის შეზღუდვის თაობაზე.

ამ მეთოდის თანახმად, საერთაშორისო ვაჭრობაში კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების დასაძლევად შესაძლებელია ამერიკის და სხვა სახელმწიფოთა ინტერესების შეფარდება და შეთანხმება.

ჩემი აზრით, ამგვარ მეთოდს საკმაოდ ბევრი ნაკლი გააჩნია: 1) დავის ამგვარი გადაწყვეტა შორს არის დავის სამართლებრივი გადაწყვეტიდან; 2) დავის ამგვარი გადაწყვეტა შეიძლება გამოიჩინოს სუბიექტურობით, ამავდროულად ის საფუძველს აძლევს სასამართლოს შეზღუდვებს; 3) დავების ამგვარი გადაწყვეტა ცხადყოფს, რომ საერთაშორისო სამართალს არ გააჩნია შესაძლებლობა ჩამოაყალიბოს ეფექტიანი წესები იურისდიქციის ექსტერიტორიულობის განსაზოვრების მიზნით.

კანონის სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ გამოყენებისას ყველაზე ეფექტიანად ითვლება ნაციონალური კოლონიური ნორმების გამოყენება.

აქ განხილულ შემთხვევაში, როდესაც საზღვარგარეთის ქვეყნის კანონმდებლობა ვრცელდება მის საზღვრებს გარეთ მყოფ მოქალაქეებსა და იურიდიული პირების საქმიანობაზე, დგება კოლიზიური ნორმების საკითხი, რადგანაც აქ არ ხდება არჩევა საკუთარ და ადგილობრივ კანონებს შორის.

საერთაშორისო კერძო სამართალში ხშირად საუბარია კოლიზიურ კანონებზე. კლასიკური დოქტრინის თანახმად, საჯარო სამართლის სფეროში შეუძლებელია მათი გამოყენება, რადგან სახელმწიფო სუვერენიტეტი ხელს უშლის უცხოეთის კანონის შეჭრას შიდასახელმწიფოებრივ სამართალში.

საჯარო სამართალში გამოიყენება არა კოლიზიური ნორმები, არამედ ტერიტორიული კანონების მოქმედების სფეროს პრინციპი. შემთხვევითი არ არის, რომ სამართლის ნორმათა ექსტერიტორიულობის პრინციპი იხმარება არა საჯარო სამართალში, არამედ სახელმწიფოთა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, მაგ., ვაჭრობაში, სამეურნეო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები და სხვა, რომლებიც ნებისმიერი სახელმწიფოს საჯარო სამართალს წარმოადგენენ. აღნიშნული ნორმები უფრო ხშირად იჭრებიან საერთაშორისო ცხოვრებაში და ეს ობიექტური რეალობაა, რომლის უგულებელყოფა დღეს შეუძლებელია.

ირაკლი შაჰაჩიძე,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, ლოცნები.



## გელა ბეჟუაშვილი

# „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ 1995 წლის ეროვნული ჩარჩო-კონვენცია, მისი სამართლებრივი სტატუსი და ძველებს პრაქტიკა

ეროვნული უმცირესობათა დაცვის შესახებ“ 1995 წლის ეროვნული ჩარჩო-კონვენციის საქართველოს მიერ ხელმოწერასა და რატიფიცირებას და კონვენციით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისი პოლიტიკის გატარებას. „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ეროვნული ჩარჩო-კონვენცია პირველი მრავალმხრივი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა დაცვის მიზნებს ემსახურება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული კომისიის „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ მიერ მომზადდა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ კონვენციის ახალი პროექტი, რომელიც დღეისათვის განხილვის პროცესშია.

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ეროვნული ჩარჩო-კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა 1995 წლის 1 თებერვალს და დღეისათვის მისი მომხრეა ეროვნული საბჭოს 27 წევრი-სახელმწიფო. კონვენცია მიზნად ისახავს განსაზღვროს სახელმწიფოს მხრიდან ეროვნულ უმცირესობათა დაცვისათვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძველი და პრინციპები. ამ მიზნით, კონვენციის შემუშავების დროს, ეროვნული საბჭომ დიდი ყურადღება გაამახვილა, რათა კონვენციას გაეთვალისწინებინა ეროვნულ უმცირესობებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) მიერ 1993 წელს მიღებული ე.წ. „ვენის დეკლარაციის“ დებულებები და პრინციპები.<sup>1</sup>

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის სფეროში არსებული სხვადასხვა სახის პრობლემის გათვალისწინებით, კონვენციაში აისახა ე.წ. პროგრამული ტიპის დებულებანი, რომლებიც ზოგადად განსაზღვრავენ სახელმწიფოთა მხრიდან მისალმევი მიზნებს. ამავე დროს ეს დებულებები, რომლებსაც არათვითშემსრულებადი ხასიათი გააჩნიათ, სახელმწიფოს აძლევს საშუალებას თვითონ აირჩიოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კონკრეტული საშუალებები და მეთოდები.

კონვენცია შედგება პრეამბულისა და 5 განყოფილებისაგან (“Section”):

I განყოფილება განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს, რომლებიც ხელს უწყობენ ჩარჩო-კონვენციის დანარჩენი ძირითადი დებულებების განმარტებას;

II განყოფილება შეიცავს ეროვნულ უმცირესობათა დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად დებულებებს;

III განყოფილება ასახავს ჩარჩო-კონვენციის განმარტებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ დებულებებს;

IV განყოფილება განსაზღვრავს ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციაზე მონიტორინგის განხორციელების დებულებებს;

V განყოფილება შეიცავს დასკვნით დებულებებს, რომლებიც კონვენციის ძალაში შესვლასა და ტერიტორიული გამოყენების საკითხებს განსაზღვრავენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩარჩო-კონვენციაში არ არის მოცემული „ეროვნული უმცირესობის“ ტერმინის განსაზღვრება. ამავე დროს, არსებული ჩვეულების შესაბამისად, სახელმწიფო, კონვენციასთან შეერთების მომენტში, აკეთებს შესაბამის განცხადებას, რომელშიც განსაზღვრავს „ეროვნული უმცირესობების“ ტერმინის მნიშ-

<sup>1</sup> “Framework Convention for the Protection of National Minorities”, Collected texts, Council of Europe Publishing, 1999.





ვნელობას (ავსტრია, ესტონეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, რუსეთი, სლოვენია, შვეიცარია) და/ან ასახელებს კონკრეტულ ეროვნულ უმცირესობებს, რომლებზეც გავრცელდება ჩარჩო-კონვენციის დებულებები (დანია, გერმანია, სლოვენია, მაკედონია).

არ არსებობს ტერმინ „უმცირესობის“ ერთი და საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება. 1977 წელს ეს საკითხი დაწვრილებით შეისწავლა ფრანჩესკო კაპოტორტიმ, რომელიც უმცირესობათა დისკრიმინაციის აღმოფხვრის და დაცვის ქვეკომისიის მიერ დანიშნული იყო სპეციალურ მომხსენებლად. ცნება უმცირესობის თაობაზე საყოველთაო შეთანხმების მიუღწევლობის სხვა მიზეზებთა შორის, კაპოტორტი ასახელებს ისეთ წინააღმდეგობებით მოცულ საკითხებს, როგორიცაა: უმცირესობის რიცხობრივი შეფარდება მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში; ჯგუფის მინიმალური საჭიროება; ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებს შორის ურთიერთქმედება და სათვალავიდან უცხოელთა გამორიცხვა ან არ გამორიცხვა. ამას შეიძლება დაემატოს დაბრკოლებების სხვა მიზეზებიც, მაგალითად, რეგიონალიზმის და გეოგრაფიული კონცენტრაციის როლი.

უმცირესობათა განსაზღვრის და კლასიფიკაციის შესახებ გაეროს გენერალური მდიანის 1949 წლის მემორანდუმის თანახმად, უმცირესობათა კლასიფიცირება შეიძლება სხვადასხვა კრიტერიუმებით – გეოგრაფიული კონტიგენტის, მოქალაქეობის, სახელმწიფოს ეროვნული ნიშან-თვისებების, ჯგუფის წარმომავლობის, სახელმწიფოში მისი გაერთიანების გარემოებების და ჯგუფის სურვილებისა და მისწრაფებების გათვალისწინებით.

1954 წელს, ქვეკომისიამ უმცირესობები განსაზღვრა როგორც მოსახლეობაში არსებული, ის არადომინირებადი ჯგუფები, რომლებიც დანარჩენი მოსახლეობისაგან აშკარად განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური ტრადიციებით, ან სხვა ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან და სურთ მათი შენარჩუნება.<sup>2</sup>

1985 წელს ქვეკომისიამ კომისიას წარუდგინა ბატონ ჯ. დემენეს მიერ მომზადებული ტექსტი, სადაც უმცირესობა შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: სახელმწიფოს მოქალაქეთა ჯგუფი, რომლებიც შეადგენენ რიცხობრივ უმცირესობას

და იმ სახელმწიფოში არადომინირებად მდგომარეობაში იმყოფებიან, აქვთ მოსახლეობის უმრავლესობისაგან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური ნიშან-თვისებები და ურთიერთმიმართ სოლიდარობით ხასიათდებიან, რაც მოტივირებულია გადარჩენის კოლექტიური სურვილით, ხოლო მათი მიზანია უმრავლესობასთან ფაქტობრივი და სამართლებრივი თანასწორობა.<sup>3</sup> ამასთან ერთად, კაპოტორტის ნაშრომში მოყვანილია რიგი სახელმწიფოებისაგან მიღებული დაკვირვებები, რაც მიუთითებს ამ ცნების განსაზღვრებასთან დაკავშირებული პრობლემების ბუნებაზე.

მიუხედავად ყველა იმ სირთულისა, რომელიც უმცირესობათა მკაფიო, ყოველმხრივ მართებული და უნივერსალური დეფინიციის ჩამოყალიბების გზაზე გვხვდება, არსებობს ამ კატეგორიის ზოგიერთი მთავარი კომპონენტი, კერძოდ:

**არადომინირებადი ჯგუფი, რომელიც მთლიან მოსახლეობის პატარა ნაწილს შეადგენს;**

**ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური ნიშან-თვისებები;**

**საკუთარი კულტურის, ტრადიციების, რელიგიისა და ენის შენარჩუნების საერთო ნება.**

მხედველობაში უნდა მივიღოთ კონვენციის 25-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, სახელმწიფო, კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში, ვალდებულია მიაწოდოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდიანს სრული ინფორმაცია ჩარჩო-კონვენციაში მოცემული პრინციპების ასამოქმედებლად მიღებული საკანონმდებლო და სხვა სახის ზომების შესახებ.

„ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო-კონვენციის დებულებების მონიტორინგის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია კონვენციის 26-ე მუხლი, რომელიც კონვენციაში მოცემული პრინციპების ასამოქმედებლად მიღებული ზომების ადეკვატურობის შეფასებაში მინისტრთა კომიტეტის დახმარების მიზნით, ითვალისწინებს საკონსულტაციო კომიტეტის (მინიმუმ 12, მაქსიმუმ 18 წევრის შემადგენლობით) შექმნას.

საკონსულტაციო კომიტეტის სტრუქტურული და პროცედურული საკითხები განსაზღვრულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (97) 10 რეზოლუციაში. რეზოლუციის შესაბამისად,

<sup>3</sup> ibid. Note 16.

2 N. Lerner, Group Rights and Discrimination in International law, Chapter 1, Note 12, 1991.

„ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო-კონვენციის წევრ-სახელმწიფოს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის შეტყობინების გზით, შეუძლია წარადგინოს შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე ექსპერტები საკონსულტაციო წევრის თანამდებობაზე არჩევის მიზნით.“<sup>4</sup>

კონვენციის 30-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოს უფლებას ხელმოწერის ან რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ სიგელის დეკონირების დროს განსაზღვროს კონვენციის მოქმედების ტერიტორია. 29-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული კონვენცია სახელმწიფოსათვის ძალაში შედის ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეერთების სიგელის შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებული საერთაშორისო ჩვეულების შესაბამისად, „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპულ ჩარჩო-კონვენციასთან შეერთების მომენტში, სახელმწიფოს შეუძლია განცხადების გაკეთება, რომელშიც განისაზღვრება „ეროვნული უმცირესობების“ ტერმინის მნიშვნელობა. დღეისათვის ასეთი განცხადებები გააკეთა კონვენციის 11 წევრმა-სახელმწიფომ – ავსტრია, ესტონეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, რუსეთი, სლოვენია, შვეიცარია, დანია, მაკედონია.<sup>5</sup>

### ავსტრია

ავსტრიის მთავრობამ 1998 წლის 31 მარტს სარატიფიკაციო სიგელის გადაცემის დროს გააკეთა შემდეგი განცხადება:

„ავსტრიის რესპუბლიკა აცხადებს, რომ მისთვის ტერმინი „ეროვნული უმცირესობა“, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენციის გათვალისწინებული მნიშვნელობით, გულისხმობს „ეთნიკური ჯგუფების შესახებ“ კანონის (Volksgruppengesetz, Federal Law Gazette No. 396/1976) მოქმედების სფეროში შემავალ ჯგუფებს, რომლებიც ტრადიციულად ცხოვრობენ ავსტრიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და არიან ავსტრიის მოქალაქეები არაგერმან-

ული მშობლიური ენითა და საკუთარი ეთნიკური კულტურით.“

ავსტრიის რესპუბლიკის 1920 წლის კონსტიტუციის მე-2 მუხლის შესაბამისად, ავსტრია ფედერალური სახელმწიფოა, რომელიც 9 რეგიონისაგან („Länder“) შედგება.

კონსტიტუცია ითვალისწინებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების განაწილებას ფედერაციასა („Bund“) და რეგიონებს შორის, თუმცა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა ეროვნულ უმცირესობათა დაცვა, ფედერაციის იურისდიქციაში შედის.

ავსტრიაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები ძირითად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს – კარინთიასა (Carinthia) და სტირიაში (Styria) მცხოვრები სლოვენური უმცირესობა და ბურგენლანდში (Burgenland) მცხოვრები ხორვატებისა და უნგრელების უმცირესობები. თუმცა ხორვატების, უნგრელებისა და ჩეხების გარკვეული რაოდენობა ავსტრიის დედაქალაქში, ვენაშიც ცხოვრობს.

როგორც აღინიშნა, ეროვნულ უმცირესობათა დაცვა ფედერალური კანონმდებლობის კომპეტენციაში შედის. ამის გათვალისწინებით არ არის გასაკვირი ის გარემოება, რომ ხსენებული რეგიონების (კარინთია, სტირია, ბურგენლანდი და ვენა) კონსტიტუციები არ შეიცავენ ეროვნულ უმცირესობათა დაცვასთან დაკავშირებულ დებულებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კარინთიის, სტირიის, ბურგენლანდისა და ქვემო ავსტრიის რეგიონების კონსტიტუციები ასახავენ ფედერალური კონსტიტუციის მე-8 მუხლს და რეგიონის სახელმწიფო ენად აღიარებენ გერმანულ ენას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული უმცირესობების ენების გამოყენების შესახებ ეროვნულ კანონებში (კერძოდ „ეთნიკური ჯგუფების შესახებ“ 1976 წლის კანონში).

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კარინთიის რეგიონის კონსტიტუციის შესაბამისად, მთელი რეგიონი ადგენდა ერთიან საარჩევნო უბანს. სლოვენურ უმცირესობას (რომელიც მთელს რეგიონშია მიმოფანტული, განსაკუთრებით კონცენტრირებული კი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში) შეეძლო თავისი კანდიდატის არჩევა. მაგრამ, 1978 წელს ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება კარინთიის კონსტიტუციაში შესწორების შეტანის თაობაზე, რომლის შესაბამისად რეგიონი რამდენიმე საარჩევნო უბნად უნდა დაყოფილიყო.

<sup>4</sup> European Commission for Democracy through Law, „The Protection of Minorities“, Council of Europe Press, 1994.

<sup>5</sup> European Commission for Democracy through Law, „Local Self-Government, territorial integrity and protection of minorities“, Council of Europe Press, 1996.

1979 წელს კარინთიის კონსტიტუციაში შეიტანეს შესწორება, რომლის შედეგად რეგიონი ოთხ საარჩევნო უბნად დაიყო. ამის შედეგად ეროვნული უმცირესობისათვის შეუძლებელი გახდა პარლამენტში დეპუტატის არჩევისათვის ხმების საკმარისი რაოდენობის მოგროვება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონალური და ეროვნული არჩევნების ჩატარების დროს, პოლიტიკური პარტიების სიები, როგორც წესი, მოიცავენ სლოვენური უმცირესობის წარმომადგენლებს, ხოლო მუნიციპალური საბჭოები და სხვა ორგანოები (კომერციის, სოფლის მეურნეობის ან მრეწველობის პალატები) – ეროვნულ უმცირესობათა საკუთარი სიებიდან არჩეულ კანდიდატებს.

გარკვეულწილად, ავსტრიის მსგავს ფედერალურ სახელმწიფოებისათვის, ცენტრალიზებულ სახელმწიფოებთან შედარებით, უფრო ადვილია შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება და ზომების მიღება ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით. მაგალითად, კარინთიის რეგიონალურმა ხელისუფლებამ („andersregierung“) შექმნა ეროვნულ უმცირესობათა საკითხებზე მომუშავე სპეციალური სამსახური – „Bureau für Volksgruppenfragen“.

### გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

გერმანიის მუდმივი წარმომადგენლის 1995 წლის 11 მაისის წერილი შეიცავდა განცხადებას, რომელიც გადაეცა გენერალურ მდივანს ხელმოწერის დროს, 1995 წლის 11 მაისს და განახლდა 1997 წლის 10 სექტემბერს დებონირებული სარატიფიკაციო სიგელით.

ჩარჩო-კონვენცია არ შეიცავს ეროვნული უმცირესობების ტერმინის განმარტებას. აქედან გამომდინარე, ხელშეშეკრულ მხარეზე და მოკიდებული თუ რომელი ჯგუფების მიმართ გამოყენებს იგი კონვენციის დებულებებს მისი რატიფიცირების შემდეგ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეროვნული უმცირესობებია დანიელები და სერბები, რომლებსაც გერმანიის მოქალაქეობა გააჩნიათ. ჩარჩო-კონვენცია ასევე გამოყენებული იქნება გერმანიის ტერიტორიაზე ტრადიციულად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების წევრების მიმართ, და ბოშები, რომლებსაც გერმანიის მოქალაქეობა გააჩნიათ.

გერმანიის რესპუბლიკის, როგორც ფედერაციული სახელმწიფოს, სტრუქტურა და ორგანიზა-

ცია არ არის დაფუძნებული მისი შემადგენელი ნაწილების ეთნიკურ, რელიგიურ ან ენობრივ განსხვავებებზე, არამედ ეფუძნება რეგიონებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ განსხვავებებს, ისევე როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოკავშირეების მიერ შექმნილ საოკუპაციო ზონებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფედერალურ კანონმდებლობაში ეროვნულ უმცირესობათა დაცვასთან დაკავშირებული სულ რამდენიმე ნორმაა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გერმანიის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას ცდილობდა ძირითად კანონში ცვლილებების შემტანი კომისია (Commission on Amending the Basic Law), რომელიც ბუნდესტაგის და ბუნდესრატის წევრებისაგან შედგებოდა, მაგრამ მისი ინიციატივა წარუმატებლად დასრულდა, რადგან საკანონმდებლო ხელისუფლებამ არ დაუჭირა მას მხარი. კომისია გამოდიოდა წინადადებით – გერმანიის ძირითად კანონში, ფედერაციული რესპუბლიკის სუბიექტების საქსენის (Sachsen) და ბრანდენბურგის (Brandenburg) კონსტიტუციების დებულებების ასახვის თაობაზე. კერძოდ, აღნიშნული მხარეების კონსტიტუციები იცნობენ ტერმინებს „ეროვნული და ეთნიკური“ (საქსენი) და „ეთნიკური, კულტურული, რელიგიური ან ენობრივი“ (brandeburgi).

ზოგიერთ ფედერალურ კანონში აგრეთვე ასახულია ტერმინი „უმცირესობა“, მაგ., არჩევნების შესახებ ფედერალური კანონი, რომლის მე-6 მუხლი ეროვნულ უმცირესობებისათვის ადგენს გამონაკლის წესს – პარლამენტში მოხვედრის 5% ბარიერს.

1990 წლის გერმანიის გაერთიანების ხელშეკრულების 35-ე მუხლთან დაკავშირებით შემუშავებული მე-14 ოქმის დებულებები შეიცავენ შემდეგ ტერმინებს – „სერბული ეროვნება . . . კულტურა . . . ტრადიცია . . . ხალხი“. ამასთან, თვით ხელშეკრულებაშიც გამოყენებულია ტერმინები – „სერბები“ და „სერბული მოსახლეობა“.

გერმანიის კონსტიტუცია არ შეიცავს ოფიციალურ ენასთან დაკავშირებულ რაიმე დებულებას. თუმცა, გაერთიანების ხელშეკრულების I დანართი ითვალისწინებს საჯარო ურთიერთობებში სერბული ენის გამოყენების უფლებას, რაც, თავის მხრივ, ადგენს გამონაკლისს სასამართლოს შესახებ ფედერალური კანონის 184-ე მუხლის მიმართ. ბრანდენბურგის კონსტიტუციის 25-ე მუხლი ითვალისწინებს საჯარო ურთიერ-

თობებში სერბული უმცირესობის უფლებას გამოიყენოს მშობლიური ენა.

ტერმინი „უმცირესობა“ ან მისი ეკვივალენტური სხვა ტერმინები ხშირად გამოიყენება იმ მხარეთა სახელმწიფო კანონებში, რომლებშიც ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობები, მაგ., შლესვიგ-ჰოლსტეინის 1990 წლის ახალი კონსტიტუციის მე-5 მუხლი შეიცავს ტერმინს „უმცირესობები და ეთნიკური ჯგუფები“, ბრანდენბურგის 1992 წლის კონსტიტუციის 25-ე მუხლი ეთნიკური უმცირესობების აღწერისას იყენებს ტერმინს „სერბი ხალხი“, ხოლო საქსენის 1992 წლის კონსტიტუციის მე-6 მუხლი შეიცავს ტერმინს „ეროვნული უმცირესობები“.

მსგავსი მაგალითები შეიძლება მოინახოს როგორც მოქმედ საერთო კანონმდებლობაშიც, მაგ., არჩევნების შესახებ შლესვიგ-ჰოლსტეინის მხარის კანონის მე-3 მუხლი და სკოლების შესახებ კანონის 58-ე და მე-60 მუხლები (გამოყენებულია ტერმინი „უმცირესობა“), ასევე არჩევნებთან, მედიასა და კულტურასთან დაკავშირებით შემუშავებულ კანონპროექტებში.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ძირითადი კანონი, ისევე როგორც შლესვიგ-ჰოლსტეინის, ბრანდენბურგის და საქსენის კონსტიტუციები აღიარებენ უმცირესობების ინტერესების ხელშეწყობის მიზნით საჯარო ხელისუფლების მიერ გასატარებელი ღონისძიებების აუცილებლობას, თუმცა არ ადგენენ ამ ღონისძიებათა კონკრეტულ სახეებს.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურული და ლინგვისტური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად განხილულია განათლების (ლი). ბრანდენბურგის 25-ე მუხლი ადგენს უმცირესობათა ენისა და კულტურის განვითარების მიზნით კერძო და საჯარო სკოლების აქტიური ხელშეწყობის აუცილებლობას.

### ესტონეთი

1997 წლის 6 იანვარს, სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების დროს, გაკეთებული განცხადება:

„ესტონეთის რესპუბლიკა „ეროვნულ უმცირესობათა“ ტერმინს, რომელიც არ არის გან-

საზღვრული ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენციაში, განმარტავს შემდეგნაირად: „ეროვნულ უმცირესობად“ ითვლებიან ესტონეთის მოქალაქეები, რომლებიც:

ცხოვრობენ ესტონეთის ტერიტორიაზე;

ესტონეთთან აკავშირებთ ხანგრძლივი და მტკიცე კავშირები;

განსხვავდებიან ესტონელებისაგან ეთნიკური, კულტურული, რელიგიური ან ლინგვისტური ნიშნებით, დაინტერესებულნი არიან დაიცვან საკუთარი კულტურული ტრადიციები, რწმენა ან ენა, რაც მათ საერთო თვითშეგნების საფუძველს წარმოადგენს.“

### დანია

1997 წლის 22 სექტემბერს, გენერალური მდივნისათვის სარატიფიკაციო სიგელის გადაცემის დროს გაკეთებული განცხადება:

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენციის სარატიფიკაციო სიგელის დეპონირებასთან დაკავშირებით, დანია აცხადებს, რომ ჩარჩო-კონვენცია გამოყენებული იქნება დანიის სამეფოს სამხრეთ იუტლანდიაში მცხოვრები გერმანელი უმცირესობის მიმართ.“

### რუსეთის ფედერაცია

1998 წლის 21 აგვისტოს სარატიფიკაციო სიგელის დეპონირებისას გაკეთებული განცხადება:

„რუსეთის ფედერაცია მიიჩნევს, რომ არავის გააჩნია უფლება ცალმხრივად გააკეთოს დათქმები ან განცხადებები და, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიცირების დროს განმარტა ტერმინი „ეროვნული უმცირესობები“, რომელიც არ არის განსაზღვრული ჩარჩო-კონვენციაში.

რუსეთის ფედერაციის შეხედულებით, კონვენციის მხარე-სახელმწიფოების ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პირების, რომლებსაც თვითნებურად ჩამოერთვათ მოქალაქეობა, ჩარჩო-კონვენციის ფარგლებიდან ამოღების მცდელობა „წინააღმდეგობაშია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენციის მიზნებთან.“

გელა ბექუაშვილი,

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს  
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის  
ღირექტორი.

# ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლო

## ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: ვალსამისი საბერძნეთის წინააღმდეგ

სტრასბურგი, 1996 წლის 18 დეკემბერი  
პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება

**საბერძნეთი** – სანქცია, რომელიც გამოიხატა ერთი დღით სკოლიდან დათხოვნაში, რაც გამოწვეული იყო მოსწავლის და მისი მშობლების, იალოვას მოწმეების მიერ, რელიგიური მოტივების გამო სასკოლო პარადში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმაში.

### I. კონვენციის №1 ოქმის მე-2 მუხლი

მითითებულია მხოლოდ მშობლების მიერ. აღარ არის საჭირო სასამართლომ თავისი შუამდგომლობით განიხილოს, იყო თუ არა დარღვეული მოსწავლის უფლება განათლებაზე.

დასკვნა: არ დარღვეულა (7 ხმით ორის წინააღმდეგ).

### II. კონვენციის მე-9 მუხლი

მითითებულია მხოლოდ მოსწავლის მიერ. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მოვალეობა სასკოლო პარადში მონაწილეობის მიღებისა ვერ მოვა კონფლიქტში დაზარალებულის მშობლების რელიგიურ შეხედულებებთან. ეს ღონისძიება არ არის რელიგიის თავისუფლების დარღვევა.

დასკვნა: არ დარღვეულა (7 ხმით ორის წინააღმდეგ).

### III. კონვენციის მე-3 მუხლი

დასკვნა: არ დარღვეულა (ერთსულოვნად)

### IV. კონვენციის მე-13 მუხლი

დასკვნა: მე-13 მუხლი დაირღვა კონვენციის №1 ოქმის მე-2 მუხლთან და კონვენციის მე-9 მუხლთან, მაგრამ არა მე-3 მუხლთან ერთობლიობაში (ერთსულოვნად).

### V. კონვენციის 50-ე მუხლი

A. მორალური ზიანი: სასამართლოს გადაწყვეტილება თავისთავად არის მორალური ზიანის ანაზღაურება.

B. თანხები და ხარჯები (კონვენციის ორგანოების წინაშე): ანაზღაურდეს ნაწილობრივ.

დასკვნა: ბრალდებულმა სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს მოსაჩივრეებს გარკვეული თანხა (ერთსულოვნად).

## საქმეში ვალსამისი საბერძნეთის წინააღმდეგ

საქმე განიხილა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ კონვენციის 43-ე მუხლისა და A<sup>2</sup>-ე რეგლამენტის სათანადო მუხლების შესაბამისად შემდეგი შემადგენლობით:

რ. რისდალი – თავმჯდომარე; ნ. ვალტიკოსი; სერ ჯონ ფრილენდი; მ.ა. ლოპეს როხა; ლ. ვილდაბერი; გ. მიფსუდ ბონიჩი; დ. გორევი; ვ. იამბრეკი.

მდივნის, კ. პეტკოლდის და მდივნის მოადგილის, პ.უ. მაჰონის მონაწილეობით.

## პროცედურა

საქმე გადაეცა სასამართლოს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ 1995 წლის 13 სექტემბერს კონვენციის 32-ე მუხლის I პუნქტითა და 47-ე მუხლით გათვალისწინებულ 3 თვის ვადაში. საქმის სათავეშია საჩივარი, მიმართული ელინური სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც კომისიას გადაეცა ამავე სახელმწიფოს სამი მოქალაქის – ელიას, მარია და ვიქტორია ვალსამისების – მიერ 1993 წლის 26 აპრილს კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად.

პალატის თავმჯდომარემ, რისდალმა (21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად) მდივნის საშუალებით აუწყა საბერძნეთის ხელისუფლების წარმომადგენელს, მოსაჩივრეების ადვოკატს და კომისიის წარმომადგენელს პროცესის ორგანიზაციის შესახებ. მდივანმა 1996 წლის 28 მაისს მიიღო ხელისუფლების, ხოლო 1996 წლის



29 მაისს მოსაჩივრების წერილობითი მოხსენებები. 1996 წლის 10 იანვარს კომისიამ მდივნის მოთხოვნის შესაბამისად წარადგინა მის წინაშე წარმართული პროცესის მონაცემები.

თავმჯდომარის გადაწყვეტილებით საჯარო მოსმენა შედგა 1996 წლის 26 აგვისტოს ადამიანის უფლებათა დაცვის სასახლეში.

### I. საქმის გარემოებები

მოსაჩივრები არიან იალოვას მოწმეები. ელიას და მარია ვალსამისები არიან ვიქტორიას შშობლები, რომელიც დაიბადა 1980 წელს და სწავლობს მელისიის (ათენი) სახელმწიფო ლიცეუმში.

ისინი მიუთითებენ, რომ პაციფიზმი არის მათი რელიგიის ძირითადი ღოგმა, რაც კრძალავს ომთან ან ძალადობასთან თუნდაც არაპირდაპირ კავშირში არსებულ ყოველგვარ მოქმედებას. ამის გამო იალოვას მოწმეები უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურზე და სამხედრო ხასიათის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაზე.

1992 წლის 20 სექტემბერს ვალსამისებმა წარადგინეს წერილობითი განცხადება, რათა მათი 12 წლის ქალიშვილი, ვიქტორია, მელისიის ლიცეუმის მოსწავლე, გათავისუფლებული ყოფილიყო რელიგიურ-საგანმანათლებლო გაკვეთილებიდან, მართლმადიდებლური მესიდან და ყველა სხვა ღონისძიებებიდან, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მის რელიგიურ შეხედულებებს, ეროვნული დღესასწაულების და საჯარო პროცესების ჩათვლით.

ვიქტორია გათავისუფლდა რელიგიურ-საგანმანათლებლო გაკვეთილებზე და მართლმადიდებლურ მესაზე დასწრებისაგან. თუმცა 1992 წლის 28 ოქტომბერს მას სხვა მოსწავლეებთან ერთად დაევალი მონაწილეობა მიელო ეროვნული დღის აღნიშვნაში. 1940 წლის 28 ოქტომბერს ფაშისტურმა იტალიამ ომი გამოუცხადა საბერძნეთს. ეს დღე აღინიშნება სასკოლო და სამხედრო პარადებით. სწორედ ამის გამო სასკოლო პარადი ტარდება თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში. დედაქალაქში 28 ოქტომბერს არ ტარდება სამხედრო პარადი, ხოლო სალონიკაში სასკოლო პარადი იმართება სამხედრო პარადის მომდევნო დღეს. მხოლოდ მცირერიცხოვან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ტარდება სამხედრო და სასკოლო პარადები ერთდროულად.

ვიქტორიამ აცნობა სკოლის დირექტორს, რომ მას რელიგია უკრძალავდა მსგავს ღონისძიებებ-

ში მონაწილეობას სამოქალაქო, სასულიერო და სამხედრო თანამდებობის პირების წინაშე. თანაც სასკოლო პარადს მოჰყვებოდა ოფიციალური მესა და იმავე დღეს გაიმართებოდა სამხედრო პარადი.

მოსაჩივრები აღნიშნავენ, რომ სკოლის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა მათი შვილის განცხადების მიღებაზე. ხელისუფლების აზრით, განცხადება იყო ბუნდოვანი და ვერ ხსნიდა, თუ როგორ ილახებოდა ბავშვის რელიგიური შეხედულებები აღნიშნული ღონისძიების მიერ. ყოველ შემთხვევაში ბავშვის განცხადება უარყვეს, თუმცა ამ უკანასკნელმა მაინც არ მიიღო მონაწილეობა სასკოლო პარადში.

1992 წლის 29 ოქტომბერს სკოლის დირექტორმა დასაჯა ბავშვი ერთი დღით სკოლიდან დათხოვნით. ეს გადაწყვეტილება მიღებულია განათლებისა და რელიგიურ საქმეთა მინისტრის 1990 წლის 2 იანვრის №C1/1/1 ცირკულარის საფუძველზე.

### II. შესაბამისი შიგნითგარეული საპარტალი და პრაქტიკა

#### A. რელიგიურ საკითხებზე

1975 წლის კონსტიტუცია განამტკიცებს შემდეგ დებულებებს: მე-3 მუხლი –

„1. საბერძნეთის სახელმწიფო რელიგიაა აღმოსავლურ-მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის მიერ განმტკიცებული რელიგია. ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც თავის ბატონად აღიარებს იესო ქრისტეს, დაკავშირებულია კონსტანტინოპოლის დიდ ეკლესიასთან...“

2. სახელმწიფოს გარკვეული რეგიონების საეკლესიო რეჟიმი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს I პუნქტის დებულებებს.

3. წმინდა წერილების ტექსტი უცვლელია. აკრძალულია მათი ოფიციალური თარგმანა ბერძნული ეკლესიისა და კონსტანტინოპოლის დიდი ქრისტიანული ეკლესიის წინასწარი თანხმობის გარეშე“.

მე-13 მუხლი – „რელიგიის, რწმენის თავისუფლება ხელშეუხებელია. პირადი და პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფა არ არის დამოკიდებული პირის აღმსარებლობაზე...“

#### B. სასკოლო საკითხებზე

განათლებისა და რელიგიურ საქმეთა მინისტრის 1990 წლის 2 იანვრის №C1/1/1 ცირკულარი ადგენს:



„იარაკელი მოსწავლეები გათავისუფლებულნი არიან რელიგიურ-საგანმანათლებლო გაკვეთილზე, ლოცვებსა და მესაზე დასწრებისაგან... ამისათვის საჭიროა მშობლებმა წარადგინონ წერილობითი განცხადება... მოსწავლე არ თავისუფლდება სხვა სასკოლო ღონისძიებებში, მათ შორის ეროვნულ მანიფესტაციებში მონაწილეობისაგან“.

### საქმის წარმოება კომისიის წინაშე

მოსაჩივრებმა 1993 წლის 26 აპრილს მიმართეს კომისიას. ისინი მიუთითებდნენ კონვენციის №1 ოქმის მე-2 მუხლის დარღვევაზე, ასევე კონვენციის მე-3 და მე-9 მუხლების და მათთან ერთობლიობაში მე-13 მუხლის დარღვევაზე.

1994 წლის 29 ნოემბერს კომისიამ მიიღო საჩივარი, 1995 წლის 6 ივნისს კი დაადგინა:

1. არ დარღვეულა კონვენციის №1 ოქმის მე-2 მუხლი პირველ ორ მოსაჩივრესთან მიმართებაში (19 ხმით 10-ის წინააღმდეგ);

2. არ დარღვეულა კონვენციის მე-9 მუხლი მესამე მოსაჩივრესთან მიმართებაში (17 ხმით 12-ის წინააღმდეგ);

3. არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი მესამე მოსაჩივრესთან მიმართებაში (ერთსულლოვნად);

4. დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი №1 ოქმის მე-2 მუხლთან ერთობლიობაში პირველ ორ მოსაჩივრესთან მიმართებაში (24 ხმით 5-ის წინააღმდეგ);

5. დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი მე-9 მუხლთან ერთობლიობაში მესამე მოსაჩივრესთან მიმართებაში (26 ხმით 3-ის წინააღმდეგ).

6. არ დარღვეულა კონვენციის მე-13 მუხლი მე-3 მუხლთან ერთობლიობაში მესამე მოსაჩივრესთან მიმართებაში (24 ხმით 5-ის წინააღმდეგ).

### ხელისუფლების მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი საბოლოო დასკვნა

თავის მოხსენებაში ხელისუფლება სთხოვდა სასამართლოს უარყო საჩივარი უსაფუძვლობის გამო.

#### სამართლებრივად

I. კონვენციის №1 ოქმის მე-2 მუხლის დარღვევის შესახებ ბ-ნ და ქ-ნ ვალსამისები მიუთითებდნენ, რომ ისინი გახდნენ კონვენციის №1 ოქმის მე-2 მუხლის დარღვევის მსხვერპლი. იგი აღგენს: „არავის არ უნდა წაერთვას გა-

ნათლების უფლება. განათლებისა და სწავლების სფეროში თავისი ფუნქციების განხორციელებისას სასამართლომ პატივი უნდა სცეს მშობლების უფლებას უზრუნველყონ შვილების განათლება მათი რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებების შესაბამისად“.

მშობლები არ მიუთითებენ ვიქტორიას უფლების დარღვევაზე. თუმცა ისინი აღნიშნავენ, რომ ზემოთ ხსენებული დებულება კრძალავს მათი შვილისათვის ისეთ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნას, რომელიც გამსჭვალულია მათთვის მიუღებელი პატრიოტული იდეებით. მოსწავლეებმა განათლება უნდა მიიღონ ისტორიის გაკვეთილებზე და არა სასკოლო პარადებზე.

ხელისუფლებამ უარყო მშობელთა პროტესტი იმ მოტივით, რომ 28 ოქტომბრის სასკოლო პარადს არ ჰქონია სამხედრო ხასიათი, რასაც შეეძლო შეეღობა აღნიშნულ პირთა პაციფისტური შეხედულებები. ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფოს საგანმანათლებლო ფუნქციის განხორციელების თვალსაზრისით სასკოლო პროგრამა ითვალისწინებს 28 ოქტომბრის პარადში მოსწავლეთა სავალდებულო მონაწილეობას. ეროვნული დღის აღნიშვნა ხაზს უსვამს საბერძნეთის დამოკიდებულებას ისეთი ღირებულებებისადმი, როგორცაა დემოკრატია, თავისუფლება და ადამიანის უფლებები, რომელთაც შეადგინეს ომის შემდგომი მართლწესრიგის საფუძველი. ეს ღონისძიება არ აღვივებდა სამხედრო კონფლიქტს. ამ დღის საყოველთაო აღნიშვნამ დღესაც შეინარჩუნა იდეალური და პაციფისტური ხასიათი, რაც გააძლიერა სწორედ სასკოლო პარადებმა.

და ბოლოს, სკოლიდან ბავშვის დროებით დათხოვნამ იქონია ძალზედ უმნიშვნელო გავლენა სასწავლო წლის პროგრამაზე და არ შეიძლება განხილული ყოფილიყო, როგორც განათლების უფლების ხელყოფა.

კომისიის აზრით, იარაკის მოწმეების შეხედულებები დაცული იყო კონვენციის №1 ოქმის მე-2 მუხლით, ხოლო სასკოლო პარადს არ ჰქონია სამხედრო ხასიათი, რაც შეიძლებოდა წინააღმდეგობაში მოსულიყო მათ პაციფისტურ შეხედულებებთან. კომისიის წარმომადგენელმა დაამატა, რომ აღნიშნული დებულება უფლებას აძლევდა მშობლებს მოეთხოვათ რელიგიურ-საგანმანათლებლო გაკვეთილებზე დასწრებისაგან გათავისუ-

ფლება, მაგრამ ეს არ ნიშნავდა სახელმწიფოსაგან იმის გარანტიის მიღებას, რომ ეს უკანასკნელი ყველა მათ სურვილს დაეთანხმებოდა. ამასთან, მოსწავლეს არ წართმევია განათლების უფლება ცოტა ხნით სკოლიდან დათხოვნით.

რაც შეეხება სასამართლოს, მან აღნიშნა, რომ მის კომპეტენციაში არ შედიოდა ემსჯელა საბერძნეთის სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა სისწორეზე სასკოლო პროგრამის შედგენასთან დაკავშირებით. ეს საკითხი უნდა გადაწყდეს თვითონ ქვეყნის შიგნით მისი თავისებურებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე. თუმცა, მიუხედავად ამისა, სასამართლომ გაკვირვება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ მოსწავლეები შეიძლება დაექვემდებარონ სკოლიდან დათხოვნას, თუნდაც ერთი დღით, მხოლოდ იმის გამო, რომ მონაწილეობა არ მიიღეს სკოლის მიდამოებში გამართულ პარადში.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ვერაფერს ხედავს ისეთს ვერც პარადის მიზნებში და ვერც მის მოსამზადებლად გამართულ ღონისძიებებში, რასაც შეეძლო შეეღობა მოსაჩივრეთა პაციფისტური შეხედულებები, დაცული №1 ოქმის მე-2 მუხლით. ამგვარი ღონისძიებები ემსახურება როგორც პაციფისტურ მიზნებს, ისე საზოგადოებრივ ინტერესებს; ხოლო სამხედრო პირების დასწრება ზოგიერთ ასეთ პარადზე სრულიადაც არ ცვლის მათ ხასიათს.

სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის უკანასკნოს სახელმწიფოს უკეთესი გზები და მეთოდები ახალგაზრდა თაობის ისტორიული განათლების თვალსაზრისით, რაზეც მიუთითებენ მოსაჩივრებები. სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოყენებული სანქცია, რომელსაც შეიძლება ჰქონოდა გარკვეული ფსიქოლოგიური გავლენა ბავშვზე, მცირე დროით იყო შემოფარგლული და არ ნიშნავდა მოსწავლის გარიცხვას სასწავლო დაწესებულებიდან.

დასკვნის სახით სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის №1 ოქმის მე-2 მუხლი არ დარღვეულა.

II. კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევის შესახებ ქ-ნ ვალსამისმა მიუთითა კონვენციის მე-9 მუხლზე, რომელიც ადგენს:

„1. ყველას აქვს აზრის, რწმენისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება გულისხმობს რელიგიის და რწმენის შეცვლის თავისუ-

ფლებას; პირთა უფლებას ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად ეწეოდეს რელიგიის ან რწმენის განსაზოგადოებრიობას ღვთისმსახურების, სწავლების, პრაქტიკის და რიტუალების შესრულების გზით.

2. რელიგიის და რწმენის განსაზოგადოებრიობის თავისუფლება შეიძლება შეზღუდოს მხოლოდ კანონით. ეს შეზღუდვები საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი ინტერესების, წესრიგის, მორალის, ასევე სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად”.

კომისიის მსგავსად სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-9 მუხლი არ იძლევა დისციპლინური ღონისძიებებისაგან გათავისუფლების უფლებას, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსაჩივრის მიერ თავისი რელიგიის და რწმენის განსაზოგადოებრიობის უფლების განხორციელებაში ჩარევას ადგილი არ ჰქონია. ამის გამო კონვენციის მე-9 მუხლი არ დარღვეულა.

III. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის შესახებ ვალსამისი მიუთითებდა, რომ მისი სკოლიდან დათხოვნა ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს, რომელიც ადგენს: „არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, დასჯას ან არაჰუმანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას”.

ხელისუფლებას აზრი არ გამოუთქვამს.

სასამართლო მიუთითებს, რომ ცუდად მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სიმკაცრის მინიმალურ დონეს, რათა იგი ჩაჯდეს მე-3 მუხლის ფარგლებში. კომისიის მსგავსად ისიც გამოიციხავს აღნიშნული დებულების დარღვევას.

**დასკვნა:** კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა.

IV. კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევის შესახებ სამივე მოსაჩივრემ მიუთითა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევაზე, რომელიც ადგენს: „ყველას, ვისი კონვენციით განმტკიცებული უფლებები და თავისუფლებები დაირღვა, უფლება აქვს ეფექტიან დაცვაზე ეროვნული ორგანოების წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს თანამდებობის პირმა თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას”.

მოსაჩივრები ამტკიცებდნენ, რომ მათ არ ჰქონიათ შესაძლებლობა ესარგებლათ ეფექტიანი დაცვით, რათა წარედგინათ თავიანთი მოთხოვნები და მიეღწიათ აღნიშნული დისციპლინური სასჯელის გაუქმებისათვის.



ხელისუფლებამ მიუთითა, რომ შეუძლებელი იყო აღნიშნული სასჯელის გაუქმების მიზნით უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოსათვის მიმართვა. თუმცა მოსაჩივრებს შეეძლოთ დაეცვათ თავიანთი უფლებები სამოქალაქო კოდექსის 57-ე მუხლის და კოდექსზე დართული კანონის 105-ე მუხლის შესაბამისად იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რაც მიადგა მათ სახელმწიფო ორგანოთა არასწორი მოქმედებით. ასე რომ, სასამართლოების მიერ გარანტირებული დაცვა სრულებით აკმაყოფილებდა 13-ე მუხლის მოთხოვნებს.

დასადგენია ის, თუ რამდენად უზრუნველყოფს საბერძნეთის კანონი მოსაჩივრებს ეფექტიანი დაცვით, რასაც მოითხოვს კონვენციის მე-13 მუხლი და რაც უფლებას აძლევს მოსაჩივრებს წარადგინონ თავიანთი მოთხოვნები და მიალწიონ მათ დაკმაყოფილებას.

ნათელია, რომ შეუძლებელი იყო მოსაჩივრებს მიემართათ ადმინისტრაციული სასამართლოსათვის. აქედან გამომდინარე, ისინი ვერ მიალწევდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული სასჯელი დაინიშნა უკანონოდ. სწორედ ასეთი გადაწყვეტილებაა ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობა. ამის გამო ვერ ისარგებლეს მოსაჩივრებმა სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული უფლებით.

შეისწავლა რა საქმის ყველა გარემოება, კომისიის მსგავსად, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსაჩივრები არ ყოფილან უზრუნველყოფილნი ეფექტიანი დაცვის საშუალებებით ქვეყნის შიგნით, რათა მათ წარედგინათ ის მოთხოვნები, რაც წარადგინეს სტრასბურგში. ამის გამო დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი №1 ოქმის მე-2 და კონვენციის მე-9 მუხლებთან, მაგრამ არა მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

V. კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენების შესახებ.

#### A. მორალური ზიანი

ბ-ნ და ქ-ნ ვალსამისები და მათი ქალიშვილი – თითოეული მოითხოვს მორალური ზიანის ანაზღაურებას 1000 დრაკმის ოდენობით.

ხელისუფლება მოსაჩივრეთა მოთხოვნას მიიჩნევს „გასაოცრად“. კომისიის წარმომადგენელს აზრი არ გამოუთქვამს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევის დაფიქსირება №1 ოქმის მე-2 მუხლსა და მე-9 მუხლთან ერთობლიობაში თავისთავად საკმარისი ანაზღაურებაა.

#### B. თანხები და ხარჯები

სტრასბურგის სასამართლოს წინაშე გაწეული ხარჯებისათვის მოსაჩივრები მოითხოვდნენ 5250000 დრაკმას.

ხელისუფლებამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ადვოკატის მომსახურებაზე გაწეული და სხვა ხარჯები და უარყო მოსაჩივრეთა სასამართლო პროცესზე დასწრების აუცილებლობა. კომისიის წარმომადგენელს აზრი არ გამოუთქვამს.

#### ამ საფუძვლების გამო სასამართლო

1. ადგენს 7 ხმით 2-ის წინააღმდეგ, რომ არ დარღვეულა კონვენციის №1 ოქმის მე-2 მუხლი;

2. ადგენს 7 ხმით 2-ის წინააღმდეგ, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-9 მუხლი;

3. ადგენს ერთსულოვნად, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი;

4. ადგენს ერთსულოვნად, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი №1 ოქმის მე-2 მუხლთან და კონვენციის მე-9 მუხლთან და არა მე-3 მუხლთან ერთობლიობაში;

5. ადგენს ერთსულოვნად, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება თავად არის მორალური ზიანის საკმარისი ანაზღაურება;

6. ადგენს ერთსულოვნად, რომ ბრალდებული სახელმწიფო ვალდებულია 3 თვის ვადაში გადაუხადოს მოსაჩივრებს 600000 დრაკმა სასამართლო ხარჯების დასაფარავად. ამ თანხას დაემატოს წლიური 6% ზემოთ აღნიშნული ვადის გასვლიდან გადახდამდე.

ინგლისურად და ფრანგულად შედგენილი გადაწყვეტილება საჯაროდ გამოცხადდა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასახლეში 1996 წლის 18 დეკემბერს.

ხელს აწერს:

როლფ რისდალი – თავმჯდომარე;

ხელს აწერს:

ჰერბერტ ჰეტცოლდი – მდივანი.

დენიდან თარგმნა ნათია კინწურაშვილმა.



# საქართველოს გენერალური პროკურატურაში

„გ ა მ ტ ბ ი ც ე ბ“  
საქართველოს გენერალური პროკურორი,  
იუსტიციის მთავარი სახელმწიფო  
მრჩეველი: ჯ. ბაბილაშვილი  
7 აპრილი, 2000 წელი

## საქართველოს პროკურატურის ბენერალური ინსპექციის

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

#### ორგანიზაცია და მუშაობის პრინციპები

1. საქართველოს პროკურატურის გენერალური ინსპექცია (შემდგომში გენერალური ინსპექცია):

– არის საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფი სამმართველოს უფლებებით. გენერალური ინსპექცია თავის საქმიანობასას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებებით, წინამდებარე დებულებით და პროკურატურის მუშაკის ეთიკის ნორმებით;

2. გენერალური ინსპექცია თავის საქმიანობას წარმართავს კანონიერების, ჰუმანიზმის, თბიქტურობის, მოქერძობის და სოციალური სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე. საკითხთა განხილვისას საჯაროობის და კლდეკალობის მოთხოვნათა გათვალისწინებით სახელმწიფო და სამსახურებრივი საიდუმლოების განურჩევი დაცვით.

3. გენერალური ინსპექციის საქმიანობის პრინციპს წარმოადგენს:

– საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების მიერ კორუფციისა და თანამდებობრივი მდგომარეობის ბორატად გამოყენების, სხვა დანაშაულებრივ ქმედებათა, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ წესების, აღმინსტრაციულ გადაცდომათა და პროკურატურის მუშაკის ეთიკის ნორმების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა, მათი პროფილაქტიკა, შემოწმება და რეაგირება.

– პროკურატურის მუშაკთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების, პიროვნების თავისუფლებისა და კანონიერი ინტერესების შემლახავი ფაქტების გამოვლენა და რეაგირება.

– პროკურატურის მუშაკთა უფლებების, პატივისა და დირსების დაცვა.

#### გენერალური ინსპექციის ორგანიზაცია სტრუქტურა და დაქვემდებარება

1. გენერალური ინსპექციის ყავს უფროსი, მისი მოადგილე და პროკურორები;

2. გენერალური ინსპექციის უფროსს, მის მოადგილეს და პროკურორებს ნიშნავს გენერალური პროკურორი;

3. გენერალური ინსპექციის უფროსი უნდა აკმაყოფილებდეს პროკურატურის მუშაკისათვის აუცილებელ

ყველა პროფესიულ მოთხოვნას, იყოს შეუვალი, უნდა ჰქონდეს პროკურატურის ორგანოებში ან სხვა იურიდიული სპეციალობით მუშაობის გამოცდილება;

4. გენერალური ინსპექცია ექვემდებარება საქართველოს გენერალურ პროკურორს და ანგარიშვალდებულა მის წინაშე;

#### გენერალური ინსპექციის მოვალეობები

1. გენერალური ინსპექციის ევალება:

ა) მოქალაქეთა საჩივარ-განცხადებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოქვეყნებული და გადაცემული ცნობების, პროკურატურის მუშაკთა მოხსენებით ბარათების, აგრეთვე სხვა უწყებათა ოფიციალური შეტყობინებების საფუძველზე ჩაატაროს სამსახურებრივი მოძიება ან სხვა სახის შემოწმება და მიიღოს გადაწყვეტილება:

– სამსახურებრივი მოვალეობისა და დისციპლინის უწყის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით;

– სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ფაქტებთან დაკავშირებით;

– ინტერესთა შეუთავსებლობის წესების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით;

– ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარების ფაქტებთან დაკავშირებით;

– პროკურატურის შენობა-ნაგებობებსა და თანამშრომლებზე თავდასხმის ფაქტებთან დაკავშირებით, რასაც მოჰყვა პროკურატურის მუშაკთა სიკვდილი; სხულის დაზიანება; პატივისა და დირსების შელახვა; ტაბელური არარდის, საბრძოლო მასალის, მატერიალურ ფასეულობათა გატაცება, დაზიანება ან განადგურება.

– პროკურატურის მუშაკის ეთიკის ნორმების დარღვევებთან დაკავშირებით;

ბ) ჩაატაროს შემოწმებები პროკურატურის მუშაკთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის და დისციპლინის დარღვევის, სხვა არამართლზომიერი ქმედებების გამოვლენა-აღმოფხვრის მიზნით.

გ) გენერალური პროკურორის დაფალებით მონაწილეობა მიიღოს პროკურატურის ორგანოების კომპლექსურ შემოწმებებში.

დ) გენერალური ინსპექციის უფროსი დაქსწრის საქართველოს გენერალური პროკურატურის კლდეკობს და საატესტაციო კომისიის სხდომებს.

ე) საჭიროების შემთხვევაში, გენერალური პროკურორის დაფალებით მთამზადოს ინფორმაცია პროკურატურის

ორგანოებში დასაწინაურებელ პირთა მიმართ მაკომპრო-  
მეტორებული მონაცემების არსებობის თაობაზე.

ვ) მონაწილეობა მიიღოს პროკურატურის სისტემის  
მატერიალურ-ტექნიკურ ფასეულობათა აუდიტში.

ზ) გამოავლინოს პროკურატურის თანამდებობის პირთა  
ოფიციალური მდგომარეობისათვის შეუფერებელი ქმედებანი,  
კერძოდ: უკანონო მატერიალური სარგებლის მიღება, უკ-  
ანონო ვარაუდებში მონაწილეობა, ფინანსური, კომერციული  
ან სხვა ანგარიშითი საქმიანობა, რაც შეუთავსებელია პროკუ-  
რატურის მუშაკის წოდებასთან და ეთიკის ნორმებთან.

თ) აღრიცხოს ანონიმური სიგნალები, საჩივარ-გან-  
ცხადებები.

– ანონიმური ცნობები სისხლის სამართლის საქმის  
აღძვრის საბაზს არ წარმოადგენს, გენერალური პროკუ-  
რატორის მითითებით ასეთი ცნობები შეიძლება გადამოწმ-  
დეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების ვაით.

ი) პროკურატურის მუშაკთა მიერ დაშვებული საშა-  
ხურებრივი მოვალეობის და დისციპლინის დარღვევის  
ფაქტების ანალიზის საფუძველზე მოაშუადოს და საქარ-  
თველოს გენერალურ პროკურატორს განსახილველად წარუ-  
დგინოს შესაბამისი დოკუმენტები.

კ) პროკურატურის მუშაკის მიმართ სისხლის სამართლ-  
ის საქმის აღძვრის ან საშახურებრივი მოძიებით მაკომ-  
პრომეტორებული მონაცემის არსებობის თაობაზე ეცნობის  
გენერალური პროკურატურის კადრების სამმართველოს.

ლ) პროკურატურის საქმიანობასთან დაკავშირებით,  
ამყარებს ურთიერთობას სხვა სამართალდამცავ ორგა-  
ნოებთან, სახელმისაწვდომ სტრუქტურებთან, არასამთავრობო  
სექტორთან და მასმედიასთან.

მ) უზრუნველყოფს „ცხელი ხაზის“ და გენერალური  
პროკურატურის მისაღებში გენერალური ინსპექციის  
სპეციალური ყუთის – ფუნქციონირებას.

ნ) გენერალური ინსპექციის უფროსი ყოველწლიურად  
(წლის ბოლოს) ანგარიშით წარსდგეს გენერალური პროკუ-  
რატორის წინაშე.

ო) „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული  
კანონის მე-14 მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ პუნქტის  
შესაბამისად განახორციელოს გენერალური პროკურატორის  
მიერ მასზე დაკისრებული უფლებამოსილება.

2. საშახურებრივი მოძიება უნდა დამთავრდეს გენერ-  
ალურ პროკურატურაში არამართლზომიერი ქმედების  
თაობაზე შეტყობინების მიუხედავად არა უგვიანეს 20 დღეში.

3. საშახურებრივი მოძიების შედეგები უნდა გაეცნოს  
ამ პირს, ვის მიმართაც მიმდინარეობდა შემოწმება.

4. დანაშაულის შესახებ განხილვა-შეტყობინებების  
აღრიცხვა და განხილვა-გადაწყვეტილება ხორციელდება  
შესაბამისი ინსტრუქციის მოთხოვნების დაცვით.

### გენერალური ინსპექციის უფლებები

გენერალური ინსპექციის უფლება აქვს:

– საშახურებრივი მოძიების პროცესში გამოიძახოს  
პროკურატურის ნებისმიერი თანამშრომელი ან თანამ-  
დებობის პირი, აგრეთვე მოქალაქე და მიიღოს ახსნა-  
განმარტება მოსაძიებელი ფაქტის ორგვლივ;

– გამოითხოვოს ყველა ის მასალა, რომელიც უკავ-  
შირდება პროკურატურის საქმიანობას, სისხლის სამართ-  
ლის საქმის ჩათვლით;

– მომხდარი ან მომზადებული დანაშაულის შესახებ  
ცნობების შემოწმებისას გენერალურ პროკურატორთან  
შეთანხმებით, დახმარებისათვის მიმართოს სამძებრო-ოპერ-  
ატიულ სამსახურებს. შემოწმებაში ჩართოს გენერალური  
პროკურატურის კრიმინალისტიკური განყოფილება. სისხლის  
სამართლის საპროცესო ნორმების დაცვით, დაავალოს  
შესაბამის სამსახურს აწარმოოს ვიდეო-ფოტო-კინო  
გადაღება, ხმის ჩაწერა, სატელეფონო საუბრების მოსმენა  
და სხვა;

– გენერალურ პროკურატორთან შეთანხმებით სამსახუ-  
რებრივი მოძიების ჩატარებაში ჩართოს საქართველოს  
გენერალური პროკურატურის ან პროკურატურის სისტემის  
სხვა თანამშრომელი;

– გენერალურ პროკურატორთან შეთანხმებით, კანონიერი  
საფუძვლების არსებობის შემთხვევაში დაათვალიეროს  
პროკურატურის მუშაკის სამუშაო ოთახი და ინვენტარი,  
საჭიროების შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო  
ნორმების დაცვით ამოიღოს და მოძიების მასალებს დაურ-  
თოს შემოწმებისათვის საინტერესო დოკუმენტები და  
საგებები.

– შეისწავლოს სისხლის სამართლის საქმეები, მასალები,  
მოქალაქეთა საჩივარ-განცხადებები, რაც წარმოებაში  
აქვს პროკურატურის იმ მუშაკს, რომლის მიმართაც  
მიმდინარეობს საშახურებრივი მოძიება.

– სპეციალური ცოდნის საჭიროების შემთხვევაში მა-  
იღოს კონსულტაციები სპეციალისტებისაგან;

– საშახურებრივი მოძიების შედეგებზე მიიღოს გადა-  
წყვეტილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არ  
აღძვრის შესახებ; პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენ-  
ილი დანაშაულის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის  
აღძვრისათვის შესაბამისი მასალები წარუდგინოს გენერ-  
ალურ პროკურატორს; შეადგინოს საშახურებრივი მოძიების  
დასკვნა;

– კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გენერალურ  
პროკურატორთან დააყენოს საკითხი პროკურატურის მუშაკ-  
ის თანამდებობიდან განთავისუფლების და სხვა დისციპლი-  
ნარული სასჯელის გამოყენების თაობაზე;

– გენერალური პროკურატორის დაავლებით ჩაატაროს  
წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე;

– გენერალური ინსპექციის თანამშრომელს არა აქვს  
საშახურებრივი მოძიებაში მონაწილეობის უფლება, თუ იგი  
ტარდება მისი ნათესავის, საშახურებრივად დაქვემდებ-  
არებული პირის, ამასთანავე, თუ არსებობს სხვა ვარაუ-  
ძობები, რომლებიც იძლევიან საფუძველს ამ პირის  
დანიტერესებაში საშახურებრივი მოძიების შედეგებზე.

ზემოაღნიშნული საფუძველებით ამ პირს, ვის მიმართაც  
ტარდება საშახურებრივი მოძიება, უფლება აქვს დააყენოს  
აცხადების საკითხი.

გენერალური ინსპექციის პროკურატორის აცხადების საკითხს  
წყვეტს გენერალური ინსპექციის უფროსი 5 დღის ვადაში,  
ხოლო ამ უკანასკნელის აცხადების საკითხს გენერალური  
პროკურატორი.

საქართველოს პროკურატურის გენერალური  
ინსპექციის უფროსი, იუსტიციის  
უფროსი მრჩეველი: დ. ჯინჯოლავა



## პოლიტიკის ნორმები

### საქართველოს პროკურატურის მუშაკებისათვის

#### პრეამბულა

სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია დამყარებულია პრინციპზე, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის ზრუნვა სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფით ხორციელდება.

პროკურატურის თანამშრომელთა ერთგულება თავისი მოვალეობებისადმი აყალიბებს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების, მთლიანად სამართლებრივი სისტემის სამართლიანობისადმი.

პროკურატურის მუშაკის ეთიკური ნორმების დანაშაულებია პრაქტიკაში დანერგვის ეთიკური ქცევის სტანდარტები, რათა:

- შეიქმნას ძლიერი და ჯანსაღი ერთიანი სასამართლო ხელისუფლება;
- ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური მართლმსაჯულების დამკვიდრებას;
- განმტკიცდეს პროკურატურის მუშაკთა პატიოსნებისა და სიწმინდის რწმენა;
- უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლებები, საერთო კეთილდღეობა და სამართლიანობა.

პროკურატურის მუშაკის ეთიკის ნორმები არის ეთიკური ნორმების სისტემა, რომელიც აერთიანებს ეთიკის პრინციპებსა და პროკურატურის მუშაკთა ქცევის წესებს. ეთიკის დარღვევად ჩაითვლება ნებისმიერი საქციელი, რომელიც თუმცა არ არის კანკრეტულად გათვალისწინებული ქცევის ამა თუ იმ წესით, მაგრამ ეწინააღმდეგება პროკურატურის მუშაკის სათანადო ქცევის რომელიმე პრინციპს.

პროკურატურის მუშაკის ეთიკის ნორმები შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ორგანული კანონის „პროკურატურის შესახებ“, სხვა კანონებს, სახელმწიფო თანამდებობის პირთა ქცევის საერთაშორისო კოდექსს, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპებს, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

ეთიკის ნორმებით განსაზღვრული პირობების დაცვა საჭიროებდა საქართველოს პროკურატურის ყველა მუშაკისათვის.

#### ეთიკის ნორმების პრინციპები

##### პრინციპი 1

პროკურატურის მუშაკი ხელს უნდა უწყობდეს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასა და სიწმინდეს;

##### პრინციპი 2

განმტკიცდეს პროკურატურის მუშაკთა პატიოსნებისა და სიწმინდის რწმენას;

##### პრინციპი 3

პროკურატურის მუშაკი პატივს უნდა სცემდეს კანონს და იყოს მისი ერთგული;

##### პრინციპი 4

თავის მოვალეობებს უნდა ასრულებდეს კომპეტენტურად, კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად;

##### პრინციპი 5

პროკურატურის მუშაკი უნდა უფროსი დეობდეს პროკურატურის პრესტიჟს და არ სწავლობდეს მისი ავტორიტეტისა და მოწოდებებისათვის შეუფერებელ საქციელს;

##### პრინციპი 6

როგორც პროფესიული საქმიანობისას, ისე პირად ცხოვრებაში ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებრივი რწმენის განმტკიცებას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისადმი;

##### პრინციპი 7

პირადი საქმეებისა და სხვა ნებისმიერი საქმიანობის წარმართვისას მაქსიმალურად შეამციროს საშახურებრივი მოვალეობის სათანადოდ განხორციელების ინტერესებთან შეუთავსებლობის შესაძლებლობა;

##### პრინციპი 8

პროკურატურის მუშაკი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ქცევის მაღალი სტანდარტების შემუშავებასა და დამკვიდრებაში, პირადად იცავდეს და კალეგებსაც უწყობდეს ხელს მათ დაცვაში. ეთიკის ნორმები შინაგანი მრწამსის გამოხატველი უნდა იყოს და შეგნებულად ასრულებდეს მათ.

#### პროკურატურის მუშაკის ქცევის წესები

##### მუხლი 1. კანონისადმი მორჩილება

სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას პროკურატურის მუშაკი უნდა მოქმედებდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის და საქართველოს სხვა კანონების, აგრეთვე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების და პროკურატურის მუშაკის ეთიკის ნორმების შესაბამისად ემორჩილებოდეს მათ.

##### მუხლი 2. კონსტიტუციის უზენაესობისათვის ზრუნვა

პროკურატურის მუშაკი უნდა ხელმძღვანელობდეს სამართლიანობის, ქვეყნისა და ხალხის უმაღლესი ინტერესებით, განუხრელად დაიცვას კონსტიტუცია და უზრუნ-



ველყოს მისი უზენაესობა, ყოველდღიურ ცხოვრებაში მტკიცედ შეასრულოს წინამდებარე ეთიკის ნორმები.

**მუხლი 3. მართლმსაჯულებისა და სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური დამოუკიდებლობისათვის ზრუნვა**

პროკურატურის მუშაკი უნდა ზრუნავდეს, როგორც საკუთრივ მართლმსაჯულების, ისე სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის; თავისი საქმიანობით ხელს უწყობდეს ხელისუფლების განაწილების სისტემაში სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური როლის ჯეროვნად განხორციელებას.

**მუხლი 4. პროკურატურის მუშაკის ზრუნვა სამსახურებრივი მოვალეობის დამოუკიდებლად განხორციელებისათვის**

პროკურატურის მუშაკმა უნდა უზრუნველყოს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელება, როგორც ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან, ისე სხვა თანამდებობის პირების, არასახელისუფლებო ორგანიზაციებისაგან, დაწესებულებისა თუ კერძო პირების შემოქმედებისგან დამოუკიდებლად.

უნდა იყოს შეუვალაო.

**მუხლი 5. დამოუკიდებლობის ხელშეწყობის დაგეგმვის შესრულებლობა**

პროკურატურის მუშაკმა არ უნდა იკისროს ან არ შეასრულოს ისეთი დაგეგმვები თუ რეკომენდაციები, რომლებიც თავისი შინაარსით, ხასიათით ან ფორმით ხელყოფენ მისი საქმიანობის დამოუკიდებლობას.

**მუხლი 6. გარეშე ზეგავლენის არიდება**

პროკურატურის მუშაკმა უნდა აირიდოს ოჯახური, სოციალური, პოლიტიკური თუ სხვაგვარი ურთიერთობების რაიმე ზეგავლენა თავის გადაწყვეტილებაზე. მისი აზრი არ უნდა მერყეობდეს მხარეთა ინტერესების, საზოგადოებრივი შემოქმედების გამო, ანდა კრტიკის შიშით.

დამოუკიდებლობისადმი რწმენის დანერგვა

**მუხლი 7. დამოუკიდებლობისადმი რწმენის ჩამოყალიბება**

პროკურატურის მუშაკი უნდა ზრუნავდეს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისადმი საზოგადოების რწმენის ჩამოყალიბებისათვის. თავის მოვალეობათა შესრულებისას იგი უნდა განამტკიცებდეს რწმენას, რომ სამართალს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება აღასრულებს. არაფერს არ უნდა შეეპაროს ეჭვი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაში.

**მუხლი 8. დამოუკიდებლობის იერი**

პროკურატურის მუშაკის საქმიანობა არ უნდა ტოვებდეს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ვინმეს ისეთი განსაკუთრებული მდგომარეობა აქვს, რომელიც საშუალებას აძლევს მას შემოქმედება მოახდინოს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. არც სხვას უნდა დართოს ნება ასეთი შთაბეჭდილების შესაქმნელად.

**მუხლი 9. დამოუკიდებლობისათვის ზრუნვა მასმედიასთან ურთიერთობის დროს**

დაუშვებელია შემოწმების ან წინასწარი გამოძიების

პროცესში აზმურებდეს კონფიდენციალურ, საქმიანობის ან პროცესებისათვის საზიარო ინფორმაციებს. ასეთ საკითხებზე იძლეოდეს ინტერვიუს, მონაწილეობდეს პრეს-კონფერენციებში, საჯაროდ გამოთქვამდეს აზრს ან იძლეოდეს განმარტებებს.

განუხრებლად იცავდეს კონსტიტუციურ უფლებას – უდანაშაულობის პრეზუმციას.

გარდა იმ შემთხვევებისა თუ აუცილებლად მიიჩნევა საზოგადოებისათვის ნათელი გახადოს საქმის ოურიდიული შინაარსი და მნიშვნელობა.

სხვა საქმიანობის შეზღუდვა

**მუხლი 10. სხვა საქმიანობის უფლება**

პროკურატურის მუშაკის სხვა საქმიანობა, რომელიც არ განეკუთვნება სამსახურებრივ მოვალეობებს, დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ეს საქმიანობა თავისი შინაარსით არ ეწინააღმდეგება სამსახურებრივი მოვალეობების დამოუკიდებლობას და არ უქმნის მას საფრთხეს.

**მუხლი 11. ანაზღაურებადი ან კომერციული საქმიანობის შეზღუდვა**

პროკურატურის მუშაკი არ შეიძლება ეწეოდეს სხვა რაიმე ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა პედაგოგიურის, სამეცნიერო და სახელოვნებო საქმიანობისა.

მას უფლება აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა ან მონაწილეობდეს ისეთ სახელმწიფო კომისიებში, რომელიც მიზანია სამართლის, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების განხორციელების სრულყოფა.

არა აქვს უფლება ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას ან იყოს რაიმე კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან თანამშრომელი.

**მუხლი 12. საქველმოქმედო საქმიანობის შეზღუდვა**

პროკურატურის მუშაკს აქვს ქველმოქმედების უფლება, თუ ამ საქმიანობის ფორმა ან ის ურთიერთობები, რომლებსაც ეს საქმიანობა უკავშირდება საფრთხეს არ უქმნის მას დამოუკიდებლობას.

**მუხლი 13. ასოციაციებში გაერთიანების შეზღუდვა**

პროკურატურის მუშაკი არ შეიძლება გახდეს ისეთი არაპროფესიული კავშირისა თუ ასოციაციის წევრი, რომელიც ერთგულების ფიცის დადებას მოითხოვს, ანდა ეჭვს ქვეშ აყენებს პროკურატურის მუშაკის რეპუტაციას.

**მუხლი 14. სხვა ოურიდიული პრაქტიკის აკრძალვა**

პროკურატურის მუშაკი არ შეიძლება იმავდროულად ეწეოდეს სხვა ოურიდიულ პრაქტიკას, სახელდობრ:

- ა) არა აქვს ადვოკატად გამოსვლის უფლება;
- ბ) დაუშვებელია კერძოდ ასრულებდეს არბიტრის ან მომრიგებლის როლს.

იგი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ვინმეს რწმუნებული, მერჯე ან პირადი წარმომადგენელი, თუ ეს ხელს არ უშლის თავისი სამსახურებრივი მოვალეობის სათანადოდ განხორციელებას.

არა აქვს უფლება რაიმე საფასურის სანაცვლოდ გასწავლოს ოურიდიული კონსულტაცია, შეადგინოს ან გადაამოწმოს სხვადასხვა ოურიდიული დოკუმენტი.

**მუხლი 15. წარმომადგენლობის უფლება**

პროკურატურის მუშაკს უფლება აქვს წარმოადგენდეს



ქვეყნის ან მის რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულს ლეგიტიმურ ცერემონიაზე, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ან ღონისძიებებზე თარიღებთან დაკავშირებით. უფლება აქვს იყოს უცხო ქვეყნის, ქალაქის ან სხვა ადმინისტრაციული ერთეულის საპატიო მოქალაქე.

**პოლიტიკური საქმიანობისაგან განრიდება**

**მუხლი 16. პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა**

პროკურატურის მუშაკი უნდა განერიდოს პოლიტიკურ საქმიანობას. იგი არ შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი ან ასრულებდეს პარტიულ დავალებებს. არ შეიძლება გამოდიოდეს სიტყვით რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით.

**შენიშვნა:**

- ა) ეს მუხლი არ უკრძალავს ამომრჩევლის სახით მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- ბ) მისი ოჯახის წევრის პოლიტიკური საქმიანობის უფლება შეუზღუდავია.

**მუხლი 17. პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვა**

პროკურატურის მუშაკი საჯაროდ არ უნდა ამჟღავნებდეს თავის პოლიტიკურ შეხედულებებს. აკრძალულია მისი მხრიდან ნებისმიერი პირდაპირი თუ ირთვი პოლიტიკური პროპაგანდა.

საჯაროდ არ უნდა დაუქინოს მხარი სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობაზე ამა თუ იმ კანდიდატურას ან გამოვიდეს მის წინააღმდეგ. ასევე დაუშვებელია უკომპრომიზოდეს პოლიტიკური ორგანიზაციის ან კანდიდატის სახარვეზოდ შემოწმების გადასაცემად ან თავად უწევდეს მატერიალურ შემწევლობას წინასაარჩევნო კამპანიისას ან მის შემდეგ.

**შენიშვნა:**

ეს მუხლი არ კრძალავს, რომ კრძალვების გამოხატვის თავისი პოლიტიკური შეხედულებები ან დამოკიდებულება ცალკეული თანამდებობის პირების მიმართ.

**მუხლი 18. გაფიცვის აკრძალვა**

პროკურატურის მუშაკს ეკრძალება გაფიცვა. მას არა აქვს უფლება რაიმე მოტივით კოლექტიურად თუ ინდივიდუალურად, უარი თქვას თავისი სამსახურებრივი და პროფესიული მოვალეობების შესრულებაზე ან სხვებს მოუწოდოს ამისაკენ.

პროკურატურის მუშაკს უფლება აქვს მოაწილოს კონფერენცია, შეადგინოს პეტიცია, საპროტესტო წერილი საკუთარ ან სხვა ქვეყანაში პროფესიული მოვალეობების შესრულებისათვის პროკურატურის მუშაკების და სხვა იურიდიული პროფესიის ადამიანთა შევიწროების ან მათ საქმიანობაში უკანონო ჩარევის გამო.

**შენიშვნა:**

ეს მუხლი არ უკრძალავს გადადგეს თანამდებობიდან პროტესტის ნიშნად ან თავის მსოფლმხედველობის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების გამო.

**მუხლის 19. სამსახურებრივი ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულება**

სამსახურებრივ მოვალეობებს პროკურატურის მუშაკი უნდა ასრულებდეს კეთილსინდისიერად და მონდომებით.

იგი უნდა იყოს შრომისმოყვარე და სამსახურებრივი მოვალეობების ერთგული.

განურჩევლად ასრულებდეს ზემდგომი პროკურორის მითითებებს.

**მუხლის 20. სამსახურებრივი მოვალეობების პრიორიტეტულობა**

სამსახურებრივი მოვალეობანი პროკურატურის მუშაკისათვის უწინარესია სხვა საქმიანობასთან შედარებით. პედაგოგიურმა თუ კანონით ნებადართულმა სხვა საქმიანობამ ხელი არ უნდა შეუშალოს მის სამსახურებრივი მოვალეობების სრულყოფილად განხორციელებაში. კანონით ნებადართული სხვა საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ ძირითადი სამსახურებრივი დატვირთვის გაოვალისწინებით, იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული სამსახურებრივი მოვალეობების საზიანოდ ან აბრკოლებდეს საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას.

**მუხლი 21. სამსახურებრივ მოვალეობებთან შეუთავსებლობის აღკვეთა**

პროკურატურის მუშაკი არ უნდა მონაწილეობდეს არავითარ გარიგებაში, არ უნდა ასრულებდეს რაიმე ფუნქციას ან ცალკეულ მოქმედებას, რაც შეუთავსებელია მის სამსახურებრივ საქმიანობასთან, მოვალეობებთან ან მათ შესრულებასთან.

არ იღებს და არ ასრულებს ისეთ დავალებებს, რომლებიც სცილდება განკარგულების მიზანმიმართულ უფლებამოსილებას ან დაკავშირებულია ისეთი მოქმედების განხორციელებასთან, რისი უფლებამოსილებაც არ გააჩნია.

არ უნდა დაეთანხმოს სამუშაოდ ისეთ სამსახურში განწესებას, სადაც მისი ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი მუშაობს და მისი უშუალო ხელმძღვანელი ან ხელქვეითი იქნება, ასეთი შემთხვევის წარმოშობისას დაუყოვნებლივ უნდა აზრუნოს ამ შეუთავსებლობის აღმოსაფხვრელად და შეუთავსებლობის ლიკვიდაცია აცნობოს თანამდებობაზე მის განმწესებელ პირებს.

**მუხლი 22. მხოლოდ იმ საქმიანობის განხორციელება, რომლებზეც იურიდიული და მორალური უფლება აქვს**

პროკურატურის მუშაკმა უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს სათანადო წესით გადაცემული საქმეები, რომელთა უფლებამოსილება აქვს. მან უნდა აიცხლოს ის საქმეები, რომელთაგან განრიდება მოეხოფნება კანონით.

**მუხლი 23. პასუხისმგებლობა და კოლეგიალურობა**

პროკურატურის მუშაკი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს გადაწყვეტილების მიღებას. იგი უნდა იღწვოდეს, რომ საქმის განხილვამ საშარტლიანი შედეგები გამოიღოს. იგი უნდა იყოს განსაკუთრებით ფრთხილი, როდესაც ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს შეეხება.

იგი ყოველთვის გულისყურით უნდა ეპყრობოდეს სხვის აზრს, ნადავ ამოწმებდეს და კრიტიკულად აფასებდეს საკუთარი შეხედულებებისა და დასკვნების სისწორეს.

კოლეგური გადაწყვეტილების მიღებისას საქმროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს თათბირის საიდუმლოება.

**მუხლის 24. ქონებისა და ინფორმაციის სათანადოდ გამოყენება**

დაუშვებელია პროკურატურის მუშაკი არასათანადოდ,

სამსახურებრივი ინტერესებისათვის საზიანოდ იყენებდეს ფულად სახსრებს, ქონებას, მომსახურებას ან ინფორმაციას, რომლებსაც იგი ოფიციალურ ფუნქციითა შესასრულებლად იღებს.

**მუხლი 25. თანამდებობის დატოვების ინიციატივა**

პროკურატურის მუშაკი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზებით შეუძლებელია იყოს თვის განმავლობაში ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას ან თუ წარმოიშვა სხვა საფუძველი მისი გათავისუფლება-სათვის, თვითონ უნდა ახდენდეს თანამდებობიდან თავისი გათავისუფლების საკითხის ინიცირებას და არ უნდა დაელოდოს შესაბამისი უფლებამოსილი პირების გადაწყვეტილებას.

**მუხლი 26. სამსახურებრივ მოვალეობათა დაუბრკოლებელი შესრულება**

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია სწრაფად და ხარისხიანად შეასრულოს დავალებები, დაიცვას საკითხის განხილვის დადგენილი ვადები. იგი უნდა იყოს პუნქტუალური და შეეძლოს სწრაფად მიიღოს გადაწყვეტილებები. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უნდა მოერიდოს ყურადღების გამახვილებას ისეთ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებიც არ არის მისი განხილვის საგანი, არც სხვებს უნდა დართოს ამის ნება.

**მუხლი 27. მხარეთა ინტერესების დაცვა**

პროკურატურის მუშაკმა პატივი უნდა სცეს მხარეთა უფლებას წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები და გადაწყვიტონ სხვადასხვა საკითხი შედეგით დროისა თუ ფინანსური დანახარჯების გარეშე, არ უნდა შეუქმნას მათ ხელშეწყობის ხარვეზები და დაბრკოლებები.

**მუხლი 28. ცოდნის გაღრმავება და პროფესიული დონის ამაღლება**

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია იმაღლებდეს პროფესიულ დონეს და ზრუნავდეს ცოდნის გაღრმავების, შემდგომი პროფესიული დახელოვნებისა და ინფორმირებულობისათვის.

იგი უნდა ზრუნავდეს თავისი პროფესიული თვალსაზრისის გაფართოებისათვის. არ უნდა სჯერდებოდეს მოქმედი კანონმდებლობის ცოდნას. სისტემატურად უნდა ეცნობოდეს, როგორც კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გამოყენების, ისე ზოგადად სამართლის, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების განხორციელების სრულყოფის საკითხებს. შეძლებისდაგვარად უნდა ეცნობოდეს უცხოურ სამართლებრივ ლიტერატურას.

**მუხლი 29. პროკურატურის მუშაკთა პროფესიონალიზმისათვის ზრუნვა**

პროკურატურის მუშაკი ხელს უწყობდეს კოლეგების პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის ამაღლებას, აძლევდეს მათ საჭირო რჩევას-დარიგებებს.

**მუხლი 30. კომპეტენტურობა, დისციპლინა და თანამშრომლობა ადმინისტრირების დროს**

პროკურატურის მუშაკი კომპეტენტური უნდა იყოს ადმინისტრირების საკითხებში. იგი უნდა ემორჩილებოდეს გენერალური პროკურორის განკარგულებებს და ბრძანებებს.

**მუხლი 31. მატერიალური, ადამიანთა და სხვა რესურსების ეფექტიანი მართვა და სამართლიანი ხელმძღვანელობა**

პროკურატურის მუშაკმა, რომელსაც ადმინისტრაციული უფლებამოსილება აქვს, უნდა უზრუნველყოს მატერიალური, ფინანსური და ადამიანთა რესურსების საუკეთესო განაწილება, სხვა დაწესებულებებთან წარმატებული თანამშრომლობა, პროკურატურის პერსონალისათვის საქმიანობის სათანადო პირობების შექმნა, მაღალი საშემსრულებლო დისციპლინა და სამართლიანი ხელმძღვანელობა. მან არ უნდა დაუშვას ამ საქმიანობაში გარედან ჩარევა, უნდა მოითხოვოს სამსახურებრივი მოვალეობისადმი ერთგულება და გააკონტროლოს მათი შესრულება.

გენერალურმა პროკურორმა პერიოდულად უნდა იზრუნოს პროკურატურის მუშაკის დაკავებულ თანამდებობასთან შესაფერისობის საკითხის გასარკვევად პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა თუ პირადი თვისებების მხედვით, აგრეთვე ვაკანტურ ადგილებზე დირექციული თანამშრომლების სამსახურში მისაღებად.

**მუხლი 32. რესურსების ყიაროთიანი და მიზნობრივი გამოყენება**

პროკურატურის მუშაკი უნდა ზრუნავდეს, რომ პროკურატურის კუთვნილი მატერიალური და ფინანსური რესურსები თუ საშუალებები ყიაროთიანად და მხოლოდ და მხოლოდ ამ დაწესებულების მიზნებისათვის იხარჯებოდეს. მან არ უნდა დაუშვას მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება, გაფლანგვა ან გადახარჯვა. ყველა რესურსი პროკურატურის ეფექტიან საქმიანობას უნდა ხმარდებოდეს.

**მუხლი 33. მიუკერძოებლობა**

პროკურატურის მუშაკმა სამსახურებრივი მოვალეობები უნდა შეასრულოს სრულად მიუკერძოებლად და ობიექტურად. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს ფაქტისა თუ სამართლის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა იღებდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომელთაც შეიძლება აქონდეს იურიდიული მნიშვნელობა კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად.

**მუხლი 34. წინასწარი განწყობის ზეგავლენის დაუშვებლობა**

სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას პროკურატურის მუშაკი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარი ჩამოყალიბებული ან აკვიატებული აზრის, შეხედულების, ცრურწმენისა თუ განწყობისაგან, უნდა დაძლიოს სხვადასხვაგვარი შეხედულებები და ტენდენცია, თუ მისი გავლენას ახდენენ ფაქტების გაგებასა ან დადგენაზე, კანონის ინტერპრეტაცისა თუ გამოყენებაზე.

დაუშვებელია, რომ მისი შეხედულებანი, დაკავშირებული რასობრივ, ეროვნულ, ეთნიკურ, ენობრივ, რელიგიურ, სქესობრივ კუთვნილებასთან, კანის ფერთან, ინვალიდობასთან, სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან, სხვა გარემოებებთან, უარყოფით გავლენას ახდენდენ გადაწყვეტილების კანონიერებასა და სამართლიანობაზე ან სხვა მოვალეობების სათანადოდ განხორციელებაზე.

**მუხლი 35. მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა თავისი ფუნქციების შესრულების ან საზოგადოებასთან**



ურთიერთობის დროს პროკურატურის მუშაკმა არ უნდა დაუშვას პირდაპირ თუ შეფარვით რაიმე არამართლწომიერი პრივილეგიის მინიჭება ან დისკრიმინაცია პირთა რომელიმე ჯგუფისა თუ ცალკეულ პირთა მიმართ პოლიტიკური ან სხვაგვარი შეხედულების გამო, ანდა სხვა საფუძველით.

უნდა უზრუნველყოს თანასწორუფლებიანობა და არ დაუშვას განსხვავებული მიდგომა საქართველოს მოქალაქეებს, მოქალაქეობის არამქონე ან უცხოელ პირთა მიმართ, თუ ასეთი რამ კანონით არ არის გათვალისწინებული.

დაუშვებელია ასევე განსხვავებული მიდგომა უცხოელების მიმართ ამისდა მხედვით, თუ როგორც იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის სამართლებრივი, პოლიტიკური ან საერთაშორისო სტატუსი, რომელსაც ეს უცხოელი მიეკუთვნება.

**მუხლი 36. მხარეთა თანასწორუფლებიანობა**

პროკურატურის მუშაკმა სამსახურებრივი საქმიანობისას უნდა უზრუნველყოს მხარეთა სრული თანასწორუფლებიანობა, მხარეებს უნდა მისცეს თანაბარი შესაძლებლობა კანონით დადგენილი წესით წარმოადგინონ და დაიცვან თავიანთი პოზიციები.

არ უნდა დაუშვას რომელიმე მხარისათვის რაიმე არსებითი პროცესუალური ან ტაქტიკური ხასიათის უპირატესობის მინიჭება ანდა მისთვის სხვაგვარად, მქონე მხარესთან შედარებით, მომგებანი მდგომარეობის შექმნა.

**მუხლი 37. ცალმხრივი ინფორმაციების მიღებისა და განხილვის დაუშვებლობა**

დაუშვებელია ფაქტობრივი გარემოებებისა თუ საქმეებზე იურიდიული დასკვნების შესახებ ერთ-ერთი მხარის წარმოდგენილი ინფორმაციის მიღება, განხილვა ან მის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება მქონე მხარის პოზიციის გაუთვალისწინებლად.

**შენიშვნა:**

მქონე მხარის (მხარეების) დაუსწრებლად მხოლოდ ისეთი ინფორმაციის მიღებაა დასაშვები, რომელიც არ შეეხება განხილული საკითხის ან საქმის არსსა და კონკრეტულ გარემოებებს და მხოლოდ სამართალწარმოების პროცესის ეფექტიანი მართვის თვალსაზრისით აქვს მნიშვნელობა.

**მუხლი 38. დაინტერესებული პირის ექსპერტად ან სპეციალისტად მოწვევის აკრძალვა**

პროკურატურის მუშაკს არა აქვს უფლება სამართლის ან სხვა დარგში ექსპერტად ან სპეციალისტად მოწვევის პირი, რომელსაც საქმეში თავისი ან ერთ-ერთი მხარის სასარგებლო ინტერესი აქვს.

**მუხლი 39. თვითაცდობა**

პროკურატურის მუშაკმა უნდა აიცდიდეს ყველა ის დაფალება და საქმე, სადაც არსებობს კანონით გათვალისწინებული ან სხვა გარემოება, რომელიც საკმარის საფუძველს ქმნის მის მიუკერძოებლობაში დასაუჭვებლად.

ვადლებულია თვითაცდობა მოახდინოს, თუ მას ან მისი ოჯახის წევრს განსახილველ საკითხთან ან საქმესთან აქვს მატერიალური ან სხვა რაიმე ინტერესი. ამის გამო იგი მუდმივად უნდა იყოს საქმის კურსში თუ როგორც მისი ოჯახის წევრების მატერიალური და სხვაგვარი ინტერესები.

**მუხლი 40. მიუკერძოებლობის იერის შექმნა**

პროკურატურის მუშაკმა უნდა უზრუნველყოს თავისი

მიუკერძოებლობისადმი რწმენის შექმნა, ურომლისოდაც მისდამი ნდობა ვერ ჩამოყალიბდება. ყველას – მხარეებს, მასმედისა თუ საზოგადოების წარმომადგენლებს თავისი საქმიანობით ან ფრაგმენტული თუ სხვაგვარი უროიერთობის შედეგად უნდა შეუქმნას რწმენა, რომ საქმიანობას მიუკერძოებელი და პერსონალური პირი განახორციელებს. მისი საქციელი არ უნდა იძლეოდეს ისეთი შთაბეჭდილების შექმნის საფუძველს, რომ მისი უნარი უმწიკვლოდ და მიუკერძოებლად გაუძღვეს თავისი მოვალეობებს – დაქვეითებულა.

მან არც უნებლიეთ არ უნდა შექმნას პროკურატურის მუშაკის არაობიექტურობისა და მიუკერძოებლობის შთაბეჭდილება ან ასეთი ეჭვის საფუძველი.

**მუხლი 41. რომელიმე დაფალების ან საქმის განსახილველად მიღებით არაჯანსაღი დაინტერესება**

დაუშვებელია პროკურატურის მუშაკმა გამოიჩინოს კონკრეტული დაფალების ან საქმის მისთვის განსახილველად გადაცემის ინტერესი ან გამოიჩინოს ძალისხმევა საამისოდ.

**მუხლი 42. ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ დამოკიდებულების გამოხატვის აკრძალვა**

დაუშვებელია პროკურატურის მუშაკი გამოხატავდეს თავისი განწყობილებას რომელიმე მხარის მიმართ ამის მიუხედავად, დადებითა თუ უარყოფითი ეს განწყობილება. ამ წესის დაცვა საფუძველია როგორც სამსახურში, ისე მის გარეთაც.

იგი არ უნდა ავლენდეს თავისი შეხედულებებსა და დამოკიდებულებას ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ.

**მუხლი 43. სიფრთხილე განცხადების გაკეთებისას**

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საჯაროდ ან პირად საუბრებში პროკურატურის მუშაკმა არ უნდა გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელსაც შეუძლია წარმოშვას შემოთქმა, რომ ეს განცხადება ან მისი საფუძველი გააუზიანოს მოახდენს გადაწყვეტილების შედეგებზე ან ხელს შეუშლის სამართლიან განხილვას.

**მუხლი 44. შეუფერებელი საქციელის დაუშვებლობა**

პროკურატურის მუშაკმა სამსახურებრივი მოვალეობები უნდა განახორციელოს ღირსეულად. იგი უნდა უფრთხილდებოდეს თანამდებობის პრესტიჟს და არ ჩაიძინოს უმსგავსი საქციელი, რომელიც შეუფერებელია მის წოდებასთან, ღაზავს პროკურატურის ავტორიტეტს და იწვევს მართლმსაჯულებას დისკრედიტაციას.

**მუხლის 45. წესრიგისა და ქცევის ეთიკის დაცვა**

პროკურატურის მუშაკმა უნდა დაიცვას წესრიგი და ეტიკეტი, როგორც უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, ისე სხვა დროსაც.

**მუხლი 46. საზოგადოებაში თავშეკავებული მოქცევა**

პროკურატურის მუშაკი საზოგადოებაში თავდაჭერილად უნდა იქცეოდეს. დაუშვებელია თავს იწონებდეს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით.

**მუხლი 47. კორექტულობა**

პროკურატურის მუშაკი მოთმინებით, თავდაჭერილად, ღირსებითა და თავაზიანად უნდა ეპყრობოდეს მოქალაქეებს, მხარეებს, მოწვეებს, ადვოკატებს, სხვა კოლეგებსა და ყველას, ვისთანაც სამსახურებრივად აქვს საქმე. პატივს



უნდა სცემდეს მათ როლსა და ფუნქციებს. ასეთივე დამოკიდებულება უნდა მოითხოვოს თავის მიმართაც.

განსაკუთრებული სიფრთხილე და სიფაქიზე მოეთხოვება, როდესაც საქმე დელიკატურ საკითხებს შეეხება.

**მუხლი 48. ზომიერება და გაწონასწორებულობა**

პროკურატურის მუშაკი უნდა შეეცადოს გამოიმუშაოს მოთმინებისა და სხვისი მოსმენის უნარი, ემოციებისა და განწყობილებების გამოსატყვისი დაიცვას ზომიერება, ექსტრემალურ და კრიზისულ სიტუაციებში შეინარჩუნოს წონასწორობა და ვითარების მართვის უნარი.

**მუხლი 49. ადამიანის ღირსების პატივისცემა**

პროკურატურის მუშაკი უნდა მოერიდოს ისეთ გამოთქმებსა თუ საქციელს (შენიშვნა, ვახუშტობა), რომელიც ღიჯავს ადამიანის ღირსებას. ქცევის ასეთივე სტანდარტი უნდა მოითხოვოს მან სხვა თანამშრომლებსავე.

**მუხლი 50. კოლეგების პროფესიონალიზმზე მსჯელობისაგან თავის შეკავება**

პროკურატურის მუშაკი უნდა მოერიდოს, რომ სამსახურებრივი დავალებების შესრულებისას სხვაგან საჯაროდ გამოსვლისას, აგრეთვე პირად საუბრებში გამოხატოს უარყოფითი აზრი ან შეხედულება კოლეგების პროფესიონალიზმზე თუ პირად თვისებებზე.

ასევე მოუღებელია, რომ იგი უბატყველად იხილავს კოლეგის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

**შენიშვნა:**

ამ მუხლის პირველი ნაწილი არ შეეხება შემთხვევებს, როდესაც სამსახურებრივად აქვს დაფარული პროკურატურის მუშაკის საქმიანობისა და პირადი თვისებების შესწავლა, მისი დახასიათება.

**მუხლი 51. თანამდებობრივი მდგომარეობის მართებულად გამოყენება**

პროკურატურის მუშაკს უფლება არა აქვს თანამდებობრივი მდგომარეობა ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა გამოიყენოს სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ ან ამ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც არ განეკუთვნებიან მისი საქმიანობის სფეროს.

**მუხლი 52. კორუფციული დარღვევების დაუშვებლობა**

დაუშვებელია, რომ პროკურატურის მუშაკმა ჩაიდინოს კორუფციული სამართალდარღვევა და თავისი მდგომარეობა გამოიყენოს კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მისაღებად. უფლება არა აქვს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის მოითხოვოს ანაზღაურება ქონებრივი ან სხვა სიკეთის სახით.

**მუხლი 53. ინფორმაციის დანიშნულებისამებრ გამოყენება**

ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, არ უნდა გამოიყენოს არადა-ნიშნულებისამებრ.

არ უნდა გასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია და არც უნდა მოითხოვოს იგი, თუ ამის გარდაუვალი აუცილებლობა არ არსებობს.

**მუხლი 54. ჩვენების მიცემის უფლების შეზღუდვა**

პროკურატურის მუშაკმა უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ

მისი თანამდებობრივი პრესტიჟი არ იქნეს გამოყენებული სხვათა ინტერესების საზიანოდ.

თუ მისი ჩვენება აუცილებელია საქმეზე ქვემარტების დასადგენად, იგი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ფაქტების დადასტურებით ან უარყოფით.

**მუხლი 55. თანამდებობრივი პრესტიჟით მართებულად სარგებლობა**

პროკურატურის მუშაკი არ უნდა იყენებდეს თანამდებობრივ პრესტიჟს საკუთარი ან სხვათა პირადი მიზნების მისაღწევად, მან არ უნდა დაუშვას პროტექციონიზმი და მფარველობა.

არ უნდა გამოიყენოს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა უბრაატესობის მისაღებად, მაშინაც კი, როცა მასში მისი ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი ან მეგობარია ჩაბმული.

პროკურატურის მუშაკი უნდა მოერიდოს სარეკლამო განცხადებების მიცემას.

**მუხლი 56. ზომიერი ანაზღაურება**

ჯილდო ან ფულადი ანაზღაურება (პონორარი) ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც თავის უშუალო სამსახურებრივ მოვალეობებს არ განეკუთვნება (გამოსვლა, ლექცია, მოხსენება, სტატია და სხვა) უნდა იყოს ზომიერი და არ უნდა აჭარბებდეს თანხას, რომელსაც იგივე საქმიანობის ადატება სხვა პირს, რომელიც არ არის პროკურატურის მუშაკი.

**მუხლი 57. ქონებრივი მდგომარეობისა და შემოსავლის აღრიცხვა**

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია პერიოდულად ადგენდეს სპეციალურ ანგარიშს ამ საქმიანობის შესახებ, რისთვისაც ანაზღაურება მიიღო, მასში უნდა მყოფი იყოს შესაბამისად გაწეული საქმიანობის შინაარსი, დრო და ადგილი. ანგარიშში ღია დოკუმენტის სახით უნდა ინახებოდეს.

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია სათანადო წესით განაცხადოს, შეადგინოს ცნობები, აღრიცხოს თავისი პირადი აქტივებისა და ვალდებულებების, აგრეთვე შეძლებისდაგვარად, ცნობები მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან თავის კმაყოფიან მყოფი პირების აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ.

ფინანსური მდგომარეობის დეკლარაციაში უნდა აღრიცხოს საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში მათი შემოსავალი და ქონებრივი მდგომარეობა — შენატანი ბანკში, ფასიანი ქაღალდები, სავარძოს დივიდენდები, უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც მათი საკუთრება ან თანასაკუთრებაა.

**მუხლი 58. ეთიკის დარღვევის სარეაბილიტაციო ღონისძიებები**

პროკურატურის მუშაკი, რომელიც დაარღვევს ეთიკის ნორმებს, თვითონვე უნდა იზრუნოს ამ ზიანის გამოსწორებისათვის, რომელიც მაადგა პროკურატურის ავტორიტეტს, მართლმსაჯულების საერთო ინტერესებსა თუ კონკრეტულ ადამიანებს. დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შესაბამისი სარეაბილიტაციო ზომები (მოხადოს ბოდიში იმ ადამიანთა წინაშე, ვინც შეურაცხყოფილ იქნა ან ვისი უფლებებიც დაირღვა, აღუდგინოს მათ შელახული უფლებები თუ ინტერესები).

**მუხლი 59. კორექტულობა დისციპლინარული საქმის წარმოებისას**

პროკურატურის მუშაკი, ვის მიმართაც აღძრულია სამსახურებრივი ვაძიებები ანდა მოწმდება საკითხი დისციპლინარული დევნის აღძვრის გადასაწყვეტად, ვალდებულია არ შეუქმნას დაბრკოლებები შესაბამის უფლებამოსილ პირებს – გააცნოს საჭირო მასალები, დოკუმენტები, მისცეს ინფორმაცია და განმარტება.

დაუშვებელია უარს აცხადებდეს განმარტების მიცემაზე თავის წინააღმდეგ. დისციპლინარული საქმის გამოკვლევისას უფლება აქვს არ ეთანხმებოდეს და უსამართლოდ მიიჩნევდეს გადაწყვეტილებას მისთვის დისციპლინარული სახდელის დაკისრების შესახებ, მაგრამ დაუშვებელია უპატვიტემულიად ებყრობოდეს გენერალური პროკურატურის, კოლეგიის წევრების გადაწყვეტილებას, აუგად ინსენიებდეს კოლეგიის გადაწყვეტილებას.

თუ მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, უნდა ხელმძღვანელობდეს მართლმსაჯულების ინტერესებით და მოერიდოს ჩვენების მიცემაზე უარს თქმას.

**მუხლი 60. რეაგირება პროკურატურის მუშაკის მიერ ეთიკის დარღვევაზე**

თუ პროკურატურის მუშაკი მიიღებს ინფორმაციას, რომლის მიხედვით საფუძვლიანია ვარაუდი, რომ პროკურატურის სხვა მუშაკმა დაარღვია ეთიკის წესი, რაც სერვისულ ექსპერტს აღძრავს მის თანამდებობასთან შესაფერისობაზე, იგი ვალდებულია აცნობოს გენერალურ პროკურატურას.

**მუხლი 61. მართლმსაჯულების ინტერესების უწინარესობა პირადი ცხოვრებისა და სხვა საქმიანობის წარმართვისას**

თავის პირად საქმიანობასა და სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის დაკავშირებული სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელებასთან, პროკურატურის მუშაკი უნდა წარმართავდეს ისე, რომ არ დააბრკოლოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობების სათანადოდ განხორციელება და მაქსიმალურად შეამციროს განრიდების აუცილებლობის შემთხვევები, იზრუნოს იმისათვის, რომ პირადად მისი, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესები არ დაუპირისპირდეს სამსახურებრივ ინტერესებს.

**მუხლი 62. დისკრიმინაციის განმხორციელებელი ორგანიზაციის წევრობის დაუშვებლობა**

პროკურატურის მუშაკი არ შეიძლება იყოს ორგანიზაციის წევრი, რომელიც განხორციელებს დისკრიმინაციას რასობრივი, ეროვნული, რელიგიური ან სხვა ნიშნის მიხედვით.

თუ ორგანიზაციის წევრად გახდომის შემდეგ შეიტყობს, რომ ეს ორგანიზაცია თავის საქმიანობაში დისკრიმინაციას ახორციელებს, ანდა თუ ეს ორგანიზაცია შემდეგ გახდება ასეთი, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეაჩეროს ამ ორგანიზაციაში თავისი წევრობა და მიიღოს ზომები ამ ორგანიზაციის დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ეს მცდელობა წარუმატებელი გამოდგა, დაუყოვნებლივ დატოვოს იგი.

უნდა მოერიდოს დისკრიმინაციის განმხორციელებელ ორგანიზაციებსა თუ კლუბებში ვიზიტსა და იქ საქმიანი ან პირადი ურთიერთობების გამართვას.

**მუხლი 63. პროკურატურის ავტორიტეტის გაფრთხილება ფინანსური და კომერციული ხასიათის ოპერაციების წარმოებისას**

პროკურატურის მუშაკმა თავი უნდა აარიდოს ისეთ ფინანსურ თუ კომერციულ ოპერაციებს, რომლებიც ლახავენ პროკურატურის ავტორიტეტს და უარყოფითად მოქმედებენ მის საქმიანობაზე, ანდა, რომლებიც მას აბამენ ხშირ ან მუდმივ საქმიან ურთიერთობაში ისეთ პირებთან, რომლებიც შემდეგ შესაძლოა მის წინაშე წარდგინენ თავიანთი ფინანსური ინტერესების დასაცავად.

უნდა იზრუნოს, რომ მისი ოჯახის წევრებიც მოერიდონ მსგავსი ოპერაციებში მონაწილეობას, რათა არ შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ იგი ვინმეს მფარველობს ან თავის სამსახურებრივ მდგომარეობას ბოროტად აყენებს.

**მუხლი 64. კამპიტალდაბანდებათა ფლობისა და ფინანსური საქმიანობის კონფიდენციალურობის უფლების შეზღუდვა**

კანონმდებლობითა და ამ ნორმებით გათვალისწინებულ პირობების დაცვით პროკურატურის მუშაკს უფლება აქვს ჰქონდეს კამპიტალდაბანდებანი, იყოს აქციების ან წილის მფლობელი და გააქირავოს ის, ამასთან ამ საქმიანობაში ხელი არ უნდა შეუშალოს სამსახურებრივი მოვალეობების სათანადოდ განხორციელებას. კამპიტალდაბანდებათა და ფინანსური ინტერესების წარმართვისას მაქსიმალურად გამოიცილოს სამსახურებრივი მოვალეობების სრულყოფილად შესრულებისათვის ხელის შეშლის საფრთხე და საქმიანობაში მისი ჩამოცილების შესაძლებლობებიც, ხოლო თუ ასეთი შესაძლებლობა ხშირად წარმოიშობა, მან უარი უნდა თქვას თავის კამპიტალდაბანდებაზე და სხვა ფინანსურ ინტერესებზე ან დატოვოს პროკურატურის ორგანიზაცია.

ფინანსური საქმიანობის კონფიდენციალურობის უფლება აქვს მხოლოდ იმ ხარისხითა ზომით, რაც სამსახურებრივი მოვალეობების სათანადოდ განხორციელებისათვის არის აუცილებელი.

**მუხლი 65. საჩუქრების, პრივილეგიებისა და შეღავათების მიღების შეზღუდვა**

პროკურატურის მუშაკმა არ უნდა მიიღოს და პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით არც შეეცადოს მიიღოს ნებისმიერი საჩუქარი, ძღვენი, ყურადღების გამომხატველი სხვა პატივისცემა, აგრეთვე სესხი, მატერიალური თუ სხვა ხასიათის შეღავათი ან პრივილეგია (ქონებრივი ვალდებულებებისაგან განთავისუფლება ან შეღავათიანი პირობებით გაწეული მომსახურება), ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს ეს, თუ ამას შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაზე.

**შენიშვნა:**

გამონაკლისია საჩუქრები, პრივილეგიები და შეღავათები, რომლებიც ოფიციალურად გადაეცემა მისი ღვაწლისა და სამსახურებისათვის (აგრეთვე საჩუქრები, გამომდინარე მეგობრული, ნათესაური, მეზობლური ან სხვაგვარი ანლობლური ურთიერთობებიდან, აგრეთვე დაკავშირებული სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციებთან ან რაიმე მოვლენასთან – დაბადების დღე, ქორწილი, ნათლობა და სხვა), საჩუქრად არ ითვლება, აგრეთვე სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის ან ოფიციალური პირის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო ან პრემია.



საჩუქრისა თუ სხვა პატივისცემის ხასიათი და ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს ურთიერთობის ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს მასზე ზეგავლენის საშუალებას ან ქმნიდეს ამის შთაბეჭდილებას.

უნდა მოერიდოს ძვირფასი საჩუქრების მიღებას და თუ ეს მაინც მოხდა, მან ეს სათანადო წესით უნდა განაცხადოს და დააფიქსიროს შესაბამის ქონებრივ დეკლარაციაში.

დაუსვეებელია საჩუქრები, ძღვენი ან სხვა პატივისცემა მიიღოს მოქალაქეებისაგან, ადვოკატებისა და მათი კლიენტებისაგან, თუ იგი იხილავს, განიხილა ან მოუწვევს განიხილოს საქმე, რომელიც მათ ინტერესებს შეეხება. დაუსვეებელია აგრეთვე საჩუქრების, სხვა პატივისცემის ან სესხების მიღება, თუ არსებობს იმის რეალური შესაძლებლობა, რომ მჩუქებელი გახდეს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას რაიმე გადაწყვეტილებით დაინტერესებული.

არა აქვს უფლება საჩუქარი ან სხვა პატივისცემა მიიღოს უცხო ქვეყნის, საერთაშორისო ორგანიზაციის, დაწესებულების, ორგანიზაციისაგან და მათი წარმომადგენლობისაგან, გარდა სიმბოლური ნიშნის და სუვენირისა ოფიციალური შესვენებების ან ღონისძიებების გამართვის დროს.

უნდა გამოიცილოს იმ პირებისაგან საჩუქრის მიღება, ვინც მისი სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება და სხვა თანამშრომლებისაგან, თუ რაიმე განსაკუთრებულ მოვლენასთან არა გვაქვს საქმე, როდესაც საჩუქრის გადაცემა მსაღებად შეიძლება ჩაითვალოს.

თუ პროკურატურის მუშაკი მიიღებს საჩუქარს, სხვა პატივისცემას, რომლის უფლებაც არ ჰქონდა, ან შეიტყობს ასეთი საჩუქრის მისთვის გადაცემას ან პატივისცემის ამბავს, იგი ვალდებულია უარი თქვას და სამ დღეში საჩუქარი დაუბრუნოს მჩუქებელს, გადასცეს სახელმწიფო ხაზინას ან სახაზინო დაწესებულებას.

უფლება აქვს საკრედიტო დაწესებულებებიდან მიიღოს სესხი, თუ მას ისეთსავე პირობებს განუსაზღვრავენ, როგორც სხვა მოქალაქეებს.

სამეცნიერო მუშაობისათვის სტიპენდიებისა და დოტაციების მიღების უფლება აქვს ისეთივე პირობებისა და კრიტერიუმების დაცვით, რომლებიც სხვა პრეტენდენტების მიმართ გამოიყენება.

**მუხლი 66. ეთიკა პროკურატურის მუშაკის ოჯახის წევრებისათვის**

პროკურატურის მუშაკმა თავისი ოჯახის წევრებსაც უნდა განუმარტოს პროკურატურის მუშაკისათვის საფაღდებულო ეთიკური შეზღუდვების მნიშვნელობა და მოსთხოვოს მათაც შეძლებისდაგვარად დაიცვან ისინი.

**მუხლი 67. წინანდელი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუსვეებლობა**

პენსიაზე გასვლას, თანამდებობიდან გადადგომის ან პროკურატურის ორგანოების სხვაგვარად დატოვების შემდეგ არ უნდა გამოიყენოს ბოროტად თავისი წინანდელი სამსახურებრივი მდგომარეობა, კავშირუროთირობა და თანამდებობის პრესტიჟი.

**მუხლი 68. ვალდებულებები თანამდებობის დატოვებამდე**

თანამდებობის დატოვებისას ვალდებულია დააბრუნოს ყველა დოკუმენტი, მასალა, საქმე, საოფისო ინვენტარი და ინფორმაციის შემცველი საშუალება, რომელსაც იგი სამსახურებრივად ოფიციალურად ფლობდა.

დაუყოვნებლივ ჩააბაროს პროკურატურის მუშაკის პირადობის მოწმობა და ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღი.

**მუხლი 69. ვალდებულებები თანამდებობიდან წასვლის შემდეგ**

თანამდებობიდან წასვლის შემდეგ პროკურატურის მუშაკი ვალდებულია:

- ა) დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო;
- ბ) მოერიდოს თავისი კოლეგების (მოსამართლეების, პროკურატორების, ადვოკატების და სხვათა) პროფესიონალიზმისა და პირადი თვისებების შესახებ უარყოფითი აზრის საჯაროდ გამოთქმას;
- გ) არ ვააკეთოს ისეთი განცხადებანი, რაც მისი საქმიანობისას იყო ცნობილი და რომლებიც ლახავენ საქმის მონაწილე პირთა უფლებებსა და ღირსებებს ან პროკურატურის ავტორიტეტს, აგრეთვე არ შეესაბამებოდნენ ეთიკის პრინციპებს;
- დ) არ მიიღოს საჩუქრები და სხვა პატივისცემა, რომლებიც წინანდელ სამსახურებრივ ფუნქციებს უკავშირდება.

**მუხლი 70. პროკურატურის მუშაკის ეთიკური ნორმებით გათვალისწინებული პირობების შესრულება და დაცვა**

პროკურატურის მუშაკის ეთიკის ნორმებით გათვალისწინებული პირობების დაცვა საფაღდებულოა საქართველოს პროკურატურის ყველა მუშაკისათვის.

პროკურატურის მუშაკის მიერ ეთიკური ნორმების დარღვევას შესაძლებელია მოყვას მუშაკის დისციპლინარული პასუხისმგებლობა.



## REZUME

**1. Eldar Hasanov** – General Prosecutor of Azerbaijan Republic. “It’s necessary to create Center of CIS of Struggle Against Drug Habit”.

The article reviews cardinal problems of struggle against drug racket. The author underlines the fact, that nowadays drug habit and drug racket are very spread as in countries of CIS, so in other civilized states of the world. He manifests its great danger and concludes that countries of CIS must struggle together against this vice. The author insists that it’s necessary to create International Center of Struggle Against Drug Habit and Drug Business. He deals with its aims and demands to make concrete steps in this direction.

**2. Zurab Dgebuadze** – Chairman of Democrat Lawyers’ Union. “Problems of corruption”.

The author reviews problems of corruption in Soviet Union. He describes important political and economical changes of 80-th years, during which corruption received wide scales. The law lost its preventive character. The author gives examples from the legislative activity of the latest period to prove his considerations. He talks about reform concerning this question. The author manifests reasons of today’s corruption and shows the ways to defeat this disease.

**3. Kartlos Pridonashvili** – The lawyer. “Role and importance of Ombudsman in political regime of Georgia”.

The author determines role of Ombudsman in a new political regime of Georgia. He gives the notion of political regime. The article reviews such questions as political ideology, spread in the country; idea of building civil society; maintenance of institutional models of democracy and their relations in Georgian reality. At last the author notes circumstances, which determine Ombudsman’s political role and importance in political regime of Georgia.

**4. Zurab Dzierishvili** – Deputy dean of Law faculty of Tbilisi State University, docent of the Civil Law Chair. “Restoration of right on lost bearing securities and order securities” (recalling execution).

The author determines essence of incontestable execution and the cases, which are heard by court in this way. The author deals with the notion of securities. The article reviews procedure connected to restoration of right on lost bearing securities and order securities and specialties related to this question.

**5. Zviad Gabisonia** – Post-graduate of Civil Law Chair of Law faculty of Tbilisi State University. “Legal status of individuals, as subjects of foreign investment”.

The author determines essence of “citizen” and “person” on example of Rome. Then he reviews “personal law” of individual, declared by doctrine of International Private Law and the principles connected to it. He deals with them on example of countries of different legal systems. Concerning the status of individuals, the article reviews “law of foreigners” and determines the notion of foreign investor.

**6. Lela Kopaleishvili** – Head of Judicial Administration of State Anti-monopoly Office of Georgia. “Rights of consumer”.

The author determines the notion of consumer. She deals with the fact of receiving the law about “Protection of consumer’s rights”, as with a great progress. The author notes the rights of

consumer and, at the same time, she reviews obligations of producer. At last she expresses her opinion in order to improve the remedies of protecting the rights of consumer.

**7. George Chiladze** – “Limitation of rights by Patent Law of Georgia”.

The author notes the limitation of rights by Patent Law of Georgia and expresses his opinion concerning this question. The article reviews gaps of above-mentioned legislation related to such questions as delivery of license; simple and exclusive licenses; official and obliged licenses. The author notes the necessity of stopping such gaps.

**8. Nona Todua** – Docent of the Criminal Law and Criminology Chair of Law faculty of Tbilisi State University. “For improvement of criminal legislation”.

The author notes the gaps of a new Criminal Code of Georgia. She talks not only about the similar crimes, but also deals with the different criminal compositions. The author manifests contradictions between the articles; notes the necessity of stopping such gaps and shows the ways to improve a new Criminal Code.

**9. Malkhaz Badzagua** – Candidate of Legal Sciences, docent. “Fundamental phases of evolution of group criminality”.

The author notes the necessity of learning group crimes and the great political importance of investigation concerning their evolution. The article reviews structure and forms of groups. The author gives the considerations of different scientists and examples from the precedent to explain above-mentioned questions.

“Several considerations on discussion, spread in society, concerning reform of Prosecutors Office”.

The author notes that the sentences, which are underlined during talking about the future system of Prosecutors Office, are developing into two directions. These directions are determination and extension of authority, organization and rule of activity of Prosecutors Office and improvement of workers of Prosecutors Office by means of qualifying examinations. By author’s opinion, this question is necessary to be discussed by competent persons.

**10. Alexander Katsman** – The lawyer. “Criminal characterization of computer crimes”.

The author notes that computer crimes are very spread nowadays because of different political, social-economic and legal factors. He determines notion of computer crime, its elements, computer criminals and points out five most spread motives of committing computer crimes. At last the author notes that there are many problems to be resolved concerning this question.

**11. Zaza Intskirveli** – Chief of Tbilisi Municipality’s City-Office of cooperation with lawprotective organs, struggle against corruption and protection of human rights, Chief Advisor of Justice, candidate of legal sciences. “Reasons of false confession of accused and mechanism of their manifestation by psychological and procedural ways and remedies”.

The author reviews examination, one of the fundamental investigative actions, which can manifest false confession and its reasons. The article notes some reasons of false confession, such as conduct of examining magistrate, relations between him and accused, circumstances of giving the evidence and others. The article reviews different ways and remedies of false confession’s manifestation.

**12. Juri Gabisonia** – Judge in Tbilisi District Court, candidate of Legal Sciences, docent of Criminal Procedure and Criminalistics Chair of Tbilisi State University. “Detention, leading along, search: some theoretical-practical and legislative aspects”.

The article develops such questions as the essence of detention; leading along, as the intermediate procedure before the search is declared. The author reviews other aspects of detention and search. He also talks about the gaps of legislation concerning this question.

**13. Tamar Iaseshvili** – Chief Prosecutor of Georgian General Prosecutors Office’s Administration of supervision on the legality of investigative and operational-search activity in the Organs of Interior. “Search, as an urgent investigative action”.

The article reviews search, as an urgent investigative action, which partly limits constitutional rights and freedoms. The author develops the notion of search and the procedure connected to it and she manifests imperfections concerning above-mentioned. The article is rich by interesting examples from the precedent in order to prove considerations of the author.

**14. Valerian Metreveli** – Doctor of Legal Sciences, manager of the Chair of State and Law History of Tbilisi State University. “Roman law and codification of emperor Justinian”.

The author notes the great importance of reception of Roman law and the activity of Roman lawyers. The article reviews codification of Roman emperor Justinian and its sources. There are described the facts, which put conditions to creation of such an important document.

**15. George Nadareishvili** – Guide of Georgian State and Law History Department of State and Law Institute of the Academy of Sciences of Georgia, real member of Humanitarian Academy of Georgia, doctor of Legal Sciences, professor. “Extraction and development of one legal term”.

The author notes that people created state and law and they are still developing like language is. Thus were developing legal terms. The article reviews short history of extraction and development of the term – “right”. The fact that it’s separated from another term – “law” is a big attaining of our language.

**16. Nino Tsnobiladze** – Candidate of Legal Sciences. “Criticism of Russian law, spread in Pshav-Khevsureti, by Vazha-pshavela’s consideration.

The author notes that Vazha-Pshavela always struggled against injustice; that’s why he was pursued. The article reviews criticism of representatives of Russian law and court by Vazha-Pshavela’s consideration. The author deals with the Russian judges and manifests their imperfections with the help of Vazha-Pshavela’s stories.

**17. Irakli Shapakidze** – Dean of the International Law and International Relations faculty of Tbilisi State University, docent. “Acknowledgement and execution of court decisions of foreign countries”.

The author deals with the acknowledgement and execution of court decisions of foreign countries. He reviews principle of extraterritoriality on examples of USA and countries of West Europe. The article reviews reasons of extraction of above-mentioned question and doctrines related to it, especially the doctrine of “effect”.

**18. Gela Bezhuashvili** – Director of International Law Department of Ministry of Foreign Affairs of Georgia. “European Framework Convention for the Protection of National Minorities” of 1995, it’s legal status and practice of countries”.

The article reviews above-mentioned convention, as the first multilateral international document, which was received in order to protect national minorities. The author touches the problem of determination of term – “national minority” and notes its components. Concerning this question the author deals with the practice of those countries, which had already joined this convention.

## მკითხველთა საყურადღებოდ:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორი ინტერვალით ნაბეჭდ 15 გვერდს, სასურველია წარმოადგინოთ კომპიუტერის დისკზე ჩაწერილი სახით.

ჟურნალი რეგისტრირებულია თბილისის  
კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში  
რეგისტრაციის ნომერია – 06/4-190

პასუხისმგებელი მდივანი – ირმა ბექაური

კორექტორ-სტილისტი – ნინო ბერძენიშვილი

მთარგმნელი – ნათია კინწურაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ბექაური

ნათია და დავით ნასყიდაშვილები

გადაეცა წარმოებას 08.05.2000 წ.,  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.05.2000 წ.,  
ფორმატი 60X84, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6,25.  
ტირაჟი 800.  
ფასი ხელშეკრულებით.

n 147 / 5

